644
1985/4

ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

11

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ დაჰქრის ქარი...

„ის ოქტომბერი, რამაც შესძრა
მსოფლიო მთელი...“

გალაკტიონი

იმ გარდასულ დროს
ელვიანი უვლის ლემადე
და შარიშური
ცად გაშლილის ისმის დროშების
და როგორც სხივი,
ქარს სევდიანს მოაქვს ჩემამდე
წარსულის სუნთქვა ხანგამოშვებით...

და არაფერი დღეს ხსოვნაში
არ არის მკვდარი,
არც არაფერი დაკარგული
ფერფლად ქცეული,
ის შორეული მძლე გუგუნით
კვლავ დაჰქრის ქარი,
მიხმობს ბრძოლები ის გმირული
და შორეული..

მიხმობს ის წლები — ავსებული
მზითა და ნისლით —
ის ოქტომბერი — ტკივილებით
და იმედებით,
იქ ხომ მრავალთა
დაქცეულ სისხლში
ანთია ჩვენი სისხლის წვეთებიც...

ბაღათერ არაბული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

340
გამოცემის ოცდამეცხრე წელი

11

ნოემბერი
1985
თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. გურამ ფანჯიკიძე — სპირალი (რომანი, დასაწყისი)
79. ლია სტურუა — ლექსები
84. მურმან ჯგუბურია — ლექსი
84. ირინე ტალიაშვილი — გიგა (მოთხრობა)
100. ირაკლი გაზაძე — ლექსები
104. ზურაბ ნარმანია — ლექსები
107. თამაზ ჩიგოგიძე — გურუსი მდელოზე (მოთხრობა)
115. აპოლონ ადონია — ლექსები
117. ილია გეგიაშვილი — ლექსები
118. ლევან გაგუხადია — ლექსები

ახალი თარგმანები

119. კონსტანტინ სიმონოვი — დღიურიდან.
თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ

ტიციან ტაბიძე — 90

127. სიცოცხლის გაგრძელება
129. სერგი ჭილაია — ლექსები იყო მისი საგზალი

წერილები

135. ზაურ მეძველია — პაოლო იაშვილის ხუთი ლექსის სადავო კომენტარები
141. ზაზა სიხარულიძე — „...სტრიქონი, როგორც სისხლის კივილი...“
145. ალექსი ჭინჭარაული — კიდევ ერთი სტროფის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში
149. შალვა საგაშვილი — კოსმოსის სიმაღლიდან

ხელოვნება

157. ინგა ქარაია — გამოფენა ისტორიიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო გეკიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუბლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

სპირალი

რომანი

პროლოგი

ოქტომბრის თბილი და მშვიდი საღამო იდგა. მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო. გაყვითლებული ფოთლები დროდადრო ოდნავ ირხეოდნენ. მხოლოდ მათ თითქმის შეუმჩნეველ მოძრაობაზე თუ მიხვდებოდა კაცი, საიდანღაც ძალზე სუსტი ნიავი რომ ჰქროდა. ჰქროდა ხანგამოშვებით, საკმაოდ დიდი შუალედებით. თითქოს დედამიწა მშვიდად სუნთქავდა, ხოლო ნიავად გარდაქმნილი ამონასუნთქი გამვლელ-გამომვლელთ საამოდ ელამუნებოდა.

ნიავი იმდენად სუსტი იყო, ფოთლების მოძრაობაზე ვერავინ გაარკვევდა, საიდან უბერავდა. ფოთლები კი არ ირხეოდნენ, თრთოდნენ. ისე შეუმჩნევლად და წამიერად თრთოდნენ, თითქოს უზარმაზარ ჭადრებს რაღაც ამოუცნობი სიამოვნებისაგან ტანში აჟრჟოლებდა.

აკადემიკოსი დავით გიორგაძე დილიდანვე შეიპყრო უცნაურმა გრძნობამ, თვითონვე უკვირდა თავისი აღტკინება. დროდადრო ეჩვენებოდა, რომ რაღაც ამაღლებული გრძნობა ეუფლებოდა, დროდადრო კი სევდა შემოაწვებოდა, გული უმძიმდებოდა. საქმეს თავს ვეღარ აბამდა. ჩვეული სიდინჯე თითქოს გაჰქრობოდა. განკარგულებებსაც ნაჩქარევად იძლეოდა, საწერ მაგიდასთან ცმუკავდა. ტელეფონის ყურმილს ხელს დაავლებდა, მერეღა ახსენდებოდა, რომ მოფიქრებულიც არ ჰქონდა, ვისთვის და რატომ უნდა დაერეკა.

„რა ამბავია ჩემს თავს?“ უკვირდა მოხუც აკადემიკოსს და ცდილობდა გამოეცნო, სიამოვნებდა თუ აღიზიანებდა თავისი უცნაური ატაცებული განწყობილება. შემდეგ თითქოს მიხვდა, რაღაცის მოლოდინი დაეუფლა. ოღონდ ინტუიციით ვერ იგრძნო, გულმა და გონებამ ვერ გამოიცნო, საწყენი ელოდა თუ გასახარელი.

ასტროფიზიკის კვლევითი ინსტიტუტიდან, ჩვეულებისამებრ, მარტო გამოვიდა. არ უყვარდა, როცა ვინმე დაემგზავრებოდა ან გამოაცილებდა. მანქანა შესასვლელთანვე ელოდა. ორმოციოდე წლის მაღალი, თხელი, ულვაშებიანი შოფერი გაზეთს კითხულობდა.

დავით გიორგაძემ უკანა კარი გამოაღო. შოფერმა გაზეთი უმალვე დაკეცა, გვერდით სავარძელზე დადო და გასაღები გადაატრიალა.

აკადემიკოსი შეყოყმანდა, მანქანაში ჩაჯდომა გადაიფიქრა, რატომღაც ფეხით გასეირნება მოუნდა. ზეცას ახედა, ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა. ჩამავალი მზის სხივებით ავსებული ზეცა ლურჯად ლივლივებდა.

— ფეხით წავალ! — თქვა უცებ

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა და მანქანის კარი მიაჯახუნა.

გაკვირვებულმა შოფერმა ძრავა გამორთო, მანქანის კარი გამოაღო, ცალი ფეხი ფილაქანზე გადმოდგა, წამოიმართა და დავით გიორგაძეს მანქანის ზემოდან გახედა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს შეშფოთებული ეკითხებოდა, ხომ არაფერი მომხდარაო.

დეკემბერში ათი წელი უსრულდებოდა, რაც მასთან მუშაობდა. აკადემიკოსის ხასიათსა და ჩვეულებებს კარგად იცნობდა. ისიც მშვენივრად იცოდა, დავით გიორგაძე უზუსტეს მანქანასავით მოქმედებდა. მეცნიერის ყოველდღიური საქმიანობა თითქოს ერთხელ და სამუდამოდ იყო დაპროგრამებული.

ათი წლის მანძილზე აკადემიკოსს არასდროს მოსვლია აზრად, შინ ფეხით წასულიყო.

შოფრის გაოცებული მზერა პასუხის ღირსად არ ჩათვალა (იქნებ ვერც შეამჩნია) და წასვლა გადაწყვიტა. ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან შემობრუნდა, მანქანის კარი ისევ გამოაღო და წიგნებით სავსე, საკმაოდ შელანძღული პორტფელი სავარძელზე ფრთხილად დადო.

— შინ მიიტანე. ჩვენებს უთხარი, რომ მალე მოვალ. ბევრი-ბევრი, ერთი საათი მოვანდომო სახლამდე მისვლას. — კარი ისევ მიაჯახუნა და ნელი ნაბიჯით ქუჩას გაუყვა.

მძღოლმა ერთხანს გაოცებულმა უყურა დავით გიორგაძეს. მერე მანქანაში ჩაჯდა. გასაღების გადატრიალებას არ ჩქარობდა. ვინ იცის, იქნებ აკადემიკოსმა გადაწყვეტილება შეცვალოსო.

ბოლოს მანქანა მაინც დაძრა, დავით გიორგაძეს ერთ წუთში წამოეწია, უმალვე დაამუხრუჭა, ეუხერხულა, უფროსისათვის გადაესწრო, საჭე მკვეთრად შემოატრიალა, მანქანა უკან შემოაბრუნა და ინსტიტუტის დირექტორის სახლისკენ გაცილებით შორი გზით გაემართა.

აკადემიკოსი ფიქრმა გაიტაცა. ქუჩაში მოსიარულეთ ვერც კი ამჩნევდა. მისი ფიქრი და გონება ამ ... ცნიერულ მუშაობასა და გადასაჭრელ პრობლემებს დასტრიალებდა. მერე თითქოს ერთბაშად გამოერკვა, თავისი თავი დატუქსა, განა ახლა მეცნიერულ პრობლემებზე ფიქრის დროაო? განა ფეხით იმიტომ არ წამოვედი, შემოდგომის ეს ლამაზი საღამო რომ შემეგრძნო და თვალისთვის წყალი დამელევინებინაო?! თავი ისე ენერგიულად გაიქნია, თითქოს ფიქრები წყლის წვეთებივით დაიბერტყა და გაყვითლებულ ფოთლებს ახედა. სახეზე გაოცება დაეუფლა. ყვითელმა ფოთლებმა მიახვედრა, რომ წელიწადი ხელში შეუმჩნევლად შემოლეოდა.

უცებ დაღლილობა იგრძნო. მაღაზიის ვიტრინებისაკენ გადაინაცვლა და კედელს მიეყრდნო. დაღლილობას მთლად ასაკს ვერ დააბრალებდა. სამოცდათოთხმეტი წლის მეცნიერს ენერგია როდი აკლდა, მაგრამ ბოლო წლებში ფეხით სიარული თითქმის აღარ უწევდა.

იდგა და გამვლელ-გამომვლელთ აკვირდებოდა. ზოგნი გამალებული მიიჩქაროდნენ, ზოგნი ნელა მიაბიჯებდნენ. ახალგაზრდები უდარდელად, სიცილითა და ხმამაღალი ლაპარაკით მილაზღანდარობდნენ. გოგონებს ხელში ყვავილები ეჭირათ, ეტყობოდა, სტუდენტები იყვნენ. მზეზე გარუჯული, დაკუნთული ბიჭები ჯიშიანი ცხენებივით ჭიხვინებდნენ.

„თურმე როგორი მაღალი და ლამაზი თაობა მოდის, — გაოცდა დავით გიორგაძე ,— როგორი ჩაცმულები არიან, უდარდელები და ხალისით სავსენი“.

თავისი სტუდენტობა გაახსენდა. უნებურად შეეცადა წარმოედგინა გაცვეთილშარვლიანი და გახუნებულ, იდაყვებში გამომდნარპერანგიანი, მაღალი, ავადმყოფივით გამხდარი და ყვრიმალებგამოვარდნილი სტუდენტი დავით გიორგაძე.

მანქანების მუხრუჭის ხმა ყოველთვის აღიზიანებდა. თვითონვე გაოცდა,

ახლა რა სიამოვნებით მისჩერებოდა ფერად-ფერად, გაკრიალებულ მანქანებს. თითქოს ისინიც ცოცხალი არსებანი იყვნენ, ქუჩაში მოსიარულეთა ხალისიან განწყობილებას რომ აძლიერებდნენ, რიტმსა და ფერადოვნებას რომ მატებდნენ.

ადამიანებისთვის ჩვეულებრივი და მომაბეზრებელი ყოველდღიური სურათი რაღაც ჯადოსნური სამყაროსავით გადაიშალა მოხუცი აკადემიკოსის წინაშე. ქუჩაში ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ლითონის ორი ფერადი მდინარე მიემართებოდა. რკინის მდინარეების აქეთ-იქით კი ნაირფერებში გამოწყობილი ადამიანების მძლავრი ნაკადიც მიედინებოდა. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მდინარება ხელს სრულებითაც არ უშლიდა მოძრაობას. წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, შავი, მტრედისფერი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა ფერები ერთმანეთში ირეოდნენ, ლივლივებდნენ, ბზინავდნენ.

„რატომ აქამდე არ მომსვლია აზრად, ერთხელ მაინც ფეხით წავსულიყავი შინ?“ — სინანული შეეპარა დავით გიორგაძეს.

კვლევითი ინსტიტუტი, კაბინეტი, ლაბორატორია, სახლი — ასეთი იყო მისი ყოველდღიური მარშრუტი და იშვიათად თუ დაირღვეოდა იგი მივლინებაში, სიმპოზიუმებზე თუ აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე წასვლისას.

საფიქრალი და თავსატეხი იმდენი ჰქონდა, მანქანის ფანჯრიდანაც კი გადაეჩვია ქუჩაში ცქერას. მოიკალათებდა თუ არა უკანა სავარძელში, უმალვე ფიქრს მიეცემოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მანქანაში ჩაჯდომამდე ეთიშებოდა ფიქრებს. ავტომატურად მოძრაობდა, ინსტიტუტიდან ისე გამოვიდოდა და მანქანის კარს ისე გამოაღებდა, ლაბორატორიაში წამოჭრილი ფიქრი არ უწყდებოდა, ისევ საკვლევ პრობლემებს დასტრიალებდა მოხუცი მეცნიერის გონება. სხვა მოქმედებას მხოლოდ მექანიკურად აწესრიგებდა. შეეძლო დერეფანში ოკეანეს ცისთვის დაეკრა თავი. შემდეგ რომ გეკითხათ, ვის მიესალმეო, ალბათ, ვერც ერთს ვერ გაიხსენებდა.

კედელს მიყრდნობილმა საკმაოდ დაისვენა, მაგრამ წასვლას მაინც არ ჩქარობდა, კვლავ ქუჩის სილამაზით ტკბებოდა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს კვლევით ინსტიტუტში, მის პირქუშ ლაბორატორიებში სულ სხვა ხალხი მუშაობდა, ხოლო ისინი, ვისაც ახლა ქუჩაში ხედავდა, სულ სხვანი იყვნენ, რომლებიც დღენიადაგ მხოლოდ ქუჩაში სეირნობდნენ და მეტს არაფერს აკეთებდნენ. თითქოს მათთვის უცხო იყო დაწესებულების მკაცრი კედლები და ერთფეროვანი სამუშაოს მოწყენილობა.

უცებ აკადემიკოსის ყურადღება მოფარფატე, ყვითელმა ფოთოლმა მიიპყრო. შეუმჩნეველი ნიავიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტოტს მოწყვეტოდა. მეცნიერმა ყურადღებით მიადევნა თვალი ფოთოლს. იგი თითქოს მიცეკვავდა, ჰაეროვან პირუეტებს აკეთებდა, დროდადრო, წამიერად, თითქოს მაღლაც მიიწევდა, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ქვაფენილისაკენ ეშვებოდა.

როცა ყვითელი ფოთოლი ქვაფენილზე დავარდა და ვიღაც გამვლელის ფეხქვეშ უნებურად გაისრისა, დავით გიორგაძემ თავი სინანულით გაიქნია. თვითონაც, მუშაობით გადაღლილი სამოცდათოთხმეტი წლის მეცნიერიც ხომ ამ ფოთოლს ჰგავდა. ალბათ, ერთი სუსტი ნიავი მისთვისაც იქნებოდა საკმარისი, რომ სამუდამოდ დამშვიდობებოდა ქვეყნიერებას.

ღრმად ამოისუნთქა, უფრო სწორად, ამოიოხრა, თუმცა შეეცადა. ამოოხვრის გამომხატველი ბგერები არ აღმოხდენოდა და გზა ნელა განაგრძო.

ერთბაშად ჩამობნელდა. მზე ისე მოულოდნელად და უეცრად ჩაქრა, თითქოს ელექტროლილაკის გადატრიალებით გამორთესო. ირგვლივ ყველაფერი გაიცრიცა. ადამიანები იმ პოზაში გაქვავდნენ, მზის გამორთვის მომე-

ნტში რომ იყვნენ. მანქანები ადგილზე გაიყინენ, ფოთლები მკვდარ ხეებზე უსიცოცხლოდ გაქვავებულ თხელი შუშის ნატეხებს დაემსგავსნენ.

საიდანღაც მონადენი გაცრეცილი შუქი, ქუჩას რომ ოდნავ ანათებდა, სიკვდილის ფერში ხვევდა ყველაფერს.

აკადემიკოსს ცივმა ოფლმა დაასხა, ვერ გაიგო, რა მოხდა. ტროტუარებზე იდგა ასობით ადამიანის ქანდაკება. ერთი შეხედვით, ყველა ძალზე პლასტიკური იყო, გარკვეულ მოძრაობას გამოხატავდა, მაგრამ ახლოდან რომ დაკვირდებოდი, საშინელი გრძნობა გიპყრობდა, მათ პლასტიკაში სიცოცხლე კი არ გამოსჭვიოდა, როგორც ქვის ან ბრინჯაოს ქანდაკებაში, არამედ სიკვდილი. ისინი თითქოს მოძრაობის სიკვდილს, პლასტიკის გარდაცვალებას გამოხატავდნენ.

ერთთავად შიშის ოფლში გაწურული აკადემიკოსი გარდაცვლილ ქანდაკებებს შორის შეშლილივით დააბიჯებდა. ცდილობდა ისე ევლო, არავის მიჰკარებოდა. (გულისმომკვლელ სიჩუმეში მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა, გულის ძგერა და ქოშინი ესმოდა.

შიშმა თანდათან კიდევ უფრო დარია ხელი. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, უნდოდა, ერთი ცოცხალი არსება, ერთი მოძრავი ავტომობილი ან თუნდაც ნიავისაგან შერხეული ფოთოლი მაინც დაენახა, მაგრამ ამაოდ. თითქოს ეს გაქვავებული ადამიანები, რამდენიმე წუთის წინ სიცოცხლით რომ იყვნენ სავსენი, ერთბაშად გადაიქცნენ უსულო, მექანიკურ არსებებად, თითქოს ისინი მზის ენერგიით თუ ელექტროდენით მუშაობდნენ. რამდენიმე წუთის წინ კი, ვიღაცის ხელმა მზე რომ გამორთო, ყველაფერი ერთ ადგილზე გაქვავდა და გაიყინა.

მოხუცმა აკადემიკოსმა ფეხი ფილაქანს წამოჰკრა და წინ მდგომ ორმოციოდე წლის ქალს დაეჯახა.

— უკაცრავად! — წამოიძახა დაბნეულმა და შეშინებულმა დავითმა. ქალი ცივი იყო, ყინულივით ცივი. მისი უსიცოცხლო შუშის თვალები სავლაც უაზროდ იცქირებოდნენ.

დავითი რატომღაც უკან შემობრუნდა და გაიქცა, თუკი სირბილი შეიძლება დავარქვათ სამოცდათოთხმეტი წლის კაცის ძუნძულს.

თვითონაც გაუკვირდა, უკან რატომ გაიქცა, ალბათ, ადამიანში ჩაბუდებული თავის გადარჩენის ინსტინქტით ერთბაშად მოვარდნილ ძლიერ მტერს გაექცა.

სულ ორიოდე წუთში დაიღალა, შეჩერდა, მძიმედ სუნთქავდა. გული ისე უფართხალებდა, ნეკნებს ეხეთქებოდა. მიხვდა, გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ყველგან სიკვდილი იყო გამეფებული. ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა. მის გვერდით კაცი იდგა. ხელში პორტფელი ეჭირა. იგი თითქოს იმ დროს გამორთეს. მარჯვენა ფეხი რომ ჰაერში ჰქონდა აწეული. ცოტა უკან ბავშვიანი ქალი გაშეშებულიყო. გულზე მიხუტებულ ორიოდე წლის ბავშვს თითი სადღაც გაეშვირა. დედასაც თითის მიმართულებით ჰქონდა თვალები გაშტერებული. დავით გიორგაძეს ისევ გააჟრჟოლა შიშისა და შემაძრწუნებელი განცდისაგან.

აკადემიკოსზე ყველაზე უფრო გაქვავებული ადამიანების უაზრო გამოხედვა მოქმედებდა. სხივჩამქრალი, გაყინული თვალებიდან სიკვდილი იმზირებოდა. ირგვლივ ჩამოწოლილი დუმილი აუტანელი ხდებოდა. მიხვდა, ყურის ბარაბნები უჩვეულო სიჩუმეს ვერ უძლებდა, შინაგანი წნევისაგან თითქოს გარეთ გამოებერა და სადაცაა დასკდებოდა. შეშინებულმა ყურებზე ხელისგულები მიიჭირა.

უცებ ადამიანის ფეხის ხმა მოესმა. იმედმა ერთბაშად დაჯაბნა სასოწარკვეთილება.

„ეტყობა, კიდევ გადარჩენილა ვიღაც ცოცხალი“. — სიხარულმა ნელ-ნელა გაუთბო სხეული, შემობრუნდა და იქით გაიხედა, საიდანაც ნაბიჯების ხმა მოდიოდა.

კვლავ ვერავინ დაინახა, ქუჩა მხო-

ლოდ გაქვავებული ადამიანებით იყო სავსე.

ნაბიჯების ხმა კი თანდათან ძლიერდებოდა.

იქნებ არც კი იყო ნაბიჯის ხმა?

სულერთია, რაც უნდა ის ყოფილიყო, ოღონდ კი ამ გაქვავებულ, გარდაცვლილ ქალაქში მოძრავი რამ დაენახა.

არა, ნამდვილად ადამიანის ფეხის ხმა იყო. ვიღაც სწრაფად და ენერგიულად უახლოვდებოდა. აი, მათ შორის მანძილი ათი მეტრიღა თუ იქნებოდა, მაგრამ რატომ ვერ ხედავდა?

მათ შორის ხუთი მეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი, რომ ერთბაშად დაინახა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ალბათ, ოცდაერთი-ოცდასამი წლისა, მაღალი, ჩაფსკვნილი, მოხდენილი ჭაბუკი. გრძელი და სწორი წაბლისფერი თმა, დიდი, თაფლისფერი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი უხეში და ძლიერი ადამიანის იერს აძლევდა.

მოდიოდა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. თან მოხუც აკადემიკოსს თვალს არ აშორებდა. ისეთი მრისხანე გამოხედვა ჰქონდა, დავით გიორგაძე სიხარულის ნაცვლად შიშმა შეიპყრო. წელან თითქოს მან გამორთო მზე, მან გააქვავა პლანეტაზე მთელი სიცოცხლე და მოხუცს გაოცებული, თან განრისხებული მისჩერებოდა, შენ როგორღა გადამირჩიო. ფეხის ხმა მიწყდა. ჭაბუკი აკადემიკოსის წინ იდგა და დოინჯშემოყრილი მეცნიერს თვალებში ჩასჩერებოდა. იგი მთელი თავით მაღალი იყო აკადემიკოსზე. დავით გიორგაძე აცახცახებული აესკერეოდა ახალგაზრდა კაცის მრისხანე და მოქუფრულ სახეს. ორი წვრილი ლაზერის სხივი, ჭაბუკის თვალებიდან რომ გამოდიოდა, მეცნიერის ტვინის უჯრედებში უბოდიშოდ დაფათურობდა.

დავით გიორგაძეს მუხლებში ძალა ეცლებოდა, გრძნობდა, კიდევ ცოტაც და დაეცემოდა.

უცებ, თითქოს მზე ისევ ჩართესო, ქუჩა კვლავ აივსო ოქროსფერი სხივებით; ერთბაშად დაიძრნენ მანქანები, ერთბაშად ამოძრავდნენ ადამიანები, ისევ გააყრაოლა ხეებს, ისევ შეირხა ფოთლები, მანქანების ხმამ, ხმამაღლა ლაპარაკმა და ახალგაზრდების სიცილ-ხარხარმა სადღაც გადაკარგა ირგვლივ გამეფებული ცივი დუმილი.

ქუჩის ორომტრიალში მხოლოდ ორნი იდგნენ უძრავად: აკადემიკოსი დავით გიორგაძე და ოცდასამი წლის წარმოსადეგი უცნობი ჭაბუკი.

აკადემიკოსზე დამთრგუნავად მოქმედებდა ყმაწვილის სიმაღლე და დამცინავი, თავხედური გამოხედვა, უნებურად ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაოფლილი შუბლი მოიწმინდა და გაჭირვებით ამოილუღლუღა:

— რა გნებავთ, ყმაწვილო?

— მე რა მნებავს? — ზიზღიანი ხმით წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა, — პირიქით, ბაბუაჩემო, პირიქით! მე მაინტერესებს, თქვენ რა გნებავთ?!

— მეე? — დაიბნა მეცნიერი, — მე არაფერი!

— აბა, რატომ გამაჩერეთ? — გაოცდა ჭაბუკი.

— მე გაგაჩერეთ? — სულ დაიბნა დავით გიორგაძე.

— დიახ, თქვენ!

— ღმერთო, შემეწიე! ბოდიშს გიხდით... გთხოვთ, მაპატიოთ! — აკადემიკოსმა კიდევ ერთხელ შეხედა უცნობი ახალგაზრდის დამცინავად მოღიმარ სახეს და წასვლა დააპირა. ერთი ნაბიჯი გადადგა კიდეც, მაგრამ ისევ ჭაბუკისკენ შემობრუნდა.

— მართლა მე გაგაჩერეთ?

— წარმოიდგინეთ, რომ მართლაც თქვენ გამაჩერეთ!

— უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს!

აკადემიკოსი წავიდა.

ახალგაზრდა კაცმა მხრები აიჩეჩა, სანახევროდ შემობრუნდა, უცნობს ერთხანს თვალი გაადევნა, მერე გაოცებულმა თავი გაიქნია და გზა განაგრძო.

„როდის გავაჩერე ან რატომ გავაჩერე?“

„რატომ მომეჩვენა, რომ მზე გამორთეს და მთელი ქვეყანა ადგილზე გაქვავდა?“

„იქნებ ჰალუცინაციებმა დამრია ხელი ან იქნებ დროებით გავითიშე?“

„ხვალვე ექიმთან უნდა მივიდე, ალბათ, მათთვის უცხო არ იქნება ასეთი მოვლენები...“

„მოჩვენებებმა რომ შემაშინა და თავგზა ამიბნია, ის ჭაბუკი იქნებ იმიტომ გავაჩერე, იქნებ მინდოდა შველა მეთხოვა?“

დავით გიორგაძემ ვერც კი შენიშნა, ფიქრიდან ლაპარაკზე როდის გადავიდა, ასაკისათვის შეუფერებლად სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა და ფიქრებს ხმამაღლა ბუტბუტებდა. გამვლელთა ირონიულ ღიმილს ვერ ამჩნევდა, თუმცა გამვლელთა ღიმილს კი არა, თვით გამვლელებსა და ავტომობილებსაც ეღარ ხედავდა.

„ამდენი წელია ქუჩაში ნაბიჯი არ გადამიდგამს. ჰალუცინაციები, ალბათ, გადაღლამ და უჩვეულო გარემომ აღძრა ჩემში. თავბრუ დამეხვა და გავითიშე“, — დაასკვნა აკადემიკოსმა.

დაასკვნა და დაიჯერა.

დაიჯერა და დამშვიდდა კიდეც. თითქოს უმძიმესი ტვირთი მოეხსნა, უზარმაზარი შვება იგრძნო. დაღლილობა თითქოს სადღაც გაქრა, ქუჩაში მხნედ და ენერგიულად მიაბიჯებდა.

რა იცოდა მაშინ დავით გიორგაძემ, რომ ჰალუცინაციებმა კი არა, რაღაც უცნობმა შინაგანმა იმპულსმა მისცა სიგნალი მოხუცი მეცნიერის სულსა და სხეულს. გაივლიდა კიდევ რამდენიმე თვე და მისი სიცოცხლე სამუდამოდ დაუკავშირდებოდა ამ ახოვან, წაბლისფერთმიან, უხეშ ახალგაზრდას.

თავი პირველი

ზურაბ თორაძეს მძიმე ტყავის სავარძელი საწერი მაგიდიდან ცოტა უკან დაეწია და შიგ ღრმად მოკალათებულიყო. თვალები ჭერისკენ მიეპყრო. ხელში სიგარეტი ეჭირა. საფერფლე მასიური სავარძლის სახელურზე მოეთავსებინა. ეტყობოდა, ღრმა ფიქრებში იყო წასული. მერე თითქოს უეცრად გაახსენდა, სიგარეტს რომ ეწეოდა. მოქაჩა. სიგარეტი ჩამქრალი იყო. ბენზინის კვესი იქვე ედო, მაგიდაზე, მაგრამ მოწევა რატომღაც გადაიფიქრა და სიგარეტი საფერფლეზე დაადგო. შემდეგ საფერფლე მაგიდაზე დადგა, სავარძელიც მიაჩოჩა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

მძიმე, დერმატინგადაკრული კარი ფრთხილად გაიღო. მდივანი ქალი შემოვიდა. მთავარი ექიმი რომ ასე ღრმად ჩაფიქრებული დაინახა, შეჩერდა, აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ისევ უკან გაბრუნება გადაწყვიტა.

— გისმენ! — თქვა უცებ ზურაბმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

მდივანი მიხვდა, მთავარ ექიმს არ გამოპარვია მისი შემოსვლა. ქერა თმაზე ხელი გადაისვა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა.

— თქვენთან კორესპონდენტია მოსული.

— კორესპონდენტი?

— დიახ, ახალი ამბების სააგენტოდან გახლავთ.

— ახლა მე კორესპონდენტისათვის არ მცალია. და, საერთოდ, შენ ხომ მაინც იცი მშვენივრად, რომ არ მიყვარს კორესპონდენტებთან საუბარი.

— ყველაფერი ავუხსენი, მაგრამ ასე თქვა, ბატონმა ზურაბმა ჩემს უფროსს ინტერვიუზე თანხმობა განუცხადაო.

— საიდან არის? — იკითხა ფიცხლად მთავარმა ექიმმა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი ასწია და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— ახალი ამბების სააგენტოდან ვარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჰო, მართალია... გამახსენდა... უთხარი, შემოვიდეს, ისიც გააფრთხილე, რომ მხოლოდ ათი წუთი შემიძლია დავუთმო.

— ბატონი ბრძანდებით.

ის იყო, მდივანს კარი უნდა გაეხურა, რომ კვლავ მთავარი ექიმის ხმა შემოესმა.

— ქალია თუ კაცი?

— ახალგაზრდა ქალია.

— კარგი, კარგი, შემოვიდეს!

მდივანმა უკანა კარი ღია დატოვა და წინა კარი გააღო თუ არა, შემობრძანდითო, ღიმილით უთხრა კორესპონდენტს.

კორესპონდენტი ძალზე ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი. თმა მოდურად ჰქონდა შეკრეჭილი, მკლავებს, თითებს და მკერდს იაფფასიანი, მაგრამ დიდი გემოვნებით შერჩეული სამკაულები უმშვენებდა.

ზურაბ თორაძეს ერთბაშად მოეწონა ქალიშვილი. მოეწონა მისი გრძელი ხელები, მოკლედ შეკრეჭილი თმა და იერი. ქალიშვილს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ სპორტული მიხრა-მოხრა და ენერგიული გამოხედვა ძალზე თანამედროვე იერს აძლევდა. მოცისფრო შარვალი ეცვა. მოყვითალო, უხეშად ნაქსოვი სქელი ჯემპრი შარვალზე ზემოდან ჰქონდა გადაშვებული.

„ნეტავ როგორი ფეხები აქვს?“ — ეს იყო პირველი, რაც მთავარმა ექიმმა გაიფიქრა და მანამ წამოდგა, სანამ კორესპონდენტი მაგიდასთან მივიდოდა.

— გამარჯობათ! — თქვა ქალიშვილმა და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოთ. გთხოვთ, დაბრძანდეთ, — ზურაბი მაგიდას მოშორდა, დასაჯდომად გამზადებულ ქალიშვილს კუთხეში პატარა მაგიდასთან მიდგმული სავარძლებისაკენ მიანიშნა, თვითონ წინ გაუძღვა და სავარძელი შესთავაზა. როცა ქალიშვილი სავარძელში ჩაჯდა, თვითონ საწერი მაგიდისაკენ გაბრუნდა. სიგარეტის კოლოფი, კვესი და საფერფლე წამოიღო, პატარა მაგიდაზე დაალაგა და მოპირდაპირე სავარძელში მოკალათდა.

კორესპონდენტ ქალიშვილს უჩვეულო ეჩვენა იქაურობა. მთავარი ექიმის კაბინეტი არ ჰგავდა იმ კაბინეტებს, რომლებიც დღემდე ენახა. ბეტონის სქელ კედლებში ჩამჯდარი სწორკუთხედი, დიდი, მუქი მინები, ბეტონის კონსტრუქციული დირეები, ამ დირეებს შუა შემალული დღის სინათლეები, გრძელი, ერთი შეხედვით უპროპორციოდ გრძელი კაბინეტი, კედლებში შემალული წიგნებით სავსე თაროები, ტყავის რბილი ავეჯი და მასიური შავი ხის უბრალოდ გარანდული მაგიდები იქაურობას ძალზე მკაცრ იერს აძლევდა. ყოველივე ამას თითქოს არ ეხამებოდა ზურაბ თორაძის კეთილი გამოხედვა, მისი დიდრონი, მომწვანო და ჭკვიანი თვალები.

უცებ კორესპონდენტის ყურადღება უკანა კედელში ჩატანებულმა მოყავისფრო რკინის კარმა მიიპყრო. კარს გამოსაღები სახელური არ ჰქონდა, მის თავზე კი სქელი, ვიწრო მინის უკან წითელი და მწვანე ნათურები ციმციმებდა. ისინი ხან ქრებოდნენ, ხან ინთებოდნენ. ერთმანეთს რაღაც კანონზომიერებით ენაცვლებოდნენ. მთავარი ექიმი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მთელი კაბინეტი სპილოს ძვლისფრად იყო შეღებილი, ჭერი კი თეთრად ქათქათებდა. მაგრამ ეს ფერებიც ვერ არბილებდა იმ სიზვიადესა და სიცივეს, კაბინეტში რომ მეფობდა. აქ თითქოს ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული რაღაც საიდუმლოებით იყო აღსავსე და მიუჩვეველ კაცს უსიამოვნო გრძნობით, იქნებ შიშითაც ავსებდა.

— სიგარეტს ხომ არ მოსწევთ? — ზურაბ თორაძემ კორესპონდენტს სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

თანხმობის ნიშნად გოგონამ რაღაც გრიმასი გააკეთა და გრძელი თითები სიგარეტის კოლოფისაკენ ნაზად წაიღო.

მთავარმა ექიმმა კვესი შეაშველა და საფერფლე ახლოს მიუწია.

კორესპონდენტმა ღრმად მოქაჩა, თან

სპორტული, მოცისფრო ტყავის ხელჩანთიდან ბლოკნოტი და კალმისტარი ამოიღო.

ზურაბ თორაძეს წელანდელი ენთუზიაზმი ჩაუქრა. ისე სტანდარტული იყო ქალიშვილის ყოველი მოძრაობა, ისეთი ყალბი მოეჩვენა მისი მანერები, რომ მიხვდა, კორესპონდენტის გარეგნული იერი და მისი სულიერი სამყარო უღმერთოდ შორიშორს იდგნენ ერთმანეთისაგან. საერთოდ ენაწყლიანი და პათეტიკურად მოსაუბრე მთავარი ექიმი ერთბაშად შეიპყრო სევდამ.

— რა გაინტერესებთ? მე ძალზე ცოტა დრო მაქვს.

კორესპონდენტს სახეზე წყენა გამოესახა. სიგარეტი საფერფლეზე დინჯად დადო და კალმისტარი მოიმარჯვა.

— დავიწყებ პირდაპირ. რამდენადაც ცნობილია, თქვენს ლაბორატორიებში წარმატებით მიდის თავის ტვინის გადანერგვის ოპერაციები ცხოველებს შორის.

— დიახ.

— გაქვთ რეალური შედეგები?

— აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, რამდენადაც ცნობილია, თქვენს ლაბორატორიებში წარმატებით მიდის თავის ტვინის გადანერგვის ოპერაციებიო. ესე იგი, გვქონია რეალური შედეგებიც,

— ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ ტვინის გადანერგვის შემდეგ?

— პირველი წარმატებული გადანერგვა სამი წლის წინ მოვახდინეთ. ის ძაღლი დღესაც ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს.

უცებ რკინის კარის თავზე ყვითელი სინათლე აინთო და ზარის უცნაური წკრიალიც გაისმა. მთავარი ექიმი წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა და დისტანციური მართვის ღილაკს თითი დააჭირა. მძიმე, ყავისფერი რკინის კარი ნელ-ნელა მაღლა წავიდა და ბეტონის კედელში გაუჩინარდა. კაბინეტში ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა. გამხდარ სახეზე გამოკვეთილ ცხვირს ზემოთ ძველებური, წვრილი, მოოქროვილჩარჩოიანი სათვალე ელექტრონის შუქს უცნაურად ირეკლავდა. ასეთ სათვალეს მხოლოდ კინოფილმებიდან ახსოვდა ახალგაზრდა კორესპონდენტს. ექიმი დაღლილი ნაბიჯებით მიუახლოვდა ზურაბ თორაძეს და გამჭღავნებული ფირი გაუწოდა. მთავარმა ექიმმა ფირი რაღაც ხელსაწყოში ჩადო და ღილაკს თითი დააჭირა. ფირი განათდა. კორესპონდენტი ვერ მიხვდა, შუქი საიდან სცემდა. იგი ხან მთავარი ექიმის დაძაბულ სახეს აკვირდებოდა, დროდადრო კმაყოფილების იერი რომ გადაჰკრავდა, ხან კი ახალგაზრდა, სათვალიან ექიმს შესცქეროდა.

ზურაბ თორაძემ ღილაკს თითი დააჭირა, ფირი ხელსაწყოდან ფრთხილად გამოიღო, კვლავ ახალგაზრდა ექიმს დაუბრუნა, კმაყოფილების ნიშნად თავი დაუქნია და მხარზე ხელი მოუტყაპუნა.

სათვალიანი ექიმი გაბრუნდა და მალე კარა უკან გაუჩინარდა. ზურაბ თორაძემ დისტანციური მართვის ღილაკს ისევ დააჭირა თითი და მძიმე რკინის კარი ნელ-ნელა დაბლა დაეშვა.

ყურადღებას მიჩვეული ქერა ქალიშვილი განაწყენდა. მიხვდა, სათვალიან ექიმს იგი არც კი შეუმჩნევია. ან თუ შეამჩნია, არაფრად ჩაუგდია.

ზურაბ თორაძე კვლავ თავის საკარძელს დაუბრუნდა და კორესპონდენტს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, ბარემ მკითხე, რა გაინტერესებს, ხომ ხედავ, არ მცალიაო.

— ქალაქში ხმა დადის, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ ადამიანებსაც გადაუნერგოთ ტვინი. მართალია?

— იქნებ მართალიც იყოს! — გაიცინა მთავარმა ექიმა.

— გადაუნერგეთ ტვინი ვინმეს? — ცნობისმოყვარეობა ვერ დაიოკა ქალიშვილმა.

— არა, ტვინის გადანერგვა ასე იოლი არ არის. ჩვენ უკვე შევაღწიეთ ტრავმის შედეგად დაზიანებული ტვინის მონაკვეთების შეცვლას.

— ვერ დაგვისახელებთ კონკრეტულ მაგალითებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ შეუძლებელია. ტვინის ნაწილების ტრანსპლანტაციით განკურნებულ ავადმყოფებს არ სურთ გაამჟღავნონ თავიანთი ვინაობა. მე მხოლოდ შემიძლია აგიხსნათ ოპერაციის იდეა და მექანიზმი.

— გისმენთ, — ქალიშვილმა კალმისტარი მოიმარჯვა.

— ადამიანის სხვადასხვა ორგანოების გადანერგვის დარგში მედიცინა აშკარად ძალზე შორს წავიდა, და მაინც, ამ მეთოდის თავის ტვინის ქსოვილზე გავრცელების შესაძლებლობა ბევრისთვის ფანტაზიის სფეროში რჩებოდა. მაგრამ ნეირობიოლოგიაში მოპოვებულმა ხუთი წლის წინანდელმა მეღწევებმა შეგვაძლებინა ტვინის ქსოვილის გადანერგვა. ეს განსაკუთრებულ მეცნიერულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ნერვული ქსოვილის რეგენერაციის უნარი გაცილებით მცირეა.

ნერვული ქსოვილის „თვითგანკურნების" შეზღუდული უნარი, უწინარეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ძუძუმწოვარათა შორის ნერვული უჯრედების — ნეირონების დაყოფა ჩანასახის სტადიაში წყდება. ეს თავისთავად გულისხმობს დაზიანებული ნერვული ქსოვილის თვითგანკურნების შესაძლებლობათა შეზღუდვას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს ცენტრალური ნერვული სისტემა დაზიანებისას აბსოლუტურად უმწეო იყოს. აღმოჩნდა, რომ დაზიანებულთა მეზობლად განლაგებული ჯანსაღი ნერვული ბოჭკოები ზრდას იწყებენ და დაზიანებულთა ადგილს იკავებენ.

მთავარმა ექიმმა სიგარეტი ღრმად მოქაჩა და მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ გააგრძელა:

— დღემდე გაურკვეველია, როგორ გებულობენ ჯანმრთელი ნერვული ბოჭკოები, რომ საჭიროა შეენაცვლონ დაზიანებულთ და როგორ აგნებენ შესაბამის „განთავისუფლებულ" ადგილს. ამ კითხვებზე პასუხს ეძიებენ ნეირობიოლოგები, რომლებიც იკვლევენ ტვინის განვითარების მექანიზმს, ანუ როგორ წარმოიშობა და ორგანიზდება ცალკეულ ნეირონებსა და ნერვული სისტემის ცალკეულ მონაკვეთებს შორის კავშირი. ამ დარგში გამოკვლევების ჩატარებისას ქსოვილის გადანერგვის მეთოდს ვიყენებთ. ვფიქრობთ, ტვინის ქსოვილის სამკურნალო მიზნით გადანერგვა ახლო მომავლისათვის ჩვეულებრივი ამბავი იქნება.

მთავარი ექიმი გაჩუმდა, რაღაც ფიქრმა გაიტაცა.

კორესპონდენტმა უკანასკნელი სიტყვა ჩაიწერა და ზურაბ თორაძეს შეხედა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

ქალიშვილი მიხვდა, მთავარი ექიმი რომ ღრმა ფიქრში იყო წასული და ხმის ამოღება ვეღარ გაბედა. უცებ ზურაბ თორაძემ თავი გაიქნია, თითქოს ფიქრი მოიშორაო და კვლავ ქალიშვილს შეხედა.

— ყველაფერი გასაგები იყო, რაც მოგახსენეთ?

— თითქმის ყველაფერი! — გაიღიმა ქალიშვილმა. — ოღონდ ერთ რამეზე კიდევ უნდა მიპასუხოთ.

— რაკი ერთ რამეზე, ესე იგი, უკანასკნელზე, არა? გისმენთ.

ზურაბ თორაძეს სახე უცებ მოეღუშა. აშკარად აღიზიანებდა ქალიშვილის გრძელ თითებს შორის გარჭობილი სიგარეტი და ერთმანეთზე შემოდებული ფეხები.

მთავარი ექიმის კეთილი სახისათვის იმდენად არაბუნებრივი იყო მკაცრი და პირქუში გამოხედვა, თითქოს სახეზე სხვისგან ნათხოვარი ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული.

— დაახლოებით რამდენი წელია საჭირო, რომ ერთი ადამიანის ტვინი მეორეს გადაუნერგონ?

ზურაბმა დაკვირვებით შეხედა კორესპონდენტს. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, საერთოდ ენაწყლიან მთავარ ექიმს ქალიშვილი აღარ აინტერესებდა და ყოყმანობდა, ვრცლად გაეცა პასუხი თუ რაიმე სტანდარტული ფრაზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეშორებინა სტანდარტული სახის, ჩაცმულობისა და ნიჭის კორესპონდენტი.

— ასეთ საკითხებზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ შეიძლება.

— რაიმე სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა?

— არავითარი.

— აბა, რა გვიშლის ხელს?

— ბევრი რამ. მათ შორის მხოლოდ ორ უმთავრეს ფაქტორს გამოვყოფ. პირველი: ტვინის გადანერგვა ურთულესი საქმეა. და მეორე, კიდევ უფრო რთული და ძნელი გადასაწყვეტია პრობლემა: გვაქვს თუ არა უფლება, ერთი ადამიანის ტვინი მეორეს გადავუნერგოთ?

— რატომ? — კორესპონდენტმა ლამაზი იაპონური კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა.

ზურაბ თორაძემ თვალებში შეხედა ქალიშვილს. კვლავ უინტელექტო ეჩვენა მისი გამოხედვა—ზედაპირული და თანაც პრეტენზიული.

„ღირს კი ამ გოგონასთან გულწრფელი საუბარი?“ — ლაპარაკის სურვილი საბოლოოდ დაეკარგა ენაწყლიან და პათეტიკურად მოსაუბრე მეცნიერს.

— თუკი გულის და თირკმლის გადანერგვა შეიძლება? — გააგრძელა წეღანდელი შეკითხვა კორესპონდენტმა.

— გულისა და თირკმლის გადანერგვის უფლებას გვაძლევს თუ არა ღმერთი, თუნდაც ბუნება, ჯერჯერობით ესეც არ იცის კაცობრიობამ. ტვინი კი თირკმელი არ არის. ადამიანის ხელოვნური გული და თირკმელი კარგა ხანია შექმნეს მეცნიერებამ. ხელოვნური ტვინის შექმნა კი შეუძლებელია. გული დეტალია, უფრო სწორად, სხეულის მოტორი, გნებავთ, ტუმბო. გული ყველა ერთნაირია, განსხვავება შეიძლება მხოლოდ ჯანმრთელობის თვალსაზრისით იყოს, ტვინი კი თვით ადამიანია, მისი ხასიათია, ინტელექტია, ნიჭია და, ვინ იცის, იქნებ სულიცაა...

— ღმერთი გწამთ?

ზურაბ თორაძე შეკრთა, უფრო სწორად, გამოარკვია და გააოცა ქალიშვილის შეკითხვამ.

— ამ შეკითხვაზე პასუხიც აინტერესებთ გაზეთის მკითხველებს? — ირონიული ღიმილით შეხედა კორესპონდენტს.

— არა, ეს შეკითხვა მკითხველისათვის არ დამისვამს, მე თვითონ მაინტერესებს.

— მე მწამს ადამიანის აზროვნება. ყველა სხვა სასწაულთან ერთად ადამიანის აზროვნებამ შექმნა თვით ღმერთი.

უცებ მთავარი ექიმის კაბინეტში გამეფებული სიჩუმე ზუზუნისმაგვარმა ხმამ დაარღვია.

კორესპონდენტმა უკანა კარს შეხედა, მაგრამ უმალვე მიხვდა, ხმას მთავარი ექიმის საწერ მაგიდაზე დადგმული სამართავი პულტი გამოსცემდა.

ზურაბ თორაძე წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და სამართავი პულტის ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა.

კაბინეტში სინათლე ჩაქრა. ორმაგი ფანჯრებიდან შემომავალი მუქი მწვანე შუქი ოდნავ ანათებდა იქაურობას.

„ნუთუ მეორე სართულზე ვართ?“ — უსიამოდ გააჟრჟოლა კორესპონდენტს. მიხვდა, გაჩახჩახებული ფანჯრებიდან წეღან მზე კი არ ანათებდა, დღის სინათლე ყოფილა ორმაგ ჩარჩოებში მიმალული.

გაისმა შრიალის ხმა. კაბინეტის მარჯვენა გვერდითი კედელი თითქოს შუაზე გაიყო, ერთმანეთს დაშორდა, ხოლო მის უკან ცისფერი შუქი აციმციმდა. სინამდვილეში, კედლისფრად შეღებილი ხის ორი დიდი კარი დაშორდა ერთმანეთს, ცისფერმა შუქმა კი ერთ წამში მიიღო მოციმციმე ტელეეკრანების სახე. თორმეტი ეკრანი გადათვალა კორესპონდენტმა: ოთხ-ოთხი ცალი სამ რიგად. ყოველ მათგანზე რაღაც ელექტრული დიაგრამები ისახებოდნენ.

ზურაბ თორაძე დაძაბული მისჩერებოდა თითოეულ მათგანს, ეკრანიდან წამოსული ცისფერი შუქი უფრო რელი-

ეფურსა და საიდუმლოებით აღსავსეს აჩენდა მთავარი ექიმის სახეს.

კორესპონდენტი შიშმა აიტანა. ჯერ წარმოიდგინა, რომ მიწაში უსასრულოდ ღრმად ჩამჯდარ, ჩაბნელებულ, მძიმე ბუნკერში იმყოფებოდა. მერე მიხვდა, მთავარი ექიმის კაბინეტი სრულებითაც არ ჰგავდა ბუნკერს. ახლა ქალიშვილს თავი ოკეანის სიღრმეში ჩაშვებულ წყალქვეშა გემზე ეგონა.

უცებ გვერდით კიდევ ერთი ეკრანი აინთო. იგი გაცილებით დიდი იყო დანარჩენ ეკრანებთან შედარებით. ეკრანზე დიაგრამების ნაცვლად ის სათვალიანი ჭაბუკი ექიმი გამოისახა, წეღან რომ შემოვიდა ზურაბ თორაძესთან.

— ფრთხილად, წნევამ დაიწია! — წარმოთქვა უცებ მთავარმა ექიმმა.

— ვიცი, ბევრი სისხლი დაკარგა. — უპასუხა ეკრანიდან სათვალიანმა ჭაბუკმა.

— დიაგრამა სტაბილური ხდება, ვფიქრობ, საშიში არაფერია. სისხლის გადასხმა მაინც საჭიროა.

— ყველაფერი მზადა გვაქვს.

მთავარი ექიმი ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძლეოდა განკარგულებებს.

კორესპონდენტმა ეკრანზე ჭაბუკ ექიმთან ერთად ორი ქალიც გაარჩია და ურთულეს აპარატურას შორის ჩაჭედილ რკინის საწოლზე ავადმყოფის სილუეტიც დალანდა.

ზურაბ თორაძე მოკლე განკარგულებებს იძლეოდა. კორესპონდენტისათვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც კი ცდილა გარკვეულიყო, ღრმად ჩასწვდომოდა მთავარი ექიმის განკარგულებებს. მის გონებას ეკრანებზე მოციმციმე დიაგრამები და ჭაბუკი სათვალიანი ექიმის მოძრაობა უფრო იტაცებდა. ახალგაზრდა ექიმის მოქმედება და ეკრანებზე დიაგრამების ცვალებადობა თითქოს ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. მთლიანად კი ჩაბნელებული, ბეტონის დირეებიანი პირქუში კაბინეტი, მთავარი ექიმის დაძაბული, რელიეფური სახე და მოციმციმე ეკრანები საიდუმლოებით აღაავსე და რაღაცის მოლოდინით მუხტულ განწყობილებას ქმნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ყველა ეკრანი ერთბაშად გამოირთო და კაბინეტი კვლავ დღის სინათლის შუქმა ააჩახჩახა. ორი კარი ნელნელა დაუახლოვდა ერთმანეთს, ტელეეკრანები მათ უკან გაუჩინარდა და კედელიც გამთლიანდა. კორესპონდენტი ამაოდ ეძებდა კედლისაგან კარების გამომყოფ უწვრილეს ხაზებს, ყველაფერი ისეთი სიზუსტით იყო გაკეთებული.

ზურაბ თორაძე კვლავ პატარა მაგიდასთან მივიდა, ოღონდ სავარძელში აღარ ჩამჯდარა, სიგარეტის კოლოფს დასწვდა და ქალიშვილს გაუწოდა.

— გმადლობთ, აღარ მინდა! — მიუგო ქალიშვილმა.

მთავარმა ექიმმა თვითონ ამოიღო სიგარეტი, ცეცხლი მოუკიდა და ხარბად მოქაჩა.

— კიდევ რა გაინტერესებთ?

— არაფერი! —კორესპონდენტმა კალმისტარი და წიგნაკი ხელჩანთაში ჩააგდო, — უბრალოდ, მწყინს, რომ ინტერვიუ არ გამოგვივიდა.

— რატომ?

— რაც მთავარია და სენსაციური, მისი გამოქვეყნების უფლებას არ იძლევით.

— ეს ჩემი ჭირვეულობის ბრალი არაა. წეღან აგიხსენით, რომ ამ თემაზე საუბარი ბევრ მორალურ ფაქტორთან არის დაკავშირებული.

—გასაგებია! — გაიღიმა ქალიშვილმა და ფეხზე წამოდგა.

—ვწუხვარ, რომ იმედები გაგიმტყუნეთ!

კორესპონდენტი მიხვდა, ზურაბ თორაძემ ეს ფრაზა მექანიკურად, ზრდილობისათვის წარმოსთქვა. არც შემცდარა. მან კორესპონდენტთან საუბარი ფსიქოლოგიურად უკვე დაამთავრა და იმავე წუთში სხვა საქმეზე გადაერთო. აკადემიკოსი დავით გიორგაძე გაახსენდა, ინფარქტიანი რომ იწვა საავადმყოფოს საგანგებო პალატაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ?

ზურაბ თორაძე ქალიშვილის ხმამ უცებ გამოერთო ფიქრიდან.

— ბრძანეთ!

— როგორ არის აკადემიკოსი დავით გიორგაძე?

— დავით გიორგაძე? — შეკრთა მთავარი ექიმი.

კორესპონდენტისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ზურაბ თორაძის სახეზე გამოხატული მძაფრი რეაქცია.

— დიახ, დავით გიორგაძე, ხომ არაფერია სახიფათო?

— როგორ გითხრათ, — დაიოკა მღელვარება მთავარმა ექიმმა. ხმა კვლავ მშვიდი და მტკიცე გაუხდა. — რთული სიტუაციაა. ინფარქტი ამ ათი დღის წინ დაემართა, აბა, ჯერ რა შეგვიძლია ვთქვათ. ყველაფერი ჩვენზეც არაა დამოკიდებული. თუ ინფარქტს ვძლიეთ, მოხუცი აკადემიკოსის სხეულმა არ უნდა გვიმტყუნოს...

— ესე იგი, იმედი არის.

— რასაკვირველია. უიმედობა ღმერთმა ნუ ქნას. ბატონი დავითი თქვენი ნათესავია?

— არა, მე მას არც კი ვიცნობდი. ალბათ, გახსოვთ, ამ სამი თვის წინ თბილისში ასტროფიზიკოსების საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. ჩვენი სააგენტოსათვის აკადემიკოსს ინტერვიუ მე ჩამოვართვი. ძალიან მომეწონა მოხუცი მეცნიერი, იშვიათად მინახავს ასეთი ყურადღებიანი, გონებამახვილი და განსწავლული კაცი. გავიგე, რომ ამ ათი დღის ინფარქტი დამართნია. ძალიან მეწყინა. დავით გიორგაძე ძალზე დიდ პრობლემას ყოფილა შეჭიდებული. როგორც თქვენ, არც მან ისურვა ნაადრევი საუბარი თავისი გამოკვლევების ირგვლივ. ოღონდ დამპირდა, რომ ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე მე მომცემდა პირველ ინტერვიუს. ჩემი ტელეფონის ნომერიც კი ჩაიწერა. ძალზე დამწყდა გული...

— დავით გიორგაძეზე თუ ინტერვიუზე, რომელიც შეიძლება ბევრ ადამიანს გეს? — დამცინავად გაიღიმა ზურაბ თორაძემ.

— გულწრფელად გეტყვით, ორთავეზე! — გამომწვევად მიუგო მთავარი ექიმის დამცინავი ტონით განაწყენებულმა კორესპონდენტმა. — კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალიშვილი შებრუნდა და გასასვლელი კარისკენ გაემართა. მთავარი ექიმი მიხვდა, კორესპონდენტი გაანაწყენა, მაგრამ ეს ამბავი გულთან დიდად არ მიუტანია. მისი გონება სულ სხვა ამბავმა ააფორიაქა. როცა ქალიშვილი გაუჩინარდა, მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

„ღმერთო ჩემო, დავით გიორგაძე! რა იყო ეს? ტელეპატია? მე ხომ ზუსტად იმ წუთში თავში აკადემიკოსის სახელმა და გვარმა გამიელვა, სანამ კორესპონდენტი შემეკითხებოდა, დავით გიორგაძე როგორ არისო? იქნებ, უბრალოდ, დამთხვევა იყო და მეტი არაფერი?.. რატომ მაინცდამაინც დღეს?.. რატომ მაინცდამაინც მაშინ, როცა მასზე ვფიქრობდი?“

ფეხზე წამოდგა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დააგდო და კვლავ კოლოფს დასწვდა.

„აკადემიკოსი დავით გიორგაძე!.. ვითომ უბრალო დამთხვევა იყო? რატომ თავშივე არ მკითხა ან სადღაც, საუბრის შუაში? რაღა მაინცდამაინც იმ წუთში გაახსენდა, მე რომ გონებაში გავივლე აკადემიკოსის სახელი და გვარი? იქნებ რაიმე იმპულსი გადავეცი ან, პირიქით, იქნებ მან გადმომცა იმპულსი, წინასწარ მეგრძნო, წინასწარ მივმხვდარიყავი, ვისი ჯანმრთელობის ამბავიც აინტერესებდა?.. დამთხვევაა... არა, ეს არ არის მხოლოდ დამთხვევა...“

ზურაბ თორაძემ ნელ-ნელა უმატა ნაბიჯს და ბოლოს სირბილით მოჰყვა ბოლთის ცემას.

სახე ოფლით დაენამა. გულიც გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით უცემდა. დაღლილობა იგრძნო, მაშინღა მიხვდა, კაბინეტში რომ გაშმაგებით დააბიჯებდა. შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და სავარძელს მიაშურა.

უკან, რკინის კარის თავზე კვლავ აინთო ყვითელი სინათლე და ისევ გაისმა ზარის უცნაური წკრიალი.

მთავარ ექიმს თითქოს არც გაუგონია ზარის ხმა.

სავარძლის საზურგეს მიაწვა, თვალები დახუჭა და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა.

თავი მეორე

ჩაბნელებულ თეთრ პალატას მხოლოდ სამედიცინო აპარატურის წითელი და მწვანე შუქი ანათებდა. ამ ხელსაწყოთა შორის, ოთახის შუაგულში საწოლი იდგა. საწოლი თავისთავად რთულ მექანიზმს წარმოადგენდა, რომლის წყალობითაც, საჭიროებისამებრ, შეიძლებოდა მისი რეგულირება სასურველი სიმაღლისა და სასურველი დახრილობის მისაღწევად. საწოლის ირგვლივ საკმაო ადგილი იყო, რომ ექიმებს სრულიად დაუბრკოლებლად, თავისუფლად ემოქმედათ. საწოლის თავს უკან კედლისაკენ სანახევროდ შებრუნებული ტელეეკრანი ციმციმებდა, მასზე გულის მუშაობის რიტმის გამომსახველი ხაზები გარკვეული კანონზომიერებით ერთმანეთში იხლართებოდა. შემდეგ ეს გადახლართული ხაზები, რაღაც სიმეტრიულ ფიგურებსაც რომ წაგავდნენ, ეკრანის ერთი ნაპირიდან მეორისკენ გარბოდნენ და ეკრანის იქით, შავ სივრცეში ინთქმებოდნენ.

საწოლში წვერმოშვებული მოხუცი კაცი იწვა. ავადმყოფობისაგან დაუძლურებული ერთი შეხედვით ოთხმოც წელს გადაცილებულს ჰგავდა. სინამდვილეში კი სამოცდათოთხმეტისა იყო. სათვალე ეკეთა, სიბნელეში თვალები ჭერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ისე გაუნძრევლად იწვა, კაცი ვერ მიხვდებოდა, თვალღიას ეძინა თუ ღრმა ფიქრებში იყო წასული.

ეს დაუძლურებული მოხუცი გახლდათ აკადემიკოსი დავით გიორგაძე, რომელიც უკვე მესამე თვეა, სიკვდილს ებრძოდა. მოულოდნელმა ელდამ, რაც მისი ერთადერთი შვილის უბედურებასთან იყო დაკავშირებული, გულის ორთავე მხარე გაუხლიჩა.

თავდაპირველად აღარავის ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი, მაგრამ ექიმებმა მაინც სძლიეს ავადმყოფობას. ახლა ყველაფერი მოხუცის ორგანიზმზე იყო დამოკიდებული. შესძლებდა კი მოხუცი მეცნიერის თითქმის სამი თვის წოლისაგან და მკურნალობის უმძიმესი რეჟიმისაგან დაუძლურებული და გამოფიტული სხეული გამოჯანსაღებას?

დავით გიორგაძეს სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა, ცივი და მკაცრი, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში თბილი და ყურადღებიანი კაცი იყო, თმასა და წვერში, მიუხედავად ასაკისა, თეთრი არ ერია, თუ არ ჩავთვლიდით ოდნავ შევერცხლილ საფეთქლებს. მის შემხედვარეს შეიძლება ისიც კი გეფიქრა, მოხუცი აკადემიკოსი თმას ხომ არ იღებავსო. შავი თმა და წვერი სიმკაცრესთან ერთად ბრძენი კაცის გამოხედვასაც აძლევდა აკადემიკოსის სახეს. ამდენი ხნის მწოლიარეს სისუსტე ძალზე მორეოდა და თვალებიც, დიდი, ჭკვიანი, შავი თვალებიც ჩავარდნოდა. იმდენად ჩავარდნოდა, რომ სიგამხდრისაგან ჩაცვენილ უპეებში თვალები ისე ეწყო, თითქოს არაფერზე აღარ იყო დამაგრებული. უნებურად კაცს შიში იპყრობდა, მოხუცი არ გადაბრუნებულიყო და თვალები ბურთულებივით არ გაგორებულიყვნენ ლოგინში ან იატაკზე.

საკმარისი იყო, ვინმე გამოლაპარაკებოდა, დავით გიორგაძის სახე უმალვე ივსებოდა ენერგიითა და ირონიით, მაშინ მნახველი ან ექიმი ვეღარც კი აღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვამდა მოხუცის ჩალამებულ თვალებსა და სისუსტისაგან ამოჩრილ ყვრიმალებს. მაინც რა აძლევდა აკადემიკოსის სახეს ენერგიას? სხარტი, ღონიერი და ელვარე ფრაზა, მისი ახალგაზრდული ტვინის გამონაკვესი, და სხივი, რომელიც ლაპარაკის დროს თვალებში ჩაუდგებოდა ხოლმე.

უცებ სადღაც სიღრმეში კარმა საიდუმლოდ გაიჟღარუნა და ნელ-ნელა გაიღო. პალატის იატაკზე, კარის სიგანეზე ელექტროშუქი ფიანდაზად გაეფინა.

პალატაში მთავარი ექიმი შემოვიდა. კარი ნელ-ნელა დაიხურა და ფიანდაზიც უხილავმა ხელმა თითქოს ნელ-ნელა აკეცა.

მძიმე, ლითონის მოყავისფრო კარის დახურვისთანავე საწოლის თავთან, მარჯვენა მხარეს პატარა ნათურა აინთო. შუქი ავადმყოფს უკანიდან სცემდა და ნათურის ელვარება არ აწუხებდა. ნათურა მხოლოდ აკადემიკოსის სახეს ანათებდა. ახლა იგი აკლდამაში დასვენებულ მიცვალებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე საავადმყოფოს პალატაში მწოლიარე ავადმყოფს.

დავით გიორგაძე ნათურის შუქზე მიხვდა, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. ისიც იცოდა, ეს „ვიღაც" რომ მთავარი ექიმი იყო.

ზურაბ თორაძე ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ავადმყოფს.

ჭერისკენ თვალაპყრობილი დავით გიორგაძე კვლავ უძრავად იწვა.

პატარა ნათურაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ცივი აპარატურით ამოჭედილ პირქუშ პალატას ერთბაშად შეეძინა სიმყუდროვე.

ზურაბ თორაძე ფრთხილად მივიდა საწოლთან და იქვე მდგომ სკამზე კიდევ უფრო ფრთხილად ჩამოჯდა.

ავადმყოფს სახე არ შერხევია, ისევ ჭერს შესჩერებოდა. სათვალის მინებზე ელექტრონის შუქი ირეკლებოდა და თვალები არ მოუჩანდა.

მთავარი ექიმი ცდილობდა, სიჩუმე არ დაერღვია, თუმცა კარგად იცოდა, აკადემიკოსს არ ეძინა. ჯერ კიდევ აქ შემოსვლამდე აპარატურამ დიაგრამების საერთაშორისო ენაზე დაწვრილებით მოუთხრო არამარტო ავადმყოფის ძილ-ღვიძილის ამბავი, არამედ მისი განწყობის, აღგზნებისა თუ დეპრესიის ხარისხიც.

ზურაბ თორაძე მიხვდა, თუ თვითონ არ დაილაპარაკებდა, აკადემიკოსი ხმის ამომღები არ იყო.

— დილა მშვიდობისა, ბატონო დავით!

— უკვე დილაა? — მცირეოდენი პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა დავით გიორგაძემ.

— დიახ, ცხრა საათია!

— და თქვენ ცხრა საათს დილას ეძახით? — ოდნავ შესამჩნევად ჩაიცინა ავადმყოფმა. უფრო სწორად, სცადა, მაგრამ ვერ ჩაიცინა. მხოლოდ გამოთქმული ფრაზის ინტონაციამ მიახვედრა მთავარი ექიმი, რომ აკადემიკოსს ირონიული ჩაცინების სურვილი დაებადა.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი დილა ხუთი საათიდან იწყებოდა.

— თქვენ აქ მარტო მოსასალმებლად არ შემოხვიდოდით, — აკადემიკოსის ინტონაციას სუსხი შეეპარა, — მე, ბოლოს და ბოლოს, კატეგორიულად მოვითხოვ, გულახდილად დამიხატოთ ჩემი დაუძლურებული სხეულის შესაძლებლობანი. სისხლხორცეულად მაინტერესებს და თქვენ ზუსტად უნდა მითხრათ, რამდენ ხანს ვიცოცხლებ, საერთოდ, თუკი მიწერია კიდევ სიცოცხლე. მე სიკვდილისა არ მეშინია! მეშინია მხოლოდ ერთი რამის: ვერ მოვასწრო ჩემი სათქმელი, ვერ მივცე საათანადო მითითებანი კოლეგებს, ამხანაგებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ დაწყებული საქმეები. ინფარქტი ორღობეში მიმალული ცოფიანი ძაღლივით მუხანათურად დამეტაკა. სიკვდილს ჯერ არ ვაპირებდი და ბევრი მოსაზრება, რომელთა მნიშვნელობაშიც ეჭვი არ მეპარება, არავისთვის გამიზიარებია. არ მინდა ისინი ჩემთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვდნენ, გასაგებია? ამიტომ უფლება არა გაქვთ, რაიმე დამიმალოთ.

— ნუ ღელავთ, ბატონო დავით, თქვენ არა გაქვთ დაეჭვების საფუძველი. ძალიან გთხოვთ, ნუ ინერვიულებთ. ნერვიულობის, დაძაბულობისა და მღელვარების ფაქტორები მთლიანად უნდა გამოვთიშოთ, თუ გვინდა, რომ სავსებით გამოვჯანმრთელდეთ და სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ. მეორეც, თქვენ ნუ ღელავთ, მე ვიცნობ თქვენს პიროვნებასა და ინტელექტს. შესანიშნავად ვიცი, ვისთან მაქვს საქმე. ამიტომაც მინდა, ჩემი ყოველი სიტყვა დაიჯეროთ.

— რომში ყოფილხართ? — ჰკითხა უცებ აკადემიკოსმა.

— რა ბრძანეთ? — დაიბნა მთავარი ექიმი. ეგონა, ყურმა მომატყუაო.

— რომში თუ ყოფილხართ-მეთქი?

— დიახ, ვყოფილვარ!

— მაშინ გემახსოვრებათ, იქაურ ტურისტულ ფირმებს აქვთ რამდენიმე პროგრამა: „რომი სამი დღით ჩამოსული ტურისტებისათვის", „რომი ხუთი დღით ჩამოსული ტურისტებისათვის" და ასე შემდეგ. მეც ზუსტად უნდა ვიცოდე, ჩემი სამოქმედო პროგრამა სამი, ხუთი თუ რამდენი დღით უნდა შევადგინო. ამიტომაც პირდაპირ მიპასუხეთ. რამდენ ხანს ვიცოცხლებ კიდევ? რამდენიმე დღე, თვე თუ წელიწადი?

მთავარი ექიმი შეცბა. შეკითხვის ასე შუბივით ძგერებას არ ელოდა. შეყოყმანდა. ერთბაშად ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა.

— ახალგაზრდავ, პასუხისათვის თუ მზად არ ხართ, მე შემიძლია მოვითმინო რამდენიმე წუთი.

„ახალგაზრდავ!" — როგორ ეხამუშა ეს სიტყვა ორმოცდათორმეტი წლის კაცს.

აკადემიკოსს იქნებ ასაკი აძლევდა კიდეც ამ სიტყვის თქმის უფლებას, მაგრამ ექიმი მიხვდა, ასაკი აქ არაფერ შუაში იყო. პატრიარქობას მიჩვეული კაცის ნათქვამს უფრო ჰგავდა ქედმაღლურად წარმოთქმული „ახალგაზრდავ!"

— როგორ გეკადრებათ. მე მზად ვარ ახლავე გაგცეთ პასუხი შეკითხვაზე. ჩემი ხანმოკლე პაუზა სასაუბრო თემის მოულოდნელ შებრუნებას მოჰყვა. ერთბაშად ვერ მოვიფიქრე, როგორ დამეწყო. პირდაპირ გეტყვით, თითქმის სამი თვის დაძაბული მკურნალობის შედეგად თქვენ უკვე გამოძვერით კრიზისიდან.

„გამოძვერით", — გულში მწარედ გაეღიმა აკადემიკოსს.

— ორი კვირის შემდეგ უკვე მოგცემთ წამოჯდომის უფლებას. ხოლო თვენახევრის ან ორი თვის შემდეგ შინ გაგიშვებთ.

— თქვენი აზრით, საბოლოოდ განკურნები?

— თქვენს ასაკში ინფარქტისაგან საბოლოოდ განკურნება შეუძლებელია.

— საბოლოოდ-მეთქი, როცა ვამბობ, ვგულისხმობ, რომ ერთ წელიწადს მაინც ვიცოცხლებ.

დუმილი.

მთავარმა ექიმმა მხრები აიჩეჩა.

დავით გიორგაძეს მისი მოძრაობა და სახის გრიმასები არ დაუნახავს, მაგრამ დუმილმა ბევრი რამ მიანიშნა.

— ყველაფერი გასაგებია! — თქვა მშვიდად და მტკიცედ (ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა „მკაცრად"). — ამიტომ კიდევ გიმეორებთ, არა, კი არ გიმეორებთ, კატეგორიულად მოვითხოვ, ზუსტად მითხრათ, კიდევ რამდენ დღეს ან თვეს ვიცოცხლებ!

აკადემიკოსმა სახე შემოაბრუნა და ზურაბ თორაძეს თვალებში შეხედა. მთავარმა ექიმმა დაინახა, მინების უკან, ამოღამებულ უპეებში დინამიტის პატრუქივით როგორ აინთო ორი დიდი თვალი.

— მგონი უკვე გითხარით, თქვენი ნერვიულობა არ შეიძლება-მეთქი, — ზურაბ თორაძე თვითონვე გააკვირვა თავისმა მკაცრმა ხმამ, — გართულება

ზურაბ ფანჯიკიძე
სპირალი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბ.

ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. არც დღევანდელი დღეა გამორიცხული, რომ საბედისწერო არ იქნება თქვენთვის. შანსი, რომ თქვენ აქედან ვერ გაეწერებით, ოცი პროცენტია ოთხმოცის წინააღმდეგ. დღევანდელ პირობებში ეჭვი არ გვეპარება, რომ ვძლევთ და დავამარცხებთ ამ თხუთმეტ პროცენტს, მაგრამ როცა შინ გაგწერთ, აღსასრული მაინც ყოველდღე იქნება მოსალოდნელი. თქვენი გული სუსტ ძაფზე ჩამოკიდებული მძიმე გირასავითაა...

— გასაგებია, — შეაწყვეტინა დავით გიორგაძემ, — ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია. მე დღეიდანვე ვიწყებ მოქმედებას. უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ გამოიძახოთ ჩემთან სასაუბროდ პროფესორი ოთარ კახიშვილი.

— ვიცი, თქვენი საუბარი მეაფრი და ემოციური იქნება. მხოლოდ ორი დღის შემდეგ თუ მოგცემთ ასეთი საუბრის უფლებას. საჩქარო არაფერია. მით უმეტეს, რომ ჩვენ დღეს უფრო დაძაბული საუბარი გველის! ზედიზედ ორი მომქანცველი საუბარი კი მეტისმეტი იქნება.

აკადემიკოსი გააცოფა მთავარი ექიმის მტკიცე და თვითდაჯერებულმა ხმამ.

— ახალგაზრდავ, გაიხსენეთ მარკუს ავრელიუსი — „რას ვახმარ ახლა ჩემს სულს?“ მე, მე რას ვახმარ ჩემს სულს ამ დღეებში? ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვ, დღესვე მომიყვანოთ პროფესორი ოთარ კახიშვილი. დღეიდან, ან წუთიდან ჩემთვის ყოველი წამი ძვირფასია!

— ბატონი ბრძანდებით. მაგ სურვილს იოლად შეგისრულებთ (პაუზა). თუმცა მე... როგორც უკვე მოგახსენეთ, უფრო მნიშვნელოვან საქმეზე მინდოდა მოგლაპარაკებოდით.

დავით გიორგაძემ კვლავ თვალი გაუსწორა მთავარ ექიმს. სათვალის მინებს მიღმა ისევ აინთო დინამიტის ორი პატრუქი.

— გისმენთ!

ზურაბ თორაძეს შუბლზე ოფლმა დასხა. არ იცოდა, სათქმელი როგორ დეწყო. ორი ღამის ნაფიქრ-ნაწვალები, დალაგებული და ათასჯერ აწონილ-დაწონილი გამოთქმები სადღაც გაეფანტა.

მთავარი ექიმი სიბნელეში იჯდა, მაგრამ ავადმყოფი მაინც მიხვდა, მთავარ ექიმს ფერი როგორ ეცვალა.

„რა მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მომლაპარაკებოდა მომაკვდავ კაცს?“ — აკადემიკოსი მოუთმენლობამ შეიპყრო. თითქოს ქვეშეცნეულად იგრძნო, ზურაბ თორაძეს მისთვის მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, ძალზე მნიშვნელოვანი, ძალზე უჩვეულო წინადადება უნდა მიეცა.

— ყურადღებით გისმენთ. ოღონდ ეგ ნათურა გამოთიშეთ, თავზე რომ დამნათის. სიბნელეში თქვენ სანგარში მჯდომ ჯარისკაცს ჰგვეხართ, მე კი ჩემი თავი ცოცხალი სამიზნე მგონია.

— ბატონი ბრძანდებით!

მთავარმა ექიმმა ნათურა გამოთიშა. პალატას აპარატურის პატარა ნათურების მწვანე და წითელი შუქი ოდნავღა ანათებდა. ავადმყოფისა და ზურაბ თორაძის სილუეტები მოწითალო და მომწვანო ფერებად ბზინავდა.

— გისმენთ! — გაიმეორა დავით გიორგაძემ.

— გმადლობთ! — მთავარი ექიმი სალაპარაკოდ მოემზადა.

— რასაც ახლა გეტყვით, — დაიწყო მცირეოდენი პაუზის შემდეგ, — ძალზე უჩვეულოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ლაპარაკს ნუ შემაწყვეტინებთ, ბოლომდე ყურადღებით მომისმინეთ და შემდეგ გამოთქვით თქვენი აზრი. თუ ჩემი წინადადება რეალური მოგეჩვენებათ, პასუხს მაშინვე მაინც ნუ მეტყვით. კარგად აწონ-დაწონეთ, ბოლომდე გააანალიზეთ ყველაფერი (პაუზა). ერთი რამ მინდა კიდევ წინასწარ გითხრათ. თუ ჩემს წინადადებაში რაიმე მკრეხელობას დაინახავთ, ნუ მიწყენთ. ჩვენ მეცნიერები ვართ, თანაც მაღალი რანგის მეცნიერები. ამიტომაც, ბუნებრივია, ამოსახსნელი პრობლემის, გადასაჭრელი ამოცა-

ნის სირთულე და მომხიბვლელობა გამბედაობასა და თავგანწირვას მოითხოვს!

აკადემიკოსმა თავი შემოაბრუნა და ზურაბ თორაძეს შეხედა. სიბნელეში ვეღ ამჩნევდა, მაგრამ გრძნობდა, მთავარ ექიმს აღელვებისაგან სახის ნაკვთები როგორ უთრთოდა. ეს არ იყო შიშით ან მორიდებით გამოწვეული მღელვარება. მთავარი ექიმის ინტონაციაში სიამაყე და საკუთარი თავის რწმენა, წინასაზეიმო განწყობილება იკვეთებოდა. სწორედ ამ დროს ხდებოდა ზურაბ თორაძის აზროვნება პათეტიკური. ერთი შეხედვით დაფიქრებული და დინჯი ექიმი სიხარულისაგან ატაცებულ ყმაწვილს ემსგავსებოდა. მისი სული ისე ბობოქრობდა, გეგონებოდათ, სადაცაა გადმოიღვრებაო.

უკანასკნელი სიტყვების შემდეგ პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა. მთავარი ექიმი თითქოს ელოდა, დავით გიორგაძე საუბარში ჩამერთვებაო. აკადემიკოსს ხმა არ ამოუღია. ოღონდ მისი შემობრუნებული თავი და მთავარი ექიმისაკენ მიმართული დაჟინებული მზერა მოწმობდა, რომ ზურაბ თორაძის სიტყვებმა მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. მთავარი ექიმის გამოცდილ თვალს არ გამოპარვია დავით გიორგაძის დაძაბული, დაინტერესებული გამოხედვა, კიდევ უფრო იგრძნო საკუთარი თავის ძალა, აკადემიკოსის მოლოდინით აღსავსე თვალებმა მეტი ენერგია და რწმენა შემატა.

— თქვენი სახელი საქვეყნოდაა-ცნობილი, — მტკიცედ განაგრძო მთავარმა ექიმმა, — და თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, მეც კარგად მიცნობენ საბჭოეთშიც და საზღვარგარეთაც. ჩემი მონოგრაფიები გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიასა და იაპონიაში. სხვა ქვეყნებს აღარ ჩამოვთვლი. ცხოველების ტვინის გადანერგვის სფეროში მე და ჩემი ლაბორატორია, კიდევ ერთხელ გთხოვთ, კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, მოწინავედ ვითვლებით მსოფლიოში. თუკი პრესაში სამედიცინო ხასიათის ინფორმაციებს გადარადღებას აქცევთ, ჩვენი მიღწევები თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს.

— შეიძლება ნაწილობრივ, მაგრამ მე ვიცი თქვენი მიღწევების ამბავი! — თქვა აკადემიკოსმა მშვიდად.

მისმა წყნარმა ტონმა კიდევ უფრო გაამხნევა ზურაბ თორაძე. მიხვდა, აკადემიკოსის ცნობისმოყვარეობას თანდათან იმორჩილებდა. დავით გიორგაძის უკანასკნელი ფრაზა მოწმობდა, რომ იგი მზად იყო სერიოზული მეცნიერული საუბრისათვის. მართალია, ერთი შეხედვით აკადემიკოსს ცხოველი ინტერესი არ გამოუჩენია, მაგრამ მთავარი ექიმი მიხვდა, რომ დავით გიორგაძე ცდილობდა, ცნობისმოყვარეობა შეენიღბა.

მთავარი ექიმი არ შემცდარა. მართალია, დავით გიორგაძე ჯერ ვერ ხვდებოდა, ზურაბ თორაძე სად და რას უმიზნებდა, ის კი იგრძნო, უჩვეულო რამ უნდა მოესმინა.

— ძალიან კარგი! რაკი თქვენ იცნობთ ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის მიღწევებს, თუნდაც ნაწილობრივ (ეს ბოლო ორი სიტყვა მთავარმა ექიმმა მაშინ ჩაურთო ხაზგასმულად, როცა შენიშნა, რომ დავით გიორგაძე რაღაცის თქმას აპირებდა)! დიახ, თუნდაც ნაწილობრივ! მით უფრო ვბედავ პირდაპირ გითხრათ, რომ მე და ჩემი ასისტენტები დღეს უკვე მზად ვართ, ადამიანს ტვინი გადავუნერგოთ.

— რა ბრძანეთ! — აღმოხდა დავით გიორგაძეს და თან შეეცადა ლოგინზე წამომჯდარიყო.

— გთხოვთ, დამშვიდდეთ! — მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა და აკადემიკოსს წამოჯდომის საშუალება არ მისცა. — აი, ასე, თუ გნებავთ, ბალიშით თავს აგიწევთ. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ ანერვიულდებით.

დავით გიორგაძე დაემორჩილა მთავარ ექიმს, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ... ბედს. მიხვდა, წავიდა ის დრო, როცა შეეძლო ჩვეული, მი-

სთვის დამახასიათებელი სიფიცხით ჩაბმულიყო საუბარში თუ კამათში.

— მე შესანიშნავად ვიცი, რომ ჩვეულებრივ, ორდინარულ ადამიანს არ ველაპარაკები, — მიუხედავად პაუზისა, სკამზე ჩამოჯდომის შემდეგ ზურაბ თორაძემ წეღანდელი საზეიმო ინტონაციით გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი, — თქვენ, როგორც დიდი მკვლევარი, მეცნიერებაში ყოველგვარი სიახლისა და რევოლუციური ნაბიჯების გადადგმისათვის ფსიქოლოგიურად დიდი ხანია მომზადებული ბრძანდებით. ნუ გეგონებათ, რომ ადამიანისათვის ტვინის გადანერგვა მეცნიერებაში უფრო ნაკლებრევოლუციური მოვლენაა, ვიდრე, ვთქვათ, ასტროფიზიკაში სამყაროს არაასტაციონარულობის აღმოჩენა!

— ხომ არ გეშლებათ, მე გული მაქვს სუსტი, ტვინი კი ახლა უფრო საღი მაქვს და ცინცხალი, ვიდრე ახალგაზრდობაში. იქნებ სჯობდა, გულის გადანერგვაზე გეფიქრათ? — აკადემიკოსი საბოლოოდ მიხვდა, საით მიჰყავდა საუბარი ზურაბ თორაძეს. მთავარი ექიმიც მიხვდა, რომ დავით გიორგაძისათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

კვლავ წამიერი დუმილი ჩამოვარდა. კვლავ გაისმა აპარატურის ხმადაბალი ზუზუნი.

— თქვენ ვერ გამიგეთ... უფრო სწორად, შესანიშნავად მიმიხვდით, რა წინადადების შემოთავაზებაც მინდოდა. გულის გადანერგვა დღეს იოლი საქმეა, იმდენად იოლი, რომ იგი ჩვეულებრივ ოპერაციად იქცა. სამწუხაროდ, თქვენი სხეული ძალზე დაუძლურებულია. დაუძლურებული და, ნუ მიწყენთ ამ სიტყვებს, ასაკისაგან გამოფიტული. სისხლძარღვებიც იმდენად გახისტებულია და შევიწროებული, ინსტრუმენტის მიკარებისას შეიძლება დაიმსხვრეს კიდეც. თქვენი სხეული ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიგუებს უცხო, ახალგაზრდა გულს. უფრო მეტსაც გეტყვით, თქვენი სხეული სულ მოკლე ხანში სასიკვდილოდაა განწირული. ეს მით უფრო ეულდასაწყვეტია და სავალალო, რომ ტვინი მართლაც ახალგაზრდული გაქვთ, რეაქციები იდეალური!

ზურაბ თორაძემ ვერც კი შენიშნა, ორატორობამ როგორ გაიტაცა. თვალები კიდევ უფრო წამოენთო, ხმას კიდევ აუწია, ლაპარაკის ტემპსაც უმატა. სულ გადაავიწყდა, ვის ელაპარაკებოდა სიკვდილზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ორთავენი ვიღაც მესამე კაცის ბედზე მსჯელობდნენ.

— კმარა! — წამოიძახა დავით გიორგაძემ, — კმარა!

აკადემიკოსმა თავი შეაბრუნა და თვალები კვლავ ჭერს მიაპყრო.

სათვალის მინებზე უცნაურად ბზინავდა აპარატურიდან მონადენი მკრთალი წითელი და მწვანე შუქი.

მთავარი ექიმი შეცბა. მიხვდა, ღრმად შესტოპა. — ბოდიშს გიხდით, ნამდვილად ვერ მოვზომე... — ერთბაშად ორი ოქტავით დაბლა ჩამოვიდა ზურაბ თორაძე, საუბრის რიტმიც ორჯერ შენელდა, მდორე გახდა, — რასაკვირველია, უტაქტობა იყო ჩემის მხრივ ასეთი გულახდილი, პირდაპირი და მკაცრი სინამდვილის გამომხატველი საუბარი, მაგრამ თქვენ ისეთი პიროვნება ბრძანდებით... თქვენ ხომ უბრალო ადამიანი არა ხართ... თქვენთან მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს აზრი არა აქვს. თქვენმა სანიმუშო მეცნიერულმა ბიოგრაფიამ და დიდმა ინტელექტმა მიბიძგა, ვყოფილიყავი თამამი და ასე თავისუფლად მეთქვა თქვენთვის ძალზე უსიამოვნო ამბავი...

— შეეშვით მეცნიერულ ტრაქტატებს, პირდაპირ მითხარით, რას მთავაზობთ, — მწარედ ჩაეცინა დავით გიორგაძეს. უფრო სწორად, ჩაცინება სცადა მოხუცმა მეცნიერმა.

ზურაბ თორაძე კიდევ უფრო დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— რატომ დუმხართ? ჩემთვის ყველაფერი გასაგებია,—თქვა უცებ დავით გიორგაძემ მშვიდად და მტკიცედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გიმეორებთ შეკითხვას, რას მთავაზობთ?

— ახლავე მოგახსენებთ, — შვებით ამოისუნთქა ზურაბ თორაძემ. მიხვდა, რომ ბარიერი ადვილად გადალახა, ყველაზე ძნელად სათქმელი უკვე ნათქვამი იყო, თანაც ძალზე იოლად და მხოლოდ მცირეოდენი შინაგანი ღელვის საფასურად. მთავარმა ექიმმა ჩაახველა და ერთი ოქტავით ისევ მაღლა ავიდა. — მე და ჩემმა ასისტენტებმა გადავწყვიტეთ, რასაკვირველია, თუკი თანახმა იქნებით, თქვენი ტვინი გადავუნერგოთ ვინმე ახალგაზრდა კაცს.

— უფრო დელიკატური იქნებოდა, თუ იტყოდით, რომ ჩემს ტვინზე გადმონერგავდით ვინმე ახალგაზრდის სხეულს!

— მოხიბლული და აღტაცებული ვარ თქვენი იუმორის გრძნობით თვით ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი! — აღტაცება ვერ დამალა მთავარმა ექიმმა. აღფრთოვანებას ისიც აძლიერებდა, რომ ავადმყოფის იუმორს მიღმა ოპერაციაზე დათანხმების სუნი სცემდა.

— მაინც ვის გაბედნიერებას აპირებთ ჩემი ტვინით და ინტელექტით?

— დამცინით?! — შეშფოთდა უცებ ზურაბ თორაძე. ამჯერად მოეჩვენა, რომ აკადემიკოსის ირონიული ტონი მისი წინადადებისა და მთელი წეღანდელი მსჯელობისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას გამოხატავდა.

— არა, სრულიად სერიოზულად გეუბნებით!

პალატაში დუმილი ჩამოწვა. ძალზე მკრთალ შუქზე მთავარ ექიმს არ შეეძლო ავადმყოფის სახეზე წაეკითხა, რამდენად გულწრფელი იყო მისი პაციენტის პასუხი.

— ჯერ მინდა ვიცოდე, თანახმა ხართ, თქვენი ტვინი გადავუნერგო ახალგაზრდა კაცს? — მთავარი ექიმის ხმა, თითქოს ადიდებული მდინარე კვლავ კალაპოტში ჩადგაო, ჩვეულებრივად მტკიცე და დინჯი გახდა.

— მე მგონი, ცოტა გულუბრყვილობაა, ასეთ წინადადებაზე თანხმობა ახლავე, ამ წუთში მომთხოვოთ. მეტსაც გეტყვით, მეცნიერული გულუბრყვილობა! თქვენი წინადადება იმდენად უჩვეულოა და მოულოდნელი, სინამდვილისა და ხუმრობის ზღვარზე დგას. მე კი მათ გამყოფ წვრილ ხაზზე ვარ ჯამბაზივით წამოწოლილი. რომ დაგთანხმდეთ, უნდა დამარწმუნოთ, რომ ასეთი ოპერაცია საერთოდაა შესაძლებელი (პაუზა). და კიდევ ერთი: ბუნებრივია, რაკი ასეთ წინადადებას მაძლევთ, ის ახალგაზრდა, ვისაც ჩემი ტვინი უნდა გადაუნერგოთ, უკვე აქვე გყავთ და, რაც მთავარია, დაგთანხმებიათ კიდეც ოპერაციაზე. როცა ასეთ წინადადებას მე მთავაზობთ, გასაგებია და ლოგიკური. ბოლოს და ბოლოს, რას ვკარგავ? თქვენი შესაშური გულახდილობის წყალობით უკვე ვიცი, რომ, ბევრი-ბევრი, კიდევ სამ-ოთხ თვეს თუ ვიცოცხლებ. ის ახალგაზრდა კი რატომ მიდის ასეთ რისკზე? იქნებ მის თანხმობაში რაიმე საიდუმლოება იმალება? და მეორე... გთხოვთ, ბოლომდე მათქმევინოთ ჩემი სათქმელი! დიახ, გთხოვთ, მეორე შეკითხვაზეც გამცეთ პასუხი. ვინ არის ის ახალგაზრდა, რომელიც არ სჯერდება საკუთარ ტვინს და უნდა უფრო ჭკვიანი, უფრო განათლებული გახდეს? ხუმრობა ხომ არაა, რამდენიმე საათიანი ოპერაცია და იგი ერთბაშად შეიქმნება იმ ცოდნის მფლობელი, რომლის შეძენასაც მე ათეული წლები შევალიე! გახდება იმ მეცნიერულ სიახლეთა აღმომჩენი, რომელსაც მთელი ჩემი ჯანმრთელობა, ნერვები და, საბოლოო ჯამში, მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე! — აკადემიკოსის ხმაში ორ მდინარესავით ერთვოდა ერთმანეთს ირონია და სიბრაზე. ლაპარაკობდა ხმადაბლა, დინჯად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მისი ავადმყოფი გულის მღელვარება.

— ბატონო დავით! — მცირე პაუზით ისარგებლა მთავარმა ექიმმა, — მე კვლავ ქედს ვიხრი თქვენი ლოგიკის წინაშე. მეორეს მხრივ კი, მინდა ერთი რამ მოგახსენოთ, სხეულს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს პიროვნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის. დიახ, გთხოვთ, კარგად დამიგდოთ ყური. მინდა მთავარ არსს ჩასწვდეთ. მაშინ იქნებ აღარ მოგეჩვენოთ ჩემი მოსაზრებანი უცნაური და აბსურდული. მთავარია, ვისი სული და ვისი ინტელექტია სხეულში დაბინავებული. მთავარია, ვინ აზროვნებს ხორცის, ძვლების, ნერვებისა და სისხლის ამ ურთულეს მექანიზმში. ასე რომ, ის ახალგაზრდა სხეული არ იქნება სხვა ვინმე. ის იქნებით თქვენ, აკადემიკოსი დაეით გიორგაძე, საქვეყნოდ განთქმული მეცნიერი! — ზურაბ თორაძეს თვალები წამოენთო, საკუთარი სიტყვებით კმაყოფილი, დარწმუნებული იყო, რომ აკადემიკოსზე ეფექტი მოახდინა.

— ისე უბრალოდ და იოლად მსჯელობთ, თითქოს საქმე საპალტოს ყიდვას ეხებოდეს! — თვალებით გაიღიმა აკადემიკოსმა.

დავით გიორგაძის სიტყვებმა ერთბაშად განმუხტა აღგზნებული მთავარი ექიმი.

— თქვენ, ბატონო მთავარო ექიმო და დიდად საპატივცემულო პროფესორო, — განაგრძო მცირეოდენი პაუზის შემდეგ აკადემიკოსმა, — ერთი ადამიანის ტვინის გადანერგვას მეორე სხეულში მხოლოდ სამედიცინო ოპერაციად თვლით, ქირურგიისა და, საერთოდ, მედიცინის ყველაზე უდიდეს გამარჯვებად. დიახ, მე ხაზს ვუსვამ, უდიდეს, არსახულ, გაუგონარ, დაუჯერებელ გამარჯვებად. მაგრამ ადამიანი ხომ ცხოველი არ არის, იგი მოაზროვნე არსებაა.

— დიახ, სავსებით გეთანხმებით.

— გმადლობთ ჩემი მოსაზრების გაზიარებისათვის, მაგრამ გიფიქრიათ, რას ჩადიხართ, როცა ერთი ადამიანის გონება და ინტელექტი, ემოციები და რეაქციები, პიროვნული თვისებები და მოვლენებისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებანი მეორე ადამიანის სხეულში გადაგაქვთ?

— თქვენ წელან იუმორით ბრძანეთ, მაგრამ ამ იუმორში იყო დიდი ფილოსოფიური სიმართლე. მართალია, ფიზიკურად ტვინი გადაგვაქვს სხვა ადამიანის სხეულში, მაგრამ ფაქტიურად მას მხოლოდ ვაბინავებთ სხვა თავის ქალაში. და თუ ფიზიოლოგიურად შეეხედავთ, თქვენი წელანდელი თქმისა არ იყოს, ფაქტიურად სხვის სხეულს ვნერგავთ თქვენს ტვინზე. დიახ, დიახ, უკვე სხეული იქნება არა ის ადამიანი, რაც და ვინც აქამდე იყო, არამედ ის, ვისი ტვინიც წარმართავს მის შემდგომ მოქმედებას! დიახ, ადამიანი მოაზროვნე არსებაა. რით აზროვნებს იგი? ნება მიბოძეთ, უფრო ფართოდ გავშალო წელან შეკუმშულად თქმული ჩემი მოსაზრება. რით აზროვნებს იგი? ტვინით! მე მჯერა, რასაც სულს ეძახიან, ისიც ტვინია. უფრო სწორად, ტვინი წარმოადგენს ადამიანის გონიერებისა და სულის მთლიანობას. პროცესს, გნებავთ, პრობლემას თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, ოპერაციის შედეგად ტვინი იცვლის გარესამოსელს, იცვლის, უხეშად რომ ვთქვათ, ბინას... რით განსხვავდება ადამიანი ყველა დანარჩენი ცხოველისაგან? ტვინით, მხოლოდ და მხოლოდ ტვინით. ესე იგი, თვით ტვინია ადამიანი. როგორიცაა ტვინი, ისეთია მისი პატრონიც. შეიძლება გამოცვალოთ გული, თირკმელი, ფილტვი, ხელი, ფეხი და ასე შემდეგ... თითქმის მთლიანად რომ განაახლოთ ადამიანი, იგი მაინც იგივე პიროვნებად დარჩება, მაგრამ რომ გამოუცვალოთ ტვინი, იგი უკვე აღარ იქნება იგივე ადამიანი. მთელი სხეული უცებ გახდება მისი კუთვნილება, ვის ტვინსაც გადავნერგავთ ამ სხეულში. იმავე წუთიდან მთელი სხეული, როგორც ავტომობილი შოფერს, ისე დაემორჩილება გადანერგილ ტვინს! დიახ, სხეული იქცევა იმ მეორე ადამიანად, ვისი ტვინიც დაიდებს ბინას პირველის თავის ქალაში!

— გეთანხმებით. სავსებით გეთანხმებით. ძალზე საქმიანად და ლოგიკურად მსჯელობთ, მაგრამ რა დააშავა იმ ახალგაზრდა კაცმა, ვის ჯანსაღ სხეულშიც უნდა გადანერგოთ, ვთქვათ, ახალგაზრდულად მოაზროვნე, მაგრამ დიდი

ასაკისა და ხანგრძლივი, დაძაბული შრომისაგან გადაღლილი ტვინი? იქნებ ის ახალგაზრდა მომავალი მხატვარი ან მუსიკოსია? კი, ბატონო, ვთქვათ, ტექნიკური სფეროს წარმომადგენელია. იქნებ მომავალი მეცნიერია? მეცნიერული კარიერის მოპოვებას წლები სჭირდება, დაძაბული შრომით, მაგრამ მაინც სიხარულით აღსავსე წლები. რატომ ვუსპობთ მას შემოქმედებითი პროცესით ტკბობა? და, საერთოდ, მორალური თვალსაზრისით, განა სამართლიანია, რომ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც თანამედროვე შეხედულებანი და გემოვნება აქვს, რომელსაც ვიღაც უყვარს, ვიღაცას მეგობრობს, მოხუცი კაცის, მართალია, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოსის, მაგრამ თანამედროვეობისათვის უკვე ჩამორჩენილის, დღევანდელი დღისათვის საკმაოდ კონსერვატორისა და ძველმოდური ადამიანის ტვინი გადაუნერგოთ?

— ბატონო დავით! — ისეთი ღიმილით წარმოთქვა მთავარმა ექიმმა, თითქოს წინასწარვე ზეიმობდა თავისი მოსაზრებების უძლეველობას, — ბუნებრივია, არავითარი სურვილი არ მაქვს, თქვენზე აჩქარებული, დაუფიქრებელი კაცის შთაბეჭდილება დავტოვო. ხომ არ გგონიათ, ტვინის გადანერგვის იდეა მაშინ მომივიდა თავში, როცა ჩემს კვლევით ინსტიტუტში აღმოჩნდით?! არამცთუ თქვენ, იმედი მაქვს არ მიწყენთ, ჩემს წინ რომ თვით უკვდავი ნიუტონი ან აინშტაინი ყოფილიყო, მაშინაც კი ვერ გავბედავდი ასეთი ნაბიჯის გადადგმას, თუკი ამ პრობლემის გადასაჭრელად სამი ათეული წელი მაინც არ მექნებოდა თავი გადადებული.

ადამიანის ტვინის გადანერგვის იდეა ჯერ კიდევ მაშინ ჩამესახა, როცა სკოლაში ვიყავი. სამედიცინო ფაკულტეტიც ამიტომ ავირჩიე. ერთი აზრი არ მასვენებდა ძილში თუ ღვიძილში, თუ კანის, გულის ან თირკმლის გადანერგვა შეიძლება, რატომ ვერ უნდა შევძლოთ ადამიანის ტვინის გადანერგვა? რაკი გადაინერგა გული, საკითხი პრინციპულად გადაწყდა. აი, თქვენ ბატონო ფიზიკოსი ბრძანდებით. ადამიანი უკვე იყო მთვარეზე, დადგება დრო და, მტკიცედ მჯერა, სულ მალე იგი მიაღწევს მზის სისტემის რომელიმე პლანეტამდე. კიდევ გავა დრო, ალბათ, ძალზე დიდი დრო და ადამიანი გახდება ჩვენი გალაქტიკის რომელიმე მზის სისტემის სტუმარი. ასეა მედიცინაშიც, გადაინერგა გული, გადაინერგა თირკმელი... ლოგიკურია და რეალური, რომ გადაინერგება ტვინიც. თუ შევადარებთ წეღანდელ მაგალითებს, გულის გადანერგვას თუ მთვარეზე გაფრენას დავუწყვილებთ, მაშინ ტვინის გადანერგვა შეიძლება მზის სისტემის რომელიმე პლანეტაზე გაფრენის ტოლფასად ვივარაუდოთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, იქნებ უფრო მეტადაც კი.

— თქვენ პირდაპირ არ უპასუხეთ ჩემს შეკითხვას და მსჯელობა სულ სხვა მიმართულებით წაიყვანეთ. დამშვიდდით, ნუ ღელავთ, იმ საკითხს მე ისევ დავუბრუნდები. ახლა კი, რაკი თქვენი მსჯელობა სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც ჩემთვის არანაკლებ საინტერესოა, ბარემ დავასრულოთ კიდეც. ამიტომაც მინდა გამოვთქვა ერთი ვარაუდი. ადამიანის მზის სისტემის პლანეტაზე, ვთქვათ, ვენერაზე ან მარსზე გამგზავრება მინიმუმ ერთი ათეული წელი არ მოხერხდება. რაკი ტვინის გადანერგვის ოპერაცია ამ გამგზავრების ტოლფასია და, როგორც თქვენ სამართლიანად ბრძანებთ, უფრო მეტიც, ვაითუ ამ ოპერაციის განხორციელებაც მხოლოდ ათი წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი?

— ეგ შეკითხვა ფილოლოგს ან მუსიკოსს რომ მოეცა, არ გამიკვირდებოდა. მაგრამ თქვენ, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, ჩემი აზრით, უფრო ანალიტიკურად უნდა აზროვნებდეთ!

მთავარ ექიმს დაავიწყდა, რომ ავადმყოფს ელაპარაკებოდა. რწმენამ და საკუთარი ძალების შეგრძნებამ პოლემიკის გუნებაზე დააყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა თქვენთვის ახალ ამბავს წარმოადგენს, რომ მეცნიერებისა თუ ტექნიკის გარკვეული დარგები ძალზე სწრაფად მიდიან წინ, ზოგიერთი დარგი კი თითქმის გასული ოცწლეულის დონეზე დგას?

— ნუ ღელავთ, საწყენად არ მითქვამს! — ავადმყოფის მშვიდმა ტონმა საკამათოდ აღგზნებული მთავარი ექიმიც დააცხრო. — ჩემი თუნდაც გულუბრყვილობამდე მისული შეკითხვები ნუ აგაღელვებთ. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, მე ვაპირებდე თქვენი ტვინის გადანერგვას რომელიმე ჭაბუკის თავში. დარწმუნებული ვარ, არც თქვენი შეკითხვები იქნებოდა ღრმად მეცნიერული და ბოლომდე გაანალიზებული. იმდენად უჩვეულოა და დაუჯერებელი თქვენი წინადადება, რომ ბევრს შეიძლება მასხრად აგდებად ან ცულლუტურ ხუმრობად მოეჩვენებოდა. მე რომ პირველივე წუთებიდან დაგიჯერეთ, უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

დავით გიორგაძემ ხელი საბნიდან გამოაცოცა და სათვალე გაჭირვებით მოიხსნა. მერე სათვალიანი ხელი ისევ გაშალა.

მთავარმა ექიმმა მიბინდულ მოწითალო-მომწვანო შუქზე კარგად გაარჩია აკადემიკოსის დიდრონი შავი თვალები, ბურთულებივით რომ ეყარა ამომხმარ უპეებში. უმწეო და უსიცოცხლო ეჩვენა მისი სახე. სადღა იყო დინამიტის პატრუქების ნაპერწკლოვანი ცეცხლი, ცეცხლს ვინ დაეძებდა, ჩაფერფლილ სახესა და თვალებში თითქოს უკანასკნელი სასიცოცხლო სხივიც კი ჩამქრალიყო.

— ბოდიშს ვიხდი, იქნებ გამიწმინდოთ სათვალე. ხავერდის ნაჭერი აგერ დევს, ტუმბოს თავზე.

მთავარი ექიმი ფიცხლად წამოიჭრა, სათვალე ჩამოართვა და თითების ნაზი, დახვეწილი მოძრაობით ფაქიზად გაწმინდა.

„ოპერაციის დროს ალბათ იუველირივით მუშაობს,“— დაასკვნა დავით გიორგაძემ. მერე გულში თვითონვე გაეღიმა თავის შედარებაზე. „იუველირივით“ ოდითგან დამკვიდრებული, ტრადიციული გამოთქმაა, თორემ რომელი იუველირი მივა ახლოს იმ ურთულეს და ეუფაქიზეს ოპერაციებთან, ზურაბ თორაძე რომ ატარებს?

— ხომ არ გაგიკეთოთ?

— არა, გმადლობთ, ხელში ჩამიდეთ.

მთავარი ექიმი უკმაყოფილო იყო, რომ კარგად აწყობილი საუბარი ყველაზე საჭირო მომენტში გაწყდა.

პალატაში დუმილი ჩამოწვა, კვლავ გამოიკვეთა აპარატურის მონოტონური ზუზუნი.

მთავარმა ექიმმა აღარ იცოდა, გაწყვეტილი ძაფი როგორ გაემთელებინა და ტელეეკრანი შეათვალიერა. ყველაფერი რიგზე იყო, დიაგრამების სიმეტრიულობა და პერიოდულობა არ ირღვეოდა. ეს მოხუცი აკადემიკოსის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სულიერ სიმშვიდეს მოწმობდა. ამდენი ხნის პოლემიკურმა საუბარმა, მოულოდნელმა, ამაღელვებელმა და ფსიქოლოგიურად ძნელად გადასაჭრელმა წინადადებამ გულის მუშაობის აღმნუსხველ დიაგრამებში თითქმის ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა.

დავით გიორგაძემ თვალი დახუჭა და თავი სანახევროდ კედლისკენ შეაბრუნა.

„ჩაეძინა“, — სინანულით გაიფიქრა მთავარმა ექიმმა. გუნება მოეშხამა, წეღანდელი ამაღლებული განწყობილება სადღაც გაქრა, საუბრის სურვილი დაეკარგა.

— სად შევჩერდით? — თითქოს შორიდან ჩაესმა აკადემიკოსის ხმა.

ზურაბ თორაძე ისევ გამოცოცხლდა.

— იქნებ დაიღალეთ? მოდით, დავისვენოთ და ხვალ მოვილაპარაკოთ.

— არა, დაღლილობას არ ვგრძნობ მაინცდამაინც, გთხოვთ, დაამთავროთ თქვენი სათქმელი.

— მთელი ჩემი საუკეთესო წლები ტვინის გადანერგვის პრობლემებს შევწირე, — გააგრძელა შეწყვეტილი სიტყვა ზურაბ თორაძემ, — ჩემი მოსაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებანი, როგორც წელან გითხარით, გაიზიარა თითქმის მთელმა მსოფლიომ. ოცი წლის მანძილზე ყოველდღიურად ვატარებდი ექსპერიმენტებს. პირველმა მე და ჩემმა კოლეგებმა დავამუშავეთ ადამიანის ტვინში ქსოვილების გადანერგვის ოპერაცია და პრაქტიკულადაც შევასხით მას ხორცი. მსოფლიოში პირველად მე გავაკეთე ძაღლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია, რომელმაც სახელმწიფო პრემია მომიტანა. ის ძაღლი დღესაც ცოცხალია.

— გულწრფელად მომილოცავს! — თავი ისევ შემოაბრუნა დავითმა და სათვალე გაჭირვებით გაიკეთა. — ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ, ოპერაციის დროს გაითვალისწინეთ, რომ ის ძაღლი იყო. მე კი ადამიანი ვარ.

მთავარი ექიმი შეცბა. ვერ მიხვდა, დავით გიორგაძემ იხუმრა თუ ოპერაციაზე თანხმობა განაცხადა.

— დიახ! — გააგრძელა დაბნეულად. — დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ ტვინის გადანერგვის იდეა მაშინ როდი მომივიდა, ჩემს ინსტიტუტში რომ მოგიყვანეს. ორი წელია მტკიცედ მჯერა, რომ ფსიქოლოგიურად, მეცნიერულად და პრაქტიკულად უნარი შემწევს, გავაკეთო ადამიანის ტვინის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია. არ ჩამოვთვლი, რამდენი გვამი შევისწავლე, რამდენი ასეული და ათასეული დეტალი დავაზუსტე. თქვენ იცით, ჯერ ჩვენს კანონმდებლობას არ გაუთვალისწინებია ადამიანის ტვინის გადანერგვის უფლება. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წელი, შესაძლოა მთელი ათი წელიწადიც კი გავიდეს, სანამ ოფიციალურად ჩათვლიან კანონიერად ადამიანის ტვინის გადანერგვას. როცა კაცობრიობა გლობალურად დარწმუნდება და ფსიქოლოგიურად მოემზადება მსგავსი ოპერაციებისათვის, ოფიციალური წრეები მხოლოდ მაშინ ჩათვლიან მიზანშეწონილად, იმსჯელონ ტვინის გადანერგვის აუცილებლობასა და კანონიერებაზე.

მე კი დღესვე შემწევს ძალა გავაკეთო ურთულესი და გაუგონარი ოპერაცია. რატომ უნდა ველოდო საკითხის თანდათანობით მომწიფებას? რატომ უნდა დავუთმო პირველობა სხვას? დიახ, მე ადამიანი ვარ და მაქვს ადამიანური სისუსტეები, მეც მკლავს პირველობის ჭია. ჩემი პატივმოყვარეობა სრულებით არ მესაძრახისება. მე მეცნიერი ვარ და მინდა ჩემი სიტყვა დღესვე ვთქვა, ვთქვა პირველმა. მე თქვენ ვერც მოგატყუებთ და არც დაგიმალავთ: წინასწარ ვტკბები ჩემი მომავალი გამარჯვებით, ჩემი ტრიუმფით!

— წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას, თუმცა, რამდენადაც ვხვდები, ამ გამარჯვებაში მეც მომეკუთვნება დაფნის გვირგვინი. ახლა კი ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ. თუკი ტვინის გადანერგვა არ არის სახელმწიფო კანონით ნებადართული, როგორ ბედავთ ოპერაციის გაკეთებას?

— მაგისა ნუ გედარდებათ! — მთავარი ექიმი რატომღაც ჩურჩულზე გადავიდა, თუმცა ჩურჩულით გამოთქმულ მის სიტყვებს ძალა და შთამბეჭდაობა არ დაჰკლებია, — ოპერაციას საიდუმლოდ ჩავატარებთ მე და ჩემი უერთგულესი ასისტენტები. მე მათზე დიდი ამაგი მიმიძღვის. მათი კარიერა და მომავალიც ჩემს ხელშია. ოპერაციის გაკეთების შემდეგ ისინიც უშუალოდ ხდებიან შეთქმულების მონაწილენი. მერწმუნეთ, ძალგვიძს საიდუმლოების დაცვა.

— და თუ ოპერაციის ამბავი ვერავინ გაიგო, საიდან მოიპოვებთ მსოფლიო აღიარებას?

— როცა კანონი ნებას დაგვრთავს, გავაკეთოთ ტვინის გადანერგვის ოპერაციები, მაშინღა გავამხელთ საიდუმლოს. მაშინ წარვუდგენთ საზოგადოებას ახალგაზრდა აკადემიკოს დავით გიორგაძეს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ კაცობრიობა ათი წლისთავზე ადამიანის ტვინის გადანერგვას აუცილებლად ჩათვლის კანონიერად?

— ეჭვიც არ მეპარება. შეიძლება კიდევ უფრო ადრეც, ათი წელი მაქსიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მია, ამ დაკვნას მედიცინის განვითარებია დღევანდელი ტემპები და შესაძლებლობანი მიდასტურება.

— თუკი ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, სანამ საიდუმლოება გამჟღავნდებოდეს, საგანგებოდ უნდა მომიაროთ და შემინახოთ. ხომ შეიძლება სხვა ავადმყოფობამ მომკლას ან ავტოკატასტროფაში დავიღუპო?

— თქვენ ისევ ხუმრობთ, ბატონო დავით, მე კი ნელ ცეცხლზე ვიწვი! — განაწყენდა მთავარი ექიმი.

— მაპატიეთ, მაგრამ ნამდვილად გულწრფელად გკითხეთ! — მობოდიშებით თქვა აკადემიკოსმა.

— ოპერაციის შემდეგ ათი დღეც რომ იცოცხლოთ, არ გაგვიჭირდება ჩვენი პრიორიტეტის დამტკიცება, ამაზე თქვენ ნუ სწუხართ.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს! ხანმოკლე დუმილი.

— ვხედავ, ძალზე დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში, — წამოიწყო დავით გიორგაძემ, — რწმენა გამარჯვების საწინდარია, მაგრამ არ ითვალისწინებთ წარუმატებლობას?

— არ დაგიმალავთ, თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ. წარმატების შანსია ოთხმოცი ოცზე.

— უფრო მარტივად, ოთხი ერთზე.

— უფრო მეტიც, ბატონო დავით, გაცილებით უფრო მეტიც. მე უკიდურესი ზღვარი მოგახსენეთ.

— თუნდაც ცხრა ერთზე იყოს, მაინც ყოფილა დაღუპვის შანსი.

— თქვენთვის ხომ ჩვენს წარუმატებლობას თითქმის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა? თქვენ დაკარგავთ მხოლოდ ამი, მაქსიმუმ ოთხი თვის სიცოცხლეს. და თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თქვენ იძენთ მეორე სიცოცხლეს, მეორე ახალგაზრდობას, დაუდგრომელ, ტემპერამენტიან სიჭაბუკეს. ისიც გაითვალისწინეთ, ახალგაზრდობა დაგიბრუნდებათ დიდი ცოდნის, გამოცდილების და ინტელექტუალური ტრიუმფის პერიოდში. უნდა დამეთანხმოთ, ღირს რისკად!

უკანასკნელი ფრაზები თვალებანთებულმა წარმოთქვა ზურაბ თორაძემ. მისი მგზნებარე ინტონაციით გაოცებულმა ავადმყოფმა თავი მთავარი ექიმისაკენ შემობრუნა.

— ბრავო, ბრავო, პროფესორო! მე აღტაცებული ვარ არამარტო თქვენი მეცნიერულ-პრაქტიკული ხელოვნებით, არამედ გამბედაობით, უდრეკი რწმენით. ბედი კი ყოველთვის გამბედავ ადამიანებს სწყალობდა (პაუზა). იცით, ადრეულ ახალგაზრდობაში ერთი ქალიშვილი შემიყვარდა. ცოტა უცნაური და თამამი გოგონა იყო. ვერ იქნა და ვერ გავბედე მისი შერთვა. დიდხანს ვიყოყმანე, ბოლოს ჩემი სატანჯველი მეგობარს გავუზიარე. ვთხოვე, წამომყოლოდა, ჩემი სათაყვანებელი ქალიშვილი გაეცნო და თავისი აზრი გამოეთქვა.

დავითმა თავი ისევ შეატრიალა და თვალები ჭერს მიაპყრო.

— შემდეგ? — მოუთმენლად ჰკითხა მთავარმა ექიმმა. აკადემიკოსის სიყვარული იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც მისი კავშირი მეცნიერულ გამბედაობასთან.

— შემდეგ არაფერი. ერთი კვირის თავზე ისინი დაქორწინდნენ. ეს იყო და ეს!

ზურაბ თორაძეს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. მაინც ვერ მიმხვდარიყო. აკადემიკოსი დასცინოდა თუ მასთან საუბრით ერთობოდა. ერთბაშად ჩაიფუშა, ლაპარაკის სურვილი დაკარგა. ვაი, რა ტყუილად გავცდიო, გაიფიქრა. მოლლილობა იგრძნო და წამოდგომა დააპირა.

— ვინ არის ის ყმაწვილი, რომლის სხეულში ჩემი სული და ინტელექტი უნდა გადაბრძანდეს?

აკადემიკოსის ხმამ მთავარი ექიმი ისევ სკამს მიაჯაჭვა. მიხვდა, ამ სანახევროდ ხუმრობით ნათქვამი ფრაზის უკან სერიოზული შეკითხვა იდგა ყურებდაცქვეტილი.

— ოცდაათამი წლის ახალგაზრდა გახლავთ, ჯანღონით სავსე ჭაბუკი. უნივერსიტეტის ფიზიკის დაუსწრებელი ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ბრგე, მაღალი, დაკუნთული. მამაკაცური მკაცრი სილამაზე ჰარმონიულად ერწყმის მის სპორტულ აღნაგობას.

— რა გვარია?

— კორინთელი. რამაზ მიხეილის ძე კორინთელი.

— კორინთელი! ვერ დავიწუნებ. კარგი გვარია. ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში „რამაზ მიხაილოვიჩი“ გავხდები, არა?

— დიახ! — თქვა წყნარად მთავარმა ექიმმა. ვითომ ვერ გაიგო აკადემიკოსის ირონია, — და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ გავამჟღავნებთ ჩვენს საიდუმლოს.

— აი, ახლა მინდა დავუბრუნდე იმ შეკითხვას, თავში რომ მოგეცით. მაშინ არ მიპასუხეთ, საუბარი სხვა მიმართულებით წაიყვანეთ. ამჯერად ამომწურავ პასუხს მოვითხოვ!

— ალბათ, შეკითხვას ვერ მიგიხვდით. მე არაფრისა მეშინია, ტვინის გადანერგვის პრობლემა ყველა კუთხიდან მაქვს შესწავლილი. ვიცი, მისი განხორციელება სუფთა სამედიცინო პრობლემების დაძლევის გარდა ფსიქოლოგიური და მორალური თვალსაზრისითაც არის გადასაჭრელი.

— მართალი ბრძანდებით. თქვენ დაახლოებით მიხვდით ჩემს გულისწუხილს. — დავით გიორგაძე შეჩერდა, სული ოდნავ მოითქვა და ისევ განაგრძო. — თქვენ წელან ბრძანეთ და მეც სავსებით ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რომ ადამიანი ტვინია. დიახ, ტვინი, რადგან ტვინი აზროვნებს, ტვინი განსაზღვრავს ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ხასიათს, მისწრაფებებს, სიყვარულს, სიძულვილს და ათას ისეთ თვისებას, რომელიც ადამიანს განასხვავებს ცხოველებისაგან. ერთი სიტყვით, ტვინია ადამიანი. როგორიცაა ტვინი, ისეთია ადამიანიც და, თუ თქვენ მართლა აპირებთ ჩემი ტვინი ახალგაზრდა კაცის თავში გადანერგოთ, რას უშვრებით მის ტვინს? ალბათ, ჩემს თავში გადმონერგავთ, არა?

— დიახ, მართალი ბრძანდებით.

— აი, აქ ხომ არ ვცოდავთ ღმერთს? ჩემს ბებერ ტვინს გადანერგავთ თუ არა ახალგაზრდა სხეულში, მე, აკადემიკოსი დავით გიორგაძე ვხდები ოცდასამი წლის ჭაბუკი. ხოლო რამაზ კორინთელის ტვინს როგორც კი გადანერგავთ ჩემს მოხუც, დაუძლურებულ სხეულში, იგი იმავე წუთში გახდება მიხრწნილი მოხუცი რამაზ კორინთელი, რომელიც სამ-ოთხ თვეში გარდაიცვლება. ერთი სიტყვით, თქვენ თქვენი ოპერაციით ორი ადამიანისაგან ქმნით ერთ ადამიანს. და თქვენ, ექიმს, ყველაზე კეთილშობილი პროფესიის მსახურს, გაქვთ ამ ოპერაციის მორალური უფლება? ან მე, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თუნდაც უბრალოდ, ადამიანს, მაქვს სხვისი სიცოცხლის მიტაცების უფლება?

აკადემიკოსს სიტყვა არც კი ჰქონდა შუამდე მიყვანილი, რომ ზურაბ თორაძეს სახეზე ღიმილი გადაეკრა. იგი ადგა, მოხუც მეცნიერს რაც აწუხებდა და პასუხიც მზად ჰქონდა.

— წელან მოგახსენეთ, ყველაფერი შესწავლილი და გაანალიზებული მაქვს-მეთქი. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. რამაზ კორინთელმა ამ ორი თვის წინ მიიღო განუკურნებელი ტრავმა. ინსტრუმენტული ქარხნის საამქროში ხიდური ამწეს კავი მოხვდა თავში. რა არ ვიღონეთ, რა არ გავაკეთეთ, ახალგაზრდა კაცს აზროვნება მაინც ვერ დავუბრუნეთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე ჭაბუკის ჯანსაღ სხეულში გადამენერგა თქვენი საღი, ახალგაზრდული ტვინი, ხოლო თქვენს დაძაბუნებულ, დაუძლურებულ და მომაკვდავ სხეულში რამაზ კორინთელის დადამბლავებული, ფაქტიურად მკვდარი ტვინი. შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, ბატონო აკადემიკოსო, თქვენ მართალი იქნებით ღმერთის, ერისა და საკუთარი თავის წინაშე!

ზურაბ თორაძე გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა. იცოდა, მოხუც აკადემიკოსს ყველა გზა გადაუჭრა.

დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მთავარი ექიმი არ ცდილობდა, სიჩუმე დაერღვია. რაც მეტ ხანს იქნებოდა ჩუმად დავით გიორგაძე, მით უფრო აშკარა გახდებოდა მთავარი ექიმის მოსაზრებათა ჭეშმარიტება.

უცებ დავით გიორგაძე შეინძრა, გვერდი იცვალა და წამოჯდომა მოინდომა. მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა.

— ფრთხილად, ფრთხილად, თქვენი მკვეთრი მოძრაობა არ შეიძლება!

— კედლისკენ შემაბრუნეთ.

ზურაბ თორაძემ ზურგის ქვეშ მარჯვენა ხელი ფრთხილად ამოსდო, მარცხენათი მკლავში ჩაეჭიდა და აკადემიკოსი კედლისკენ შეაბრუნა. სკამზე აღარ დამჯდარა, იდგა და აკადემიკოსს დაჰერებოდა, სათქმელი მთლიანად ითქვა. ახლა მხოლოდ ერთი კითხვაღა დარჩა პასუხგაუცემელი: თანახმა იყო თუ არა დავით გიორგაძე, მისი ტვინი ჭაბუკის თავში გადაენერგათ.

მთავარი ექიმი დაიბნა, აღარ იცოდა, შეკითხვა პირდაპირ დაესვა თუ შემოსავლელი გზები ეძებნა.

— ვთქვათ, ჩვენ მორალურად მართლები ვართ ჭაბუკის წინაშე... —ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვა აკადემიკოსმა.

— დიახ! — დაიძახა მთავარი ექიმი.

— მართალი ვიქნებით, საერთოდ, ღმერთის წინაშე? გჯერათ, რომ მომავალში ძლიერნი ამა ქვეყნისანი ბოროტად არ გამოიყენებენ კაცობრიობის წინააღმდეგ ადამიანის გონების ამ უდიდეს მონაპოვარს?

— ღმერთი გწამთ? — ზურაბ თორაძეს უნებურად ის შეკითხვა მოუვიდა თავში, ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რომ დაუსვა ამ ორი თუ ორთვენახევრის წინ. საშინელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, სახელგანთქმული ასტროფიზიკოსი რა პასუხს გასცემდა ამ შეკითხვაზე. რამდენად განსხვავებული ან მსგავსი იყო მათი შეხედულებანი.

— ღმერთი? არა, ღმერთი არ მწამს. ისე, კაცმა რომ თქვას, სწავლულებიდან ღმერთთან ყველაზე ახლოს მაინც ფიზიკოსები და ასტრონომები არიან, მე კი ერთიც ვარ და მეორეც. მოგეხსენებათ, ასტროფიზიკოსი გახლავართ. ღმერთი, რასაკვირველია, არ მწამს, მაგრამ მწამს კოსმოსური წესრიგი და კანონზომიერებანი, მწამს ბუნების ძალა, მის მიერ შეძენილი გლობალური ბალანსები. სხვა დიდი საქმეებით დაწყებული და თქვენი ოპერაციით დამთავრებული, ძალიან ხომ არ ვერევით ბუნების საქმეებში? ხომ არ გვავიწყდება, რომ ჩვენ თვითონ ბუნების შვილები ვართ და შემქმნელი დედაბუნება ზედმეტ თავხედობას არ გვაპატიებს?

— ღმერთისა არ მეშინია. საქმე, რომელიც ადამიანის გონების ზეიმს წარმოადგენს და ადამიანისვე საკეთილდღეოდ კეთდება, შიშს არ უნდა იწვევდეს. მე კაცობრიობის პროგრესისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის ვიბრძვი. სინდისიც ნათელი მაქვს და მჯერა კიდეც ჩემი სიმართლისა!

— კეთილი და პატიოსანი, მე ამოვწურე შეკითხვები.

— მაშინ მე მაქვს ერთი შეკითხვა! — მთავარ ექიმს გაეხარდა, რომ საუბარი ბუნებრივად გაგრძელდა.

— ბრძანეთ.

— თანახმა ხართ, გადავნერგო თქვენი ტვინი?

დუმილი.

მთავარი ექიმი მღელვარებამ შეიპყრო. აპარატურის ზუზუნშიც კი გარკვევით გაიგონა საკუთარი გულისცემა.

— პასუხს არ გაჩქარებთ, თუ გნებავთ, ამ საღამომდე იფიქრეთ, უკიდურეს შემთხვევაში, ხვალ დილამდე, თორემ დრო აღარ ითმენს.

— აუცილებელია, რომ მისი დადამბლავებული ტვინი ჩემს თავში გადანერგოთ?

მთავარი ექიმი გაოცებისაგან გაშეშდა. ასეთ შეკითხვას აღარ ელოდა.

— დიახ, აუცილებელია. სხვანაირად თქვენი სხეული იმავე წუთში მოკვდება. თქვენ დიდი და სახელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი ბრძანდებით. დაინიშნება სახელმწიფო ექსპერტიზა. წარმოიდგინეთ, რა ამბავი დატრიალდება, თქვენს თავის ქალაში ტვინს რომ ვერ იპოვიან. მაპატიეთ, რომ ასე უხეშად და ნატურალისტურად გიხსნით. სჯობია, თავიდანვე პირდაპირ შეხედოთ სიმართლეს თვალებში.

— კეთილშობილურია თქვენი მიზანი, სამოცდათოთხმეტი წლის კაცი მაქციოთ ოცდასამი წლის ყმაწვილად. ჩემი ბებერი ტვინი მოარგოთ ტემპერამენტით და ენერგიით სავსე სხეულს. როგორ შეეგუებიან ისინი ერთმანეთს?

თუ ტვინმა დაიმორჩილა სხეული, მაშინ რაღა აზრი აქვს ოპერაციას?! მოხუცი, ძველმოდური შეხედულებების ტვინი, თავის დროზე ავანგარდული, მაგრამ დღევანდელობასთან შეფარდებით კონსერვატული აზროვნება სწრაფად მოაბერებს ახალგაზრდა სხეულს. ხოლო თუ სხეულმა დაიმორჩილა ტვინი, მაშინ ხომ მე მე აღარ ვიქნები? მაშინ ხომ ჩემი გამოცდილება, ცოდნა, ნიჭი და უნარი, აზროვნება და ინტელექტი უცხო სხეულის მონურ სამსახურში ჩაებმება? განა ეს არ იქნება დიდი პიროვნული ტრაგედია, რომელმაც, ადვილი შესაძლებელია, თვითმკვლელობამდე მიმიყვანოს?

— ერთი წუთით...

— გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ, ბოლომდე მათქმევინეთ ჩემი სათქმელი!

აკადემიკოსმა შეისუნა. პალატაში კვლავ დუმილი ჩამოწვა, მაგრამ მთავარმა ექიმმა მაინც ვერ გაბედა ხმის ამოღება.

დავითმა მარცხენა ხელი ოდნავ წამოსწია და მთავარ ექიმს ანიშნა, ისევ გულაღმა გადმომაბრუნეო. ზურაბ თორაძე შეეშველა. აკადემიკოსმა ბალიშს, როგორც იქნა, მოარგო თავი და თვალი ისევ ჭერს გაუშტერა.

— მე მესმის თქვენი, — დაიწყო სუსტი ხმით, — ქირურგი ბრძანდებით. დიდებული სპეციალისტი, ძიებისა და მიგნების წყურვილით აღსავსე მეცნიერი, გაბედული პრაქტიკოსი და, საერთოდ, გაბედული ადამიანი. თქვენ პირველ რიგში გხიბლავთ თვით ოპერაციის სირთულე, მიღებული შედეგი. თქვენი მეცნიერული და მაძიებელი ბუნება სავსებით დაკმაყოფილდება, როცა ურთულესი ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდება.

— ნუ მიწყენთ, მაგრამ მე მარტო ქირურგი არ გახლავართ, რომელიც თავისი კარგად გაკეთებული ურთულესი ოპერაციებით ტრაბახობს და ყელყელაობს. ჩემი არჩევანი თქვენზე იმიტომ შეჩერდა, რომ მენანება თქვენი სიკვდილი. უდიდეს ექსპერიმენტთან ერთად მინდა თქვენი ინტელექტი გადავარჩინო. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ახალგაზრდა სხეული და თქვენი ახალგაზრდული ტვინი შეჰქმნიან ერთ მთლიან ჰარმონიულ პიროვნებას. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, თუმცა ჯერ მე ადამიანის ტვინი არ გადამინერგავა, მჯერა, ოპერაცია წარმატებით ჩაივლიო. მე სწორედ ის მხიბლავს, რომ სხვისი სხეულისა და სხვისი ტვინის საშუალებით მივიღო მსოფლიოში პირველი უნიკალური ადამიანი. შევქმნა ახალგაზრდა კაცი, სიჭაბუკეში მზამზარეულად მიღებული დიდი ცოდნითა და გამოცდილებით. მე მჯერა, რომ დიდ საქმეს ვაკეთებ. მე მჯერა, რომ არ ვარღვევ განგების ჰარმონიას. და თუ საკითხს უფრო მიწიერად, უფრო ბუღალტრულად მივუდგებით, ერთი მომაკვდავი აკადემიკოსისაგან და ერთი ტვინდადამბლავებული უბრალო ახალგაზრდისაგან მე შევქმნი ერთ ჯანმრთელ, უდიდესი ცოდნით, ტალანტითა და ინტელექტით აღსავსე ადამიანს!

— პირველი მე ვარ, ვისაც ტვინის გადანერგვა შესთავაზეთ?

— დიახ, დიახ, პირველი ბრძანდებით, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. კანდიდატურები მყავდა, მაგრამ ორი მოსაზრების გამო ვიკავებდი თავს. ჯერ ერთი, ადამიანის ტვინი უნდა ღირდეს გადასარჩენად. მეორეც ისა, რომ ყველა როდი გრძნობს მეცნიერებაში გიგანტური ნაბიჯების გადადგმის სიდია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, თანაც ყველა როდია ისეთი უშიშარი, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

დავით გიორგაძემ ამჯერად მოახერხა ჩაცინება.

— მე ვერ ვიტან და არც ვაფასებ დაბადებით უშიშარ ადამიანებს. მეც ისეთივე მშიშარა ვარ, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. ვაჟკაცობა სწორედ შიშის დაძლევაა. ჰო, მართლა, ვთქვათ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ოპერაციის შემდეგ ვინ ვიქნები მე?

— თქვენ თქვენ იქნებით, — განაწყენდა ზურაბ თორაძე, — თავიდან დავიწყოთ ყველაფერი? განა უკვე არ შევთანხმდით, ადამიანი რასაც ნიშნავს? ადამიანი ტვინია, ხოლო ყველაფერი დანარჩენი ამ რთული ორგანიზმის მომსახურე დეტალები.

— მაგას არ გეკითხებით. ოფიციალურად, პასპორტით ვინ ვიქნები?

— სანამ საიდუმლოება გამჟღავნდება, რამაზ კორინთელი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვა პასპორტში რა გეწერებათ?

— ძალიან ბევრი. პირველი, რომ ოფიციალურად მე მე აღარ ვიქნები, რომ მე მეყოლება ახალგაზრდა მშობლები, დაძმანი...

— მხოლოდ და, ერთადერთი და, რომელიც ცალკე ცხოვრობს. თქვენ გექნებათ ერთოთახიანი, უფრო სწორად, ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

— კი ბატონო, მეყოლება მხოლოდ ერთი და, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე მშობლების, ბებიების და ბაბუების, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრებისა და თანაკურსელების სახელები და გვარები?

— ნუ გედარდებათ, ბატონო აკადემიკოსო, მაგის ნუ გედარდებათ. ჩვენ ყველაფერი გათვლილი და გათვალისწინებული გვაქვს, — მთავარი ექიმის კილოს მხიარული ტონი შეეპარა. უკვე გრძნობდა, დავით გიორგაძის თანხმობა შორს აღარ იყო. — ოპერაციის შემდეგ თანმიმდევრულად ჩაგიტარებთ სათანადო კონსულტაციებს. თავის ტვინის ტრავმის შემდეგ, მედიცინამ იცის ბევრი მაგალითი, რომ კაცს [illegible]ება, გონება დაუბრუნდება, მაგრამ სრულიად აღარ ახსოვს წარსული. თქვენ ყველასთან თავაზიანი იქნებით, მაგრამ მწუხარე სახით იტყვით, რომ არავინ და არაფერი აღარ გახსოვთ. თავს რატომ იქნევთ, არა გჯერათ?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ. ჩემის აზრით, ძალზე უხერხული სიტუაცია შეიქმნება. აღარ მახსოვს და, ნაცნობ-მეგობრები, საკუთარი სახლი. სამაგიეროდ კარგად მახსოვს ასტროფიზიკა, უამრავი მეცნიერული პრობლემა და უცხო ენები, რაც რამაზ კორინთელმა არასდროს არ იცოდა. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ძალიან კარგად ვუკრავ პიანინოზე. ალბათ, იცით, ჩემი მშობლები მუსიკოსები იყვნენ. მამა სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. გულით სურდათ, მუსიკოსი გამოვსულიყავი. ათწლედიც დამამთავრებინეს. მე მაინც ფიზიკისკენ გამიწია გულმა. თუმცა მუსიკას ვერ შეველიე. ჩემი დასვენებისა და განმუხტვის ერთადერთი საშუალება მუსიკაა. და აი, ოპერაციის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი და, ნათესავები და მეგობრები პიანინოსთან მიმჯდარს რომ დამინახავენ, განა უცნაური არ იქნება?

— ეგ ყველაზე იოლად გადასალახავ ბარიერი გახლავთ, ბატონო დავით, მთელი თვის მანძილზე, სანამ ყველა „თქვენიანს არ გაიხსენებთ", ნუ გამოამჟღავნებთ თქვენს განსაკუთრებულ განსწავლულობასა და ინტელექტს. შემდეგ თქვენც და ჩვენც შევქმნით ლეგენდას, რომ განსაკუთრებული მკურნალობის შედეგად თქვენმა გონებამ ათვისების საოცარი უნარი შეიძინა. ჩაუჯდებით ფიზიკას, ასტრონომიას და რამდენიმე თვეში ყველა დაიჯერებს, რომ თქვენმა ნიჭმა ახალი და საოცარი ძალით იფეთქა. ადამიანს უყვარს სენსაცია. უყვარს, როცა ირღვევა ყოველდღიური რუტინა. მერწმუნეთ, ისე დაიჯერებენ ყველაფერს, რომ თვითონვე გაგეცინებათ. ოცდახუთი წლის ასაკში

პირდაპირ დაიცავთ სადოქტოროს. თქვენი სახელი გაეხვევა დიდების საოცარ ბურუსში, გახდებით უპოპულარესი ადამიანი, ქალების კერპი...

„ქალების“, — მეორედ მოახერხა ჩაცინება დავით გიორგაძემ, თუმცა ამ ჩაცინებაში ირონიას საკმაოდ დიდი ნაკადით შეერია რაღაც შინაგანი სიამოვნების გრძნობაც, რაც, ალბათ, ქალთან იყო დაკავშირებული.

— დიახ, დიახ, თქვენი გიგანტური ნაბიჯები მეცნიერებაში თქვენს ირგვლივ შექმნის აჟიოტაჟსა და სენსაციურ ისტორიებს!

მთავარი ექიმი უცებ შეჩერდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— თანახმა ხართ?

— ვთქვათ, რამდენიმე წლის შემდეგ ოფიციალურად იქნა ნებადართული ტვინის გადანერგვის ოპერაცია, — აკადემიკოსმა პასუხს კვლავ თავი აარიდა, — მაშინ ხომ თქვენ გაამჟღავნებთ საიდუმლოს... მაშინ ხომ...

— მიგიხვდით, რისი თქმაც გინდათ. საშიში არაფერია. დიახ, მაშინ უკვე გამჟღავნებთ თქვენს ვინაობას. წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდება? აი, მაშინ გახდებით უნიკალური და უპოპულარესი ადამიანი, თქვენ, დავით გიორგაძე, რომლის ტვინიც პირველად გადანერგეს მთელ მსოფლიოში, სამუდამოდ შერჩებით ჩვენი პლანეტის დღევანდელი და მომავალი თაობების მახსოვრობას!

დავით გიორგაძე კვლავ ჭერს შესჩერებოდა.

— მაშ, თანახმა ხართ? — რატომღაც ჩუმად და შთაგონებით წარმოთქვა მთავარმა ექიმმა.

— განა ასე იოლია ამოდენა ამბის გადახარშვა და, მით უმეტეს, თანხმობის განცხადება?!

— დრო აღარა გვაქვს, ბატონო დავით, დრო! კი, ბატონო, იფიქრეთ, კიდევ იფიქრეთ. კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. პასუხი კი ამ საღამოს უნდა მითხრათ, უკიდურეს შემთხვევაში ხვალ, დილის ცხრა საათზე. გასაგებია?

დუმილი.

— გასაგებია? — გაღიზიანებულმა გაიმეორა მთავარმა ექიმმა.

— ნუ ბრაზობთ. პასუხს საღამოს მიიღებთ, დილამდე არაფერია საფიქრალი. ღამეს ფიქრში ვერ გავტეხავ, მინდა კარგად გამოვიძინო.

— ძალიან კარგი. მომწონს თქვენი სიმშვიდე. იუმორის გრძნობას კი არასდროს კარგავთ. ეს თქვენი ხასიათის სიმტკიცესა და სიმამაცეზე მიგვითითებს! — უცებ გამოუკეთდა გუნება მთავარ ექიმს, — და კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი. ოპერაციის თაობაზე საბუთებისა და მოვლენების დაწვრილებით აღნუსხვას დღეიდან ვიწყებთ, უფრო სწორად, იმ წუთიდან დაიწყო, როცა მე თქვენთან შემოვედი. მთელი ჩვენი დიალოგი მაგნიტოფონის ფირზეა აღბეჭდილი. იგი ხუთ ეგზემპლარად გამრავლდება და ხუთ სხვადასხვა ადგილზე შეინახება მანამ, სანამ საშუალება არ მოგვეცემა საიდუმლოს გამჟღავნებისა.

— მომწონს თქვენი გამჭრიახობა და ოპერატიულობა. მჯერა, ოპერაცია წარმატებით ჩაივლის.

— გმადლობთ, ბატონო დავით, თქვენი რწმენა კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს რწმენაა. დღევანდელი დღიდან თქვენ ისტორიული პიროვნება ხდებით, თქვენი სახელი ეცოდინება პლანეტის ყველა მოქალაქეს. ნუ გეწყინებათ და, ტვინის გადანერგვა თქვენ უფრო დიდ სახელს მოგიტანთ, ვიდრე თქვენი ასტროფიზიკური აღმოჩენები და თეორიები.

— სახელის მაძიებელი არასდროს ვყოფილვარ. მე, უბრალოდ, მიზიდავს ის საოცარი, გაუგონარი ფერისცვალება, ტვინის გადანერგვას რომ მოჰყვება. მიზიდავს ისევ და ისევ მეცნიერული თვალსაზრისით.

— სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდი. ხომ ხედავთ, არჩევანშიც არ შევმ-

ცდარვარ. კარგად ბრძანდებოდეთ. საღამოს ცხრა საათზე გეახლებით. მე მჯერა თქვენი. წინასწარ ვიცი, რომ თანხმობას განაცხადებთ.

დავით გიორგაძემ თვალები დახუჭა. მარტო დარჩენის სურვილი მოეძალა. არაფერზე აღარ ფიქრობდა. ელოდა, როდის მიწყდებოდა ექიმის ფეხის ხმა. რკინის მძიმე კარი ჯერ ზუზუნით გაიღო, შემდეგ კვლავ დაიხურა.

აკადემიკოსმა თავისუფლად ამოისუნთქა, დიდი გაჭირვებით მხარი იცვალა. ეტყობა, დღემდე გაუგონარმა და უცნაურმა დიალოგმა ძალზე გადაღალა. ძილმა უმალვე დარია ხელი.

●

ზურაბ თორაძე საწერ მაგიდასთან იჯდა სავარძელში. ჩვეულებისამებრ, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა და თავი ხელებში ჩაერგო. იქვე ისხდნენ მისი ერთგული მეგობრები და კოლეგები, ამ საიდუმლო ოპერაციის მომავალი მონაწილენი, ორი კაცი და ორი ქალი. ოთხივენი დაძაბული შესჩერებოდნენ მთავარ ექიმს. მაგნიტოფირზე ჩაწერისას მათ ერთი სიტყვაც კი არ გამორჩენიათ მოლაპარაკებისა. როცა ზურაბ თორაძე კაბინეტში გამოვიდა, ყველას უნდოდა მივარდნოდა, თითქმის საბოლოო წერტილამდე მიყვანილი გამარჯვება მიელოცა, მაგრამ მთავარ ექიმს ისეთი დაღლილი, მოქანცული სახე ჰქონდა, თვალები ისე ჩაცვივნოდა, ხმის ამოღება ვეღარ გაბედეს. არც შემცდარან. ზურაბ თორაძემ აკადემიკოსთან საუბრისას ყოველ ფრაზაში, ყოველ სიტყვაში იმდენი ენერგია, სულიერი დაძაბულობა და ემოცია ჩაქსოვა, რომ მხოლოდ კაბინეტში გამოსვლისას იგრძნო, როგორ დაიცალა და გამოიფიტა. დუღილისაგან ამომშრალი ჩაიდანივით მთელი სხეული საშინლად უხურდა. ასე იყო კარგა ხანს, სიგარეტიც კი არ გახსენებია.

ექიმები გაშეშებულებივით ისხდნენ სკამებზე. განძრევას ვერ ბედავდნენ.

ზურაბ თორაძეს თითქოს დაავიწყდა მათი არსებობა. თვითონაც არ ინძრეოდა, ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, დაძაბული გონება ცოტა დაესვენებინა.

უცებ ტელეფონმა დარეკა. ოთხმა წყვილმა თვალმა ტყვიასავით გახვრიტა ტელეფონის თეთრი აპარატი. მხოლოდ მთავარი ექიმი არ განძრეულა.

ექიმები დაიბნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, აეღოთ ყურმილი და მთავარი ექიმისათვის მიეწოდებინათ თუ თვითონვე გაეცათ პასუხი. ან იქნებ სულაც სჯობდა, ყურმილი გვერდზე გადაედოთ.

ზარი კი წკრიალებდა და წკრიალებდა. ყოველი მისი გაწკრიალება მთავარი ექიმის კაბინეტში მყოფთ უსიამო ჟრჟოლას ჰგვრიდა.

როგორც იქნა, დადუმდა ტელეფონი.

გავიდა კიდევ ორი წუთი, დაძაბული და დუმილით გამძაფრებული ორი წუთი.

— გია! — წარმოთქვა უცებ მთავარმა ექიმმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

— გისმენთ, ბატონო ზურაბ!

— აკადემიკოსს თქვენი პასუხისმგებლობით მიხედავენ. დღეიდან ყველას, მის მეუღლესაც კი ეკრძალება პალატაში შესვლა. მეუღლე და ახლო მეგობრები რომ არ დავაფრთხოთ, მიზეზი შედარებით უბრალო უნდა იყოს. ვთქვათ, წნევის მომატება.

— გასაგებია, ბატონო ზურაბ.

—დღეს საღამოს შვიდი საათისათვის ყველანი ჩემს კაბინეტში იყავით. ალბათ, მიხვდით, ვინ ყველანი.

ექიმები თავების დაქნევით დაეთანხმნენ.

— წრთობა და ფსიქოლოგიური მომზადება არ გაკლიათ, მაგრამ დღეიდანვე განეწყვეთ ოპერაციისათვის. თქვენ, ალბათ, ყველამ მოისმინეთ ჩვენი ლაპარაკი. მტკიცედ მჯერა, დღეს, საღამოს ცხრა საათზე, დავით გიორგაძე ოპერაციაზე თანხმობას განაცხადებს. დიადი ნაბიჯის გადადგმამდე ორიოდე დღეღა დაგვრჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა ექიმმა თავი ასწია და თანამზრახველები შეათვალიერა.

— ხომ არ შეშინდით?

— პირიქით, ბატონო ზურაბ! — თქვა გიამ.

დანარჩენებმა პასუხი ღიმილით გამოხატეს.

— აბა, გთხოვთ მიბრძანდეთ და ცოტა ხანს მარტო დამტოვოთ!

ყველანი წამოიშალნენ და მთავარი ექიმის კაბინეტიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

ზურაბ თორაძემ სამართავ პულტს დახედა და მწვანე ღილაკი მონახა. კედელი ნელ-ნელა, ყურისათვის ოდნავ გასაგონი შრიალით გაიხსნა. მთავარმა ექიმმა სინათლე გამორთო და ტელეეკრანებს თვალი შეავლო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ელოდა. წინასწარ იცოდა, იმ დაძაბული საუბრის შემდეგ ავადმყოფი გარკვეულ ნერვულ დატვირთვას მიიღებდა, რაც არსებით ცვლილებებში არ გადაიზრდებოდა. მთავარი ექიმის ვარაუდი გამართლდა, დავით გიორგაძემ შედარებით იოლად გადაიტანა დიდი ემოციური და ფსიქოლოგიური ვნებათაღელვა.

ზურაბ თორაძემ აპარატურა გამორთო და საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. აკადემიკოსის საბოლოო პასუხამდე ათი საათი რჩებოდა.

თავი მესამე

— ბედნიერი ხართ? — ჰკითხა მოულოდნელად აკადემიკოსს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

— ჩემი ბედნიერება-უბედურების ამბავი ვითომ ძალზე აინტერესებს ქართველ მკითხველს? — გაიღიმა დავით გიორგაძემ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებს. — ქალიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, — როცა პიროვნება პოპულარულია, მისი ცხოვრების შტრიხები, ცალკეული დეტალები და ნიუანსები უფრო სრულყოფილს ხდიან მეცნიერის შემოქმედებით პორტრეტს.

აკადემიკოსმა ყურადღებით შეხედა კორესპონდენტს, უნდოდა გამოეცნო მაღალფარდოვნად წარმოთქმული ფრაზა ახლა მომწიფდა ქალიშვილის გონებაში თუ უნივერსიტეტში ნასწავლი და გაზეპირებული წინადადება ამოხტა მისი ტვინიდან.

კორესპონდენტმა კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა და დავით გიორგაძეს ყურადღებით შეხედა.

— მე მგონი, ბედნიერი ვარ. ალბათ იმიტომ, რომ უბედური არასდროს ვყოფილვარ, გულწრფელად რომ გითხრათ, მსგავს პრობლემებზე არასდროს მიფიქრია. ალბათ, არ მეცალა და იმიტომ. ან ვინ იცის, იქნებ ფილოსოფიური თვალთახედვით არ ვუყურებ ცხოვრებას და არ ვაანალიზებ განვლილ წლებს. რასაკვირველია, ბედნიერი ვარ. მაქვს კარგი ლაბორატორია და მუშაობისათვის საუკეთესო პირობები. ბევრი, ძალიან ბევრი სიხარული მომანიჭა ჩემმა გამოკვლევებმა, ალმოჩენებმა. მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?

დავით გიორგაძემ თვალი დახუჭა.

„მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?“

„მეტი რა უნდა...“

ვერა და ვერ მოიშორა აკვიატებული ფრაზა. ველარც იმ კორესპონდენტი ქალიშვილის სახე ამოიგდო გონებიდან, ამ ექვსი თვის წინ რომ ესტუმრა ინტერვიუს ჩამოსართმევად.

„მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?“

„ბევრი რამ უნდა თურმე, ბევრი რამ“.

„სად არის ახლა ჩემი შვილი? სად იმალება? იქნებ დაიჭირა კიდეც მილიციამ და მე არ მიმხელენ?“

„რა ბედნიერი იყო ჩემი მეუღლე, ჩემი ანა. რა მადლობას სწირავდა

ბურამ ფანჯიკიძე
სპირალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს სიკეთისათვის, მფარველობისათვის. ახლა კი... დინამიტით აფეთქებულ კლდესავით ხევში ჩაიშალა მთელი მისი ცხოვრება. დაკარგა ერთადერთი ვაჟიშვილი დათო, დაკარგა მეუღლე".

„მე, ბევრი-ბევრი, კიდევ სამი-ოთხი თვე ვიცოცხლო. ტვინის გადანერგვის ოპერაციამ წარმატებითაც რომ ჩაიაროს, მაინც სამუდამოდ ვარ დაკარგული მეუღლისათვის".

„დათო ხომ ცოცხალია? თუ ცოცხალია და დაიჭირეს, შეიძლება ექვსი ან შვიდი წელი მიუსაჯონ. იქნებ ნაკლებიც. ან იქნებ ადრეც გამოვიდეს ციხიდან. ის მაინც ეყოლება ანას".

„საბრალო ქალი!" — აკადემიკოსმა მწარედ ამოიოხრა.

„მაინც რა ხუხულასავით დაინგრა ჩემი ცხოვრება!"

ყოველი მხრიდან წამოშლილ ფიქრებს შეებრძოლა. ცდილობდა გათიშულიყო, გონება დაესვენებინა, ძალა მოეკრიბა.

თითქოს შესძლო კიდეც. თითქოს სადღაც გადაიკარგნენ ყოველი მხრიდან ამოსვეტილი შავი კითხვის ნიშნები.

„ერთი მხრივ კარგია მარტოობა, ფიქრს და ოცნებას არავინ გიშლის!" — გაიფიქრა აკადემიკოსმა.

„ვარ კი მარტო?" — გულში მწარედ ჩაიცინა. იცოდა, მისი გული, ფილტვი, ძარღვი და, ღმერთმა იცის, კიდევ რა ორგანო, ურთულეს აპარატურასთან იყო შეერთებული. ამ აპარატურის ეკრანები კი სხვადასხვა ოთახში ციმციმებდნენ. ხშირად ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს დანაკუწებული და აქნილი მისი სხეული ერთდროულად რამდენიმე ოთახში იყო დანაწილებული.

ერთადერთი რამ, რაც ჯერჯერობით მონიტორის ეკრანზე არ გამოისახებოდა, მისი აზრები იყო, აზრები, რომლებსაც ახლა თვითონვე გაურბოდა.

ფიქრი საერთოდ უყვარდა აკადემიკოსს. უყვარდა სრულიად ბუნებრივი მიზეზების გამო. იგი ფიქრში ეჭიდებოდა ურთულეს პრობლემებს, ფიქრშივე პოულობდა მათი გადაჭრის ურთულეს გზებს. ინფარქტის შემდეგ უჩვეულო რამ დასჩემდა. თვალნათლივ ხედავდა, რასაც ფიქრობდა. თვით ფიქრს ხედავდა. როცა აბსტრაქტულ, უსხეულო საგნებზე ფიქრობდა, ამ უსხეულო საგნებსაც კი ხედავდა. რანაირი იყვნენ ეს უსხეულო საგნები? ალბათ, ვერ იტყოდა და ვერც აღწერდა, მაგრამ ფიქრის პროცესში ნამდვილად ხედავდა.

ახლა კი მთელი არსებით ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. აღარც უპატრონოდ მიტოვებულ მეუღლეზე, აღარც უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილზე, მილიცია რომ დაეძებდა. უნდოდა გათიშულიყო. უნდოდა რამდენიმე წუთით მაინც გაეჩერებინა ის ტელეტაიპი, ტვინში რომ გამუდმებით მუშაობდა და უთავბოლო, უსისტემო ფიქრების უწყვეტ ნაკადს უხილავ ფირზე რომ აღბეჭდავდა.

მხოლოდ ორიოდე წუთს შესძლო, ელექტროქსელიდან გამოთიშულ მანქანას დამსგავსებოდა. მხოლოდ ორიოდე წუთს გაეთიშა სამყაროს. მერე ვიღაცის უხილავმა ხელმა ისევ ჩართო ელექტროქსელში, ისევ დატრიალდა აკადემიკოსის ტვინში კბილანა ბორბლების ურთულესი სისტემა. სადღაც ისევ იფეთქა ვულკანმა, ლავასავით ისევ ამოიფრქვა უთვალავი შავი კითხვის ნიშანი. ისინი ჯერ ისე გაიშალნენ, საზეიმო სალუტის დროს ცაში ერთ კონად ატყორცნილი მაშხალები რომ იშლებიან ხოლმე. შემდეგ კი დამსხვილებულები და დამძიმებულები ბომბებივით დაეშვნენ დაბლა.

შეშინებულმა დავით გიორგაძემ თვალები ისე მაგრად დახუჭა, ლამის ქუთუთოები შეაწება ერთმანეთს. აღარ უნდოდა დაენახა, მილიონი კითხვის ნიშანი მილიონი ბომბივით რომ მოისწრაფოდა მისკენ.

უცებ მიხვდა, მოჩვენება და კოშმარი რომ გამქრალიყო, თვალი უნდა გაეხილა.

პალატაში ფუტკრის სკასავით ძველებურად ზუზუნებდა ელექტროაპარატურა. იქაურობას ოდნავ ანათებდა აპარა-

ტურის მწვანედ და წითლად მოციმციმე რამდენიმე პატარა ნათურა.

ოდნავ დამშვიდდა. მარჯვენა ხელით დანამული შუბლი მოიწმინდა და მწარედ ამოიოხრა.

„ბედნიერი ხართ?“ — მოულოდნელად კვლავ ჩაესმა ყურში ახალგაზრდა კორესპონდენტის ნაცნობი ხმა.

●

— ბედნიერი ხართ? — ჰკითხა მოულოდნელად აკადემიკოსს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

აკადემიკოსის გონებაში ვიდეოფირი კვლავ თავიდან დატრიალდა.

—ჩემი ბედნიერება-უბედურების საკითხი ვითომ ძალზე აინტერესებს ქართველ მკითხველს? — გაეღიმა დავით გიორგაძეს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებს, — ქალიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, — როცა პიროვნება პოპულარულია, მისი ცხოვრების შტრიხები, ცალკეული დეტალები და ნიუანსები უფრო სრულყოფილს ხდიან მეცნიერის შემოქმედებით პორტრეტს.

აკადემიკოსმა ყურადღებით შეხედა კორესპონდენტს, უნდოდა გამოეცნო მაღალფარდოვნად წარმოთქმული ფრაზა ახლა მომწიფდა ქალიშვილის გონებაში თუ უნივერსიტეტში ნასწავლი და გაზეპირებული წინადადება ამოხტა მისი ტვინიდან.

კორესპონდენტმა კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა და დავით გიორგაძეს ყურადღებით შეხედა.

— მე მგონი, ბედნიერი ვარ. ალბათ, იმიტომ, რომ უბედური არასდროს ვყოფილვარ. გულწრფელად რომ გითხრათ, მსგავს პრობლემებზე არასდროს მიფიქრია. ალბათ, არ მეცალა და იმიტომ. ან ვინ იცის, იქნებ ფილოსოფიური თვალთახედვით არ ვუყურებ ცხოვრებას და არც ვაანალიზებ განვლილ წლებს. რასაკვირველია, ბედნიერი ვარ. მაქვს კარგი ლაბორატორია და მუშაობისათვის საუკეთესო პირობები. ბევრი, ძალიან ბევრი სიხარული მომანიჭა ჩემმა გამოკვლევებმა, აღმოჩენებმა. მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?

— თქვენი უკანასკნელი დიდი მეცნიერული გამარჯვება ათი წლით უკან გვაბრუნებს. შემდგომ აკადემიკოს დავით გიორგაძისათვის ნაყოფიერი, მაგრამ მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობის წყნარი პერიოდი დადგა. თუ ჩემს მიერ შემოთავაზებული ტერმინი ხელოვნური არ მოგეჩვენებათ, აფეთქებას ადგილი აღარ ჰქონია. დიდმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, თქვენ ხომ უზარმაზარი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებით, და, მომიტევეთ უტაქტობისათვის, თქვენმა ასაკმა ხომ არ განაპირობა მეცნიერული სიწყნარის ათი წელიწადი?

დავით გიორგაძეს გაეღიმა, თვალი მაგიდას დაასო და ჩაფიქრდა.

კორესპონდენტ ქალიშვილს ამაყი გამოხედვა ჰქონდა. თვითონვე მოსწონდა დასმული შეკითხვა. საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი მძიმედ დააფიქრა. პროფესიული ღირსებით აღვსილი ქალიშვილი მოთმინებით ელოდა აკადემიკოსის პასუხს.

— პირიქით... რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, პირიქით მოხდა ყველაფერი. ჩემი უმთავრესი თეორიული გაანგარიშება და შემდგომ მისი ექსპერიმენტული დადასტურება სწორედ ახლა განხორციელდა, წლევანდელ წელს, უფრო ზუსტად, წელს შევძელი იმ თეორიის დადასტურება, რომელსაც ბოლო ხუთი წელია ვუტრიალებ.

დავით გიორგაძე წამოდგა, დაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა, მერე ისევ დაჯდა და თვალი ქალიშვილს გაუსწორა.

— ერთ რამეში მართალი ბრძანდებით. აი, ახლა, თქვენი შეკითხვის შემდეგ, გონებაში წამიერად თვალი გადავავლე ყველა დიდ აღმოჩენათა ისტორიას. რევოლუციური თეორიებისა და ექსპერიმენტების ავტორები თითქმის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. გამონაკლისი, ალბათ, ყოველთვის იყო და იქნება. მე თავს არ ვუტოლებ მსოფლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს ᲣᲓᲘᲓᲔᲡ მეცნიერებს. უბრალოდ, ჩემს თავზე მოგახსენებთ. უკანასკნელი გამოკვლევა, რომელსაც, ალბათ, სულ მალე გამოვაქვეყნებ, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულებისა იქნება ჩემს ცხოვრებაში. და, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, არა მარტო ჩემს ცხოვრებაში.

— სიამოვნებით მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები. წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას და ვიტოვებ იმედს, რომ ორიოდე სიტყვით გაესაუბრებით მკითხველებს თქვენი ახალი აღმოჩენის თაობაზე.

— რომელი გაზეთიდან ბრძანდებით? — ჰკითხა უცებ აკადემიკოსმა.

— ახალი ამბების სააგენტოდან გახლავართ.

— აჰა! მაშასადამე, თქვენი წერილი სულ სხვადასხვა ხასიათის გაზეთებში დაიბეჭდება, არა?

— დიახ. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

— მერჩია, რომელიმე კონკრეტული გაზეთიდან ყოფილიყავით. გაზეთის თავისებურებებიდან და მკითხველიდან გამომდინარე, ვიცი ხოლმე, სათქმელი რა ჩარჩოებში და რა სიღრმით ჩამოვაყალიბო. ახლა რაღაც საშუალო უნდა გამოვნახო, არა?

— ნუ შეიზღუდებით. ყველა წერილს თავისი მკითხველი ჰყავს! — დაამშვიდა ღიმილით კორესპონდენტმა.

— კეთილი, მაშინ გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ!

აკადემიკოსი დაფიქრდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ქალიშვილი ჩასაწერად მოემზადა, მაგრამ დავით გიორგაძე არ ჩქარობდა. იქნებ მეცნიერი გონებაში მოკლედ აყალიბებდა სათქმელს? არა, იგი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. თავდაპირველად კორესპონდენტი ძალიან მოეწონა. თანდათანობით მიხვდა, რომ ქალიშვილი არც ისეთი ლამაზი იყო, თავიდან რომ მოეჩვენა. ეტყობა, მისი გამოხედვა, ვარცხნილობა, ჩაცმულობა და მანერა მხოლოდ წუთიერად ახდენდა ეფექტს.

„ვაითუ მისი ცოდნა და ჟურნალისტური ალღოც ასეთივე წუთიერია? რა დონეზე, რა სიღრმეზე უნდა ვესაუბრო ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს და, საერთოდ, კორესპონდენტებს, ერთ თარგზე მოჭრილივით რომ ჰგვანან ერთმანეთს?“

— იცით, რისი მეშინია? — თქვა უცებ დავით გიორგაძემ.

გაოცებულმა ქალიშვილმა თავი ასწია და მეცნიერს შეხედა.

— მოდით, ერთ საკითხზე შევთანხმდეთ. როცა წერილს დაწერთ, აუცილებლად წამაკითხეთ. მეშინია, რაიმე მეცნიერული უზუსტობა არ გაგვეპაროს.

„გაგვეპაროს“, — ქალიშვილს მოეწონა მოხუცი მეცნიერის ტაქტიანობა.

— აუცილებლად წაგაკითხებთ, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც მოგართმევთ!

— კეთილი და პატიოსანი! მაშ, დავიწყოთ. ჩემს მიერ ექსპერიმენტით დადასტურებული თეორიული მოსაზრებანი უკვე დაწერილია და სეიფში დევს. მხოლოდ წვრილმანი საქმეებია დარჩა მოსაგვარებელი. ვფიქრობ, შემოდგომაზე ანგარიშით წარვსდგები აკადემიაში და ნაშრომსაც გამოვაქვეყნებ.

— ეტყობა, ბედი მქონია. მე მხვდა წილად ბედნიერება, თქვენი გამოკვლევის თაობაზე პირველი ვესაუბრო მკითხველს.

— მიჭირს საგაზეთო ვარიანტის ჩამოყალიბება. თუმცა შევეცდები ყველაზე იოლი ფორმებით დავხატო აღმოჩენის არსი.

აკადემიკოსმა ისევ მაგიდას გაუშტერა თვალი. კორესპონდენტმა შენიშნა, მეცნიერს საფეთქლებზე ძარღვები როგორ დაებერა.

— 1826 წელს აღმოჩენილ იქნა რადიოაქტიურობა. რა არის რადიოაქტიურობა? მოგეხსენებათ, ყოველ შემთხვევაში, იმ მკითხველებს მოეხსენებათ, რომლებიც ასეთი ინფორმაციებით არიან დაინტერესებულნი, რომ ატომგულს ახასიათებს დაშლა, რაც გამოწვეულია მისი არამდგრადობით. სხვათა შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ქიმიური ელემენტების ამჟამად ცნობილი ორი ათასი იზოტოპიდან მხოლოდ სამასია მდგრადი. დანარჩენები უკლებლივ რადიოაქტიურნი არიან. აქამდე, ესე იგი დღევანდელ დღემდე, ცნობილია ოთხი სახის გამოსხივება: ალფა-დაშლა, ბეტა-დაშლა და სპონტანური დაყოფა. მეოთხე ტიპის დაშლა ჯერ კიდევ რეზერფორდის დროიდან ივარაუდეს. ეს იყო პროტონური რადიოაქტიურობა.

დავით გიორგაძემ თავი ასწია, სავარძლის საზურგეს მიაწვა და კორესპონდენტს ასაკისათვის უჩვეულოდ ცეცხლოვანი თვალები მიანათა.

— მე ვივარაუდე მეხუთე ტიპის რადიოაქტიური გამოსხივება. ბუნებრივია, ჯერ თეორიულად. მას შემდეგ გავიდა ხუთი წელი, დაძაბული შრომით აღსავსე ხუთი წელი! პრობლემის ექსპერიმენტით დასადასტურებლად თითქმის ყოველდღე ვმუშაობდი. ჩემს ტვინში სხვა პრობლემისათვის პატარა კუნჭულიც კი არსად დარჩა. თქვენ რომ წეღან ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული მუშაობა ახსენეთ, აი, ასეთი მუშაობის დროსაც კი მხოლოდ გამოსხივების ახალ, მეხუთე ტიპზე ვფიქრობდი.

— ექსპერიმენტმა დაადასტურა თქვენი თეორიის სიმართლე? — მოულოდნელად ჩაეჭრა ქალიშვილი.

გაოცებულმა დავითმა ყურადღებით ჩახედა შეღებილ თვალებში.

— მე მგონი, წეღან უკვე მოგახსენეთ, რომ ექსპერიმენტმა დაადასტურა თეორიული მოსაზრებანი და ნაშრომი სეიფში დევს-მეთქი დაწერილი...

— უკაცრავად, ეტყობა, სათქმელი ვერ ჩამოვაყალიბე, რა ტიპის გამოსხივებაა თქვენს მიერ აღმოჩენილი რადიოაქტიურობა?

მეცნიერის ანთებული თვალები, თითქოს ტრანსფორმატორს დაუწიესო, ნელ-ნელა ჩაქრა.

— რომელი ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული?

— ფილოლოგიური. ჟურნალისტიკის განხრით. — დაამატა მცირე პაუზის შემდეგ.

— მე რომ მეხუთე ტიპის რადიოაქტიური გამოსხივება აგიხსნათ, არ ვიცი, რამდენად ჩასწვდებით მის ფიზიკურ ბუნებას.

— ჟურნალისტები ყველაფერს თავისებურად ვწვდებით, — გაეღიმა კორესპონდენტს, — ვწერთ ფარდობითობის თეორიაზე და არ ვიცით, რა არის ფარდობითობის თეორია, ვწერთ კვანტურ ფიზიკაზე და არ ვიცით, რა არის კვანტი. ასე რომ, სულ თავისუფლად შემიძლია დავწერო მეხუთე ტიპის რადიოაქტიურ გამოსხივებაზე და საერთოდ არ მეცოდინება, რა არის რადიოაქტიურობა.

— მომწონს თქვენი გულახდილობა. გარდა ამისა, იქნებ ჯერჯერობით ჯობია კიდეც, თავი შევიკავოთ ჩვენი დღევანდელი ინტერვიუს გამოქვეყნებისაგან. სანამ გამოკვლევას დასრულებული, საბოლოო სახით არ წარვადგენ და აკადემიაში მოხსენებას არ გავაკეთებ, არ ღირს აჟიოტაჟის ატეხვა. ტრაბახა კაცი არ გახლავართ, მაგრამ ამოდენა აღმოჩენის საგაზეთო ინფორმაციის სახით გამოქვეყნება პრობლემის გაუბრალოება მგონია.

ქალიშვილმა წყენა ვეღარ დამალა.

— მაშ, ხელცარიელს მიშვებთ? ეტყობა, რაღაც გაწყენინეთ.

— არაფერი, ქალიშვილო, უბრალოდ, მივხვდი, რომ არ ღირს მარტივი ინფორმაციის გამოქვეყნება.

კორესპონდენტმა ჯიბის წიგნაკი და კალმისტარი ჩანთაში ჩადო.

— კიდევ გთხოვთ, ნუ მიწყენთ! — ნამდვილად შეწუხდა აკადემიკოსი.

— არ გიწყენთ, თუ ერთ პირობას მომცემთ. — გაიღიმა ქალიშვილმა.

— გისმენთ.

— გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ პირველი ინტერვიუ მე უნდა ჩამოგართვათ.

— პირობას გაძლევთ! — თავისუფლად ამოისუნთქა დავით გიორგაძემ.

ქალიშვილი ფეხზე წამოდგა, თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდენილად მოიქნია და შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან მოისროლა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! იმედი მაქვს, სიტყვას არ გატეხთ!

— კარგად ბრძანდებოდეთ!

დავით გიორგაძე ქალიშვილს წინ გაუძღვა. ქალიშვილი უკან მიჰყვა. გააოცა აკადემიკოსის დუნე მიხრა-მოხრამ, გამხდარმა, დასუსტებულმა სხეულმა მიხვდა, როცა დავით გიორგაძეს წინიდან, სახეში შესცქეროდა, მეცნიერის ენერგიული გამოხედვა და ცოცხალი თვალები ანეიტრალებდა, აქარწყლებდა ამ უძლურებას.

დავითმა კაბინეტის კარი გამოაღო და კორესპონდენტს ღიმილით უთხრა.

— იმედი მაქვს, უკვე გაგიარათ წყენამ.

— რა მეტი გზა მაქვს! — გაიღიმა ქალიშვილმა, — მომავალ შეხვედრამდე!

აკადემიკოსმა თვალი მანამ გააყოლა ქალიშვილს, სანამ მისაღების კარი არ გაიხურა. მდივანი ქალი ფეხზე წამოდგა, თითქოს რაღაც ბრძანებას ელოდა. დავითის სახეზე ღიმილი ნელ-ნელა წაიშალა. აკადემიკოსმა კარი მიხურა, მაგიდასთან მივიდა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

გონებაში ისევ ამოტივტივდა კორესპონდენტის შეკითხვა: „ბედნიერი ხართ?“

რა საოცარია, არასდროს არ უფიქრია ამ თემაზე. თავისი პასუხიც გაიხსენა, უბედურება არასდროს მიგრძვნია, ესე იგი, ბედნიერი ვარო, კვლავ მოეწონა ფორმულასავით ჩამოყალიბებული პასუხი. თავი კმაყოფილებით გაიქნია.

უცებ შეეშინდა. შეიძლება კი ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერი იყოს? ნუთუ ამ დაძაბულ და ნერვულ, ყოველდღიური ხიფათით აღსავსე ეპოქაში არიან გამონაკლისები?

ბოლოს და ბოლოს, რა არის ბედნიერება?

მოხუცი აკადემიკოსი საკუთარ ბედნიერებას მხოლოდ მეცნიერულ მუშაობაში ხედავდა, ბედნიერიც, ალბათ, იმიტომ იყო — უზარმაზარი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ხომ არც სამუშაო პირობები აკლდა და არც მეცნიერული ალღო, არც აღმოჩენათა სიხარული, არც სახელი და აღიარება.

ორმოცდახუთი წლისა იყო, ოჯახს რომ მოეკიდა. ანას მაშინ ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. მანამდე აღარც თვითონ ანას სჯეროდა, რომ გათხოვდებოდა, და აღარც დავით გიორგაძეს, რომ ოდესმე ცოლს მოიყვანდა. მათი დაქორწინება სრულიად მოულოდნელად მოხდა.

ერთმანეთს დიდი ხანია იცნობდნენ. ანას თითქოს გულის სიღრმეში მოსწონდა კიდეც დავითი, თუმცა არასდროს არ უფიქრია მისი ცოლობა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ უკვე სახელოვანი მეცნიერი ცოლს აღარ შეირთავდა, რომ მას, უბრალოდ, ოჯახისათვის აღარ ეცალა.

ერთხელ, მეგობრის ოჯახში სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ძველი ნაცნობები მაგიდასთან ერთად დასხდნენ. წვეულების შემდეგ ანა დავითმა გააცილა. მანქანაში მეცნიერი ცუდად შეიქნა, თავბრუ დაეხვა და გული აუჩქარდა.

— რა დაგემართა? — შეშინდა ანა და მაჯაზე ხელი წაავლო. პულსი უჩვეულოდ სწრაფი ჰქონდა.

— ახლავე მოაბრუნე მანქანა, — თითქმის ბრძანებით მიმართა შოფერს, — ჯერ ბატონი დავითი მივიყვანოთ!

„ბატონი“ შოფრის გასაგონად უწოდა.

მეცნიერს წინააღმდეგობა არ გაუწევია. შოფერმა მანქანა შემოაბრუნა.

— რა დაგემართა? — გაუმეორა შეკითხვა ანამ.

— არაფერია, გადავიღალე, დღეს ძალზე რთული დღე მქონდა!

— მერე აქ რაღას მოდიოდი?

— უხერხული იყო, რომ არ მოვსულიყავი. ან კი რა ვიცოდი, თუ ცუდად გავხდებოდი. პირიქით, ვფიქრობდი, რომ დავისვენებდი, ცოტას განვიმუხტებოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი უცნაურმა სიამოვნებამ შეიპყრო, როცა ანას გრძელი თითები ჯერ მაჯაზე შემოესალტა, შემდეგ კი შუბლზე შეეხო.

— სიცხე არ უნდა გქონდეს, თუმცა მაჯა გაქვს ძალზე აჩქარებული.

— ყველაფერი გადაღლის ბრალია!

სადარბაზოსთან შოფერმა მანქანა ფრთხილად დაამუხრუჭა, თვითონ მკვირცხლად გადმოვიდა და დავითის კარი გამოაღო. გადმოსვლისას მეცნიერს ხელი შეაშველა. დავითმა ვერც იგრძნო, მეორე მხრიდან ანა გვერდში როგორ ამოუდგა.

— არც ერთის აცილება არ მინდა, მე თვითონ ავალ! — თქვა უცებ და შოფერს მიუბრუნდა, — ქალბატონი ანა წაიყვანე. ხვალ, ჩვეულებისამებრ, ცხრის ნახევარზე მოდი!

— ასე ვერ მიგატოვებ, ამოვალ, ვალერიანის წვეთებს დაგალევინებ და წავალ! — იუარა ანამ.

დავითმა ხმაზე შეატყო, ანას გადაწყვეტილებას ვერავინ შეაცვლევინებდა და დამორჩილდა. შოფერს კი ანიშნა, მანქანაში დარჩიო.

ანამ წიგნებით გაჭედილ ოთახებს მხოლოდ მაშინ შეავლო თვალი, დავითი რომ ლოგინში ჩააწვინა. საავადმყოფოს ექიმს უხერხულობა სულაც არ უგრძვნია, მარტოხელა კაცს რომ გახდაში ეხმარებოდა. იგი ახლა თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა.

დავით გიორგაძე სხვა დროს არავის, მით უმეტეს ქალს, არ დაანებებდა, ტანსაცმლის გახდაში რომ შეშველებოდა. ახლა ხმას არ იღებდა, ქალის ყველა მითითებას მორჩილად ასრულებდა. მეცნიერი უცებ მიხვდა, რომ ანას შეხება სიამოვნებდა, მისი მზრუნველობა თავბრუს ახვევდა.

ანამ სკამი მოიტანა და დავითის სასთუმალთან ჩამოჯდა.

— მგონი, უკეთ ხარ, არა?

— ახლა არა მიშავს რა, თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა.

— უბრალოდ, გადაიღალე. ჯობია, ხვალ თუ არ წახვალ სამსახურში.

დავით გიორგაძემ თვალი დახუჭა. პირველად იგრძნო თავისი მარტოობა. გული შეეკუმშა. ანა ფეხზე წამოდგა. მეცნიერს თვალი არ გაუხელია, მაგრამ მიხვდა, ქალი წასვლას აპირებდა.

— ანა! — წამოსცდა უნებურად ხმამაღლა.

— გისმენ! — ქალი გააოცა კაცის უცნაურმა ინტონაციამ. ადგილზე გაშეშდა და დავითს მიაჩერდა.

ოთახში დუმილი ჩამოწვა.

დავითი კვლავ თვალგაუხელავად იწვა.

— გისმენ, დავით! —თქვა წყნარად ანამ და საწოლთან მივიდა.

რა შვების მომგვრელი იყო ქალის ხმა, რა თბილი, რა ახლობელი!

— ანა! — თქვა ისევ დავითმა. თვალი კვლავ არ გაუხელია. ეშინოდა, ანას რომ შევხედავ, ვაითუ სათქმელს თავი ვერ მოვაბაო. ასე ერჩია. თითქოს სიბნელეს ელაპარაკებოდა. თვალდახუჭულს არავინ და არაფერი ხელს არ უშლიდა.

ქალს ხმა აღარ ამოუღია. დაიძაბა, რაღაცის მოლოდინით დაიმუხტა. რისი მოლოდინით? მერე გამოუტყდა თავის თავს. წინასწარ მიხვდა, დავითი რასაც ეტყოდა. თუმცა იმ წუთში ისე შეიპყრო რაღაც სასიამოვნო, მაგრამ ამოუცნობმა მოლოდინმა, განსჯისათვის აღარ ეცალა.

— ანა, დარჩი ჩემთან. დარჩი სამუდამოდ!

დავით გიორგაძე მიხვდა, რაკი გულმა ამ სიტყვების წარმოთქმას გაუძლო, აწი ვეღარაფერი შეაკავებდა, ერთბაშად დამშვიდდა, გულის ძგერის ხმაც თანდათან ისე მინელდა, აღარც კი ესმოდა.

ანა პასუხს აგვიანებდა.

დავითი მშვიდად იყო. რატომღაც სჯეროდა, ანა უარს არ ეტყოდა.

ქალი კვლავ სასთუმალთან ჩამოჯდა და დავითს ხელზე ხელი მოჰკიდა. დავით გიორგაძემ იგრძნო, როგორ თრთოდნენ ანას გრძელი თითები და თვალზე ცრემლი მოადგა.

ანა მორჩილი და მოყვარული მეუღ-

ლე გამოდგა. მეუღლეს თვალებში შესცინებდა, მისი წარმატებებით ამაყობდა. ცდილობდა, ყოველგვარი ოჯახური საქმისაგან გაეთავისუფლებინა, რომ დავითს მეცნიერულ საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა. მეცნიერულ კვლევაში გადავარდნილი კაცისათვის მეუღლეც და ერთ წელიწადში შეძენილი ვაჟიშვილიც მალე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უფრო სწორად, მეუღლეც და ერთადერთი ვაჟიშვილიც თავდავიწყებამდე უყვარდა, მაგრამ ცოლქმარს შორის თითქოს საქმე განაწილდა. ოჯახის პატრონობა და შვილის აღზრდა მთლიანად ანამ იკისრა. საავადმყოფოში მუშაობას თავი დაანება. ცდილობდა, მეუღლისათვის იდეალური პირობები და სიმყუდროვე შეექმნა. დავით გიორგაძემ არ იცოდა, რა იყო ოჯახური პრობლემები, არც ის იცოდა, ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმე, ოჯახს რომ სჭირდებოდა, რამოდენა შრომასა და გარჯას მოითხოვდა. საუზმე, სადილი, ვახშამი, აბაზანა, კაბინეტში მუშაობა და ძილი, აი, რა იყო მისთვის ოჯახი.

ერთხელ, მაშინ აკადემიკოსი უკვე სამოცდახუთს იყო გადაცილებული, შინ ადრე მოვიდა. ანამ კარი რომ გააღო, ელდა ეცა. ამდენი წლის მანძილზე დავით გიორგაძე არასდროს დაბრუნებულა შინ სამუშაო საათებში. მგონი გრიპმა დამრია ხელიო, დაამშვიდა აფორიაქებული მეუღლე დავითმა და ჰოლში შეაბიჯა.

ოთახებში ყველაფერი თავდაყირა იდგა. სკამები მაგიდებზე შემოეწყოთ, ფარდები ჩამოეხსნათ, სასადილო ოთახში დიდი ხალიჩა აეკეცათ. გაოცებული შეჩერდა. ოთახები მოათვალიერა. ერთბაშად ვერ მიხვდა, რატომ იყო სკამები მაგიდაზე, რატომ გამოეწიათ მოჩუქურთმებული სერვანტი, რატომ ჩამოეხსნათ ფარდები...

დიდი ოთახის შუაგულში ნაგავი მოეჭუჩებინათ. დავით გიორგაძე გაოცდა. აქამდე ვერ წარმოედგინა, თუ ბინაში ამდენი მტვერი და ნაგავი შეიძლებოდა ყოფილიყო. მეცნიერმა თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და კაბინეტში შევიდა. დიდი პორტფელი მაგიდაზე დადო, თვითონ სავარძელში ჩაეშვა. გუნება გაუფუჭდა. ანერვიულებული იცდიდა, სანამ ყველაფერი ძველებურ სახეს მიიღებდა. სოფლის დედაკაცივით თავწაკრული მეუღლეც აღიზიანებდა. მაშინ მიხვდა, ოჯახი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, არავითარი კორექტივი ამ ცხოვრებაში მას არ შეჰქონდა. თითქოს ახლაღა მოაგონდა, ერთი თვე მაინც იქნებოდა, ვაჟიშვილი არ ენახა. როცა თვითონ იღვიძებდა, დათოს ეძინა. როცა თვითონ იძინებდა, დათო მას შემდეგ ბრუნდებოდა შინ. დიდი ხანია, ვაჟიშვილი დედას აღარ ემორჩილებოდა. ანა იძულებული გახდა, ქმრისათვის შეეჩივლა, ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილი ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობს, სამაგიეროდ, ღამის სამ საათამდე, ხშირად გამთენიამდეც სად დაეხეტება, კაცმა არ იცისო. ცოლი თვითონაც გვიან მოიყვანა და, ალბათ, ამიტომაც, ანას ნათქვამს მაინცდამაინც არ აუღელვებია. დათო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა, შვილის ნიჭსა და უნარზე დიდი აზრისა არასდროს ყოფილა, მაგრამ ის კი სჯეროდა მტკიცედ, ჩემი ვაჟიშვილი ცუდ გზას არ დაადგებაო. უფრო სწორად, ვერც კი წარმოედგინა, ასეთი საშიშროება თუ ელოდა.

აი, ახლა, სავარძელში რომ იჯდა ჩაფიქრებული და გაღიზიანებული, თითქოს ერთბაშად მიხვდა, რომ ოჯახთან სულიერად არაფერი ჰქონდა საერთო. მეუღლე რომ მეუღლეა, ასე რომ უყვარდა და უმისოდ რომ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, მის სულშიც კი არასდროს ჩაუხედავს ღრმად. მეუღლეც და შვილიც გულით უყვარდა, ხოლო გონებით ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის საიდუმლოებებით აღსავსე სამყაროში ტრიალებდა. სიყვარულისა და ყურადღების გამოსახატავად მას არ ეცალა. არც მეუღლე აწუხებდა. პირიქით, ცდილობდა, ბევრი უსიამოვნო ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის ყურამდე არ მიეტანა. ხანდახან თუ წამოცდებოდა შვილზე საყვედური. გულს როგორც კი მოიოხებდა, უმალვე ნანობდა, მეუღლე რატომ ავაფორიაქეო. შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, დაწყებულ საუბარს აღარ აგრძელებდა. დავით გიორგაძეც უმალვე ივიწყებდა მეუღლის გულისტკივილს და კაბინეტში კვლავ წიგნებში ეფლობოდა.

აი, ახლაც, ოჯახური ამბებიდან ერთბაშად გადაერთო თავის მეცნიერულ საქმიანობაზე. სიამოვნების განცდა დაეუფლა. ოჯახზე ფიქრი მხრებიდან ჩამოიბერტყა და კვლავ ყოველდღიურ მეცნიერულ საზრუნავში ჩაეფლო: განდიდების მანია არასდროს ჰქონია. საკუთარი მეცნიერული აღმოჩენების პირველი და უტყუარი შემფასებელი თვითონ იყო. დავით გიორგაძემ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა თავისი მეცნიერული გამოკვლევების ზომა-წონა. ისიც მშვენივრად იცოდა, უკანასკნელი აღმოჩენა მთელ მსოფლიოში როგორ დაიქუხებდა.

„იქნებ დავკარგე ზომიერების გრძნობა?“

„იქნებ ამდენმა წარმატებებმა თავბრუ დამახვია და ვეღარ ვსაზღვრავ ჩემი ახალი გამოკვლევის მნიშვნელობას?“

არა, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მეცნიერის გონებაში დაიბადა აზრი, ატომგულიდან არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი პროტონის ან ორი ნეიტრონის გამოსხივებისა. თავდაპირველად შეშინდა კიდეც, იმდენად გაბედული ეჩვენა თავისი ჰიპოთეზა. ცდილობდა აღარ ეფიქრა ამ პრობლემაზე. ერთხელ და სამუდამოდ თავიდან ამოეგდო ატომგულიდან ერთდროულად ორი პროტონის ან ორი ნეიტრონის გამოსხივების შესაძლებლობა.

ვერ ამოიგდო.

თითქოს ყურში ვიღაც უხილავი არსება ჩასძახოდა, ნუ გეშინია, შენი მეცნიერული ალღო არც ამჯერად გღალატობსო.

შემდეგ ფიქრი, დღედაღამ ფიქრი.

გავიდა თვეები, წლები...

თეორიული ნაწილი ნელ-ნელა იხვეწებოდა. ათასობით ექსპერიმენტი იმედებით აღავსებდა, რომ სულ მალე საიდუმლოებას ფარდა აეხდებოდა. ატომგულის თვისებების ანალიზმა დაარწმუნა, რომ უნდა არსებობდეს მენდელეევის სისტემის წყვილი ელემენტების ათობით იზოტოპი, რომლებსაც უნარი ექნებათ ორპროტონიანი რადიოაქტიურობისა. ამ ელემენტების ატომგულები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ და გაცილებით იოლიც უნდა იყოს ერთდროულად გამოასხივონ ორი პროტონი, ვიდრე ისინი ერთმანეთს დააშორონ.

ხუთი წლისთავზე დადასტურდა დავით გიორგაძის თეორიული ვარაუდი. აკადემიკოსმა იცოდა, რადიოაქტიურობის ახალი, მეხუთე ტიპის აღმოჩენა ერთბაშად ჩააყენებდა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა რიგში.

უხაროდა თუ არა ამოდენა წარმატება?

რასაკვირველია, უხაროდა, თუმცა ამაყობდა, რომ სულსწრაფობა არ სჩვეოდა. დავით გიორგაძის ადგილზე სხვა, ალბათ, ქვეყანას შეჰყრიდა!

აკადემიკოსი არ ჩქარობდა. უნდოდა, ყველაფერი ჩამოეყალიბებინა, უწვრილმანესი დეტალები დაეზუსტებინა, მეცნიერული ნაშრომის სტილი რომ სტილია, ისიც კი უზადო უნდა ყოფილიყო.

სწორედ მაშინ, ყველაფერი რომ უკან იყო მოტოვებული, აკადემიკოსს გულმა უმტყუნა. დაწერილი და გადაბეჭდილი ნაშრომი, ათასობით ექსპერიმენტის აღმნუსხველი ფურცლები, დიაგრამები და ფირები გერმანული ფირმის უზარმაზარ და უძველეს სეიფში იყო მოთავსებული.

●

— ბედნიერი ხართ? — ჰკითხა მოულოდნელად აკადემიკოსს ახალგაზრდა კორესპონდენტმა.

მესამედ დატრიალდა გონებაში ვიდეოფირი.

— ჩემი ბედნიერება-უბედურების სა-

კითხი ვითომ ძალზე აინტერესებს ქართველ მკითხველს? — გაეღიმა დავით გიორგაძეს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, აინტერესებს, — ქალიშვილმა თმაზე ხელი გადაისვა, — როცა პიროვნება პოპულარულია, მისი ცხოვრების შტრიხები, ცალკეული დეტალები და ნიუანსები უფრო სრულყოფილს ხდიან მეცნიერის შემოქმედებით პორტრეტს.

აკადემიკოსმა ყურადღებით შეხედა კორესპონდენტს, უნდოდა გამოეცნო. მაღალფარდოვნად წარმოთქმული ფრაზა ახლა მომწიფდა ქალიშვილის გონებაში თუ უნივერსიტეტში ნასწავლი და გაზეპირებული წინადადება ამოხტა მისი ტვინიდან.

კორესპონდენტმა კალმისტარი ტუჩებთან მიიტანა და დავით გიორგაძეს ყურადღებით შეხედა.

— მე მგონი, ბედნიერი ვარ. ალბათ, იმიტომ, რომ უბედური არასდროს არ ვყოფილვარ. გულწრფელად რომ გითხრათ, მსგავს პრობლემებზე არასდროს მიფიქრია. ალბათ, არ მეცალა და იმიტომ. ან ვინ იცის, იქნებ ფილოსოფიური თვალთახედვით არ ვუყურებ ცხოვრებას და არც ვაანალიზებ განვლილ წლებს. რასაკვირველია, ბედნიერი ვარ. მაქვს კარგი ლაბორატორია და მუშაობისათვის საუკეთესო პირობები. ბევრი, ძალიან ბევრი სიხარული მომანიჭა ჩემმა გამოკვლევებმა, აღმოჩენებმა. მეტი რა უნდა მეცნიერ კაცს?

ღამის სამი საათი იყო, ზარმა რომ დარეკა:

დავით გიორგაძე მხოლოდ შეირხა ზარის ხმაზე. მიჩვეული იყო, ვაჟიშვილი ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. კარს, როგორც წესი, ანა აღებდა, რომელსაც აგერ უკვე თხუთმეტი წელი მარტოს ეძინა საწოლ ოთახში. აკადემიკოსი ძილს თავის კაბინეტში ამჯობინებდა საგანგებოდ შეძენილ ფართო დივანზე, საწერი მაგიდის გვერდით რომ იდგა ფანჯარასთან.

ანა ნელა წამოდგა, გრძელი ხალათი შემოიცვა, თვალები მუჭებით ამოსრისა და კარის გასაღებად გაემართა.

ზარი განმეორდა.

— მოვდივარ! — წყნარად თქვა ანამ.

კარი ისე გამოაღო, არც დაუნახავს, იქ ვინ იდგა. ისევ თვალებს ისრესდა და გვერდზე გამდგარი შვილის შემოსვლას ელოდა.

— უკაცრავად, ქალბატონო! — მოესმა უცებ უცნობი ხმა.

შემკრთალმა ახლაღა დაინახა, ზღურბლა იქით სამი კაცი რომ იდგა. ორი მილიციელი, ერთიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის მაღალი, მკაცრი შესახედაობის ახალგაზრდა. შეშინებულმა ანამ უმალვე შენიშნა, რომ ამ უკანასკნელს ასაკთან შეუფერებელი დადინჯებული გამოხედვა ჰქონდა. ახალგაზრდა მილიციელებზე წინ იდგა და, ეტყობოდა, მათი უფროსი იყო.

— რა ამბავია ჩემს თავს? — იკივლა შეშინებულმა ანამ და ხელები ლოყაზე ჩამოისვა.

— ნუ ღელავთ, ქალბატონო, საშიში არაფერია! შეიძლება, შემოვიდეთ?

— შემოდით! — ძლივს ამოღერღა ანამ და უმალვე ქმრის კაბინეტს მიაშურა. — მილიციაა, ფეხზე წამოდექი!

— მილიცია? — გაოცდა აკადემიკოსი, მაგიდაზე ხელით სათვალე მონახა, გაიკეთა და სწრაფად წამოდგა.

თავბრუ დაეხვა. შეჩერდა, შეეშინდა, არ წავიქცეო და ხელით მაგიდას დაეყრდნო.

ანა ისევ სასადილო ოთახში გავიდა. ახალგაზრდა სკამზე იჯდა მაგიდასთან. მილიციელები შემოსასვლელში იდგნენ და სასადილო ოთახს ათვალიერებდნენ.

მათმა წყნარმა სახეებმა ანა ოდნავ დაამშვიდა. ამასობაში დავითიც გამოვიდა. ახალგაზრდა კაცი ფეხზე წამოდგა და აკადემიკოსს თავი დაუკრა.

— მილიციის გამომძიებელი გახლავართ, გივი ნაკაშიძე.

— რა მოხდა, უბედურება ხომ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერია? — შეაგება პასუხად დავით გიორგაძემ.

— ბოდიშს გიხდით, რომ უდროო დროს შეგაწუხეთ, მაგრამ მეტი გამოსავალი არა გვქონდა. რას იზამთ, ასეთია ჩვენი სამსახური.

— ცოცხალია? — ჰკითხა გამომძიებელს დავითმა, თან ანიშნა, დაბრძანდითო.

— ნუ ღელავთ, ცოცხალია! — მიუგო გამომძიებელმა.

— აბა, რა მოხდა?

— არ ვიცით, უბედურებაც ისაა, რომ არ ვიცით, — გამომძიებელი სკამზე აღარ დამჯდარა. — თქვენი ვაჟიშვილის მანქანით ვიღაცამ გაიტანა კაცი. ჯერ ვერ დავადგინეთ, საჭეს თქვენი ვაჟიშვილი უჯდა თუ სხვა ვინმე. როგორც მოწმეებმა დაინახეს, მანქანაში მხოლოდ ერთი კაცი იყო. დაჯახებისთანავე იგი მანქანიდან გადმოხტა და მიიმალა. ვიფიქრე, იქნებ მანქანა ვინმემ გაიტაცა-მეთქი. რაკი თქვენი შვილი შინ არ არის, უკვე გვაქვს ეჭვის საფუძველი, რომ მანქანის საჭეს თვითონ უჯდა. თუმცა ჩვენი ვარაუდი სულაც არ ნიშნავს, რომ საჭეს მაინცდამაინც თქვენი ვაჟიშვილი უჯდა, იქნებ იგი თავის მეგობართანაა და არც კი იცის, რომ მისი მანქანა გაიტაცეს. იქნებ ვარაუდით გვითხრათ, ასე გვიან ვისთან შეიძლება იყოს თქვენი ვაჟიშვილი?

— სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, მე არ ვიცნობ მის მეგობრებს.

— საჭესთან ნასვამი ხშირად ჯდებოდა?

— არ ვიცი!

აკადემიკოსს პირველმა შიშმა გაუარა. მიხვდა, შვილი ცოცხალი იყო. შერცხვა. საბოლოოდ დარწმუნდა, შვილის ცხოვრებას სრულებით არ იცნობდა, არც მისი მისწრაფებებით, მიზნებით და ხასიათით დაინტერესებულა როდისმე. ვაჟიშვილი ძალიან უყვარდა და აქამდე გულწრფელად ეგონა, რომ მხოლოდ სიყვარული იყო მთავარი მისი საკმარისი.

— სამწუხაროა! — გმომძიებელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— იქნებ მართლაც ვინმემ გაიტაცა ჩემი შვილის მანქანა, ის კი რომელიმე მეგობართან ან ქალთან არისახლა?

„ქალთან“, — დავითს უსიამოდ გააჟრჟოლა, მეუღლისგან იცოდა, შვილს რომ ვიღაც ქალებთან ჰქონდა მსუბუქი კავშირი. მაშინ ანას სიტყვებისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, იმდენად ბუნებრივად მოეჩვენა ოცდაათ წელს მიღწეული შვილის საქციელი, მერე საერთოდ გადავიწყდა კიდეც. რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული, მისი შვილი არ შეილებოდა გზას ასცდენოდა. ამ უყურადღებობას მარტო თავდავიწყებამდე ისულ მეცნიერულ მუშაობას ვერ დააბიალებდა. თვითონ ძალზე წყნარი ყმაწვილი იყო და მშობლებს ნერვიულობის საბაბს არ აძლევდა. ალბათ, ამიტომაც არ გონდებოდა, რომ შვილის აღსაზ დღლად ყოველდღიური მზრუნველობა იყი საჭირო, ყოველდღიური სიფხიზლე და ყურადღება.

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, — მხრები აიჩეჩა გამომძიებლმა, — მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე მცირე შანსი რჩება ვივარაუდოთ, რომ მანქანა გატაცებულია.

— რატომ?

გამომძიებელმა ჯიბიდან მანქანის ასაღები ამოიღო და აკადემიკოსს დაასახვა.

— გამტაცებლებს ვინ მისცემდა ასაღებს? ძალზე საეჭვოა, თქვენს ვაჟიშვილს გასაღები მანქანაში დარჩენოდა!

— ვის დააჯახა მანქანა?

გამომძიებელმა პიჯაკის ჯიბიდან ცელოფანში გახვეული პასპორტი ამოიღო და აკადემიკოსს გაუწოდა.

დავითმა პასპორტი გაშალა, ელდა ეცა, გული შეეკუმშა. სურათი სისხლით იყო მოსვრილი. ერთხანს ვერ გაარჩია, სურათზე ქალი იყო გამოსახული თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი. უფრო სწორად, სურათს დასჩერებოდა, მარამ ვერაფერს ხედავდა. სისხლიანი პაპორტი თითებს უდაღავდა. ნელ-ნელაკონება მოიკრიბა და სურათს დააკვირდ. პასპორტიდან ოცდაათიოდე წლის კაცი შემოჰყურებდა. თითქოს ეცნო კიდეც. შეეშინდა, სურათიდან შემძცქირალი თვალების გამოხედვას ვერ გაუძლო. უმალვე სახელი და გვარი რნახა. უცნობი აღმოჩნდა. დაბადები წელს დახედა. გუნებაში გადათვალა.

„ორმოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა, — გაიფიქრა სინანულით — ალბათ, პასპორტი თხუთმეტიოდე წლის წინ აქვს აღებული“.

— ძალიან დაიმტვრა? — იკითხა მისუსტებული ხმით.

დუმილი.

გძომძიებელმა ჯერ აკადემიკოსს შეხედ, მერე მის მეუღლეს, სასიკვდილო განაჩენივით რომ ელოდნენ შეკითხვაზე პასუხს. ახალგაზრდა კაცმა შენიშა, ორთავეს სახეზე კუნთები როგორძიგძიგებდა.

— ძალიან დაიმტვრა? — გაიმეორა შეკითხვა ხმამაღლა. ეგონა, გამომძიებელმა წეღან ჩემი შეკითხვა ვერ გაიგონაო. გულდამძიმებულმა პასპორტი დკეცა და გამომძიებელს გაუწოდა.

— ადგილზევე გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა?!

მთიდან შავი თოვლის ზვავი მოწყდა და ღრიალით დაბლა დაეშვა. აკადემიკოსი ხედავდა, უზარმაზარი ტალღა სადაცაა თავზე დაეცემოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. ფეხებშეკრული მაღლა იცქირებოდა და მოახლოებული შავი თოვლის მოწყვეტილ მთას მონუსხულივით შესჩერებოდა. ცოტაც და შავი და ცივი ზვავი თავზე დაემხო. გიგანტურმა ტალღამ ააგორა და უფსკრულისაკენ გაიტაცა. ცივი თოვლის ზვავი გულზე აწვებოდა, სული ეხუთებოდა. დაყვირება უნდოდა, ხმა აღარ ამოსდიოდა, უფსკრულისკენ დაქანებული ზვავი საშინელი სისწრაფით ატრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ზვავი უფსკრულის ფსკერს დაეხეთქა და. თითქოს ათასი ბომბი ერთად აფეთქდაო, დედამიწა შეატორტმანა.

— მიშველეთ! — იკივლა ანამ და იატაკზე უგონოდ გაშხლართულ ქმარს მივარდა.

— ფრთხილად, არ გაანძრიოთ! — ხელი სტაცა გამომძიებელმა და ფეხზე წამოაყენა. — ახლავე სასწრაფოს გამოვუძახოთ, ეტყობა, ინფარქტმა დაარტყა!..

თავი მეოთხე

საღამოს ცხრა საათზე ზურაბ თორაძ აკადემიკოსის საწოლთან იდგა.

დავით გიორგაძეს ღრმა ძილით ეძინ.

მთავარმა ექიმმა არ გააღვიძა, გადაწყვიტა, იქვე დალოდებოდა, სანამ ავადმყოფი თვალს გაახელდა. სკამს დასწვდა, საწოლისგან მოშორებით დადგა და ფრთხილად ჩამოჯდა.

ღელავდა. მართალია, სჯეროდა, უფრო სწორად, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დავით გიორგაძე ტვინის გადანერგვაზე დათანხმდებოდა, მაგრამ საათის ისრები ცხრას რომ მიუახლოვდა, ეჭვი მაინც შეეპარა.

„ვაითუ ბოლო წუთს შეშინდეს?“

„ყოვლად შეუძლებელია! აკადემიკოსს, უბრალოდ, უკან დასახევი გზა აღარა აქვს“.

„იქნებ ჰგონია, მე ვატყუებ, სამ-ოთხ თვეში მოკვდები-მეთქი, რომ ვეუბნები, და მაინც გაუჩნდება სიცოცხლის იმედი?“

„ხედავთ, რა მშვიდად სძინავს? რკინის ნერვები ჰქონია. ასეთი ნერვებისა და ნებისყოფის მქონე კაცი უკან არ დაიხევს! “

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსს სათვალე არ ეკეთა. უსათვალოდ მისი გამხმარი, ოდნავ კეხიანი ცხვირი უფრო დიდი მოეჩვენა.

„სად დადო სათვალე?“ — ჰკითხა თავის თავს ზურაბმა, როცა სათვალეს საწოლზეც ვერსად მოჰკრა თვალი. ფეხზე ფრთხილად წამოდგა. ლოგინს ფეხაკრეფით შემოუარა. სათვალე იატაკზე ეგდო, მარჯვენა მხარეს. ეტყობა, აკადემიკოსმა იგი მოიხსნა და მარჯვენა ხელში ეჭირა. როცა ჩაეძინა, სათვალე ხელიდან გაუვარდა.

ზურაბ თორაძემ სათვალე აიღო, საწოლს ისევ ფეხაკრეფით შემოუარა, სკამზე დაჯდა და ავადმყოფის მკაცრ, მაგრამ შთაგონებულ სახეს დააკვირდა.

აკადემიკოსმა თითქოს იგრძნო დაჟინებული მზერა, შეიშმუშნა და უპეები მძიმედ აამოძრავა, ჩაბნელებულ პალატაში ერთბაშად ვერაფერი გაარჩია, თანდათანობით სიბნელეს თვალი შეაჩვია და აპარატურის მიერ გამოყოფილ მოციმციმე მწვანე და წითელ შუქზე ხელმარცხნივ ზურაბის სილუეტი დალანდა.

ზურაბ თორაძე წამოდგა და სათვალე გაუწოდა.

— საღამო მშვიდობისა.

— თქვენ უკვე აქა ხართ? ბარემ პატივი დამდეთ და სათვალე გამიკეთეთ.

— ზუსტად ცხრა საათზე გეახელით, მაგრამ არ გაგაღვიძეთ. სიზუსტე ჩვენი პროფესიის აუცილებელი თვისებაა. თანაც ორგვარი სიზუსტე: დროისა და მოქმედებისა, ალბათ, მიმიხვდით, ოპერაციას ვგულისხმობ! — მთავარმა ექიმმა სათვალე გაუკეთა და ისევ სკამზე ჩამოჯდა.

აკადემიკოსმა ზურაბს შეხედა. ამჯერად უკეთ გაარჩია მთავარი ექიმის ენერგიული სახის კონტურები, კეთილი, ცოცხალი თვალები.

— ოპერაცია როდის გაქვთ გადაწყვეტილი? — იკითხა უცებ. იკითხა ისე სხვათა შორის, თითქოს კინოში ან სტადიონზე წასვლის დრო აინტერესებდა.

— უფლება მაქვს დავასკვნა, რომ თქვენ თანახმა ხართ? — აღმოხდა ექიმს.

— თანხმობამდე კიდევ ბევრ საკითხზე ვართ შესათანხმებელი, მცირეოდენი პრობლემები მაინც გვაქვს გასარკვევი. მაგრამ, ვთქვათ, დაგეთანხმეთ. პრაქტიკულად როდის შეგიძლიათ ოპერაციის გაკეთება?

—ოთხი დღის შემდეგ. ტვინის გადასანერგად მე უკვე სამი წელია მზადა ვარ. თქვენი ჯანმრთელობა კი აშკარად გვაძლევს ოპერაციის გაკეთების საშუალებას.

— მაშ, გასარისკი არაფერია?

— მე ეგ არ მითქვამს. ერთხელ უკვე გითხარით და ისევ ვიმეორებ, გადარჩენის შანსია ოთხმოცი ოცზე. ან როგორც თქვენ ბრძანეთ, ოთხი ერთის წინააღმდეგ. ისიც მინდა დავძინო, ჩვენც არანაკლებ ვიგდებთ ხიფათში თავს. თქვენი დაღუპვის შემთხვევაში ადვილად გამომჟღავნდება ჩვენი ნამოქმედარი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებით! ხალხი და ხელისუფლება, ალბათ, ანათემას გამოგვიცხადებს, სისხლის სამართლის კოდექსით გვაგებინებენ პასუხს, მაგრამ მაინც მივდივართ რისკზე. იულიუს კეისრისა არ იყოს, „წილი ნაყარია,“ ბედს სასწორზე ვაგდებთ, მაგრამ გვჯერა გამარჯვებისა.

— ოპერაციას ოთხი კაცი გააკეთებთ?

— ჩემს გარდა ოთხი!

— ის ოთხიც თქვენსავით ფიქრობს და გამარჯვებისა მათაც თქვენსავით სჯერათ?

— ოთხივეს! სხვანაირად არ შეიძლება. მხოლოდ თავისი საქმის ფანატიკოსებსა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანებს შეუძლიათ ასეთი თავგანწირვა. წლების მანძილზე ვარჩევდი მედიცინაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ახალგაზრდებს. დღეს ისინი უკვე ახალგაზრდები აღარ არიან, ზოგმა ორმოცსაც გადააბიჯა. წლების მანძილზე ერთად შრომამ და ფიქრმა შეგვადუღაბა სამუდამოდ, ერთმა მიზანმა და მისწრაფებამ დაუკავშირა ჩვენი სულები ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმილი.

— როგორც ვატყობ, ჩვენი დილანდელი საუბარი არ ყოფილა ამომწურავი! — ისევ მთავარმა ექიმმა დაარღვია სიჩუმე, — კიდევ რა პრობლემა გაფიქრებთ ან გაწუხებთ?

— ვთქვათ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მე გავხდები კორინთელი, ის კი დავით გიორგაძე, გონებადადამბლავებული დავით გიორგაძე. აკადემიკოსის ახალი უბედურების ამბავი ერთ დღეში მოედება მთელ საქართველოს. ეს, მეც ვხვდები, არაა საშიში. თქვენი ავტორიტეტული ჯგუფი იტყვის, რომ თავში სისხლი ჩამექცა ან რაღაც ამის მაგვარს... მთავარი კი ისაა, რომ მეცნიერის სხეული, რომელსაც რამაზ კორინთელის ტვინი აამოძრავებს, კიდევ სამ-ოთხ თვეს იცოცხლებს, ხომ შეიძლება ამ დროის განმავლობაში სხეულს აზროვნებაც დაუბრუნდეს?

— გამორიცხულია ორი მიზეზის გამო; პირველი: რამაზ კორინთელის ტვინი კარგად შევისწავლეთ, მისი აღდგენის შანსი ნულის ტოლია. მეორე: ვთქვათ, რაღაც მეასედ წილში შევცდით. მაშინ ტრავმირებული ტვინის ნაწილობრივ აღდგენას წლები დასჭირდება. თქვენი სხეული კი, როგორც არაერთხელ მოგახსენეთ, ყველაზე დიდი, ოთხ თვეს იცოცხლებს.

— ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანს ვიქნები საავადმყოფოში?

— ორი თვე მაინც, თუ მეტი არა.

— ორი თვის მანძილზე მე, ამჯერად რამაზ კორინთელი, ხომ შეიძლება სადმე გადავეყარო ჩემს ძველ სხეულს?

— გარანტიას გაძლევთ, ეს არ მოხდება!

დუმილი.

— კიდევ ხომ არაფერი გაქვთ შესაკითხი?

— ბილიონი! მაგრამ თავს ვიკავებ. უფრო სწორად, უაზრობად მეჩვენება ამდენი კითხვა-პასუხი.

— რატომ?

— იქნებ ოპერაცია ჩაფლავდეს. წინასწარ რატომ ვინერვიულო და ვიმტვრიო თავი?

— მაშ, თქვენ თანახმა ხართ, არა?

— დიახ, თანახმა ვარ. იმასაც გეტყვით, თანახმა ვიყავი პირველივე წუთიდან, როცა ასეთი მომხიბვლელი წინადადება შემომთავაზეთ. მიხარია, რომ თუნდაც ოპერაციის წარუმატებლობის შემთხვევაში ჩემი ბებერი და დაუძლურებული სხეული მაინც გამოადგება მეცნიერებას. შემდგომი ოპერაცია ხომ გაცილებით უკეთ ჩაივლის. ‘თელი სიცოცხლე ტვინით ვემსახურებოდი მეცნიერებას, სიკვდილის წინ კი სხეულითაც არ დავრჩი ვალში.

— კაცი, რომელსაც ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც არ ღალატობს განსჯის უნარი, დიდი, ძალიან დიდი პიროვნებაა. — ეს სიტყვები ალალი აღტაცებით წარმოთქვა ზურაბ თორაძემ, — მე მჯერა, რომ გადავარჩენ მის დიდ ტალანტსა და ინტელექტს!

მთავარი ექიმი ფეხზე წამოიჭრა. აღტაცებისაგან აბობოქრებულ სხეულში გული ისე უცემდა, შეეშინდა, აკადემიკოსმა დაგადუგის ხმა არ გაიგონოსო, და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

დავით გიორგაძე ლოგინში შეინძრა, შებრუნება სცადა, მთავარი ექიმი ერთბაშად დაცხრა.

— მოგეხმაროთ?

— ბალიში შემისწორეთ.

ზურაბმა ბალიში მარჯვედ ამოსდო თავქვეშ.

დუმილი ჩამოვარდა.

აკადემიკოსი მიხვდა, მთავარი ექიმი წასვლას არ აპირებდა.

— მე თანახმა ვარ. მეტი აღარაფერი მაქვს გასარკვევი. ვატყობ, ამჯერად თქვენ გინდათ რაღაცის თქმა.

—დიახ, გამოიცანით. ერთი აუცილებელი საკითხი დარჩა მოსაგვარებელი. — წერილი უნდა დამიწეროთ, რომ თქვენი სურვილით დათანხმდით, თქვენი ტვინი გადამენერგა რამაზ კორინთელის თავში.

— ბატონი ბრძანდებით, წერა თუკი შევძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ტექსტი უკვე დაწერილიცაა და გადაბეჭდილიც. ქვეშ მხოლოდ თქვენი ხელმოწერაა საჭირო.

— ყოჩაღ, ახალგაზრდავ! ნამდვილად მჯერა, რომ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის. მომეცით ტექსტი!

— თქვენის ნებართვით სინათლეს ავანთებ.

მთავარმა ექიმმა ღილაკს თითი დააჭირა და ის ნათურა აანთო, ავადმყოფს რომ დასჩერებოდა თავზე.

სინათლემ აკადემიკოსს თვალი მოსჭრა. რამდენჯერმე დახუჭა და ისევ გაახილა თვალები, იგრძნო, დამძიმებული, ქვად ქცეული ქუთუთოები როგორ უკაწრავდა თვალის სითხეგამშრალ გარსს.

როგორც იქნა, შეეჩვია თვალი სინათლეს.

— მომეცით ტექსტი. თან ერთი დავალებაც უნდა მოგცეთ.

— დიდი სიამოვნებით!

— უნდა დაწერო ანდერძი და კიდევ ორი წერილი. შემომიტანეთ ფურცლები და სამი კონვერტი.

— ახლავე შემოგიტანოთ თუ ჯერ წერილს წაიკითხავთ?

— ჯერ წერილს წავიკითხავ. ვნახოთ, რაზე მაწერინებთ ხელს. იმ სამი კონვერტიდან კი, თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, სამთავეს მე მომიტანთ უკან, ხოლო თუ მოვკვდი, მაშინ ერთს, ანდერძი რომელშიც იქნება, ინსტიტუტს ჩაბარებთ. დანარჩენ ორს კი წაუკითხავად გაანადგურებთ. გასაგებია?

— გასაგებია!

— უფრო დაწვრილებით მაშინ ვილაპარაკოთ, როცა კონვერტებს ჩაგაბარებთ. ახლა კი მომეცით ტექსტი.

ზურაბ თორაძემ პრიალა ფურცელი გაუწოდა.

აკადემიკოსმა ქაღალდი ძლივს მიიტანა თვალებთან. ტექსტი წაიკითხა და მწარედ ჩაიცინა.

— ყოველთვის მომწონდა თავი ჩემი ქართულით. ამ ტექსტს ხელს ვერ მოვაწერ. მომეცით კალმისტარი, რომ ჩავასწორო.

მთავარმა ექიმმა ჯიბიდან უმალვე იძრო იაპონური კალმისტარი.

— ექიმი კარგი ბრძანდებით, მაგრამ ვერ ყოფილხართ კარგი მოქართულე.

— ხომ იცით, ძირითადად რუსულ და უცხო ენებზე გვიხდება ლიტერატურის გაცნობა. ამიტომაც თანდათან ვკარგავთ მშობლიური ენის ნიუანსებს!

— ენა ერის ნამუსია, ბატონო მთავარო ექიმო, ნამუსის დაკარგვა კი არ შეიძლება.

ზურაბ თორაძეს სიმწრის ოფლმა დაასხა, დასჯილი ბავშვივით გაჭიმული იდგა საწოლთან. ასე უმწეოდ, ალბათ, არასდროს უგრძვნია თავი. უმწეოდ და დამნაშავედ. აკადემიკოსმა ტექსტი ყურადღებით ჩაასწორა. მერე კალმისტარი ფურცელზე დადო და მთავარ ექიმს ანიშნა, წაიღეო.

— როგორც ხედავთ, ტექსტი საფუძვლიანად ჩავასწორე. მე ვერ ვიტან ღვლარჭნილ სტილს. ხუჭუჭა სტრიქონებში ავტორის სისხლს უჭირს მოძრაობა. ხელახლა გადააბეჭდინეთ. მინდა ჩემი უკანასკნელი ხელმოწერა „აკადემიკოსი დავით გიორგაძე“ გამართული ქართული ენით დაწერილ ფურცელზე დავტოვო!

თავი მეხუთე

— დღეს უკვე შეგიძლიათ ფეხზე წამოდგომა! — ზურაბ თორაძის ხმა საზეიმოდ ეღერდა. — ორ წუთში პარიკმახერს შემოგიყვანთ. გაპარსვის შემდეგ დადგება ისტორიული წუთი, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება თქვენს გონებაში და არამარტო თქვენს გონებაში! იგი სამუდამოდ აღიბეჭდება მედიცინის და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში. თქვენ ჩაიხედავთ სარკეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გახდებით მხილველი საოცარი ფერისცვალებისა!

დუმილი.

ზურაბ თორაძე აკადემიკოსს სახეზე დააკვირდა, უნდოდა, ავადმყოფის თვალებში ამოეკითხა, რა ეფექტი მოახდინა მისმა სიტყვებმა.

დავით გიორგაძეს სახე მოექუფრა. ამ წუთს იგი უკვე ერთი თვეა ელოდა, ელოდა განსაკუთრებული შიშით, არა, შიში ის სიტყვა არაა, ელოდა განსაკუთრებული ძრწოლვით. ამიტომაც ცდილობდა, სარკეში ჩახედვაზე ფიქრი თავიდან ამოეგდო.

ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გონს მოვიდა, უმალვე იგრძნო უჩვეულო სხეული. ახალგაზრდული, ღონიერი, გაცილებით დიდი სხეული, ვიდრე მას თუნდაც სიჭაბუკეში ჰქონდა. ხშირად ისეთი განცდაც ეუფლებოდა, თითქოს მასთან ერთად ლოგინში ვიღაც სხვა ადამიანიც იწვა. ცდილობდა, საკუთარ სხეულზე, უფრო ზუსტად, ახალ სხეულზე აღარ ეფიქრა. საკუთარ თავს სასტიკად ებრძოდა, რომ ნებისყოფის უმძაფრესი დაძაბვის ფასად მხოლოდ მეცნიერების სამყაროში გადაეტანა ფიქრი და განსჯა. თითქმის ახერხებდა კიდეც მიზნის მიღწევას, ძირითადად თავისი უკანასკნელი გამოკვლევის ირგვლივ ტრიალებდა, რაღაც დეტალებს აზუსტებდა, უკვე დაწერილ ნაშრომში სტილსაც ასწორებდა, გონებაში უფრო მოქნილ ფრაზებს აყალიბებდა, წარსულ სიმპოზიუმებსა და მეცნიერულ დისპუტებს იგონებდა. საბოლოოდ მაინც არაფერი გამოსდიოდა. გრძნობდა, ფიქრებს გარდა საკუთარი აღარაფერი ჰქონდა.

შიშმა შეიპყრო. მიხვდა, რომ გაახალგაზრდავდა, დარწმუნდა, რომ გადარჩა ახალი და ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძინა, მაინც შიშმა შეიპყრო, სხვა ადამიანად გარდაქმნის შიშმა. უჩვეულოდ ძლიერმა სხეულმა თითქოს შეისრუტა, თითქოს გადაყლაპა აკადემიკოსის პიროვნება. ამიტომაც ცდილობდა, საერთოდ არ ეფიქრა ოპერაციაზე, თავის ახალ, სინთეზურ თუ დამყნილ ტანებაზე, არ ეფიქრა მეუღლეზე, ერთადერთი და უგზო-უკვლოდ გადაკარგული ვაჟიშვილის ბედზე.

მეორე, რამაც არანაკლებ შეაძრწუნა, საკუთარი ხმა იყო. უჩვეულო ბარიტონმა ისე დააბნია, აღარც კი ახსოვს, რა წარმოთქვა პირველად. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მის სათქმელს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა. მერე მიხვდა, ჯერ კიდევ ავადმყოფობისგან შესუსტებული, მაგრამ დავით გიორგაძისთვის უჩვეულოდ მძლავრი და ახალგაზრდული ხმა მისი ხორხიდან ამოდიოდა. უნებურად ხელი ყელთან მიიტანა. კვლავ ცივმა ოფლმა დაასხა, არაბუნებრივად სქელი და დაკუნთული ეჩვენა საკუთარი ყელი და კისერი.

მანამდე მხოლოდ ხელებს ხედავდა, მძლავრ მაჯებს, გრძელ და ენერგიულ თითებს. ძალიან ცდილობდა, რომ არც მათთვის შეეხედა, მაგრამ არ გამოუდიოდა. თავდაპირველად, ჭაბუკის ღონიერი ხელები რომ დაინახა, სხვისი ეგონა. უნებურად ლოგინში ხელების პატრონსაც კი დაუწყო ძებნა. რაოდენ დიდი იყო დავით გიორგაძის გაკვირვება, როცა ჭაბუკის მძლავრი ხელები მის სურვილს დაემორჩილა. პირველად, როცა ცხვირსახოცის გაოფლილ შუბლთან მიტანა გადაწყვიტა, ასე ეგონა, ვიღაც ახალგაზრდის ხელმა აიღო სასთუმალთან მიდგმულ სკამზე დადებული ცხვირსახოცი და ფრთხილად ჩამოსწმინდა დანამული შუბლი.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ აღიქვა, რომ ახალგაზრდის მძლავრი ხელი მისი საკუთარი მარჯვენა იყო.

მაშინ აღმოაჩინა, რომ მარცხენა ხელის არათითზე გიშრისთვლიანი, მსხვილი ოქროს ბეჭედი ეკეთა. უსიამო გრძნობა დაეუფლა. ზარს თითი დააჭირა, ექიმი გამოითხოვა და თითქმის ისტერიული ხმით უბრძანა, ბეჭედი ახლავე მომხსენითო.

ზურაბ თორაძემ საღამოს ბეჭედი ისევ შემოუტანა და უთხრა:

— ბატონო დავით, თქვენ უკვე უნ-

და შეეგუოთ ბედს, ახალ ცხოვრებას. ჯერჯერობით ბეჭედი აქ იყოს, ტუმბოს უჯრაში, მაგრამ გახსოვდეთ, შემდეგ მაინც მოგიწევთ მისი გაკეთება.

— სათვალე მომაწოდეთ! — მიუგო პასუხად დავით გიორგაძემ.

მთავარმა ექიმმა მოწყალედ გაიღიმა. თან სასიხარულო ინფორმაციის შემცველ ღიმილში სიამაყეც და ირონიაც საკმაო დოზით გაურია.

— სათვალე უკვე აღარ გჭირდებათ, ბატონო დავით, ხომ არ გავიწყდებათ, რომ თქვენ ახლა სამოცდათოთხმეტს მიღწეული დავით გიორგაძე კი არა, ოცდასამი წლის რამაზ კორინთელი ბრძანდებით?! იქნებ სჯობდეს კიდეც, დღეიდან თქვენი ახალი სახელით და გვარით მოგმართოთ?

— კმარა! — დავით გიორგაძე ლოგინში ნერვულად შებრუნდა. მასთან ერთად შემობრუნდა უცნობი მძლავრი სხეულიც.

— კარგით, კარგით, დაწყნარდით. სულ მალე დეპრესიას სიხარული შეცვლის! — დაამშვიდა მთავარმა ექიმმა.

პირიქით მოხდა. დეპრესია უფრო გაუძლიერდა. თვალდახუჭული ათენებდა და აღამებდა, რომ ხელებისათვის არ შეეხედა. ლოგინში მასთან ერთად მწოლიარე უცნობის სხეულს კიდევ უფრო მძაფრად განიცდიდა. უნდოდა, რაც შეიძლება დიდი ხნის შემდეგ დამდგარიყო ის დღე, როცა სარკეში საკუთარ, გაახალგაზრდავებულ თავს დაინახავდა, უფრო სწორად, სხვის სხეულში გადასახლებულ აკადემიკოსს ვეღარ დაინახავდა. დავით გიორგაძე მიხვდა, რომ დიდი, ვინ იცის, იქნებ უსაშველოდ დიდი დრო სჭირდებოდა, სანამ ერთი კვირის მანძილზე მიღებული გადაწყვეტილებისა და უჩვეულო გამბედაობით გადადგმული ნაბიჯის არნახულ შედეგს საბოლოოდ შეიმეცნებდა, ფსიქოლოგიურად შეეგუებოდა.

— დღეს თქვენ სარკეში დაინახავთ აკადემიკოს დავით გიორგაძის უზარმაზარ და უჩვეულო მეტამორფოზას! — ჩვეულებისამებრ ენაწყლიანობდა ზურაბ თორაძე, ყოველ სიტყვას არტისტულად წარმოთქვამდა, აქცენტებს ზომიერად და სწორად სვამდა. — თქვენ დღეს მოწმე გახდებით მსოფლიოში უნიკალური მოვლენისა, როგორ იქცა სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცი ოცდასამი წლის ჭაბუკად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ რამაზ კორინთელად. იქცა ისე, რომ იგი კვლავ დარჩა აკადემიკოსად, დარჩა დავით გიორგაძედ! დიახ, ბატონებო! — ექსტაზში შესულ მთავარ ექიმს დაავიწყდა, რომ აუდიტორიაში მხოლოდ ერთადერთი მსმენელი ჰყავდა, — იქცა ისე, რომ იგი კვლავ დავით გიორგაძედ დარჩა. იოტისოდენა ცვლილებაც კი არ განუცდია მას, როგორც პიროვნებას, ოდნავადაც არ დაზარალებულა აკადემიკოსის ცოდნა და ინტელექტი, ემოციური და ინტელექტუალური სამყარო!

მთავარი ექიმის საზეიმო ხმამ კიდევ უფრო გააღიზიანა დავით გიორგაძე.

„რა მემართება, რატომ ვღელავ, სულს რატომ მიშფოთებს რაღაც საშინელი განცდის მოლოდინი? განა არ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, განა არ გავითვალისწინე ყველა მოსალოდნელი უსიამოვნო შეგრძნება? მე, რომელიც ასეთი გამბედავი ვიყავი მეცნიერული ჰიპოთეზების წამოყენებისა და შემუშავების დროს, როცა ყველაზე დიდ რისკს ვეწეოდი ექსპერიმენტული კვლევისას, როცა არ ვერიდებოდი ჩემი მეცნიერული სითამამით გამოწვეულ შურიან კოლეგათა ქილიკს, დღეს რა მემართება?“

დავით გიორგაძემ თვალები დახუჭა.

„ბოლოს და ბოლოს, განა ისევ ჩემი მეცნიერული და სულიერი გამბედაობის შედეგი არ იყო, ტვინის გადანერგვის დღემდე გაუგონარ ოპერაციას რომ დავთანხმდი? განა პიროვნული გმირო-

---

ბურაბ ფანჯიკიძე
სპირალი

ბა არ იყო და ამ გმირობით არ შევიტანე დიდი წვლილი მედიცინის ყველაზე დიდი, თითქმის წარმოუდგენელი და დაუჯერებელი პრობლემის გადაჭრაში? განა სიცოცხლე არ გავწირე? მართალია, როგორც მთავარი ექიმი ამბობს, კიდევ ოთხ თვეს თუ ვიცოცხლებდი, მაგრამ ხომ ვიცით, რას ნიშნავს ადამიანისათვის სიკვდილამდე დარჩენილი ოთხი თვე? თანაც, თუ არა ოპერაცია, ვის წამოსცდებოდა მხოლოდ ოთხი თვის სიცოცხლე დაგრჩაო?! ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს?"

მთავარი ექიმი შეაშინა ავადმყოფის ცუდმა ფერმა და სევდიანმა განწყობილებამ.

— თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ? წამოდგომა და სარკეში ჩახედვა იქნებ ხვალისთვის გადავდოთ?

— გადადებას აზრი არა აქვს, — გაახილა უცებ თვალი გიორგაძემ, — ჩემი სევდა და მღელვარება ადვილი ასახსნელია, დღეს ხომ პირველად უნდა გავიცნო ჩემი თავი, მსოფლიოში უნიკალური პიროვნება. მე ხომ ჩემი ტვინით და აზროვნებით აკადემიკოსი დავით გიორგაძე ვარ, ხოლო სხეულით, პასპორტით და სხვა ოფიციალური მონაცემებით რამაზ კორინთელი! რამაზ მიხეილის ძე კორინთელი, რამაზ მიხაილოვიჩი...

— როგორც ექიმს, სრულებითაც არ მიკვირს თქვენი სევდა და მღელვარება, მაგრამ მჯერა თქვენი სიმტკიცის. თქვენ ხომ თვით ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც არ კარგავთ იუმორის გრძნობას. იუმორის გრძნობა კი ყველაზე უფრო გამოხატავს ადამიანის სულიერ სიძლიერეს. მაშ, ნებას მაძლევთ შემოვიყვანო პარიკმახერი?

— ბატონი ბრძანდებით.

— ოღონდ ერთი პირობით. თქვენ დღეიდანვე, ამ წუთიდანვე უნდა დაივიწყოთ, რომ ერთი თვის, უფრო სწორად, ოცდარვა დღის წინ აკადემიკოსი დავით გიორგაძე ბრძანდებოდით. ვინც ხართ და რაც ხართ, ეგ მხოლოდ ჩვენი და ჩემი კოლეგების საიდუმლო უნდა იყოს. როგორც წეღან თქვენ თქვით, ოფიციალურად დღეიდან ბრძანდებით, და ამ წუთიდან მეც ასე მოგმართავთ, რამაზ კორინთელი!

ზურაბ თორაძემ წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ. ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ.

მთავარი ექიმი შეჩერდა.

— თქვენ რამდენიმე დღის წინ მითხარით, მეორე ოპერაციამაც წარმატებით ჩაიარაო.

— დიახ, უნაკლოდ!

— როგორ არის... — აკადემიკოსს ენა დაებორკა.

— კარგად, ოღონდ დამბლადაცემული გონება დამბლადაცემულ გონებად დარჩა.

— შინაურებმა მოაკითხეს?

— მხოლოდ მეუღლემ. ვაჟიშვილის ასავალ-დასავალი ჯერაც ვერავინ გაიგო.

— მერე?

— მერე არაფერი. ავუხსენით, რომ აკადემიკოსის ტვინში სისხლმა გაჟონა და, რომ, ალბათ, მოხუცი კაცის დაზიანებული ტვინის უჯრედები ვეღარ შეასრულებენ თავის ფუნქციას.

— კარგად დაგიიმედებიათ.

— დაიმედებას რა აზრი აქვს, — მთავარმა ექიმმა ხელი უდარდელად ჩაიქნია. — ჯობია, ახლავე შეეგუო, რომ გონებადაკარგული მეუღლე მხოლოდ რამდენიმე თვეს იცოცხლებს.

— მერე?

— რა მერე?

— როგორ შეხვდა გიორგაძის მეუღლე ამ საშინელ ახსნა-განმარტებას?

— ნორმალური ადამიანების ემოციები დაახლოებით თანაბარია. მეტ-ნაკლებია მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმები. ზოგს არტისტიზმი ახასიათებს, ზოგს ჩუმი ტკივილი უღრღნის გულს. აკადემიკოს დავით გიორგაძის მეუღლე ინტელიგენტი ქალი გახლავთ. ისტერიკები არ გაუმართავს. თვალები გულწრფელი ცრემლებით აევსო. ერთ წამს ისიც კი მომეჩვენა, რომ სახე გაუშეშდა. არაფერი უთქვამს. სკამზე ჩამოჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და დიდხანს, ძალიან დიდხანს დასჩერებოდა მეუღლის დასუსტებულ, დალეული სანთელივით ჩამოღვენთილ სახეს.

დუმილი.

რამაზ კორინთელის სხეულში ჩასახლებულმა აკადემიკოსმა ყელში მოწოლილი ბურთი გადაყლაპა და გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა.

ზურაბ თორაძემ აღარ იცოდა, რა ექნა. ჩაეთვალა დიალოგი დამთავრებულად და წასულიყო პარიკმახერის მოსაყვანად თუ დალოდებოდა, სანამ ავადმყოფი კიდევ ჰკითხავდა რამეს.

— თქვენ პოეტი თუ არა, მწერალი მაინც იქნებით! — თქვა მოულოდნელად დავით გიორგაძემ.

— ჩემი მწერლობა აქ რა მოსატანია? — შეცბა მთავარი ექიმი.

— ისე, სხვათა შორის გითხარით. თქვენი აზროვნების სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აუცილებლად გექნებათ კალამი ნაცადი.

— მწერლობა ექიმების სუსტი ადგილია, — გამოტყდა ზურაბ თორაძე.

დუმილი.

დავით გიორგაძემ ისევ დახუჭა თვალები.

მთავარმა ექიმმა ამჯერად საბოლოოდ დაასკვნა, დიალოგი დამთავრებულიაო, შებრუნდა და წავიდა.

ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ დავით გიორგაძის ყრუ და ტკივილით სავსე ხმამ კვლავ ადგილზე გააქვავა.

— ფეხზე დადის?

მთავარი ექიმი მიხვდა, გიორგაძე ვისაც გულისხმობდა.

— ჯერ არა. ათი დღის შემდეგ, ალბათ, შესძლებს ფეხზე წამოდგომას.

— აზრი სრულებით არ ექნება?

— იაზროვნებს ინსტინქტების დონეზე.

— მე კიდევ რამდენ ხანს მომიწევს აქ დარჩენა?

— თუ ჯანმრთელობა ამ ტემპით გაგიუმჯობესდათ, ერთ თვეში გაგწერთ.

— არის შანსი, რომ სადმე შევეჩეხო?

— რა ბრძანეთ?

— შანსი თუ არის-მეთქი, სადმე რომ შევეჩეხო?

— ააა, არავითარი. იგი ახლა სულ სხვა სართულზე გადავიყვანეთ.

— მაინც რომელზე? მინდა ყველაფერი ვიცოდე.

— მეშვიდე სართულზე. თქვენ ჯერჯერობით პირველ სართულზე ხართ. მალე მეორე სართულზე გადაგიყვანთ.

დუმილი.

— კიდევ ხომ არაფერი გაინტერესებთ? — აღარ იჩქარა წასვლა მთავარმა ექიმმა.

— არაფერი. შეგიძლიათ წახვიდეთ.

— ბატონი ბრძანდებით. ოღონდ კიდევ ერთხელ გთხოვთ, გახსოვდეთ, ვინ ხართ. პარიკმახერი უსარკოდ გაგპარსავთ. არ მინდა პატარა სარკემ გააფუჭოს მთლიანი ეფექტი. გაპარსვის შემდეგ ფეხზე წამოგაყენებთ და დიდ სარკესთან მიგიყვანთ, რომელიც ამ დილით მოვიტანეთ საგანგებოდ. — მთავარმა ექიმმა თითი კედლისკენ გაიშვირა.

დავით გიორგაძემ თვალი ზურაბ თორაძის თითს გააყოლა და კედელთან უკუღმა მიდგმული, კაცის სიმაღლე სარკე დაინახა. ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა, რაღაც შეუცნობელის მოლოდინმა ნერვები უკიდურესობამდე დაუძაბა.

●

სარკიდან მაღალი, დაკუნთული, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი შემოსცქეროდა. უცნობ ახალგაზრდას თაფლისფერი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა. შესამჩნევად გრძელი ნიკაპი და ტუჩების ენერგიული მოხაზულობა რამაზ კორინთელის სახეს მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა.

თავდაპირველად ვერც კი წარმოიდგინა, რომ სარკეში გამოსახული ჭაბუკი თვითონ იყო. იფიქრა, იქნებ მთავარ ექიმს რომელიმე თავისი ახალგაზრ-

და ასისტენტი შემოჰყვაო და მისი ფიგურის უკან საკუთარ თავს დაუწყო ძებნა. როდესაც თავი გაანძრია და სარკეში გამოსახულებამაც იგივე მოძრაობა გაიმეორა, მიხვდა, რომ სარკიდან რამაზ კორინთელი შემოსცქეროდა.

უნებურად ხელი ასწია მაღლა და წამიერად შეაჩერა. შემდეგ ხელის მტევანი ოფლით დაცვარულ შუბლზე გადაისვა. სარკეში გამოსახულმა ჭაბუკმაც იგივე გაიმეორა. საეჭვო აღარაფერი იყო, დაიჯერა, რომ სასწაული უკვე მოხდა. ახლა იგი ოცდასამი წლის ჭაბუკად გარდაქმნილი იდგა სარკის წინ, იდგა და საკუთარ თავს გაოცებული შესჩერებოდა, გაოცებული და შეშინებული.

წამოდგომის წინ მთავარმა ექიმმა ავადმყოფს პიჟამა გახადა და სპორტული ტრუსი ჩააცვა. მეცნიერმა თვალები დახუჭა, არ უნდოდა, თავისი ახალი ფეხები და ტანი დაენახა. არ უნდოდა, საკუთარი ფერიცვალება ნაწილ-ნაწილ აღექვა. ბარემ სარკეში ერთბაშად და მთლიანად შევხედავ, ვინ ვარ და რა ვარო.

მთავარმა ექიმმა, თითქოს აკადემიკოსის ფიქრი გამოიცნოო, საზეიმოდ წარმოთქვა:

— ხედავთ, რად გაქციეთ? ოცდასამი წლის ლამაზ, ჯანმრთელ, დაკუნთულ ჭაბუკად. ახლა უმთავრესიც დავამატოთ: თქვენს ახალ, ლამაზ სხეულში ხომ მართლაც ლამაზი სული დგას. ამ სილამაზეს დავუმატოთ თქვენი უზარმაზარი ტალანტი, ცოდნა და გამოცდილება! განა სასწაული არ მოვახდინეთ?!

დავით გიორგაძემ მარჯვენა ხელით შუბლი დინჯად მოიწმინდა, შემდეგ გრძელი თითები ღონიერ მკერდზე ჩამოიცურა და მარცხენა მკლავის კუნთები მოსინჯა. ძლიერმა სხეულმა სიხარულის მაგიერ ჯერ სევდა მოჰგვარა, შემდეგ დააფრთხო კიდეც.

„მე სადღა ვარ? — გაიფიქრა უნებურად, — ალბათ, ამ ცოცხალი კარადის რომელიმე თაროზე ვარ შეკუჭული“.

სიტყვის თქმისა ეშინოდა. დაახლოებით იცოდა, როგორი ხმაც ჰქონდა. წინა დღეებში, როცა ლაპარაკობდა, საკუთარ სხეულს ვერ ხედავდა. ახლა ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ სარკეში გამოსახული ყმაწვილი კაცი თვითონ იყო, მისი მძლავრი მკერდიდან ამოსული შთამბეჭდავი ახალგაზრდული ბარიტონი საბოლოოდ დაარწმუნებდა, რომ აკადემიკოსი დავით გიორგაძე აღარ არსებობდა. ან თუ არსებობდა, ამ დიდ და ღონიერ ჭაბუკს ჰყავდა გადაყლაპული.

„მე სადღა ვარ“, — წამოიქოჩრა ისევ ავბედითი ფიქრი.

„მე სადღა ვარსებრბ და სად ვაზროვნებ?“

უნებურად სარკეში ჭაბუკის შუბლს დაასო მზერა.

„მე იქ ვარ, თავის ქალაში, გამოკეტილი და გამომწყვდეული. ამ შუბლს მიღმა ვარსებობ და ვაზროვნებ. ეს არის და ეს!“

ტანში მილიონმა ჭიანჭველამ დაუარა, მილიონი წვრილი, მაგრამ ცხარე ნესტრის ჩხვლეტა იგრძნო.

„და თუ მე მარტო ამ შუბლის მიღმა ვიმყოფები, ჭაბუკი კაცის თავის ქალაში სამუდამოდ გამომწყვდეული, რატომ ვგრძნობ სხეულზე მილიონი ჭიანჭველის მწარე ჩხვლეტას? რატომ მიმაქანებს უფსკრულისაკენ გულზე ჩამოკიდებული უზარმაზარი ცივი და გლისინა ლოდი?“

დავით გიორგაძემ ისე, მთავარ ექიმს რომ არ შეემჩნია, მარცხენა ხელით ბარძაყზე იჩქმიტა.

ეტკინა.

კიდევ იჩქმიტა, ამჯერად უფრო მაგრად.

უფრო მაგრად ეტკინა.

ცოტა დამშვიდდა.

„სხეულს ვგრძნობ. აქედან გამომდინარე, საეჭვო არაფერია. ეს მძლავრი მკერდი, ხელები და ფეხები ნამდვილად მე მემორჩილება და მე მეკუთვნის“.

„მაგრამ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაგრამ სხეული წარმართავს ჩემს ტვინს თუ ტვინი სხეულს?“

„რასაკვირველია, ტვინი სხეულს!“

„ან კი საერთოდ რატომ უნდა შემპარვოდა ეჭვი, რომ მე სადღაც თავის ქალაში ვარ სამუდამოდ გამომწყვდეული?“

„აი, მინდა თავზე ხელი გადავისვა და გადავისვამ კიდეც!“

„რასაც მე მოვინდომებ, სხეულიც იმასვე მოიმოქმედებს!“

გიორგაძე ცოტა დამშვიდდა და სარკეში საკუთარ თავს ოდნავ გაუღიმა კიდეც. როცა ჭაბუკის ბაგეებზე გამოსახული ღიმილი დაინახა, უმალვე მოიღუშა. რატომღაც არ უნდოდა, მთავარ ექიმს დაენახა, როგორ იღიმებოდა ახალგაზრდა აკადემიკოსი.

ზურაბ თორაძე ამდენი ხნის მანძილზე ისე იდგა, სარკეში რომ არ გამოჩენილიყო. არ უნდოდა, თავისი გამოსახულებით გიორგაძის ყურადღება დაეფანტა. მოშორებით მდგომი არც ლაპარაკით უშლიდა ხელს. იცოდა, ავადმყოფი ასე უფრო მალე მოვიდოდა გონს, უფრო სწრაფად შეიგრძნობდა თავის ახალ სხეულს, უფრო იოლად შეეგუებოდა ახალ ხვედრს. სამაგიეროდ, დიდი ყურადღებით აკვირდებოდა, ცდილობდა მეცნიერის გამოხედვაში, გრიმასებში, ხელისა თუ თვალების მოძრაობაში მისი სულის მოძრაობა, ფიქრები და განცდები ამოეცნო, რაც შემდგომი მკურნალობის წარმართვაში მოეხმარებოდა.

გამოცდილმა ექიმმა ისიც იგრძნო. გამოლაპარაკების დრო როდის დადგა.

— ხომ არ დაიღალეთ?

ავადმყოფს თითქოს ახლა გაახსენდა, რომ მთავარი ექიმი იქვე იდგა. ფიცხლად შემოტრიალდა. თვითონვე გაუკვირდა თავისი სისწრაფე. მართალია, დიდხანს წოლით და ურთულესი ოპერაციით საკმაოდ იყო დასუსტებული, მაგრამ თავისი მოძრაობა მაინც უჩვეულოდ სხარტი და ახალგაზრდული ეჩვენა.

— დიახ, ცოტა დავიღალე! — თქვა ახალგაზრდულმა ბარიტონმა.

ამჯერად გიორგაძეს ალბათ მოაჩვენებია, რომ მისი სიტყვებით კიდეც სხვამ უპასუხა მთავარ ექიმს.

— ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდი, — მთავარმა ექიმმა მაჯაზე წაატანა ხელი, — მაინცდამაინც მტკივნეულად არ განგიცდიათ თქვენი ფერისცვალება. პულსი ნორმალური გაქვთ. ვერც სახეზე გამჩნევთ მღელვარებას. დღეიდან ყოველდღიურად მოგცემთ წამოდგომის საშუალებას, უფრო მეტ ხანს შეგეძლებათ სარკის წინ დგომა და საკუთარ სხეულთან შეგუება.

აკადემიკოსი დავით გიორგაძე საკმაოდ კერკეტი მოხუცი იყო, ავად იშვიათად თუ გახდებოდა. სამაგიეროდ, კბილები ჰქონდა სუსტი. წლების მანძილზე გაწამებული იყო მკურნალობით. უნებურად ისევ სარკისკენ იბრუნა პირი. მთავარ ექიმს რომ არ შეემჩნია, ბაგეები ოდნავ ასწია და კბილები შეათვალიერა. საღი, საკმაოდ მსხვილი კბილები თეთრად უბრწყინავდა.

უცებ სიცილი აუტყდა. სიცილი თანდათან ხარხარში გადაიზარდა, ლოგინისკენ გაემართა, თავდაღმა დაეშვა ღ[illegible] თავი ბალიშში ჩარგო. თვითონაც ვერ გაეგო, რა აცინებდა, ტრაგიკული, დღემდე გაუგონარი უჩვეულო ხვედრი თუ, პირიქით, გაახალგაზრდავებით გამოწვეული სიხარული. იქნებ არც ერთი და არც მეორე. თვითონვე გრძნობდა, ხარხარი მალე ისტერიულ ტირილში გადაეზრდებოდა. იქნებ ხარხარი სულაც იმიტომ აუტყდა, რომ ამ მართლაცდა წარმოუდგენელი სიტუაციის დროს, როცა ჯერ კიდევ ვერ მიმავდარიყო, სიზმარში იყო თუ ცხადში, როცა ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, კვლავ აკადემიკოსი დავით გიორგაძე იყო თუ ოცდასამი წლის სტუდენტი რამაზ კორინთელი, პირველ რიგში კბილები გაახსენდა?

მერე რა ხმამაღლა ხარხარებდა! ხმამაღლა და ამაზრზენად!

ხარხარებდა კი თვითონ?

იქნებ სულაც რამაზ კორინთელი ხარხარებდა და დასცინოდა საკუთარ თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის ქალაში შესახლებულ და კრუხივით ჩაბუღებულ დავით გიორგაძეს?

იქნებ...

იქნებ გამარჯვებული ეშმაკი ხარხარებდა ნაცოლნები აკადემიკოსის ახალ სხეულში?! გამწარებულმა თავი ისე მაგრად ჩარგო ბალიშში და ხმა ისე სწრაფად მოგუდა, კასრის ნახვრეტიდან გამოვარდნილ წყლის ნაკადს რომ მოაშორებ ხის საცობით.

— რა დავემართოთ? — სასოწარკვეთილმა შესძახა მთავარმა ექიმმა.

შეშინებულმა წელან ვერც კი მოასწრო აკადემიკოსისათვის ხელი შეეშველებინა და ლოგინში ისე ჩაეწვინა.

„ვაითუ, მკვეთრმა მოძრაობამ ახლად გადანერგილ ტვინზე ცუდად იმოქმედოს?“

„ვაითუ, რაღაც ისე ვერ გავაკეთეთ და გიორგაძის ტვინმა აზროვნება შეწყვიტოს!?“

— ბატონო დავით, რა გაცინებთ? — ხელები ფრთხილად შეავლო მოთახთახე მხრებზე.

„ბატონო დავით!“ — განა წელან ეგეთონ არ თქვა, დღეიდან თქვენ რამაზ კორინთელი ბრძანდებით და მხოლოდ ამ სახელით და გვარით მოგმართავთო?“

„ალბათ, შიშის გამო მივმართე ისევ აკადემიკოს დავით გიორგაძეს და არა იმ სხეულს, ვის ძველ პატრონთანაც არასდროს არ მოლაპარაკნია“.

— რა გემართებათ, ბატონო დავით, გემუდარებით, დაწყნარდით!

სანახევროდ დამშვიდებულ აკადემიკოსს არ მოეწონა ზურაბ თორაძის ხმაში გარეული სასოწარკვეთა. მისი მხრები ოდნავლა თახთახებდა. მთავარი ექიმი მიხვდა, ავადმყოფი აღარ იცინოდა. დავით გიორგაძემ თავი წამოსწია და ბალიშს ლოყით მიეხუტა.

— ნუ ღელავთ, ექიმო. თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ! — თქვა წყნარად ავადმყოფმა.

ზურაბ თორაძის ტვინში ავარდნილი და შედედებული სისხლი ნელ-ნელა ისევ შეთხელდა და ძარღვებში დაიფანტა.

დუმილი ჩამოწვა.

დავით გიორგაძე ფიქრმა გაიტაცა.

მთავარმა ექიმმა ხმის ამოღება ველარ გაბედა, იქვე, სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაჰკიდა, ავადმყოფის საქციელი იმდენად უცნაურად მოეჩვენა, რომ წამიერად ისიც კი გაიფიქრა, ყველაფერი დაიღუპაო.

— შეგიძლიათ წაბრძანდეთ, თქვენც დაწყნარდებით და მეც დავისვენებ! — თქვა მცირე დუმილის შემდეგ სრულიად დამშვიდებულმა დავით გიორგაძემ.

ზურაბ თორაძე ნირწამხდარი წამოდგა. შერცხვა, რომ ამ ხნის მანძილზე პირველად იგრძნო სასოწარკვეთა, პირველად შეერყა რწმენა და შეეპარა შიში, ვაითუ ამდენი წვალება წყალში გადამეყარაო.

ავადმყოფისათვის აღარც მაჯა გაუსინჯავს, არც შუბლზე დაუდვია ხელი, აშკარად ჩანდა, დავით გიორგაძე თავს კარგად გრძნობდა.

— ერთი სასიამოვნო თუ უსიამოვნო ამბის თქმას ვაპირებდი, მაგრამ მგონი, გადაიღალეთ. იქნებ სჯობდეს, ხვალ მოგახსენოთ.

— ახლა მითხარით! — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა გიორგაძემ.

— ინგა დაჟინებით მოითხოვს თქვენს ნახვას. — მთავარი ექიმის ხმაში აღარ გამოსჭვიოდა საზეიმო ინტონაცია. — საბრალო გოგონა ძალზე შეშინებულია, არცაა გასაკვირი, მთელი თვეა არ უნახიხართ.

— ინგა ვინ არის? — გაოცდა დავით გიორგაძე.

— თქვენი და გახლავთ, ინგა კორინთელი.

— ჰოო, ჩემი და! — გაეღიმა ავადმყოფს.

— თუ თქვენ თანახმა იქნებით, პალატაში შემოსვლის ნებას სამი დღის შემდეგ დავრთავ, ხვალ კი მოვალ და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თქვენი ბიოგრაფიული დეტალები. მართალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ, რამაზ კორინთელმა, ტრავმის შემდეგ მეხსიერება მთლიანად „დაკარგეთ," მაგრამ არის ადამიანის ცხოვრებაში რაღაც მოვლენები, უმძაფრესი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი, რომლებიც განკურნების შემდეგ ბუნდოვნად მაინც უნდა „აღდგეს". ახლა კი, ნება მიბოძეთ, ძაგტოვოთ!

ზურაბ თორაძე სარკესთან მივიდა, პირით კვლავ კედლისკენ შეაბრუნა და პალატიდან გავიდა.

— სამ საათს მაინც ნურავის შემოუშვებთ! — მიაძახა დავით გიორგაძემ მთავარ ექიმს.

— ბატონი ბრძანდებით!

რკინის მძიმე კარიც დაიხურა და დავით გიორგაძემ შვებით ამოისუნთქა.

თვითონვე უკვირდა, თავს ისე მშვიდად გრძნობდა. მარტო დარჩენაც უხაროდა. შეეძლო თავისუფლად ეფიქრა, საკუთარ თავთან ემსჯელა, დღევანდელი განცდები შეეფასებინა.

„ნუთუ ასე იოლად გადავიტანე ყველაფერი? — უკვირდა თვითონ, — ნუთუ ისე ვარ გამოფიტული და დაცლილი, რომ წარმოუდგენლად იოლად შევეგუე ჩემს უცნაურ და გაუგონარ ხვედრს? შეიძლება წინასწარმა ფიქრმა, განსჯამ და მთავარ ექიმთან კამათმა ჯერ კიდევ ოპერაციამდე შემაჩვია მოსალოდნელ უჩვეულო ცხოვრებას?"

„იქნებ სულ ესაა ადამიანის ემოციური შესაძლებლობანი? იქნებ მეტი უნარი არც გაგვაჩნია ტრაგიკულის ან სიხარულის აღქმისა?"

უცებ რაღაც გაახსენდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. შეშინებული ლოგინზე წამოჯდა და სარკეს გახედა.

— არა, არა! — წაიბუტბუტა უნებურად, თან თავი გააქნია და ისევ გულაღმა გადაწვა, — შეუძლებელია, შეუძლებელი!

უნდოდა ხმამაღლა ეყვირა, მაგრამ თავს დროზე მოერია. იცოდა, აპარატურა ჩართული იყო და, ალბათ, მორიგე ექიმი ყველაფერს ხედავდა.

თვალი დახუჭა. ცდილობდა გათიშულიყო და არაფერზე აღარ ეფიქრა. ვერ მოისვენა. დინჯად წამოდგა, ჯერ დიდი ნათურა აანთო, შემდეგ სარკესთან მივიდა, ისევ შემოაბრუნა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და თავის გამოსახულებას დაჟინებით მიაჩერდა.

„ღმერთო, სად მინახავს ეს ყმაწვილი!"

„იქნებ მეშლება?"

„არა, არ მეშლება. ისეთი განცდა მაქვს, მგონი, მისაუბრია კიდეც მასთან!"

სარკესთან ახლოს მივიდა, ცალი ხელით ჩამოეყრდნო და საკუთარ გამოსახულებას თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა.

სისუსტე იგრძნო. სარკე აღარ შეუბრუნებია, მხოლოდ სინათლე ჩააქრო, ლოგინთან გაჭირვებით მივიდა და ფრთხილად წამოწვა.

უმალვე თვალი დახუჭა, გონება ისევ დაძაბა. ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეს მაღალი, ლამაზი, მაგრამ მკაცრი შესახედაობის, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი, ვის სხეულშიც ახლა მისი სული წყალქვეშა გემივით ცურავდა.

„საიდან მახსოვს ჭაბუკის ბოროტად გამომზირალი თვალები?!."

„ან საიდან მაგონდება მისი თავხედური ღიმილი?!."

„საიდან მახსოვს? საიდან მახსოვს? საიდან მახსოვს?.."

ვერ გაიხსენა.

„ვთქვათ, მართლაც მახსოვს. მერე რა მოხდა?! თბილისი პატარა ქალაქია, იქნებ შემხვედრია კიდეც სადმე!"

„ვინ იცის, იქნებ რაღაცით მიიქცია ჩემი ყურადღება!"

„აბა, მაშინ რა ვიცოდი... აბა, მაშინ რას მივხვდებოდი და წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა დრო და..."

„შეიძლება, მომეჩვენა კიდეც. ახლა ისე ვარ გაღიზიანებული და აღგზნებული, ადვილი შესაძლებელია, რომ მომეჩვენა!" — დაასკვნა ბოლოს და ერთბაშად, თითქოს ელექტროქსელიდან გამოთიშესო, ღრმად ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დავით გიორგაძე, დღეიდან უკვე რამაზ კორინთელი, უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო.

მაინც რა დაემართა?

დასთან შეხვედრამ რატომ აუფორიაქა სული და გონება?

იქნებ გულუბრყვილო შეკითხვებს უსვამდა თავის თავს?

ვერ გარკვეულიყო, გაახარა თუ შეაშინა ინგას ნახვამ.

ინგა კორინთელი განა მართლა და იყო მისი!

თუმცა იგი იმ დღიდან, უფრო სწორად, იმ წუთიდან, რაც რამაზ კორინთელი გახდა, უკვე ძმად ეკუთვნოდა ინგას.

თითქოს ბუნებრივი იყო, პირველი შეხვედრისას მღელვარება რომ დაუფლებოდა. ცდილობდა, თავი დაემშვიდებინა, ნერვები მოეთოკა. არაფერი გამოსდიოდა.

წინასწარ იცოდა, ინგასთან შეხვედრას რა მღელვარება და ვნებათაღელვა მოჰყვებოდა. ორი დღის მანძილზე ფსიქოლოგიურად თითქოს მოემზადა კიდეც დასთან შესახვედრად.

ეტყობა, ვერ მოემზადა.

„იქნებ ვერავითარი ფსიქოლოგიური მომზადება ვერ გაანელებდა დასთან შეხვედრის მღელვარებას?“

„ვითომ დასთან შეხვედრამ აუფორიაქა სული და გონება, თუ სულ სხვა, გამოუცნობი განცდა დაეუფლა?“

შეშინებულმა თვალი დახუჭა. უნდოდა ფიქრი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ თვალწინ ინგა წარმოუდგა, საშუალო სიმაღლის ქერა გოგონა. საოცარი სიცხადით დაინახა მისი ცისფერი, გულუბრყვილო, ლამაზი თვალები. ძმის მსგავსად ოდნავ გრძელი ყბა თითქოს არაპროპორციულს აჩენდა მის ნაზ სახეს, მაგრამ სწორედ ეს არაპროპორციულობა მოეწონა რამაზ კორინთელს. ინგა შვედ ან ნორვეგიელ ქალიშვილს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე ქართველს. უცხო იერმა, თხელი, გრძელი ხელების ნატიფმა მოძრაობამ უცნაურად შესძრა და ააფორიაქა.

რამაზ კორინთელი მოწოლილ გრძნობებს ებრძოდა. უნდოდა, მღელვარება მხოლოდ თავისი უცნაური ბედისათვის დაებრალებინა. არაფერი გამოსდიოდა. ისევ აგონდებოდა დის თხელი, ნაზი მკერდი, სიფრიფანა სხეული, ჰაეროვანი მოძრაობა და მიხვდა, ჭაბუკის თავში რომელიღაც ბორბალი უკუღმა დატრიალდა.

როცა მთავარ ექიმს ნება დართო, ინგა შემოუშვითო, ლოგინზე წამოჯდომა გადაწყვიტა. წამოჯდა კიდეც, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და ძველებურად გულაღმა დაწვა. თვალები დახუჭა. საკუთარი გულის ფეთქვის ხმა სადღაც შორიდან ესმოდა. ცდილობდა მღელვარება დაეოკებინა, ფიქრი სხვა ამბებზე გადაიტანა, ინსტიტუტი და მოახლოებული საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსენა. თითქოს შეძლო კიდეც თავი დაემორჩილებინა და კარის გაღების ნაცნობი ზუზუნიც გაისმა.

თვალი უმალვე გაახილა.

კარი ისევე მძიმედ და საფუძვლიანად დაიკეტა, როგორც გაიღო.

ლითონის მუქ ფონზე ნათლად გამოიკვეთა ქერა, თხელი, ჰაეროვანი ქალიშვილი, ხელში რომ ხილით სავსე ბადე და ყვავილები ეჭირა.

ქალიშვილი ერთხანს კართან იდგა გაშეშებული, არ იცოდა, საით წასულიყო. ოთახის უცნაურმა კონსტრუქციამ, აკლდამის შთაბეჭდილებას რომ უფრო ტოვებდა, ვიდრე საავადმყოფოს პალატისას, ძალზე დააბნია. მკრთალ შუქზე ბოლოს მაინც დაინახა უცნაური, მექანიზმებიანი საწოლი და, ალბათ, თვითონაც აღარ ახსოვს, როგორ მიირბინა საწოლთან. ხილი და ყვავილები ტუმბოზე დაყარა, საწოლს მივარდა და ძმა ფრთხილად ჩაიკრა გულში.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა, რადგან ჩახუტებული დის სახეს მაინც ვერ ხედავდა. შუბლზე ცრემლი დაეცა. ქალიშვილის მკერდის ცახცახზე მიხვდა, ინგა სიხარულისაგან ტიროდა.

რამაზ კორინთელის გულში სწორედ მაშინ იფეთქა უცნაურმა გრძნობამ. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიშვილის მოთახთახე სხეულმა საოცარი ნეტარება მოჰგვარა. პატარა, მაგრამ მკვრივმა ძუძუებმა მკერდი დაუდაღა. დის ნაზმა ლოყამ მთელი სხეული ისე აუფორიაქა, ზენა ქარი მდორე მდინარეს ზედაპირს რომ დაუხორკლავს ხოლმე.

შეკრთა. მიხვდა, ეს არ იყო დის სიყვარული, ეს არ იყო ის გრძნობა, დის ჩახუტებასა და კოცნას რომ მოჰყვება ხოლმე.

გონებიდან სხეულში მძიმე შლანგით ჩაეშვა ცივი წყალი.

გადახურებისაგან რკინის სიმებივით დაწითლებულ ძარღვებზე აშიშინდა და აორთქლდა წყლის ჭავლი. მერე შიშინმა თანდათან იკლო, ლითონის სიმმა ჯერ სიწითლე დაკარგა, შემდეგ სიმხურვალე და რამაზ კორინთელიც თანდათანობით ჩაცხრა და ჩაწყნარდა.

— ნუ დამახრჩე! — ეს იყო პირველი სიტყვები, დას რომ უთხრა.

— სულ დამავიწყდა, რომ სუსტაღ ხარ, მაპატიე, სიხარულისაგან ვეღარ მოვზომე. — ინგამ ძმას საბანი შეუსწორა და სკამზე ჩამოჯდა, — ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ვიყავი. იმედი თითქმის გადაწურული გვქონდა. უცებ კი — ამოდენა ბედნიერება! განა არ გიკვირს, რომ ჭკუაზე არ შევიშალე?

ინგა ფეხზე წამოიჭრა, ყვავილები წყლიან ბოლის ვაზაში ჩადო.

რამაზ კორინთელს გაეღიმა, დილით ვერ მიხვდა, მთავარმა ექიმმა წყლით სანახევროდ გავსებული ბოლის ვაზა რატომ შემოიტანა. უფრო სწორად, დასთან შეხვედრის მოლოდინით აღელვებულმა ერთი კი შეავლო თვალი ვაზას, მაგრამ არც გაუთვითცნობიერებია, ზურაბ თოლაძემ რატომ ან რისთვის დადგა იგი ტუმბოზე.

— ხილი ხომ არ გინდა!

— არა, ჯობია მელაპარაკო. ჭამას ყოველთვის მოვასწრებ.

— არა მჯერა, რომ გამოჯანსაღდი. შენ ხომ არ იცი, როგორ ვიტანჯებოდი. უფრო ის მაწამებდა, რომ შველა არ შემეძლო. ახლა რა კარგად გამოიყურები! — ინგა სკამიდან ისევ წამოიჭრა და ძმა გულში ჩაიკრა.

ფოლადის სიმები ისევ გაწითლდა სიმხურვალისაგან. ვაჟის მკერდმა ისევ იგრძნო ქალიშვილის პატარა, მაგრამ მკვრივი ძუძუები და მდორე მდინარეს ზენა ქარზე ისევ დაეხორკლა ზედაპირი.

— კარგი-მეთქი! ხომ გითხარი, ამდენი არ შემიძლია.

— მაპატიე! — ინგამ ძმას ნაზად აკოცა ლოყაზე და ისევ სკამზე ჩამოჯდა. —სიარული შეგიძლია?

— როგორ არა, თუ გინდა, ახლავე ავდგები, მაგრამ დღეს პალატაში ბევრი მასეირნეს და მთავარმა ექიმმა ხვალამდე ამიკრძალა ფეხზე წამოდგომა.

— არა, არავითარ შემთხვევაში არ წამოდგე! — შეშინდა ინგა. — მეც მალე წავალ. ემოციებით აღარ გადაგღლი. არ მჯეროდა, რომ გადარჩებოდი. ვერ გავიგე, მთელი თვის მანძილზე რატომ არ შემომიშვეს შენს სანახავად. ხან რით მამშვიდებდნენ და ხან რით. არ მჯეროდა, რომ ოპერაციამ შედეგი გამოიღო. საბოლოოდ დამშვიდებული, ისეთი ბედნიერი ვარ, თავი სიზმარში მგონია. მეშინია, არ გადაგღალო, როცა შემომითვლი, მაშინ მოვალ შენს სანახავად.

— თუკი შეგიძლია, ყოველდღე მოდი! — წამოსცდა უცებ რამაზ კორინთელს. — ახლა კი ჯობია წახვიდე!

ინგამ ძმას ნაზად აკოცა და წავიდა. რკინის მძიმე კარი მანამ გაიღო, სანამ ქალიშვილი იქამდე მივიდოდა.

რამაზ კორინთელი მიხვდა, მთავარი ექიმი აპარატურიდან აკვირდებოდა დაძმის შეხვედრას. ბუნებრივი მოეჩვენა მთავარი ექიმის ცნობისმოყვარეობა. მაინც გაღიზიანდა.

ინგამ ღიმილით შემოხედა, გამოთხოვების ნიშნად ძმას ხელი დაუქნია და პალატიდან გავიდა.

რკინის მძიმე კარი ნელა დაიხურა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა.

თავისი უკანასკნელი სიტყვები გაიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენა, თუკი შეგიძლია, ყოველდღე მოდიო, და შეკრთა.

საკუთარმა სიტყვებმა შეაკრთო. თვალები დახუჭა.

„რატომ ყოველდღე?“

„ამ ერთი საათის წინ ხომ სიკვდილივით არ მინდოდა მასთან შეხვედრა?“

„ძაშ, რა მოხდა?“

„იქნებ გონებამ ერთბაშად დაიმორჩილა ჩემი ახალი სხეული და დანახვისთანავე ჩამინერგა დის... სიყვარული?“

„სიყვარული!“ — გააჟრჟოლა ტანში.

„იქნებ...“

რამაზ კორინთელი შეჩერდა, ფიქრის გაგრძელების შეეშინდა. მხოლოდ ერთ წუთს ჩაუდგა ჯებირი მდინარეს, მხოლოდ ერთ წუთს შეაჩერა მისი მძლავრი ნაკადი!

უცებ ახალი ძალით იხუვლა მღვრიე ზვირთებმა.

„იქნებ მართლა დაიმორჩილა გონებამ სხეული და...“

ფიქრი ვეღარ გააგრძელა. თითქოს ისევ იგრძნო პატარა, მაგრამ მკვრივი ძუძუების შეხება...

თვალი გაახილა. თავზე მთავარი ექიმი ადგა, გაოცდა. ვერ გაიგო, როდის შემოვიდა.

— ხომ არ გაგაღვიძეთ?

— არ მძინებია, უბრალოდ, თვალები მქონდა დახუჭული.

— როგორ ჩაიარა პირველმა შეხვედრამ?

რამაზ კორინთელი მთავარი ექიმის თვითდაჯერებულმა გამოხედვამ და ოდნავ თავხედურმა ღიმილმა გააღიზიანა.

— მშვენივრად იცით, როგორც ჩაიარა!

— რასაკვირველია, ვიცი. და თუ თქვენი პალატა ჩართული მქონდა და თქვენს ლაპარაკს ყურს ვუგდებდი, არც უნდა გაგიკვირდეთ.

თქვენი ყოველი სიტყვა, განწყობილების ცვალებადობა, სევდა ან სიხარული, მე, როგორც თქვენს ექიმს, ბევრ ინფორმაციას მაწვდის, რომლის მიხედვითაც უნდა წარვმართო შემდგომი მკურნალობა. და თუ გავაანალიზებთ ჩემს დაკვირვებებს, ყველა მიზეზი მაქვს სიხარულისა. უკვე იგრძნობა თქვენი სულიერი გამოცოცხლება, დაგეუფლათ სიმსუბუქე და სიხარული. დასთან შეხვედრამ თქვენში მხოლოდ დადებითი ემოციები აღძრა. უნდა აღიაროთ, რომ მართალი ვარ!

რამაზ კორინთელმა მთავარ ექიმს თვალი თვალში გაუყარა. უნდოდა მის მრგვალ, თაფლისფერ თვალებში ამოეკითხა, იგრძნო თუ არა ზურაბ თორაძემ ის შეუცნობელი, უცნაური განცდა, დის ჩახუტებისას რომ დაეუფლა.

„მე მგონი, ვერაფერს მიხვდა!“

„ანდა საიდან მიხვდებოდა?“

„თუმცა რას უნდა მიმხვდარიყო, განა მე მართლა...“ — აღარ დაამთავრა ფიქრი კორინთელმა, არ უნდოდა, ყველაფერი ბოლომდე გაეაზრებინა და იმ გრძნობისათვის, წელან დის მკერდზე შეხებისას რომ იგრძნო, თავისი სახელი ეწოდებინა. თავისი თავისათვის ისიც ვერ ეპატიებინა, წელან რომ სიტყვა „სიყვარული“ გაიფიქრა.

მერე რა, რომ ინგა არ იყო მისი და, იმ სხეულის და ხომ იყო, სადაც ახლა დავით გიორგაძის სული ბინადრობდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამოცდათოთხმეტ წელს მიღწეული გონებისათვის ძნელად წარმოსადგენი, უფრო სწორად, ამაზრზენი და ამორალურიც იყო შვილიშვილის ტოლა გოგონას მკერდით და თოთო ლოყის შეხებით აღძრული სენსუალური განცდები.

ისევ შეხედა თვალებში მთავარ ექიმს. გამარჯვებით ატაცებული მეცნიერის მრგვალი, თაფლისფერი თვალებიდან ისევ იფრქვეოდა ნაპერწკლებიანი სხივები.

„რასაკვირველია, ვერაფერს მიხვდა, ანდა რას უნდა მიმხვდარიყო!“ დაასკვნა საბოლოოდ დამშვიდებულმა.

— ნამდვილად უნდა აღიაროთ, რომ მართალი ვარ! — კარგა ხნის პაუზის შემდეგ ისევ გაიმეორა ექიმმა ადრე წარმოთქმული ფრაზა.

— თუ ჩვენმა საუბარმა ამდენი ინფორმაცია მოგაწოდათ, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ძალიან დავიღალე და ლაპარაკის თავი აღარა მაქვს.

— კეთილი. მე ახლავე წავალ. დაისვენეთ, გამოიძინეთ, საღამოს კიდევ გეახლებით. და რაც მთავარია, ბატონო რამაზ,—„ბატონოს“ თქმა ცოტა ეხამუშა მთავარ ექიმს, ოცდასამი წლის ჭაბუკისათვის შეუფერებლად ეჩვენა ასეთი პატივი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფაქტიურად რამაზ კორინთელს კი არა, აკადემიკოს დავით გიორგაძეს ელაპარაკებოდა. — დიახ, რაც მთავარია, მივდივარ გახარებული, რწმენით აღსავსე და გამარჯვებაში დარწმუნებული!

ახლა კი, ნება მიბოძეთ, დროებით ისევ დაგატყვევოთ, ისევ შეგიერთოთ აპარატურა. დღეს ჩემს ასისტენტებს დიდი სამუშაო ელით, უნდა გაანალიზონ, როგორ გადაიტანს თქვენი სხეული და გონება დღევანდელ დიდ ემოციებს და განცდებს. თუმცა წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ სანერვიულო და ასაღელვებელი არაფერი გვაქვს.

მთავარმა ექიმმა უკანასკნელი აპარატიც ჩართო, წელში გაიმართა და ავადმყოფს გაუღიმა.

— მე წავედი. ძილი ნებისა, ბატონო რამაზ!

„ბატონო რამაზ!“ — მწარედ ჩაეღიმა რამაზ კორინთელს.

მთავარი ექიმი წავიდა. რკინის კარი ძძიმედ დაეშვა. კორინთელის სურვილით სინათლეც გამოირთო. აქა-იქ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ აპარატურის წითელი და მწვანე ნათურები ციმციმებდნენ.

სქელ ბეტონისკედლებიან, აკლდამისმაგვარ პალატაში სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა ეს პირველი შთაბეჭდილება იყო. ცოტა ხნის შემდეგ გარკვევით გამოიკვეთა აპარატურის მონოტონური, სკის მაგვარი ზუზუნი.

რამაზ კორინთელი საშინელმა სევდამ შეიპყრო. ისევ წარმოიდგინა თავისი თავი ცალკეულ ორგანოებად დაშლილ და სხვადასხვა ოთახში მოციმციმე ტელეეკრანებზე დანაწილებულად.

უცებ აპარატურის ზუზუნი შეწყდა, მწვანე და წითელი ნათურებიც გამოირთო. ირგვლივ საშინელი სიბნელე და სიჩუმე ჩამოწვა.

რამაზ კორინთელი შიშმა შეიპყრო. აქამდე მტკიცედ სჯეროდა, რომ სიჩუმეს თავისი ხმა არ ჰქონდა. ახლა კი... აშკარად გაარჩია სიჩუმის უცნაური ხმა, თითქოს სადღაც შორს, შორს, ამავე დროს იქვე, მისი ყურის ძირთან რომ იბადებოდა.

რამაზ კორინთელმა მარჯვენა ხელი სახეზე ჩამოისვა და შეეცადა სველი სიბნელე მოეშორებინა, კანზე რომ ღრუბელივით ეკვროდა.

უცებ ხმაური შემოესმა. შეკრთა. იგი არ ჰგავდა რკინის მძიმე კარის გაღების ხმას. მოპირდაპირე მხარეს ბეტონის კედელი შეინძრა და გაიბზარა. ბზარმა პირველად ელვასავით ვაანათა, შემდეგ თანდათან გაფართოვდა. უცებ ვიღაცამ ნაპრალში უზარმაზარი ბანჯგვლიანი ხელები შემოყო და კედლები ერთმანეთს ღრჭიალით დააშორა. პალატაში მზის სხივები შემოიჭრა. კაშკაშა სინათლემ პირველად თვალი მოსჭრა, მაგრამ თანდათანობით მაინც შეეჩვია ოქროსფერი სხივების ელვარებას.

უცებ...

„ღმერთო ჩემო, ნუთუ მეჩვენება?!“

მზის სხივებში გახვეული, ღიმილით მომავალი ინგა დაინახა. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალიშვილს თავზე მოცისფრო შარავანდედი ადგა. შენელებული კინოკადრებივით დინჯად მოაბიჯებდა. ხელში გვირილების დიდი კონა ეჭირა, წელზე მოცისფრო ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ახლოა მიხვდა, ინგა ფეხს მიწას კი არ აბიჯებდა, მზის სხივების ფიანდაზზე მოირწეოდა.

უცებ, თითქოს კინოფირი უკუღმა დაატრიალესო, სხივები უკან გაიკრიფნენ და მოღიმარი ინგაც თან გაიტაცეს. კედლის ნაპრალში ისევ გამოჩნდა უზარმაზარი ბანჯგვლიანი ხელები და უმალვე გაუჩინარდა. ისევ გაისმა ღრჭია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ნაპრალი ნელ-ნელა შეეიწროვდა და კედელი ძველებურად გამთლიანდა.

გაოცებულმა და შეშინებულმა რამაზ კორინთელმა წამოდგომა სცადა. უმალვე ვიღაც თმაში სწვდა და ლოგინს მიაჯაჭვა. ლორწოიანი, საცეცებივით გრძელი თითები ყელში წაუჭირა და ბორიტად ჩაიხითხითა. ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, დაყვირება უნდოდა, ვერ შესძლო. უჰაერობას საშინელი ტკივილი დაემატა. სველი საცეცები ყელზე სალტესავით ქონდა შემოჭდობილი. ცივი, სველი სალტე თანდათან ვიწროვდებოდა. ცოტაც და კისერის მალების მტვრევის ხმა ჩაესმა ყურში. ვიღაცამ რკინის პალოს ურო დაჰკრა და ტვინში ჩაურჭო.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ბანჯგვლიან, სველ საცეცებს მთელი ძალით ჩაებღაუჭა. ამაოდ. ვერ იქნა და სლიპინა საცეცებს ვერ ჩაავლო მაგრად ხელი. ვიღაცამ ისევ დაჰკრა პალოს ურო. სიბნელე ისევ გაანათა ნაპერწკლებმა. ცივმა ოფლმა დაასხა. ტკივილისაგან გამწარებული ლორწოიან საცეცებს კიდევ ერთხელ ჩაებღაუჭა, არაადამიანური ძალით გაქაჩა და, როგორც იქნა, ერთმანეთს დააშორა.

შვებით ამოისუნთქა, ფილტვებში ისევ იგრძნო ჟანგბადის მაცოცხლებელი ნაკადი.

თვალი გაახილა.

პირველი, ვინც დაინახა, ზურაბ თორაძე იყო. მის უკან ორი ექიმი იდგა. „სინათლე ვინ აანთო ან ექიმები როდის შემოვიდნენ?“ — გაოცდა რამაზ კორინთელი.

„ნუთუ რაც ვნახე, ყველაფერი მოჩვენება იყო?“

— რომ იცოდეთ, როგორ შეგვაშინეთ! ახლა ხომ კარგად გრძნობთ თავს? — ჰკითხა ღიმილით ზურაბ თორაძემ.

მოეჩვენა, რომ ექიმის აღელვებულ სახეს არაბუნებრივი ღიმილი ქაფივით ჰქონდა მოყენებული.

— ცუდი სიზმარი ვნახე, ალბათ, იმიტომ ვბორგავდი, — თქვა ჩუმად. — შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ!

ბოლო სიტყვები მტკიცედ წარმოთქვა. ექიმების ყურადღებიანი სახეები აღიზიანებდა. უნდოდა, მარტო დარჩენილიყო.

— ცუდი სიზმრებისაგან ჯანმრთელი კაციც არ არის დაზღვეული. გთხოვთ, ნურაფერზე ნუ იფიქრებთ, სხვა მხრივ სახიფათო არაფერია!

ზურაბ თორაძე გატრიალდა. ექიმებმა უფროსი წინ გაუშვეს და თვითონაც დუმილით მიჰყვნენ.

რკინის კარი მძიმედ დაიხურა.

რამაზ კორინთელმა თვალები დახუჭა, გულზე სევდა შემოაწვა. სხვის სხეულში შეყუჟულმა დავით გიორგაძის აღგზნებული ტვინის უჯრედებმა საგანგაშო იმპულსები დაიჭირა. იგრძნო, რომ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი. ავადმყოფი ერთსაც მიხვდა, საქმე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე მას ან მთავარ ექიმს ეგონა.

თავი მეექვსე

— აი, ესაა თქვენი ბინა! — თქვა ზურაბ თორაძემ და რამაზ კორინთელს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, მართალია, აკადემიკოს დავით გიორგაძის ბინისთანა ვერაა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის პირობაზე მშვენიერი ბინაა.

ეს იყო ერთი კვირის წინ.

ზურაბ თორაძემ ჯერ კიდევ საღამოს აუწყა კორინთელს, ხვალ დილით გაგწერთო.

იმ ღამეს თითქმის არაფერი ეძინებია. ღელავდა, ცოტა ეშინოდა კიდეც. მიხვდა, ფაქტიურად ხვალ დილიდან შეუდგებოდა თავის ახალ ცხოვრებას

ზუსტად ცხრა საათზე ზურაბ თორაძე და სამი ახალგაზრდა ექიმი პალატაში შემოვიდნენ. ოთხივეს საზეიმო გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ მთავარ ექიმს მაინც გამორჩეულად უბრწყინავდა სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგა ისტორიული წუთი. ნახევარ საათში თქვენ დატოვებთ საავადმყოფოს შენობას და შეუდგებით სრულიად ახალ ცხოვრებას.

„ეს კაცი ექიმი რომ არ გამოსულიყო, მშვენიერი მსახიობი დადგებოდა“, — გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

— დღევანდელი დღიდან, მართალია, შინ იცხოვრებთ, მაგრამ ჩვენი ყურადღება არ მოგაკლდებათ. მე და ასევე ჩემი კოლეგები პირველ თვეს, ალბათ, ყოველდღიურად გესტუმრებით, კონტროლი მაინც აუცილებელია. მართალია, საშიში არაფერია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგიბრუნოთ თქვენი სამივე კონვერტი. როგორც ხედავთ, ანდერძი აღარ დაგვჭირდა. — მთავარმა ექიმმა თეთრი ხალათის ჯიბიდან კონვერტები ამოიღო და რამაზ კორინთელს გაუწოდა.

კორინთელს სახეზე რაღაც უსახური, არაფრის მთქმელი ღიმილი გამოეხატა. მთავარ ექიმს ხელი გაუწოდა და კონვერტები თითქოს დარცხვენილად ჩამოართვა. უცებ სახეზე ღიმილი ნელ-ნელა წაეშალა, კონვერტებს გულდასმით დახედა. ორი პიჟამას ჯიბეში ჩაიდო. ერთი კი ნაკუწებად აქცია. რატომღაც ნაკუწები ჯიბეში ჩაიკუჭა და მთავარ ექიმს შეხედა.

— ახლა კი გთხოვთ, ჩაიცვათ. აი თქვენი ტანსაცმელიც. — ზურაბ თორაძემ ერთ-ერთ ექიმს ჩანთა ჩამოართვა და ტანსაცმელი თავისი ხელით ამოალაგა.

— მოგეშველოთ ჩაცმაში?

— არა, ჩემით ჩავიცვამ.

რამაზ კორინთელმა დაკვირვებით შეათვალიერა ტანსაცმელი, მიხვდა, ვისიც იყო. თავი ვერ მოთოკა, სახეზე ზიზღი გამოეხატა. ხმა მაინც არ ამოიღო და შარვალს ხელი შეავლო.

მთავარ ექიმს არ გამოჰპარვია რამაზ კორინთელის ზიზღით აღსავსე გამოხედვა. უმალვე შეეცადა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— ეზოში ინგა გველოდება. ბინა უკვე გაამზადა. საჭმელიც გაგიკეთათ. მე დავარიგე და ჩამოვუწერე, პირველ თვეს რა უნდა გაჭამოთ. ისე, კაცმა რომ თქვას, არც შემიზღუდია. თქვენი ჯანმრთელობა გვაძლევს იმის მტკიცე საფუძველს, რომ შეგიძლიათ ცოტა ღვინოც კი დალიოთ.

„ინგა!“ — მთავარი ექიმის სიტყვები შიგ გულში მოხვდა.

რატომ იმოქმედა ასე მძაფრად ინგას ხსენებამ? რატომ დაეუფლა რაღაც გაუთვითცნობიერებელი სასიამოვნო მოლოდინი? ერთს კი მიხვდა რამაზ კორინთელი. ეს არ იყო დასთან შეხვედრის მოლოდინით გამოწვეული სიხარული.

მაშ, რა გრძნობამ აუჩქროლა სისხლი?

„სისულელეა!“ — დატუქსა საკუთარი თავი და ფიქრი სხვა საგნებზე გადაიტანა.

არაფერი გამოუვიდა, თვალწინ კვლავ ქერა, ცისფერთვალება ინგა ედგა.

საავადმყოფოს ეზოში ინგა რომ კისერზე ჩამოეკიდა, თითქმის დარწმუნდა, რომ არ სცდებოდა. ქალიშვილის პატარა, მაგრამ მკვრივმა მკერდმა და ნაზმა ლოყამ კვლავ ვნებით წამოანთო. რამაზ კორინთელი არამარტო გრძნობდა, ძარღვებში სისხლი როგორ დაუდიოდა, ხედავდა კიდეც ალმა-დალმა მბრუნავ წითელ ნაკადებს.

ძმის გამოჯანმრთელების სიხარულით ატაცებულ ინგას კოცნაზე არ უპასუხა და კისერზე ჩამოკიდებული და უხეშად მოიშორა. ბედნიერებით გონდაკარგულ ქალიშვილს არც უგრძვნია ძმის უხეშობა.

„აი, ესაა თქვენი ბინა!“ — ისევ ჩაესმა ყურში მთავარი ექიმის მიერ ერთი კვირის წინ წარმოთქმული ფრაზა.

იქაურობა მოათვალიერა. თითქოს პირველად ხედავდა ერთოთახიან, უფრო სწორად, ოთახნახევრიან, სადად მოწყობილ ბინას. თითქოს ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად არ იცოდა.

შვიდი დღის მანძილზე ან იწვა, ან სავარძელში მოკალათებული ყოველი

მხრიდან მოზღვავებულ ფიქრებს იგერიებდა. უნდოდა, ზეციდან ფიფქებივით მომავალი ფიქრები ერთ გუნდად შეეკრა. თვითონაც გრძნობდა, გუნდა გიგანტური გამოსდიოდა, ზვავს უფრო ჰგავდა, იქაურობას წალეკვით რომ ემუქრებოდა.

„აი, ესაა თქვენი ბინა.“

ოთახნახევრიანი ბინა.

ოთახის ერთი ფანჯარა ქუჩაში გადიოდა, მეორე ეზოში.

ჭერზე იაფფასიანი აბაჟური.

დივანი, ორი სავარძელი, წიგნების კარადა, მომცრო სერვანტი, პატარა გარდერობი, მაგიდა და ექვსი სკამი.

ყველაფერს გერმანული დამღა ჰქონდა დაკრული.

„ალბათ, ესაა ეგრეთ წოდებული „საცხოვრებელი ოთახი“, — გაიფიქრა კორინთელმა და ცარიელ წიგნების კარადას დაასო მზერა. მხოლოდ ერთ თაროზე ეყარა დაუდევრად ხუთიოდე წიგნი და კონსპექტები.

სამზარეულოს ერთი კედელი იქ, სადაც გაზის ქურა და ონკანიცაა მოთავსებული, აგრეთვე, ტუალეტი და აბაზანა, თეთრი კაფელით იყო მოპირკეთებული. სამზარეულოში პატარა ცისფერი მაგიდა, ორი ხის ცისფერი ტაბურეტი და მაცივარი იდგა.

სულ ეს იყო რამაზ კორინთელის ავლადიდება. ბინაში ყველაფერი უბრალო და სადა ჩანდა, მაგრამ სიკოხტავე, ხალვათობა, სისუფთავე და სიმყუდროვე იგრძნობოდა, რაც ინგას დამსახურება იყო.

ამ ფონზე გაცილებით, უფრო მეტიც, შეუსაბამოდ მდიდრულად გამოიყურებოდა რამაზ კორინთელის გარდერობი. პირველი ექვსი დღე არც დაინტერესებულა შეესწავლა თავისი ავლადიდება. ერთგვარ ზიზღსაც კი გრძნობდა ყველაფრის მიმართ. ეზიზღებოდა ლოგინი, რომელშიც იწვა, ეზიზღებოდა სავარძელი, რომელშიც იჯდა, ეზიზღებოდა ჭურჭელი, რომლითაც ჭამდა...

მხოლოდ მეშვიდე დღეს გადაწყვიტა გამოეღო გარდერობის კარი. ნაფტალინის უსიამო სუნი ეცა. ფანჯარა გამოაღო და ისევ კარადასთან მივიდა. კანადური ქურქი, ტყავის პალტო, ტყავისავე პიჯაკი და კურტკები, ორი საზაფხულო და ორი ზამთრის ძვირფასი საფირმო კოსტიუმი, საფირმო პერანგები, სვიტრები და ფეხსაცმელები, ჯინსები, „ადიდასის“ სხვადასხვა თარგისა და სხვადასხვა ფერის პიჟამები, სპორტული ფეხსაცმელები. იქვე, დაბლა იდო „ადიდასისვე“ ჩანთა, რომელშიც საჩოგბურთო კოსტიუმი და ჩოგანი ეწყო.

კარადის უჯრა გამოაღო. ძვირფასი პირსახოცების შეკვრა ამოიღო. ემძიმა, პირსახოცები მაგიდაზე დაყარა და გაშლა დაიწყო.

უცებ გაოცებისაგან გაშეშდა, პირსახოცების შეკვრის შუაგულში ცელოფანის პარკი იდო რევოლვერის ვაზნებით სავსე.

შეშფოთებული სავარძელში ჩაჯდა. ცელოფანის პარკი ისევ ხელში ეჭირა.

„ნეტავ რომელი რევოლვერისაა?“ — გაიფიქრა და პარკში ხელი ჩაყო.

მოზრდილი ვაზნები ხელისგულზე აათამაშა.

„ტტ“-სას ჰგავს“, — დაასკვნა და პარკი მთლიანად საწოლზე გადმოცალა. ვაზნები დათვალა, ორმოცდაათი იყო.

„სადაც ვაზნებია, იქ რევოლვერიც იქნება!“ — გაიფიქრა და ანერვიულებულმა მთელი ბინა გადააქოთა. რევოლვერი ვერ იპოვა. ცოტა დამშვიდდა. საღამ დაჯდებოდა, წიგნების კარადასთან მივიდა, სულ ხუთი წიგნი ეგდო იქ. დაუდევრად, ხუთად ხუთი წიგნი! ხუთივე სანახევროდ დაგლეჯილი სახელმძღვანელო აღმოჩნდა უმაღლეს მათემატიკასა და ფიზიკაში.

მწარედ ჩაიღიმა. ყდამოგლეჯილი წიგნი თვითონაც დაუდევრად შეაგდო კარადაში.

„ვინ არის რამაზ კორინთელი?“

„უფრო სწორად, ვინა ვარ მე?“

რევოლვერის ვაზნები, ყდამოგლეჯილი, გაქუცული სახელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და მდიდრული ტანსაცმელი იძლეოდა დაფიქრებისა და განსჯის საბაბს.

ბოლოს გაბედა და უჯრიდან რამაზ კორინთელის პასპორტი ამოიღო. იქვე მანქანის მართვის უფლების წიგნაკიც აღმოჩნდა.

მთავარმა ექიმმა საავადმყოფოში პასპორტი რომ გაუწოდა, რამაზ კორინთელს ზედაც არ დაუხედავს.

ზურაბ თორაძე მიხვდა, აკადემიკოსის გონებაში რა ვნებათაღელვაც იფაფრებოდა და პასპორტი ისევ ჯიბეში ჩაიდო. შინ რომ მოიყვანა, მის დასანახად უჯრაში ჩადო.

პასპორტისა და მართვის უფლების სურათებიდან კიდევ უფრო ახალგაზრდა რამაზ კორინთელი შემოსცქეროდა. იგრძნო, სურათები ზიზღს ჰგვრიდა. თუმცა ვერ გაეგო, ენერგიული, ჯანსაღი, საკმაოდ ლამაზი ყმაწვილი კაცის პორტრეტები ასე რატომ აღიზიანებდა. მიხვდა, მიუხედავად ბევრი ფიქრისა და ანალიზისა, მაინც ძნელი იყო აკადემიკოსს აღექვა, რომ ის ბიჭი თვითონ გახლდათ, სურათებიდან რომ გამომწვევად შემოსცქეროდა.

უჯრა გამოსწია, პასპორტი და მანქანის მართვის უფლების წიგნაკი დაუდევრად ჩაყარა და სავარძელში ჩაეშვა.

„უდედმამო, ახალგაზრდა დის პატრონი, უნივერსიტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი განა სად მუშაობდა, რომ ასეთი ძვირადღირებული მოდური ტანსაცმლის შესაძენი სახსრები გააჩნდა? ჯანა მუშებს რა ხელფასები აქვთ თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში?“

„იქნებ მშობლებმა დაუტოვეს მემკვიდრეობა?“

„რამდენადაც მთავარი ექიმისაგან კარგად ვარ გათვითცნობიერებული, მამაპაპური სახლი სოფელში ისევ შვილების კუთვნილებაა, არ გაუყიდიათ“.

რამაზ კორინთელს კვლავ მწარედ გაეღიმა. ის „სახლი“ ხომ ახლა მისი კუთვნილება იყო.

„არა, ახალგაზრდა კაცი ამდენ ფულს პატიოსანი შრომით ვერ იშოვიდა!“

გველნაკბენივით წამოდგა, ვაზნებით სავსე ცელოფანის პარკი კვლავ პირსახოცებში გაახვია და უჯრაში ჩადო.

ინგა პირველ ორ დღეს ძმას არ სცილდებოდა, თავს ევლებოდა. რამაზ კორინთელი გრძნობდა, დის შემხედვარეს სხეული ცხელი სისხლით ევსებოდა. საკუთარ თავს ებრძოდა. არაფრით არ უნდოდა, შემოწოლილი გრძნობისათვის სახელი დაერქმია, არ უნდოდა თავის თავს გამოსტყომოდა, რომ და... უყვარდა, უყვარდა არა როგორც და, არამედ როგორც ქალი.

ბოლოს განერვიულებულმა სრულიად უმიზეზოდ თეფში იატაკზე დაახეთქა და ნამსხვრევებად აქცია.

— რა დაგემართა? — შეშინდა ინგა.

— არაფერი! — შეწუხდა რამაზ კორინთელი, — მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება. ახლა წადი. სამ დღეში ერთხელ მომაკითხე. ასე ჯობია. ხომ ხედავ, ჯერ კიდევ ვერ გამოვჯანმრთელდი. ყველაფერი მაღიზიანებს, ნერვებზე მშლის. მარტო რომ ვარ, უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს. ნელ-ნელა მიბრუნდება მეხსიერება... ბოდიშს გიხდი, უნებურად გაწყენინე!

— ოღონდ შენ იყავი კარგად. მე ახლავე წავალ.

რამაზ კორინთელი სავარძელში ჩაჯდა და თავი ჩაჰკიდა.

ინგამ თეფშის ნამსხვრევები მოხვეტა, ვედროში ჩაყარა და გარეთ გაიტანა. მალე შემობრუნდა, საბაზანოში შევიდა, ხელ-პირი დაიბანა და ძმასთან მივიდა.

— ახლა როგორ ხარ? — გაუღიმა სევდიანად.

— უკეთ. კიდევ გიხდი ბოდიშს. ხომ გჯერა, რომ შენი განაწყენება არ მინდოდა. თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

— არა უშავს. ყველაფერი კარგად იქნება. თუ დაგჭირდე, არ მომერიდო, იმავე წუთში დამირეკე.

— აუცილებლად დაგირეკავ. და, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთოდ, მანამ ნუ მოხვალ, სანამ არ დაგირეკავ. კარგი?

ინგამ პასუხად გაუღიმა, აკოცა და წავიდა. წავიდა და ბინა უცებ დაცარიელდა. რამაზ კორინთელს გულზე სევდა შემოაწვა. ერთბაშად მტანჯველი გრძნობა დაეუფლა. სხეული რაღაცას სთხოვდა. ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, რა იყო ეს „რაღაცა", ერთს კი მიხვდა, სხეული იმ „რაღაცას" განსაკუთრებით მაშინ სთხოვდა, როცა რაიმე გაანერვიულებდა. აი ახლაც, ინგას წასვლის შემდეგ, ისევ შეიპყრო ტანჯვამ, ისევ გაუხურდა სხეული.

ენერგიაწართმეული დივანზე მიეგდო, თვალები დახუჭა და ფიქრმა გაიტაცა.

რას სთხოვდა სხეული? იქნებ ქალთან წოლა სურდა?

რასაკვირველია, სურდა. მაგრამ ახლა რომ სხეული უხურდა, ქალის წყურვილით არ იყო გამოწვეული.

ქალისადმი ლტოლვა თან უხაროდა, თან ეუხერხულებოდა კიდეც.

ვნების სიმხურვალე პირველად ოპერაციიდან მეათე დღეს იგრძნო, როცა ექთანმა ქალმა ნემსი გაუკეთა. პატარა, შემოდგომის მწყერივით ჩასუქებულ გოგონას თეთრი ხალათის ცალი საყელო შიგნით ჩაჰკეცოდა და მკვრივი, ნახევარსფეროსებრი მარცხენა ძუძუ თითქმის მთლიანად მოუჩანდა.

ოფლმა დაასხა, ლოყებზე ალი მოედო, ეგონა, ისეთი მკრთალი ფერის ცეცხლით იწვოდა, სპირტი რომ იწვის ხოლმე. ერთი სული ჰქონდა, ხელი ეტაცა, ლოგინზე წამოეწვინა, თეთრი ხალათი მთლიანად ჩაეხსნა და მკერდზე დაჰკონებოდა.

უცებ საშინელმა სირცხვილის გრძნობამ შეიპყრო, გონებამ უხილავი თოკით შეკრა და განძრევის იმედიც გადაუწურა. ვნებამ ზღვის უკუქცევასავით უკან დაიხია. რამაზ კორინთელმა თავისი თავი მკაცრად დატუქსა და ფიქრი სხვა საგანზე გადაიტანა.

თავდაპირველად ეგონა, თავი იოლად დავიმორჩილეო, მაგრამ ხვდებოდა, ზღვის უკუქცევის შემდეგ კვლავ მოქცევა იწყებოდა. ზღვა თითქოს უთვალავ ფეხზე დგებოდა და ნაპირისკენ ნელა, მაგრამ მძლავრად მოისწრაფოდა.

მხოლოდ ახლა, ამ წუთში მიხვდა, რომ მის არსებაში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა გონებასა და სხეულს შორის.

ოცდასამი წლის ხომ ადრეც ყოფილა? განა მაშინ აკლდა ტემპერამენტი?

ვნებათაღელვის ნაკლებობას არასდროს უჩიოდა, მაგრამ ყოველთვის თავშეკავებული ჭაბუკი იყო. საკუთარი ვნებების მოთოკვა არასდროს გასჭირვებია.

ახლა?

ახლა როცა სხვის სხეულში გადაბარგდა, ძველებურად დაიმორჩილებს მოწოლილ ვნებას და ნერვებს?

იქნებ თავშეუკავებლობა და ექსპანსიურობა რამაზ კორინთელის სხეულის თვისებაა? მისი გენია?

კიდევ რა თვისებებს გამოამჟღავნებს მისი სხეული?

და თუ გიორგაძე-კორინთელის არსებაში მართლაც გაჩნდა ანტაგონიზმი, თუ მისი ჭაბუკური ორგანიზმი და შვიდი ათეული წლის მანძილზე დაბრძენებული გონება ვერ მორიგდნენ? თუ არ მოხდა ტემპერამენტის და ინტელექტის ბალანსირება, მაშინ?

„მაშინ?"

„მაშინ?"

„მაშინ?"

რამაზ კორინთელი დივანზე ფიცხლად წამოიჭრა და საფეთქლებზე ხელები მოიჭირა. გამწარებულს უნდოდა, ღამურებივით წამოშლილი ფიქრები ერთმანეთზე მიეჭყლიტა და ჩაეხოცა.

●

კედლები თითქოს ნელ-ნელა ჩამოინგრა. მთელი ქალაქი სადღაც გაქრა, უკიდეგანო უდაბნოში ჩაიშალა. საავადმყოფოს რკინის სარეცელზე მწოლიარე მაღლა იცქირებოდა. ზემოდან, უსასრულო სიმაღლიდან შორეულ წრიულ ჰორიზონტამდე შავი წყვდიადის ნახევარსფერო ჰქონდა გადმომხობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ჰორიზონტზე ნახევარსფეროს ნაპირები მეწამულად შეიღება. მეწამულ ფერსა და შავ ფერს შორის დიდი, მუქი ცისფერი, უფრო სწორად, მოლურჯო ფერის სარტყელი გაჩნდა.

მეწამული ფერი თითქოს ქვემოდან აწვებოდა მოლურჯო სარტყელს და სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, შავ ფერს თანდათანობით ავიწროებდა. ბოლოს მეწამულმა ფერმა ჯერ შავი ფერი განდევნა, შემდეგ გუმბათის წვერზე მოქცეული ლურჯი ფერიც თანდათან მაღლა აისროლა და მთლიანად მეწამულ გუმბათად გადაიქცა, თავზე კი ლურჯი რგოლის გვირგვინი დაიდგა.

საიდანღაც ადამიანების ჩუმი ლაპარაკი შემოესმა.

„ღმერთო ჩემო, ვინ არიან?"

ხმებზე გაარჩია, ოთხნი თუ ხუთნი უნდა ყოფილიყვნენ.

ისინი ჩუმად და საქმიანად ლაპარაკობდნენ. ერთი თითქოს ბრძანებებს იძლეოდა. რაღაც რკინის ინსტრუმენტების ჩხაკუნის ხმაც კარგად გაიგონა. ერთხანს სხეული ისევ შეიგრძნო, ლაპარაკიც უფრო ხმამაღალი მოეჩვენა, კეფის ქვეშ ათასმა ჭინჭარმა დასუსხა, მერე თითქოს ვიღაც თავის ქალიდან თმის ძირებს სწიწკნიდა.

უცებ სხეულში ისევ დაუარა სითბომ, ისევ დაკარგა სხეულმა წონა, ისევ სივრცეში გადაეშვა ლაღად. ნარინჯისფერი გუმბათი უფრო ამაღლდა, ნელ-ნელა გიგანტური კონუსის სახე მიიღო, მისი წვერი ლურჯი რგოლის შუაში აძვრა და შავი ლაპლაპა სივრცე გახია. ნარინჯისფერი კონუსის ირგვლივ მოლაპლაპე შავი სივრცე ვიღაცის უხილავმა ხელმა შავ ფარდასავით ჩამოხია და კონუსის წვერი ვარსკვლავებს შესწვდა.

დავით გიორგაძეს თავბრუ დაეხვა. მიხვდა, უკიდეგანო სივრცეში საშინელი სისწრაფით მიჰქროდა.

არ იცის, რამდენ ხანს იფრინა ასე აღმა-დაღმა.

ირგვლივ საშინელი სიჩუმე იყო გამეფებული. ყურში მხოლოდ რაღაცის ოდნავ გასაგონი შხუილი ჩაესმოდა. მერე სხეული თითქოს ნელ-ნელა დაუმძიმდა და ქვესკნელში დაეშვა. შხუილი გაძლიერდა, ყურებმა წივილი დაუწყო, საფეთქლები დახეთქვაზე ჰქონდა. შიშმა აიტანა, ზეცას გახედა. ვარსკვლავებით მოგუმბათებული ცა აღარ ჩანდა. ყველაფერი მოლაპლაპე შავმა ფერმა დაიმონა. ქვემოთ მაინც გაარჩია უზარმაზარი კლდე, თანდათან ზემოთკენ რომ მოისწრაფოდა. შიშისგან თვალები დახუჭა, ცოტაც და ქიმს საშინელი ძალით დაენარცხა. თვალი გაახილა და კარგად დაინახა, დაცემის ხმა წყლის ზვირთებივით როგორ აიჭრა თვალუწვდენელ სიმაღლეზე.

მერე კიდეც გაქრა, ირგვლივ სიცარიელე გადაიშალა, ეს არ იყო სივრცე. ეს იყო მხოლოდ სიცარიელე, აბსოლუტური სიცარიელე, გრავიტაციიდან დაწყებული ყველა იმ მოვლენის გარეშე, რაც დღევანდელმა ასტროფიზიკამ იცოდა სივრცე-დროის ირგვლივ. სამყარო იქცა არაფრად.

„იქნებ ესაა სიკვდილი?"

„ალბათ, ვერ გააკეთა ოპერაცია. ალბათ, სძლია დაღუპვის ოცპროცენტიანმა შესაძლებლობამ გადარჩენის ოთხმოცპროცენტიან შანსს?"

„ და თუ მოვკვდი, როგორღა ვაზროვნებ?"

„სული? იქნებ მართლა არსებობს სული, რომელიც მიისწრაფვის დროისა და სივრცის მიღმა?"

„რამდენი დრო გავიდა? მაგრამ გადის კი დრო იქ, სადაც არ არსებობს დრო?"

„რა ხმები მესმის? თითქოს ადამიანები ლაპარაკობენ".

„ამ, მიწიერი ადამიანისთვის წარმოუდგენელ, სიჩუმეში მეჩვენება თუ მართლა ლაპარაკობენ ჩემს ირგვლივ?"

ოპერაცია თითქმის მთავრდებოდა, თვალი რომ გაახილა. მისმა თვალებმა ფოტოაპარატის ობიექტივივით უგრძ-

---

ბურამ ფანჯიკიძე
სპირალი

ნობლად დაინახა ყველაფერი. ტვინი ჯერ კიდევ გამოთიშული იყო.

გავიდა კიდევ რამდენიმე საათი და სხეულმა უმნიშვნელო ტკივილი იგრძნო, ტკივილი ნელ-ნელა იზრდებოდა. თვალებიც უკვე „ამჩნევდნენ" საგნებს, ამჩნევდნენ ბუნდოვნად, ერთ ფერში და ერთმანეთში გათქვეფილად. ნაოპერაციებ სხეულს თანდათან დაუბრუნდა ბუნებრივი ფერი. სახეზე ჯერ ლოყები გამოცოცხლდა, შემდეგ ტუჩები, ცხვირი და ბოლოს თვალის უპეებსაც დაეტყო სიცოცხლის ნიშანწყალი.

თვალის ფოკუსები ვილაცის უხილავმა ხელმა ძალზე ნელა, უმნიშვნელოდ ნელა, მაგრამ მაინც გაასწორა.

ავადმყოფი არ განძრეულა, არც თვალები დაუხამხამებია, პირდაპირ იყურებოდა და მხოლოდ იმ საგნებს ხედავდა, რომლებიც მისი თვალებიდან სივრცეში გასული კონუსის ფარგლებში იყო მოქცეული,

პირველ პლანზე ხუთი თეთრი ფიგურა გაარჩია.

„რა ხდება! სადა ვარ?"

„განძრევა რატომ არ შემიძლია? ვითომ შეკრული მაქვს ხელ-ფეხი?"

„ხელ-ფეხი რომ შეკრულიც მქონდეს, განძრევას მაინც მოვახერხებდი"

„იქნებ ხის დაფაზე დამაწებეს რაღაც საშინელი წებოთი?"

„ეს ხუთი თეთრი ფიგურა რაღაა ან ვინაა? ნუთუ ადამიანები არიან?!"

„ასე რატომ მცივა თავზე?"

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავზე ყინულის სქელი ფენა ჰქონდა შემოკრული.

ყინული ნელ-ნელა გადნა. სითბო ჯერ კანმა იგრძნო, მერე ტვინშიც შეაღწია.

ვილაცამ ფოკუსი კიდევ უფრო გაასწორა.

საეჭვო აღარაფერი იყო, თავზე ხუთი თეთრხალათიანი კაცი ადგა.

ყინული მთლიანად გადნა, ტვინი კიდევ უფრო გაუთბა, ოდნავი შვება იგრძნო, მაგრამ დროებით. თუ აქამდე ყინულის მარწუხებს გრძნობდა, ახლა თავი ერთბაშად გაევსო ცხელი ორთქლით, ასე რომ აწვებოდა კეფასა და საფეთქლებს.

თავის ტკივილმა ისევ დაუბნელა თვალი. მოშიშინე ორთქლი ყურებიდან და საფეთქლებიდან თითქოს გამოვარდნას ლამობდა.

წნევა უფრო და უფრო იზრდებოდა. ყურები საშინლად უწიოდა. საფეთქლის ძარღვები ასფალტზე ამოხეთქილ ხის ფესვებს დაემსგავსა.

უცებ თავში ვილაცამ ნემსის სისხო ელექტრობურღით ხვრელი გაუკეთა, საიდანაც ერთბაშად გაიჭრა ცხელი ორთქლი.

ენით აუწერელი შვება იგრძნო. ცხელი ორთქლით დათუთქული და გამლღვალი ტვინის ზედაპირი ნელ-ნელა ისევ დაუნაოჭდა. გარკვევით გაიგონა ადამიანების ჩურჩულის მაგვარი, მაგრამ მტკიცე და საქმიანი ლაპარაკი. დაძაბულმა უფრო მიუგდო ყური მათ ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამონათქვამებს. საეჭვო არაფერი იყო. ბრძანებებს ზურაბ თორაძე იძლეოდა.

„რა ვქნა ახლა?"

ეს იყო, ალბათ, მემილიონე: ამავე დროს პირველი შეკითხვა, რომელიც ოპერაციის შემდეგ თავის თავს დაუსვა.

— რა ვქნა ახლა? — გაუმეორა იგივე შეკითხვა მორიგ შემოწმებაზე მოსულ ზურაბ თორაძეს.

— როგორ თუ რა ქნათ? — გაოცდა მთავარი ექიმი და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. — ამ შეკითხვას მისვამთ ოცდასამი წლის ჭაბუკი და ამავე დროს აკადემიკოსი?

— საქმე უფრო რთულადაა, ბატონო მთავარო ექიმო, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ!

ზურაბ თორაძემ ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლი ცხვირიდან ორ ტოტად გამოუშვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეუბნებოდა, ილაპარაკე, გისმენო.

რამაზ კორინთელი ისევ შეიპყრო იმ ნაცნობმა უსიამოვნო გრძნობამ, მხურვალე წყურვილმა, განსაკუთრებით ნერვიულობის დროს რომ ეუფლებოდა

ხოლმე. სხეულს თითქოს რაღაც აკლდა, ორგანიზმი თითქოს რაღაცას სთხოვდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, რას სთხოვდა, ვერ მიმხვდარიყო, რით მოიშორებდა იმ უსიამო განცდას, გუნებას რომ უწამლავდა, ღამით რომ ძილს უტეხავდა.

თითქოს ერთბაშად გაუნათდა გონება, როგორც კი ნიკოტინის სუნი იგრძნო, მიხვდა, სხეული რასაც სთხოვდა.

— სიგარეტი მომაწევინეთ!

ზურაბ თორაძემ პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. რამაზ კორინთელმა ისე ოსტატურად ამოაძრო სიგარეტი და ისე ლამაზად მოუკიდა, თვითონაც ვერ დამალა გაოცება.

რა ნეტარებით დაარტყა პირველი ნაფაზი. რა ნეტარებით ამოისუნთქა სხეულმა!

— როგორ, თქვენ ეწევით? — უცებ გამოერკვა მთავარი ექიმი.

— ვინ მე?

— თქვენ... — დაიბნა ზურაბ თორაძე, საშინლად არ მოეწონა რამაზ კორინთელის ბოროტი გამოხედვა.

— აი, ხედავთ, თქვენც კი ვერ გაგირკვევიათ, ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ მე. აკადემიკოსი დავით გიორგაძე თამბაქოს არ ეწეოდა, რამაზ კორინთელის სხეულს კი ნიკოტინის ცხოველმყოფელი ზემოქმედების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ამდენი ხნის მანძილზე რაღაც მაწუხებდა, რაღაც მტანჯავდა. ვხვდებოდი, სხეული რაღაცას მთხოვდა. ვერაფრით ვერ გამოვიცანი, რა მიღრღნიდა გულს. ვერ გამოვიცანი, რადგან არ ვიცოდი, თუ ნიკოტინის წყურვილი ასეთი უსიამო გრძნობით მჟღინთავდა, თავბრუს მახვევდა, გუნებას მიწამლავდა. აი ახლა, უკვე მესამე ნაფაზი რომ დავარტყი, საოცარი შვება ვიგრძენი. თქვენ რომ დღეს ჩემთან სიგარეტი არ მოგეწიათ, რაც სხვა დროს არ გაგიკეთებიათ, ალბათ, ქუჩაში გასვლამდე ვერ მივხვდებოდი, რა მაწამებდა. აი, რა მაღელვებს და მაცოფებს მე!

— ეგ ხომ ბუნებრივი მოვლენაა! — გაღიმება სცადა მთავარმა ექიმმა.

— უფრო მეტი, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ბუნებრივი მოვლენა! — გაცოფდა რამაზ კორინთელი, — მოდით, ვიმსჯელოთ, მე თამბაქოს არასდროს არ ვეწეოდი. თქვენ კი მარწმუნებდით, მარტო ტვინია ადამიანიო, ტვინი განაგებს სხეულს, ყველა დანარჩენი ორგანო დეტალებიაო. როგორც ხედავთ, დეტალებს ჰქონია თვისებები, საკუთარი მოთხოვნილებები. სხვათა შორის, მე რომ ახლა ასე გაცოფებული ვლაპარაკობ, ისიც ამ სხეულის გულისა და ნერვული სისტემის მიზეზითაა გამოწვეული. ადრე ქვეყანაზე არავის უნახავს გაცოფებული დავით გიორგაძე!

დუმილი ჩამოვარდა.

ზურაბ თორაძე დაიბნა, არ იცოდა, რა უნდა ეთქვა.

— ბუნებრივია, — დაიწყო უცებ ისეთი ხმით, თითქოს თავს იმართლებსო, — ბევრ მოვლენას, უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ბევრ წვრილმანს ვერ გავითვალისწინებდით. რასაკვირველია, სხეულის, თანაც სხვისი სხეულის სიახალგაზრდავე და სიჯანმრთელე ბევრ ახალგაზრდულ თვისებას გამოავლენს, რაც თავდაპირველად უჩვეულო და შეუფერებელი მოეჩვენება თქვენს გონებას. ოპერაციიდან ხომ სულ ორიოდე თვე გავიდა. ასე ერთბაშად როდი დაბალანსირდება სიდარბაისლე და სიჭაბუკე. ვფიქრობ, რამდენიმე თვის, ბევრი-ბევრი, ერთი წლისთავზე გარკვეული ფუნქციური ანტაგონიზმები თქვენს არსებაში სამუდამოდ გახდება ჰარმონიული. კიდევ ხომ არ ინებებთ სიგარეტს?

რამაზ კორინთელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გაწვდილი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და კვლავ ხარბად გააბოლა.

— ჯობია, სიგარეტის კოლოფი მთლიანად მე დამიტოვოთ. თქვენ კიდევ იყიდით ქუჩაში, — წარმოთქვა უცებ როყიოდ, თითქმის ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა ექიმმა ჯიბეში მოთავსებული სიგარეტის კოლოფი ისევ ამოიღო და ჭაბუკს გაუწოდა.

რამაზ კორინთელმა კოლოფი ჩამოართვა და დაუდევრად მიაგდო მაგიდაზე.

— იქნებ ეგ იაპონური კვესიც გეჩუქებინათ ჩემთვის?

— ბატონი ბრძანდებით.

ზურაბ თორაძემ კვესი ამოიღო და კორინთელს გაუწოდა.

რამაზმა კვესი დაკვირვებით შეათვალიერა, რამდენჯერმე აანთო და ბოლოს ისიც მაგიდაზე დადო.

— კიდევ რით შეგიძლიათ დამამშვიდოთ? — ჰკითხა მთავარ ექიმს დამცინავად.

— მე კარგად მესმის თქვენი ნერვიულობის მიზეზები, — მცირეოდენი პაუზის შემდეგ ძლივს ამოღერღა შეფიქრიანებულმა მთავარმა ექიმმა, — ახლა თქვენს არსებაში ერთმანეთს ებრძვის ორი ხასიათი, ორი პიროვნება. არა, მე ვამეტებ! ორი პიროვნება კი არა, ერთი პიროვნება, ოღონდ რთული, გაორებული. გაორებული მხოლოდ ჯერჯერობით, გარკვეული დროით, რამდენიმე თვით, თუნდაც, მაქსიმუმ, ერთი წლით. გაორებული უცხო სხეულის გამო, რომელიც ჯერ თქვენ ვერ აღიქვით, ვერ შეიგუეთ. ხომ ჩაგისვამთ კბილები? — ჰკითხა უცებ კორინთელს.

— ვის? მე, რამაზ კორინთელს? — დამცინავად წარმოთქვა ჭაბუკმა და თან ზურაბ თორაძეს თავისი მსხვილი, ჯანსაღი თეთრი კბილები დაანახა.

— სრულებითაც არ ვარ ხუმრობის გუნებაზე! — უცებ კოპი შეიკრა მთავარმა ექიმმა. — თქვენ, დავით გიორგაძეს, ხომ ჩაგისვამთ ადრე კბილები? განა ჩასმის დღიდანვე შეგუებიხართ უცხო სხეულს პირის ღრუში? ხშირად ორი და მეტი თვეცაა საჭირო, რომ ჩასმული ლითონი თქვენი სხეულის ორგანული ნაწილი გახდეს. განა შეიძლება ტვინის გადანერგვა კბილის ჩასმას შევადაროთ და გავუთანაბროთ? არა და არა! ათასგზის არა! ასე რომ, ნუ ღელავთ. დრო ყველა უსიამოვნო შეგრძნებას დაგავიწყებთ.

— დამავიწყებს კი? უკვე ეჭვი მეპარება. მე არ ვიცი, რა იქნება ხვალ და ზეგ!

ისევ დაუღრინა მთავარ ექიმს რამაზ კორინთელმა. ისევ ბოროტად გაიელვა მსხვილმა, თაფლისფერმა თვალებმა, წეღან რომ ასე არ მოეწონა ზურაბ თორაძეს.

— ჯერ კიდევ ოპერაციის წინ შევეგუე, რომ გადავსახლდებოდი სხვის სხეულში. ვიცოდი, რომ ვიღაც ქალიშვილი, რომელიც არასდროს მენახა, გახდებოდა ჩემი და. სამაგიეროდ, ჩემი მეუღლე აღარ იქნებოდა ჩემი მეუღლე. ჩემი შვილი აღარ იქნებოდა ჩემი შვილი. აღარ მექნებოდა რეგალიები, წოდებები, პრემიები, ჯილდოები. ოპერაციის პირველი დღიდანვე მე ვხდებოდი რამაზ კორინთელი. დიახ, ბატონო მთავარო ექიმო, ამ ფერიცვალებას მე კარგად ვიყავი შეგუებული. უფრო მეტიც! ჩემი დღევანდელი ცხოვრება იმ ჯაშუშის ან სისხლის სამართლის ბოროტი დამნაშავის მდგომარეობა არ გეგონოთ, სხვისი პასპორტით რომ დანავარდობს. მოგეხსენებათ, მათ შემთხვევაში პასპორტი არ ცვლის საქმის ვითარებას. მე ჯერ სხეული შევიცვალე და მერე პასპორტი. დიახ, ყველაფერი ეს მშვენივრად ვიცოდი და შევეგუე კიდეც. მაგრამ მთავარი თურმე წინ ყოფილა! მართლა, როგორ არის ჩემი უნივერსიტეტის საქმე? — მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა რამაზ კორინთელმა.

მთავარ ექიმს გულზე მოეშვა. მიხვდა, უსიამოვნო საუბარი დამთავრდა.

— კარგად, ძალიან კარგად! რექტორმა ყურადღებით მომისმინა. გულწრფელად რომ გითხრათ, არც კი დაიჯერა თქვენი ცოდნის და ნიჭიერების ამბავი. სექტემბერში საშუალებას მოგცემთ, მესამე კურსი დახუროთ, მერე განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აგიყვანთ. ერთი სიტყვით, წინ დიდი მომავალი გაქვთ! —

ზურაბ თორაძემ შეთქმულივით ჩაიცინა. — მანამდე კი, აი, ეს ინებეთ...

მთავარმა ექიმმა კორინთელს კონვერტი გაუწოდა.

კორინთელმა კითხვის ნიშნით შეხედა.

— ცოტაოდენი ფულია, გთხოვთ, ნუ იუხერხულებთ. ბიულეტენით ხელფასის ნაწილი გერგებოდათ. თუ ტრავმა დაუდევრობით არ მიგიღიათ, ბოდიშს ვიხდი, თუ ტრავმა ჭაბუკ რამაზ კორინთელს თავისი დაუდევრობით არ მიუღია, პენსიაც კი გერგებათ. აბა ბიულეტენი რას გიშველით. ამიტომ განსაზღვრულ თანხას ყოველთვიურად მიიღებთ. თქვენ ხომ არავითარი წყარო არ გაგაჩნიათ შემოსავლისა. აქ იმდენი არ არის, რომ აკადემიკოს დავით გიორგაძეს ეყოს, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ჭაბუკი რამაზ კორინთელი დააკმაყოფილოს.

— სასტიკად ცდებით, ბატონო მთავარო ექიმო! — კორინთელმა უკვე მოასწრო კონვერტში ჩახედვა და დაუთვლელად გამოიცნო, იქ რამდენიც იდო, — თქვენს მიერ შემოთავაზებული თანხა თავისუფლად ეყოფოდა აკადემიკოს დავით გიორგაძეს, მესამე კურსის სტუდენტ რამაზ კორინთელს კი ერთ კვირასაც არ ეყოფა. ასე რომ, მოგიწევთ საბოძვარი ხუთჯერ მაინც გამიზარდოთ! — რამაზ კორინთელმა ფული ჯიბეში ჩაიდო, ხოლო კონვერტი უკან დაუბრუნა მთავარ ექიმს.

— ეს როგორ გავიგოთ?

— განა მე ორაზროვნად ვთქვი რამე?

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — შეაწყვეტინა კორინთელმა.

ზურაბ თორაძე ისევ დათრგუნა ჭაბუკის სახეზე გამოსახულმა ზიზღნარევმა მრისხანებამ.

— კარგად მოგეხსენებათ, რა ჯდება ბაჭიებისა და ძაღლების შენახვა საექსპერიმენტოდ. თქვენისთანა საექსპერიმენტო „მასალა“ კი, დამერწმუნეთ, მსოფლიოში არავის ჰყოლია. მე თქვენ მოგანიჭეთ მეცნიერული ტკბილ-ვება. კეთილი ინებეთ და თვიური ნორმა ხუთჯერ გამიზარდეთ. ახლა კი წადრძანდით, საღამოსათვის სიგარეტები და ერთდროული „დახმარება“ მომიტანეთ. იცოდეთ, თანხა სოლიდური უნდა იყოს. თორემ ხომ არ გავიწყდებათ, კანონი არ ითვალისწინებს ტვინის გადანერგვის ოპერაციას. იმედი მაქვს, საქმეს საშანტაჟოდ არ გამიხდით. გაოცებული ნუ მომჩერებიხართ. თქვენ ახლა გელაპარაკებათ არა აკადემიკოს დავით გიორგაძის გონება, არამედ რამაზ კორინთელის გენი!

მთავარმა ექიმმა რამაზ კორინთელის გამოხედვაში ისევ დაიჭირა ბოროტების შავი ნაპერწკლები.

●

მეორე საღამოს ერთბაშად გადაწყვიტა, ქუჩაში გამოსულიყო. არად ჩააგდო მთავარი ექიმის დარიგება, კიდევ ხუთიოდე დღე თავი შეიკავე ქუჩაში სეირნობისგანო. მღელვარებამ შეიპყრო. ფეხზე სწრაფად წამოდგა და გარდერობისკენ გაემართა. ცდილობდა, მღელვარება დაეოკებინა, ეშინოდა, ვაითუ გარეთ გასვლა გადავიფიქროო.

გარდერობთან ფიცხლად მივიდა, კარი გამოაღო და ტანსაცმელი ჩაათვალიერა. ხაკისფერი შარვალი ჩამოიღო, სამხრეებიანი საფირმო პერანგი შეარჩია და სწრაფად ჩაიცვა. ჯერ კიდევ საავადმყოფოში ჩატარებულმა სამკურნალო ვარჯიშებმა, შემდეგ კი ერთი კვირის მანძილზე ეზოში სეირნობამ სწრაფად მოაღონიერა სპორტული აღნაგობის ჭაბუკი. ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო გამოჯანმრთელებული, მაგრამ ახალგაზრდა სხეულის მოქნილობამ და ძალამ ნეტარების ბურანში გაახვია. ფული, სიგარეტის კოლოფი და იაპონური ბენზინის კვესი ჯიბეში ჩაიდო და კარი დინჯად გამოაღო. კიბეზეც დინჯად ჩავიდა, თუმცა მისი მუხლები სისუსტეს უკვე დიდი ხანია აღარ გრძნობდა.

ტაქსის გაჩერებასთან მივიდა.

— რუსთაველზე! — დინჯად უთხრა შოფერს, საზურგეს მიაწვა და სიგარეტი ნეტარებით გაბოლა.

საღამოს შვიდი საათი თუ იქნებოდა. მაისის ბოლო იყო, მაგრამ საკმაოდ გრილოდა.

რამდენიმე წუთში ტაქსმა რუსთაველის მოედანზე დაამუხრუჭა. რამაზ კორინთელი ჯერ გადმოვიდა, ფული მერე გადაიხადა. ტროტუარზე დინჯად ავიდა და ირგვლივ მიმოიხედა. ნაცნობი ვერავინ დაინახა. ისევ შეიპყრო მღელვარებამ, რამდენი წელი იქნებოდა, რუსთაველის პროსპექტზე ფეხით არ გაევლო. ალბათ, ოცდაათი წელი მაინც, თუ მეტი არა. შავი ფიქრები ისევ წამოიშალნენ ყოველი მხრიდან, ისევ ჩამობნელდა ცა, მაგრამ შავი, სველი და მძიმე ღრუბელი მზის სხივებით უმალვე გაიფლითა და გონებაში ლურჯი ფერი ჩაიღვარა. თანდათან იმატა ლურჯმა ფერმა. შავი და სველი, უსაშველოდ მძიმე ღრუბლები მთებს იქით გადაიკარგნენ.

ენით აუწერელი შვება და ხალისი იგრძნო. სიამოვნებდა ტანის სიმსუბუქე. გრძნობდა, ძარღვებში სისხლი ხალისით უჩქეფდა. სისუსტე კუნთებს აღარ უბორკავდა. სხეულის ელასტიურობა და ღონე ნეტარებით ავსებდა. ყველაფერი მოსწონდა რამაზ კორინთელს, მანქანების ხმაურიცა და ფეხით მოსიარულეთა ჟრიამულიც, ბალერინებივით ყელმოღერებული ქალიშვილებიცა და თავაწეული, ცოტა გამომწვევი სიამაყითა და უდარდელი ნაბიჯებით მოსეირნე ჭაბუკებიც.

„რა ლამაზები არიან, რა მოქნილები, რა მშვენიერი და კარგი თაობა გვეზრდება!“ — ამბობდა გუნებაში და მერეღა აგონდებოდა, რომ თვითონაც მათი ასაკისა იყო, მათი ტოლი. მერე რა, რომ დაბრძენებული კაცის განსჯა და განათლება ჰქონდა, განა ეს კიდევ უფრო არ ამშვენებდა მის პიროვნებას, მის სიჭაბუკეს, მის ახალგაზრდა დაკუნთულ სხეულს?

რამაზ კორინთელი მიხვდა, რომ დღეს, ახლა, ამ წუთში პირველად შეიგრძნო ბოლომდე თავისად სხვისი სხეული, პირველად, სამუდამოდ და მტკიცედ შეერთდა ორი გამოსახულება ერთ ნათელ, მკაფიო გამოსახულებად, როგორც ეს ფოტოაპარატის ფოკუსის დაყენების დროს ხდება ხოლმე.

პროსპექტს მსუბუქად, მაგრამ მშვიდად ჩაუყვა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, უნდოდა ვინმე ნაცნობი დაენახა. რომელიმე მეგობართან შეხვედრის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, იმასაც კი აღარ ფიქრობდა, რომ შეხვედროდა, რა უნდა ექნა: მისალმებოდა, შეეჩერებინა, გამოლაპარაკებოდა...

ნაბიჯი შეანელა, წელში კიდევ უფრო გაიმართა, მკერდი წინ გამოაგდო. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს უნდოდა ყველა ჭაბუკისათვის ეგრძნობინებინა თავისი უპირატესობა.

ვიღაც მიესალმა.

ვერ იცნო, ვინ იყო. თავი მძიმედ დაუქნია.

„ალბათ, ვინმე შორეული ნაცნობი იყო, ჩემი ავადმყოფობის ამბავი რომ არ იცოდა, თორემ გამაჩერებდა და მომიკითხავდა“, — დაასკვნა კორინთელმა და უცებ შეკრთა. მიხვდა, რაც გაიფიქრა. მიხვდა, ვინც მიესალმა, რამაზ კორინთელის ნაცნობი იყო, ხოლო დასკვნა, რომელიც მან გამოიტანა, რამაზ კორინთელს ეკუთვნოდა და არა აკადემიკოს დავით გიორგაძეს. მიხვდა, რომ იგი ახლა უკვე ნამდვილად რამაზ კორინთელი იყო.

უეცრად ვიღაცის ორმა თვალმა ზურგი გაუხვრიტა.

რამაზ კორინთელი შედგა და შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, ნელა შემობრუნდა.

უცნობი ჭაბუკი, ვინც ასე დაჟინებით მიშტერებოდა, „ზარია ვოსტოკას“ შენობის გვერდით იდგა.

რამაზ კორინთელმა ჯერ თვალი გაუსწორა უცნობს, მაგრამ უმალვე აარიდა. ჭაბუკის გამოხედვამ ისე დასწვა, როგორც გამადიდებელი შუშის ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუსში თავმოყრილი სხივები სწვავს ხოლმე შეშვერილ ხელის მტევანს.

„ასე დაჟინებით რომ მომჩერებია, ვითომ მიცნობს?“

შემკრთალი დინჯად შებრუნდა და გზა წელანდელივით ნელი ნაბიჯით გაგრძელა.

„თუ ნაცნობია ან მეგობარი, რატომ არ მოვიდა და არ მომესალმა?

„იქნებ ჩემგან ელოდა სალამს?“

„ავად მე ვიყავი, ეგ ხომ არ ყოფილა. წესით, თუ მართლა ნაცნობია ან მეგობარი, უნდა გავეჩერებინე, მოვეკითხე“.

„იქნებ მომეჩვენა? ან იქნებ ვიღაც თავის შორეულ ნაცნობში ამრია?“

ოცდახუთი თუ ოცდაათი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისევ უკან მიიხედა.

აღარც რედაქციის შენობა ჩანდა, აღარც ის უსიამოვნო გამომეტყველების ჭაბუკი.

„რასაკვირველია, ვიღაცაში ავერიე!“ —შვებით ამოისუნთქა კორინთელმა.

რატომღაც გადაწყვიტა, შემობრუნებულიყო და უკან წასულიყო. უნდოდა, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ იმ უსიამოვნო სახის მქონე ჭაბუკის თვალები და მისი თვალები შემთხვევით შეეჯახნენ ერთმანეთს.

ათიოდე ნაბიჯის შემდეგ რედაქციის შენობა ისევ გამოჩნდა. მღელვარება ოდნავ, მაგრამ მაინც შეეპარა.

„რატომ ვღელავ, დარწმუნებული ვარ, რომ იქ აღარც დამხვდება“, — დაასკვნა უცებ და მღელვარების ნაცვლად სიბრაზე მოერია.

„თუ კიდევ იქ დგას და კვლავ უტიფრად შემომხედავს, პირდაპირ მივალ და შუაზე გავაპობ!“

შენობის კუთხეში აღარავინ იდგა.

რამაზ კორინთელმა იქაურობა დინჯად მოათვალიერა. საეჭვო ვერავინ შენიშნა.

„რასაკვირველია, ნაცნობი ვეგონე და იმიტომ დამაშტერდა, — დაასკვნა საბოლოოდ, — მაგრამ რა უცნაური თვალები ჰქონდა!“

აკადემიის წინ ორ ქალიშვილს რიდანვე მოჰკრა თვალი. შეიძლება იმიტომაც მიაქცია ყურადღება, რომ ძალზე მოდურად, მოხდენილად ეცვათ. ასეთი ჩაცმულობა სხვა დროს ალბათ ამაზრზენი და გამომწვევი მოეჩვენებოდა.

„სხვა დროს!“

თვითონვე მიხვდა, „სხვა დრო“ აღარ დაბრუნდებოდა.

ორივე ქალიშვილი ლამაზი იყო, მაგრამ მაინც ერთი მოეწონა განსაკუთრებით, ღია წაბლისფერთმიანი, მარჯვნივ რომ იდგა და მხარზე გადაკიდებული ჩანთის სახელურს რომ აწვალებდა.

„მაისის თვეში ნეტავ სად მოასწრეს ზღვაზე გარუჯვა?“ — გაიფიქრა რამაზ კორინთელმა.

თითქოს სასწაული მოხდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალიშვილის სახეზე სიხარულმა იფეთქა, მეგობარი მიატოვა და კორინთელისაკენ გამოემართა.

—რამაზ!

კორინთელმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ქალიშვილის მკლავებში აღმოჩნდა.

— როგორა ხარ, რამაზ, როდის გამოგწერეს საავადმყოფოდან? — ეკითხებოდა ქალიშვილი და თან ისე კოცნიდა, თითქოს ქუჩაში იმ ორს გარდა არავინ იყო.

ჭაბუკის სხეულმა ისევ გაშალა იალქნები. მიხვდა, ქალიშვილის კოცნა უბრალო ნაცნობის, მეგობრის ან ნათესავის კოცნას რომ არ ჰგავდა.

— როგორ ხარ, შე უსინდისო. სამჯერ მოვედი შენს სანახავად. არ შემომიშვეს. საერთოდ ამიკრძალეს იქ მოსვლა. [მერე დასასვენებლად წავედი. ცოტა ნაადრევად კი მომივიდა წასვლა, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა. მე ხომ ყოველთვის აგვისტოში მივდიოდი გაგრაში, მაგრამ წელს ჩემი დისშვილი აბარებს და აგვისტოში აქ უნდა ვიყო. ორკვირიანი საგზური მხოლოდ მაისის თვისათვის ვიშოვე. მაინც ხომ კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავირუჯე მზეზე, არა? ნელი! — გასძახა უცებ მეგობარს, იქვე რომ იდგა ორ ნაბიჯზე, — ნელი, აი ეს არის რამაზ კორინთელი, მე რომ გეუბნებოდი.

— სასიამოვნოა! — ნელი ჭაბუკს მიუახლოვდა და ხელი ნაზად გაუწოდა. — ლალი, მე წავალ!

„ლალი", — დაიმახსოვრა რამაზ კორინთელმა.

— სად წახვალ. ერთად გავისეირნოთ სადმე. ხომ გცალია? — ჰკითხა უცებ კორინთელს.

— მცალია! — რამაზ კორინთელი სიხარულს ვეღარ მალავდა, ღიმილს ბაგეზე თავს ვეღარ უყრიდა.

— მთელი ორი კვირა გაგრაში ნელის ყურები გამოვუჭედე შენზე ლაპარაკით. რამაზ, ცოტა ფერი კი გაქვს მკრთალი, მაგრამ კარგად გამოიყურები. როდის გამოგწერეს?

— ორი კვირის უკან, — თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალზე გაახარა ქალიშვილთან შეხვედრამ.

კაცმა რომ თქვას, არც ტყუოდა. ნეტარების სასიამოვნო ბურანში გახვეული თვითონაც ვეღარავის ამჩნევდა ამოდენა პროსპექტზე. აღარც მანქანების ხმაური ჩაესმოდა, აღარც მოსეირნე ახალგაზრდების ჟრიამული.

— „ივერიაში" გადავიდეთ, კაფეში.

— ბატონი ბრძანდებით.

— მე წავალ! — თქვა უცებ ნელიმ.

— რატომ? — ჰკითხა ზრდილობისათვის ლალიმ. სახეზე კი აშკარად ეწერა, რომ რამაზ კორინთელთან მარტო დარჩენა სწყუროდა.

— სასწრაფო საქმე მაქვს. ამხანაგი მელოდება. კარგად იყავით.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თავი მოხდენილად დაუქნია კორინთელმა.

ლალიმ ჭაბუკს ხელკავი გამოსდო და მიწისქვეშა გასასვლელისაკენ წაიყვანა.

— არც კი მჯერა, რომ გიყურებ!

— თქვენ როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა უცებ რამაზმა.

ქალიშვილი ადგილზე გაშეშდა და კორინთელს შეხედა.

— შენ რა, დამცინი?

— რატომ უნდა დაგცინოდეთ?

— როდის აქეთ დამიწყე ლაპარაკი თქვენობით?

რამაზ კორინთელი შეცდომას მიხვდა და ხმამაღლა გაიცინა.

— საავადმყოფოს ბრალია. უფალმა ექიმებმა თქვენობით ლაპარაკს მიმაჩვიეს. თანაც, მინდა წინასწარ გაგაფრთხილო, მე ხომ მეხსიერება დავკარგე. ბევრი რამ აღარ მახსოვს. ჯერჯერობით მხოლოდ შენი სახელი და სახე აღვიდგინე. ალბათ, იმიტომ, რომ შეგხვდი. გუშინ, მაგალითად, არ მახსოვდი. თუმცა გუშინ კი არა, დღესაც, სანამ არ დაგინახე, არ მახსოვდი.

— მართლა? — ქალიშვილმა გულწრფელი თანაგრძნობით შეხედა რამაზ კორინთელს.

—რას იზამ, რაც მთავარია, გადავრჩი. ალბათ ყველაფერი გამოსწორდება და ადრე თუ გვიან ისევ ძველებური რამაზ კორინთელი ვიქნები.

ქალიშვილი ისევე ერთბაშად დამშვიდდა, როგორც შეწუხდა.

ეტყობოდა, მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა დარდიანი ბუნება.

მიწისქვეშა გვირაბი ისე გაიარეს და „ივერიის" ვესტიბიულში ისე შევიდნენ, ენა არ გაუჩერებია. სულ რამდენიმე წუთში მოასწრო ეამბნა, როგორ დაისვენა. იმ პერიოდში, რამაზ კორინთელი რომ საავადმყოფოში იწვა, თავს რა გადახდა, ოცამდე ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელი ახსენა, რომლებიც, ლალის საუბრიდან გამომდინარე, რამაზ კორინთელს კარგად უნდა სცნობოდა. ზოგიერთი, ეტყობა, მეგობარიც კი უნდა ყოფილიყო.

დავით გიორგაძე „ივერიის" კაფეში ადრე არასდროს ყოფილა. ვესტიბიულშივე დაიბნა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, არ იცოდა, საით წასულიყო. გადაწყვიტა, ქალიშვილი წინ გაეშვა. ლალი დახვეულ კიბეზე ავიდა, კორინთელი ფეხდაფეხ მიჰყვა. ქალიშვილმა ჯერ კიდევ არ იყვნენ მაღლა ასულნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კისერი წაიგრძელა და კიბის მოაჯირის ღრიჭოებში გააპარა მზერა.

— ჩვენი მაგიდა თავისუფალია! — თქვა სიხარულით და დარჩენილი საფეხურები თითქმის სირბილით აათავა.

„აჰა, ეს ყოფილა ჩვენი, კერძოდ, ჩემი საყვარელი მაგიდა“, — გულში გაეღიმა კორინთელს. დარბაზი მოათვალიერა. უმალვე შენიშნა, მაგიდებს მხოლოდ ახალგაზრდები უსხდნენ. რატომღაც ყველანი იცინოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. იქაურობა სიგარეტის ბოლში იყო გახვეული.

რამაზ კორინთელმა მექანიკურად მონახა ჯიბეში სიგარეტის კოლოფი.

— შენ რა, „კოსმოსს“ ეწევი?“ — გაოცდა ლალი.

— აბა, რას უნდა ვეწეოდე? — დაიბნა კორინთელი.

— ორი წელი „უინსტონის“ გარდა სიგარეტი არ მოგიწევია!

— მართალი ხარ, მაგრამ უკანასკნელი კოლოფი ამ დილით მოვწიე. რას იზამ, გამითავდა. სიარული არ შემეძლო. ხვალ, ალბათ, მომიტანენ.

— საავადმყოფოში თავაზიანობა დაგიკარგავს?

— რატომ?

— მომაწოდე სიგარეტი.

— ბოდიში. ახლა ყველაფერი უნდა მაპატიო. ხომ გითხარი, მეხსიერება დავკარგე-მეთქი. ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი გამახსენდება! — მწარე ღიმილით უპასუხა რამაზ კორინთელმა და სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

„მაშ „უინსტონი?“ ყოჩაღ, რამაზ კორინთელო! ნეტავ კიდევ რა მიყვარდა გამორჩეულად?“

— გოგის ხედავ? — ჩუმად მიანიშნა ლალიმ მოპირდაპირე კუთხისაკენ.

— რომელ გოგის?

— ჩვენს გოგის, ჭელიძეს. ვითომ ვერ დაგვინახა! ცოლი გაუშვა და ახლა ამ თივით გატენილ ტომარას აეკიდა.

— რა მოგართვათ? — სიგარეტის ბოლით, ღრიანცელითა და მუშაობით დაღლილი ოფიციანტი მაგიდას დაეყრდნო, თან სიმძიმე მარცხენა ფეხზე გადაიტანა, რომ მარჯვენა ფეხი ოდნავ მაინც შეესვენებინა.

კიდევ არაფერი შემეშალოსო, გაიფიქრა რამაზ კორინთელმა და ქალიშვილს შეხედა, რას ისურვებო.

— შენ ხომ შამპანური გიყვარს. შამპანური დავლიოთ.

— საჭმელი?

— საჭმელი რაცაა კაფეში, არ იცი? საუზმე და ხორციანი ღვეზელები მოიტანოს.

ოფიციანტი წავიდა.

„მაშ· შამპანური და „უინსტონი!“

— აგე, რეზო და ნანა მოდიან! — გაუბრწყინდა თვალები ლალის.

— რომელი რეზო და ნანა?

— რეზო დონაძე და მისი ნანა, გვარი აღარ მახსოვს.

რამაზ კორინთელმა დახვეულ კიბეზე ამომავალი ქალ-ვაჟი შეათვალიერა.

— არ აგრძნობინო, რომ ნაწყენი ხარ.

— რატომ ვარ ნაწყენი? — შეშფოთდა და შეშინდა კორინთელი.

— არ გახსოვს, იმ დღეს რა მოხდა?

— არ მახსოვს.

რამაზ კორინთელმა ისევ მათკენ გაიხედა. რეზოს ქალიშვილისთვის ხელი გადაეხვია და თვალით თავისუფალ მაგიდას დაეძებდა.

ვიღაცებმა მისალმების ნიშნად ხელი დაუქნიეს. ზოგიერთები ფეხზეც წამოდგნენ და მაგიდასთან მიიპატიჟეს.

რეზო ყველას ხელის აწევით მიესალმა. დარბაზში თავისუფალი მაგიდა აღარ იყო. უკან გაბრუნება არ უნდოდა. ვერც გადაწყვიტა, ვისთან მისულიყო.

უცებ ერთი დაბალი, მსუქანი ბიჭი წამოდგა, რეზოსთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— ჩვენთან მობრძანდით! — ამ სიტყვების წარმოთქმისას ქალიშვილს ისე შეხედა, აშკარად წაიკითხავდით მის მრგვალ და პუტკუნა სახეზე, იმედი მაქვს, უარს არ მეტყვითო.

სიტყვიერი თანხმობის გარეშე რეზო და ნანა მათი მაგიდისაკენ გაემართნენ.

რამაზ კორინთელი მიხვდა, დარბაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მსხდომნი კაფეს მუდმივი სტუმრები იყვნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

— რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ შენს გვერდით ვზივარ! — ჩაესმა უცებ ქალიშვილის ხმა.

ოფიციანტმა სწრაფად გაშალა სუფრა.

ლალიმ ჟაკეტი გაიხადა და სკამზე გადაფინა. კორინთელმა შამპანურით შეავსო ჭიქები.

ლალიმ ჭიქა ასწია, რამაზს უსიტყვოდ, ხელის მოძრაობით ანიშნა გაგვიმარჯოსო, თან გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და სასმისი ლამაზად მიიტანა ტუჩებთან.

რამაზ კორინთელს თვალი მოსჭრა ზღვაზე გარუჯულმა, შოკოლადისფერმა მკერდმა და ლამაზმა, მკვრივმა მკლავებმა. გონება ყველაზე უფრო აუმღვრია თეთრმა ზოლმა, რომლის ქვემოთ თეთრად აელვარებული ძუძუები კაბაში იმალებოდა. მოშიშვლებულ ზურგს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა მის სიგლუვესა და ყავისფერ, კრიალა კანს. კორინთელმა ჭიქა სწრაფად დაცალა. უნდოდა წლების მანძილზე დავიწყებული და ახლა ერთბაშად მოვარდნილი სანეტარო ჟრუანტელი დაეთრგუნა, სხეულიდან განედევნა. ჭიქა შეივსო.

— შენ რა, არ სვამ?

პასუხად ქალიშვილმა ჭიქა სანახევროდ მოსვა და მაგიდაზე დადგა. კორინთელმა პირთამდე შეავსო.

მესამე ჭიქაზე უკვე იგრძნო, რომ მთვრალი იყო. ალკოჰოლს გადაჩვეულ და ავადმყოფობით დაღლილ სხეულს ღვინო იოლად მოეკიდა. თავს ვეღარ იმორჩილებდა. ანთებული თვალებიდან გამოსული სხივები მოურიდებლად ეალერსებოდა შოკოლადისფერ სხეულს. საცთუნებელივით ელავდა თეთრი ზოლი და მკვრივ ძუძუებს შორის ჩაწოლილი ღარი. ერთი სული ჰქონდა, საკინძეში სწვდენოდა, ჩაეხია და გარუჯულ სხეულზე თეთრ გუმბათებად ამოხეთქილ ძუძუებზე დასწაფებოდა.

— წავიღოთ შამპანური და ავიდეთ ჩემთან! — თქვა უცებ რამაზ კორინთელმა.

— ვიყოთ ცოტა ხანს. ათი წუთიც არაა, რაც შემოვედით.

— მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, ძალიან მომენატრე.

— მოიცა, რეზო მოდის შენსკენ.

— ვინ რეზო? — უკმაყოფილოდ იკითხა კორინთელმა.

— ვინ რეზო და დონაძე, წელან რომ გითხარი, ძალიან გთხოვ, აქ ჩხუბი არ დაუწყო.

— საჩხუბარი რა მაქვს?!

— ჩუმად, გაიგონებს!

რეზო მაგიდასთან მოვიდა და რამაზ კორინთელს ხელი ღიმილით გაუწოდა.

—გამარჯობა, რამაზ!

— გამარჯობათ! — ფეხზე წამოდგა კორინთელი.

— რა მოხდა, თქვენობით რატომ მელაპარაკები!

— ბოდიში, შამპანურის ბრალია, ცოტა მომეკიდა.

— გამარჯობა, ლალი! — ჭაბუკი დაიხარა და ქალიშვილს ლოყაზე აკოცა.

ლალის ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ღიმილით დაუქნია თავი, მერე კვლავ შამპანურით სავსე ჭიქას დასწვდა, ტუჩებთან მოხდენილად მიიტანა და წრუპვა დაიწყო.

რეზო მიპატიჟებას არ დაელოდა, თავისუფალი სკამი გამოსწია და მაგიდას მიუჯდა.

რამაზ კორინთელი კვლავ ფეხზე იდგა.

— გეწყინა ჩემი მოსვლა? — ჰკითხა რეზომ.

— არა, როგორ გეკადრებათ! — დაიბნა კორინთელი და სკამზე ჩამოჯდა.

— მე მართალი არ ვიყავი. ბიჭებმა საქმე გაარჩიეს. ამიტომ ბოდიშს გიხდი, მაგრამ არც შენ იყავი მართალი.

— რაში არ ვიყავი მართალი, ახალგაზრდავ?! — აღშფოთდა რამაზ კორინთელი.

— დამცინი?! — თვალები წამოენთო რეზოს.

— რატომ დაგცინი? — შეცბა კორი-

ნთელი. მიხვდა, მართლაც ძალზე დამ-
ცინავად ეღერდა თავისი კბილა ჭაბუ-
კისადმი მიმართული სიტყვა „ახალგა-
ზრდავ!“

„მე ახლა რამაზ კორინთელი ვარ.
ერთი წუთითაც, ერთი წამითაც არ უნ-
და დამავიწყდეს, რომ მე ახლა რამაზ
კორინთელი ვარ, რამაზ კორინთელი,
და სხვა არავინ!“ — ჩაიჭედა თავში
ლურსმანივით.

— მაპატიე, ღვინო მომეკიდა. მე ხომ
მეხსიერება დამეკარგა ტრავმისაგან.
ჩემი ტვინი ძლივსძლივობით იხსენებს
რაღაც ამბებს. თითქოს ბურანში ვარ.
შენი ნათქვამი სიზმარს მაგონებს, დიდი
ხნის წინათ ნანახ და უკვე დავიწყებულ
სიზმარს.

ოფიციანტმა რეზოს ჭიქა მოუტანა.
ჭაბუკმა ბოთლს ხელი წამოავლო და
ჭიქა შეივსო.

— უკაცრავად, მე უნდა დამესხა.

— არა უშავს. შენს გამოჯანმრთელე-
ბას გაუმარჯოს. ორიოდე დღის შე-
მდეგ დაგირეკავ. ფხიზლებმა ვილაპარა-
რაკოთ. ჩვენს შორის შავმა კატამ რა-
ტომ უნდა გაირბინოს?

რეზომ დალია.

რამაზ კორინთელმა ბოლომდე გაამ-
შრალა ჭიქა. შეთვრა, მაგრამ სხეული
კიდევ სთხოვდა ალკოჰოლს.

— მეტს აღარ შეგაწუხებთ, — რე-
ზომ თავი მოხდენილად დაუკრა ლალის,
ფეხზე წამოდგა და კორინთელს თვა-
ლებში ჩახედა, — თუ დამირეკავ, კარ-
გი იქნება.

რეზო თავის მაგიდას მიუბრუნდა.
რამაზ კორინთელმა თვალი გააყოლა და
ჭიქა ისევ შეავსო.

— რატომ ან რაში არ ვიყავი მართა-
ლი? — ჰკითხა ლალის.

—არ გახსოვს?

— მე მგონი, უკვე რამდენჯერმე გი-
თხარი, რომ ავადმყოფობისას მეხსიე-
რება მთლიანად დავკარგე, — კორინ-
თელს ხმაში სიბრაზე შეეპარა.

— ვიცი, მაგრამ შენ ახლა კარგად
ხარ.

— რასაკვირველია. კარგად ვარ, ოღ-
ონდ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ მახსოვს.

— რაც გასახსენებელი არაა, ნურც
გაიხსენებ. არც მე გაგახსენებ.

— მე მინდა ვიცოდე, რა მოხდა იმ
დღეს! — კორინთელს თვალები რისხ-
ვით წამოენთო.

— ისეთი არაფერი ყოფილა. შენ რომ
რევოლვერი არ ამოგეღო, ალბათ, არც
გართულდებოდა საქმე.

— რევოლვერი?! — ყურებს არ და-
უჯერა კორინთელმა.

— ჰო, რევოლვერი! რატომ გაგიკ-
ვირდა?

— გამახსენდა, გამახსენდა. მთლად
ნათლად არა, მაგრამ მაინც გამახსენ-
და! — კორინთელმა სავსე ჭიქას ჩახე-
და და ჩაფიქრდა. — ხომ არ მისვრია?
— იკითხა მცირეოდენი პაუზის შემ-
დეგ.

— არა, არ გისვრია. ბიჭებმა დროზე
დაგაწყნარეს.

„ღმერთო ჩემო, რევოლვერი! ვინ
არის, ბოლოს და ბოლოს, რამაზ კორინ-
თელი? უფრო სწორად, ვინა ვარ მე?“

— იარაღის ამოღება რატომ დამჭირ-
და?

— თუ არ გახსოვს, ნურც გაიხსენებ.
ისეთი არაფერი ყოფილა. ახლაც თანა
გაქვს?

— არა, არ წამომიღია! — თქვა კო-
რინთელმა და ჭიქა ლალის ჭიქას მიუ-
ჭახუნა.

არაფერი არ უთქვამს, ისე დალია.
ჭიქა მაგიდაზე დადგა და დაფიქრდა.

„ან საიდან უნდა წამომეღო? არის
კი სახლში? არა მგონია, ყველა კუნჭუ-
ლი გადავაბრუნე, რევოლვერი მაინც
ვერ ვიპოვე. ეტყობა, რომელიმე ჩემს
ამხანაგს აქვს. როცა ხელიდან გამომგ-
ლიჯეს, ალბათ, აღარ მომცეს“.

მწარედ გაეღიმა.

„რომელიმე ჩემს ამხანაგს!“

თვალში ისევ მოხვდა ლალის მკვრი-
ვი მკერდი. ისევ აემღვრა სისხლი: ოფი-
ციანტს ანიშნა, აქ მოდიო.

— ორი ბოთლი შამპანური და შოკო-
ლადი გაგვიხვიე, შინ მინდა წავიღო.

ოფიციანტი უსიტყვოდ გაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ კორინთელი ფეხზე წამოდგა და ლალის ანიშნა, წავედითო.

ლალიმ სიგარეტი საფერფლეზე დააგდო, ხელჩანთიდან სარკე ამოიღო, თმა შეისწორა, ტუჩები ოსტატურად შეიღება და ფეხზე წამოდგა.

კიბესთან ოფიციანტი შეეგებათ. შამპანური და შოკოლადის ფილები ცელოფანის პარკში ჰქონდა გახვეული.

— რამდენი მოგართვათ? — ჰკითხა კორინთელმა.

— უკვე გადახდილია, რეზომ გადაიხადა.

რამაზ კორინთელმა იმ მაგიდისაკენ გაიხედა, რეზო რომ ეგულებოდა.

— ერთი წუთით მობრძანდით! — მიიპატიჟა რეზომ.

ქალიშვილმა კორინთელს ხელი მოჰკიდა და რეზოს მაგიდისკენ წაიყვანა.

ბიჭები ფეხზე წამოდგნენ და სტუმრებს მოკრძალებით მიესალმნენ. არ წამომდგარა მხოლოდ ორი ქალიშვილი და ერთი წვერმოშვებული უცხოელი. რამაზ კორინთელმა გაკვირვებით შეათვალიერა შუახნის ქერა წვეროსანი. კარგად ახსოვდა, თავიდან იგი არ ყოფილა სუფრასთან. არც დარბაზში შემოსვლისას შეუმჩნევია იგი. კიდევ ერთი ბიჭი არ შეუმჩნევია თავიდან, ზოლებიანი სვიტრი რომ ეცვა.

„ეტყობა, ეს ორნი მერე შემოემატნენ“, — დაასკვნა და რეზოს გამოწვდილი ჭიქა ჩამოართვა.

— თავს არ შეგაწყენთ, ყველანი ერთბაშად გადღეგრძელებთ, — თქვა ღიმილით რეზომ, მისალმების ნიშნად ჭიქა მაღლა ასწია.

ბიჭებმა ხმადაბლა თქვეს, გაგიმარჯოთო და ჭიქები დაცალეს.

— ეი, დალიე! — რეზომ მხარზე ხელი დაჰკრა უცხოელს და თან მიანიშნა, სტუმრები ადღეგრძელეო.

წვეროსანი მიხვდა, რასაც სთხოვდნენ. ჭიქა ასწია და სადღეგრძელო გერმანულად წარმოთქვა.

— გერმანელი ხართ? — ჰკითხა უცებ გერმანულად რამაზ კორინთელმა.

— დიახ! — მშობლიური ენის გაგონებაზე სიხარულით გაიბადრა წვეროსანი.

— ძალიან სასიამოვნოა. ამ ბიჭებთან საიდან მოხვდით?

— სრულიად შემთხვევით. რესტორანში მინდოდა შესვლა. არ შემიშვეს, ადგილი არ არისო. აი, ამ ჭრელსვიტრიანმა ბიჭმა დაინახა ჩემი გასაჭირი და აქ ამომიყვანა.

ლალი და ბიჭები გაოცებისაგან გაქვავდნენ. ამ წუთამდე ხომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რამაზ კორინთელმა თუ გერმანული ენა იცოდა.

უცებ გერმანელმა პატარა ხელჩანთიდან, მარცხენა ხელის მაჯაზე რომ ეკიდა, უბის წიგნაკი და პასტიანი კალამი ამოიღო. რამაზ კორინთელმა წიგნაკში ტელეფონის ნომერი ჩაუწერა. მერე ყველას თავი ღიმილით დაუქნია.

— ჩვენ წავალთ. დიდი მადლობა მიპატიჟების და, საერთოდ, ყველაფრისათვის.

ბოლო სიტყვა რეზო დონაძისათვის იყო განკუთვნილი. რამაზ კორინთელი სუფრის გასტუმრებას გულისხმობდა.

— როდის იყო წვრილმანებზე მადლობას ვიხდიდით? — გაიცინა რეზომ და კორინთელს მხარზე ხელი შემოჰკრა.

— გერმანული თუ იცოდი, ერთხელ მაინც რატომ არ გითქვამს ჩემთვის? — ჰკითხა ლალიმ, „ივერიის“ მოედანზე რომ გამოვიდნენ.

— რატომ უნდა მეთქვა? — რამაზ კორინთელი ახლაღა მიხვდა, მისი გერმანული ბიჭებში რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა.

— რატომ არავინ არ ვიცოდით?

— მანამდე არ დამჭირვებია გერმანულად ლაპარაკი და საიდან გაიგებდით?

— ბიჭები კინაღამ გადაირივნენ, ვერ შეატყვე?

— რამ გადარიათ. თბილისში რა, ცოტამ იცის გერმანული?

— გერმანული ბევრმა იცის, მაგრამ შენ თუ იცოდი, ამას კი აღარ მოელოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ? — შეჩერდა რამაზ კორინთელი და ქალიშვილს დამცინავი ღიმილით ჩახედა თვალებში.

— იმიტომ, რომ შენ შენ ხარ!

— რას ნიშნავს, მე მე ვარ? — არ ესიამოვნა კორინთელს მისი პიროვნების განმსაზღვრელი ფორმულა. არ უნდოდა ეფიქრა და ემკითხავა, ვინ იყო რამაზ კორინთელი. გრძნობდა, სასიკეთოს ვერაფერს დაასკვნიდა და ვერც სხვისგან გაიგონებდა რაიმე სანუგეშოს.

— კარგად იცი, რასაც ნიშნავს.

— მაშინ უბრალოდ, ცნობისთვის გეუბნები, ინგლისურიც მშვენივრად ვიცი და ფრანგულიც.

— მართლა? — წამოიძახა შემკრთალმა ქალიშვილმა.

— იპოვე ქუჩაში ვინმე ინგლისელი ან ფრანგი და ახლავე გაგიფანტავ ეჭვებს.

— რამაზ! მე მეშინია შენი!

— ნუ გეშინია, ძვირფასო. აგერ ტაქსიც!

— რომელი საათია?

— რვა.

ტაქსის შოფერმა პირდაპირ კორინთელის წინ დაამუხრუჭა.

— რამაზ!

შემოესმა მანქანიდან.

შავგვრემანმა, ულვაშიანმა ჭაბუკმა კარი გამოაღო და კორინთელს გადაეხვია.

— გავიგე, რომ კარგად ხარ. ძალიან გამიხარდა შენი ნახვა.

ამჯერად რამაზ კორინთელი არ დაბნეულა. ჭაბუკს თვითონაც აკოცა ლოყაზე და მხარზე ხელი მოუტყაპუნა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა კორინთელს, თან შოფერს ჩასძახა, — მოიცა, ჯერ არ დაიძრა!

შემდეგ ისევ რამაზ კორინთელს მიუბრუნდა.

— ხომ არ შევბრუნდეთ? რამდენი ხანია, აღარ მინახიხარ! — თან ლალის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. — თუ არ გცალია, მაშინ ეს ტაქსი მიგიყვანს ადგილზე.

— დიდი მადლობა, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე.

— გასაგებია. შენ რა ავადმყოფობა გამოგცვლიდა! — ჩაიცინა შავულვაში ჭაბუკმა, თან ისევ ლალის გადახედა, ჯიბიდან თუმნიანი ამოიღო და ტაქსში წინა საჯდომზე ჩააგდო. — ამ ხალხს, იქ მიიყვან, სადაც გეტყვიან.

— გმადლობ! — თქვა უხერხულად რამაზ კორინთელმა.

— მშვენივრად გამოიყურები. — მიუგო პასუხად ჭაბუკმა, — ერთი გვერდზე გავიდეთ.

უცნობმა კორინთელს ხელკავი გაუკეთა, გვერდზე გაიყვანა და ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო.

— არ ვიცოდი, თუ შეგხვდებოდი. ორი ათასს ახლავე გაგისტუმრებ. დანარჩენს, თუ გინდა, ხვალვე მოგიტან.

რამაზ კორინთელი შეცბა.

— აიღე, აიღე. მოთამაშემ წაგებაც უნდა იცოდეს და გადახდაც. როგორც გითხარი, დანარჩენს, თუ გინდა, ხვალვე ამოგიტან.

— კარგი იქნება. თუკი საშუალება გაქვს, მომიტანე. მე ახლა ფული ძალიან მჭირდება! — თქვა რამაზ კორინთელმა და თავისი ნათქვამი თვითონვე გაუკვირდა.

„ღმერთო ჩემო, როდის მომივიდა ეს ფრაზა თავში?“

— ხვალ რვა საათზე დაგირეკავ. შინ იქნები?

— შინ დაგელოდები. ოღონდ ნუ მალოდინებ.

— აბა, კარგად იყავი, ჩემო რამაზ.

კორინთელმა ფული ჯიბეში ჩაიდო, ტაქსთან მივიდა, კარი გამოაღო, ჯერ ლალი შეუშვა და მერე თვითონ მოკალათდა სავარძელზე. უნებურად ხელი შარვლის გაბერილი ჯიბისაკენ წაიღო.

„მაშ, ორი ათასი!“ — თქვა გულში კმაყოფილებით და ლალის ხელი გადახვია.

●

— ჯერ აბაზანაში შევალ, წყალს გადავივლებ.

— არა, მოთმენა აღარ შემიძლია.

— რამაზ, გემუდარები, ორ წუთში ვიბანავებ.

პასუხად კორინთელმა კაბა ჩაუხსნა და მკერდზე დაეკონა.

— მოიცა, არ დამიხიო, თვითონ გავიხდი!

ერთ წამში ლოგინში იყვნენ. კორინთელმა ზეწარი მოისროლა და ქალიშვილს დააცხრა.

— ნელა! მტკივა, რამ გაგაგიჟა!

ჭაბუკს აღარაფერი ესმოდა. სისხლამღვრეული ვნებიანად კოცნიდა შოკოლადისფერ მკვრივ სხეულს. ლალის სიამოვნებდა კორინთელის მძლავრი, დაკუნთული მკლავები. თვალებდახუჭული ვაჟს მხრებზე ნაზად უსვამდა თავის გრძელ თითებს. ნეტარებით გაბრუებული ჭაბუკის მძლავრ ქშენას დროდადრო ემატებოდა ქალიშვილის ნაზი ვნებიანი კვნესა.

●

გვიან გაიღვიძა.

თვალი გაახილა.

ვერ გაერკვა, სად იყო.

მაგიდაზე შამპანურის ორ დაცლილ ბოთლს მოჰკრა თვალი.

ერთბაშად ყველაფერი გაახსენდა.

ნელა წამოდგა, თავი უხურდა.

წუხანდელმა ღამემ ერთ წუთში ჩაურბინა თვალწინ. სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა. მერე ინანა, ლალი არ უნდა გამეშვაო.

ერთი ჭიქა შამპანურით იყო სავსე. თეფშზე შოკოლადის სამი პატარა ნატეხი კიდევ ეგდო. მიხვდა, სავსე ჭიქა ლალისა იყო.

„ღმერთო, რამდენი დავლიე!“ — დაფიქრდა უცებ.

წამოდგა, აბაზანაში შევიდა და ცივი წყალი მოუშვა. ესიამოვნა. ერთხანს გარინდული იდგა. ცივმა წყალმა ჯერ �ა აკრთო, მერე გამოაცოცხლა. სხეულს ერთბაშად დაუბრუნდა ენერგია.

თვალწინ ისევ წარმოუდგა წუხანდელი სცენები. ისევ იგრძნო მზეზე გარუჯული მკვრივი სხეულის სურნელება, ისევ მწარედ ინანა, ლალი რატომ გავუშვიო.

უცებ ფული გაახსენდა, ვიღაც უცნობმა შავულვაშა ჭაბუკმა რომ მისცა.

ტანი სწრაფად შეიმშრალა, კარადასთან მივიდა და შარვლის ის ჯიბე მოსინჯა, სადაც ფული ეგულებოდა.

„ნეტა მართლა ორი ათასია?“

დათვალა. ორი ათასი იყო.

„მოთამაშემ წაგებაც უნდა იცოდეს და გადახდაც,“ გაახსენდა უცნობის სიტყვები და უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო.

„ან ის რეზო ვინ იყო? რა ჩხუბი უნდა მომსვლოდა მასთან („მომსვლოდა“), ან სად არის ჩემი („ჩემი“) რევოლვერი? რატომ მითხრა ლალიმ, გერმანული თბილისში ბევრმა იცის, მაგრამ შენგან მის ცოდნას არავინ ელოდაო? ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო რამაზ კორინთელი? ან კიდევ რამდენი ფული მეკუთვნის („მეკუთვნის“) იმ ულვაშებიანისგან?“

ღვინით დანისლული გონების ნაცრისფერ ფონზე ისევ აიშალნენ კითხვის ნიშნები, სანგრებიდან ამოსული და წელში მოხრილი ჯარისკაცებივით ფრთხილად, მაგრამ ჯიუტად რომ მოისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან.

უცებ ყველაფერი გაქრა და რამაზ კორინთელის ზურგი ისევ გახვრიტა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობის კუთხესთან მდგარი ახალგაზრდა კაცის ლინზებივით გაშეშებული თვალებიდან გამოსულმა ორმა წვრილი ლაზერის სხივმა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი გამჩხრიკავი და განმქიქებელი

როდესაც ვხედავ, შენი ყოველი დღე
ჩაის ჭიქიდან როგორ ამოდის ნერგივით,
შაქარზეა დამყნილი,
ყვავილოვანი ფაიფურის მესერი ავლია,
რომლის მიღმა ისეთი სიმტკნარეა
და ლიტონი სიტყვების თამაში,
რომ გადაულახავი სურვილი მიჩნდება
მარილიანი ქაშაყები შემოვაგდო ნაღმებივით
და როცა წყურვილი აფეთქდება,
წყალი კი არ მოგაწოდო,
არამედ ქადის გულის უგონო სიტკბო.
სისასტიკეა? შეიძლება,
მაგრამ, ამავე დროს, მშვენიერი ალქიმიაც,
როცა არაფრისმთქმელი სიტყვები
ისეთი ძაბვით იწვიან
და ისეთი მწყურვალენი ხდებიან,
რომ ლექსი, თითქმის უწვალებლად იწერება...
შენ იცი ამ წვალების ფასი,
რადგან ოდესღაც გამჩხრიკავი კი არ იყავი სიტყვის,
არამედ შეყვარებული მასზე,
მაგრამ უპასუხო სიყვარულმა
სასწორი ჩაგიშენა თვალისჩინებში,
როგორც ბავშვი ციხის კედელში
და ახლა ვეღარ ეგუები
ვერავითარ უზომობას, უგონობას...
როცა ვერც კი გაიგებ,
საიდან მოდის შთაგონება
იქნებ, ტვინი ჩაიყურყუმელავებს ვარდებში
და ატლასივით ხატებს ამოიტანს...
ერთი კი ცხადია,
ზედ, უსათუოდ, ოქრომკედით უნდა დააქარგო
საქმის ცოდნით, გემოვნებით,
უნაკლოდ შეკრა-დააგვირისტო,
(ღვთის შეწევნით, კარგი ქართული კი იცი)
და ამოანათებს ღნიოში პირიდან
ყოველგვარი ჟარგონისგან, კილოკავისგან,
გამოგონილი სიტყვებისგან
გაფილტრული ენა —
ძვირფასი ქვა, პატიოსანი და ცივი
შავი ხავერდის ბუდეში...
ტკივილი?
ტკივილსაც რა ბევრი ძებნა უნდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგივე ვარდი, ფურცლებდაგლეჯილი,
ან დამტვრეული ჭიქა (ბროლის),
ან შაქარზე გადასხმული ნაღველი,
ღვიძლის შეტევა
ნოყიერი საკვების შემდეგ...
მაგრამ ჩემთვის ტკივილიც
ისეთივე ძნელი მოსაპოვებელია,
როგორც სიხარული,
ამისათვის ძაღლად უნდა ვიქცე
დღის რომელიმე, შეუმჩნეველ მონაკვეთში,
როცა იმდენი წიხლი მხვდება მეგობრებისაგან,
მოსისხლე მტერს რომ არ დაესიზმრება,
მდუღარეც რამდენი გადაუსხამთ
ჩემს მოვლილ და პრიალა თავზე,
აკი ამიტომ მტკივა განუწყვეტლად
თავი და კეფა,
პირამიდონის ზვავით გატანილი...
ზოგჯერ დამიყვავებენ კიდეც,
მაგრამ, იშვიათად, ვინმემ შემითვისოს,
უანგაროდ, ბოლომდე
და თუ ზომიერების გრძნობამ არ დაამუხრუჭა,
ჩემი ტკივილიც დაინახოს,
იმხელა,
თითქოს სისხლისფერია წუთისოფელი
და შიგადაშიგ
პირამიდონის თეთრი პეპლები დაფრინავენ...
თუ ამის ბადალი სიტყვა მოვახერხე,
ასე მეგონება,
რომ ძაღლს კი არა,
მინდორს გადავუსვი თავზე ხელი
და რაღა მნიშვნელობა აქვს მაშინ,
როგორ შემომხედავს
თვალი, გამჩხრიკავი და განმქიქებელი...

გაზაფხული

გაზაფხულზე, როცა პირველი მარწყვის
ფერსა და სიტკბოში ღმერთი ურევია,
როცა მისი სისხლით გამაძღარ ყელს
ბედნიერი შეძახილი ამოხდება
და არ შეეშინდება საზღაურის
და კვნესას არ გაურევს ხმაში
იქვე ჩასაფრებული ჭირის გულის მოსაგებად,
ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ
მიხარია სიცოცხლე, უმიზეზოდ,
სარგებლობის გაუთვალისწინებლად,
მიუხედავად იმდენი ცრემლის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმდენი დაწყვეტილი ნერვის,
თითქოს, ურიცხვი ნათურა
გადამეწვა ტვინში,
რასაც უნდა ჩაექრო შუბლი
და ლოთების, მაწანწალების,
იმედგაწყვეტილების ჯოგში შეეგდო,
მაგრამ დამწვარი და გაშავებული,
პირველივე წვიმის მერე
ისევ თეთრ ფიქალს ემსგავსებოდა
და ისევ იმაზე იყო მინათებული,
რაზედაც ადრე, მაგალითად,
ბროწეულის ხეზე,
რომელიც, აყვავებული, ისეთი შესახედავია,
რომ ერთი ყვავილი თუ მოწყვიტე,
რა არის, სისხლის წვეთი,
უტკივილო, დაუნახავი,
ამიტომ მთლიანად ხე უნდა დაიჭირო
ხელში
და მიხვიდე კაცთან, რომელიც გიყვარს,
მთელი შენი სისხლი რომ გადმოანთხიო,
ისე გიყვარს,
მაგრამ ამას ხომ ვერ ეტყვი,
ხე კი ისე თვალსაჩინოდ ალისფერია!
რასაც ან შეამჩნევს, ან ვერა,
გაუკვირდება კი, ასეთ უღონო ქალს
ამხელა ხე როგორ გიჭირავს ხელში!
და კაცს რომ რამე გაუკვირდება,
ის, ჯერ კიდევ, შეიძლება
სიკეთისკენ მიაქციო...
ხოლო ორი გაკვირვებული ერთად
უფრო დავემგვანებით იმ მუნჯ ბავშვს,
რომელსაც მოსიყვარულე, კაციჭამია მშობლები
ყოველ დილას კვერცხისგულივით,
თითო ოქროპირს აყლაპებენ,
მას კი, მაინც, სიტყვების ნაცვლად
განწირული ყმუილი ამოსდის პირდან
ან სხვა რა შეუძლია, როცა სახე
ისე აქვს მიღრეცილი
მანქანების გამონაბოლქვისკენ,
როგორც მზისკენ
და როცა ბორბლებიდან ბროწეულის ხე
გამოხტება წითელი ბურთივით —
კიდევ ერთი გადარჩენილი გაზაფხული,
ისე უხარია მისი ყოველი წუთი,
როგორც მარტოხელა მგელს,
სანამ თავისივე მოძმეები დაგლეჯენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტირილი დამეკარგა

წამალი დავლიე, წყალი მეცოტავა
და, თითქოს, სახლი ჩამენგრა პირში,
ისეთი მკაფიო გახდა ნესტიანი ბათქაშის გემო...
უცნაური ამბავი შემემთხვა —
ტირილი დამეკარგა ოქროს ქინძისთავივით,
რომელსაც დღედაღამ დავეძებ
და ყოველი გატეხილი ღამე
სახეზე ჩამქრალ ძაძას მაფარებს,
თითქოს, სარკე ვიყო საკუთარ პანაშვიდზე,
სადაც ჩემს მტერ-მოყვარეს სანატრელი იების ნაცვლად
ვარდები მოაქვთ, ხაზგასმულად, ისეთი ყვითელი და პრიალა,
ლამის, ლითონის საყვირები ამოეზარდოთ ბუტკოებიდან —
სათბურებში გამოყვანილი ტირილი...
მაგრამ როცა გინახავს ტირილის დედანი,
რომელსაც მარმარილოს მშობელ ენაზე პიეტა ქვია,
უნდა გაუფრთხილდე მას, სული უბერო,
ყველაზე ნაწვალები სიტყვების გუმბათი
დაადგა თავზე, რომლის სამრეკლო
ხორბლით კი არა, ზარებით გამოტენილი
ბულბულის ჩიჩახვი იქნება...
იქნებ, ისინი ტირილის დედანი იყო, ის კრიალა ნაკადული,
ბავშვობაში რომ გაგიღიავებდა თვალისჩინებს
და მოასფალტებულ ქალაქურ ეზოში
ჭია-მაიას იპოვიდი, მერე დედასაც აპოვნინებდი
(იღბლის ბუდე მეგობრების თვალში),
რომლებიც შეუძლებელს დაინახავდნენ:
როგორ დაფრინავს ჰაერში ორი ბედნიერი ყაყაჩო...
მერე იქცა ცრემლი მარმარილოს ლოდად,
და, მაინც, რა კარგი იყო,
ქალაქის ყველაზე დიდი აღმართიდან
რომ დაეშვებოდი, სახლში მოხვიდოდი,
ლოდს მხრებიდან მოიხსნიდი
და ისეთი ტკბილი იყო სამი დღის პური
და ისეთი ერთადერთი
ცრემლით განელებული ურთიერთობა,
როგორც ორი ყაყაჩოს ფრენა ჰაერში...
მერე და მერე მიხვდი,
რომ ცრემლისგან გეწრიტება
ისედაც სუსტი მხედველობა,
თავის ტკივილიც შემოგეჩვია ლაქუცა ძაღლივით,
მარმარილო დამძიმდა
და სკოლიოზისგან დაგრეხილ მხრებს
გაუჭირდათ მისი ტარება
მაშინ ოქროს ქინძისთავს შეადარე შენი ტირილი —
სამკაულის ტარება უფრო იოლია, ვიდრე (სიზაფეს ლოდის
მაგრამ ისიც დაკარგე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქი-ქვაბის ბუღმა ბზინვა გააცალა ბაჯაღლო ოქროს
და ცხვირწინაც რომ გეგდოს, მაინც ვეღარ იპოვი,
ამიტომ წამალიც აღარ გიჩლუნგებს უძილობას
და ისეთი მკაფიო ხდება სისხლიანი ბათქაშის გემო,
თითქოს სახლი ჩაგენგრა პირში...

სიმღერა

და რა არის სიმღერა, თუ არა ტირილის ბოლო ბგერა —
დარდისგან გალეული ქალი, სულ ცოტა, სამი,
მაგრამ, თავი თუ გაიგიჟა,
შვიდი ამღერებული კაცის სამშობლო,
რაც, დაახლოებით, ისეთივე სანახავია,
ქალაქის ფანჯრებში გამოკიდებული გალიები,
რომ შეაგროვო,
მომღერალი ჩიტებით სავსე
და სახმო სიმებზე ჩამოიკიდო
და თუ აქამდე
დალუქული სახლივით იდექი,
ახლა პირველი ხმა წამოგცდება, ისეთი გაფატრული,
სრიალა აბრეშუმზე ფრჩხილი რომ ჩამოუსვა...
მერე ამ მყინვარწვერს
მეორე და მესამე ხმები, მუშა ფუტკრები
სკას აუშენებენ თვალწინ
და შიგ ჩაამხობენ, ტკბილად დაამხობენ
თავმდაბალი მეორე და მესამე...
ხოლო მეშვიდე ხმის წვეროზე
მზის ნაკუწებივით ყვითელი ჩიტები წამოსკუპდებიან,
ის ელვა-სინათლე,
ტვინს რომ გაგიხსნის სულ ერთი წუთით და დაგანახებს,
რომ შენმა საოპერო სიყვარულებმა
სოპრანოს ალისფერი ვარდები კი არ შვეს,
არამედ გასისხლიანებული ბავშვები,
ყველა ჩვენგანის ცოდვები,
რომლებიც საკუთარ სისხლში უნდა შემოუშვა —
შენს მუქწითელ გულღია სახლში,
რაც შორიდან იოლი და ბუნებრივი ჩანს
და ვინ წარმოიდგენს, რომ ამისთვის
ნემსებით უნდა დაიჩხვლიტო თავი,
რასაც მერე ექსტაზს დაარქმევენ,
ან თვითმკვლელობას, შენ კი მოგეჩვენება,
რომ სისხლისფერ ცხენზე შემომჯდარი,
მიფრინავ გადაუღებელ,
ტანზე წვიმასავით შემოგლესილ მუსიკაში
და მარტო ქალი კი აღარა ხარ უკვე,
არამედ შვიდი ამღერებული კაცის სამშობლო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ჯგუბურია

დიდი ზამთარი ანუ საკარმიდამო და არასაკარმიდამო ღობის ამბავი

აი, ეს ღობე, მეზობლებს რომ უდგას
შუაში,
ყანას რომ გასდევს, როგორც კანონი,
იელის ღობე თუ თხმელის ღობე,
წიფლის ღობე თუ ღობე ქვითკირის,
ახლდება ხოლმე,
თუკი სადმე სარი გამოლპა,
ახალს ჩაარჭობს იქ გლეხიკაცი
და აკაციის წამახულ სარზე
კვლავ მიაღობავს თხმელას ან იელს,
ხოლო ღობე საცა არ ვარგა,
კაციც არ ვარგა, ცხადზე-ცხადია,
კნინია მისი მეურნეობა
და არაფერი მას ისეთი არ აბადია,
რასაც მოვლა და დაცვა სჭირდება.
თუმცა დრო-ჟამი ღობის მტერია,
ღობის გარეშე მეზობლები არ
ივარგებენ.

ღობე ჰყოფს ყანებს, სოფლებს
ქალაქებს,
ღობე ჰყოფს თავად სახელმწიფოებს
და ღობეებით დასერილ მიწებს
საკუთარ სახელს ეძახის ყველა.

ქაფათის ფერდზე გვედო ჩვენ ყანა
შედანიების მიწისაგან გამოყოფილი,
შედანიების ჩაღმა იდგნენ
ბერიშვილები,
ბერიშვილების ჩაღმა იდგნენ
დარანდიები,
და ჯიქიების იდო მიწები
სინწის კიდიდან მოყოლებული
ლედგებიეს მისადგომამდე.

ღობით იწყება შენჩემობია.
— იმათი მიწა, — ჩვენ ვამბობთ ხოლმე,
— ჩვენი მიწა, — გვეამაყება,
და იმ მიწებსაც როცა ვიგონებთ,
რაც დავკარგეთ, ანდა გავყიდეთ, —
ხმაში მუდამ ბზარი გვიჩნდება
და სულ გვგონია, ადრე თუ გვიან,
კვლავ დავიბრუნებთ იმ ძვირფას
მიწებს,
თუმცა ფული შემოგვეხარჯა,
ეს ხელის ჭუჭყი, საფასური ჩვენი
მიწების,
ამგვარად ფიქრობს ხოლმე კაცი
სადმე ქალაქში,
სადმე კანტორის კუთხეში მჯდარი,
ნოტარიუსს რომ ელოდება,
რათა აიღოს იმან მოწმობა,
რასაც მთელი კვირაა დასდევს, —
ან ცხოვრობს იგი სადმე მეხუთე,
სადმე მეექვსე სართულზე, ცაში,
და აივნიდან ძირს იყურება,
სადაც პოტიკობს კენტი ატამი,
ჭირვეულობს, მაღლა მიიწევს,
მაგრამ უჭკნება სუსტი ფოთლები,
ვერ იქნა და ვერ გაიხარა.
კამათი აქვთ მეზობლებს დიდი,
თუ ვის ეკუთვნის სინამდვილეში
ის ერთი ძირი ატმის ხე ახლა,
რადგან არაა იგი ღობით გამოყოფილი.

ერთი კი არი, და ეს ცხადია,
კაცი კაცს მუდამ შეეშველება,
ხელს გამოიღებს და ტვირთს აუწევს,
მხარზე შეადგამს პირსავსე კალათს,
ლხინის დღეს მასთან დალევს
სალხინოს,
ჭირის დღეს მისას გაიზიარებს,
მაგრამ როდესაც მეზობელი ღობეს
აახლებს
მარტოა იგი და არავინ არ ეხმარება.

ღობე ჰყოფს ყანებს, სოფლებს,
ქალაქებს,
ღობე ჰყოფს თავად სახელმწიფოებს,
ღობე, რომ არა, მეზობლები ერთურთს
დაჭამდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი — სოფელს, ქალაქი —
ქალაქს
და სახელმწიფო სახელმწიფოს არ
დაინდობდა,
გაიწეოდა საზღვრები ხშირად,
იბობოქრებდა სამყარო მთელი,
იბობოქრებდნენ ძეხორციელნი
„იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ, თვითვე არიან".

მხოლოდ ეს ჩიტი, ეს ციცქნა სკვინჩა
არას დაგიდევს კანონ-სამართალს,
ღობე იმას არ ეპიტნავება,
ან ღობე თითქოს არც ყოფილიყოს,
ისე გადიფრენს ქაფათის თავზე,
რომ მისხალი კვალიც არ რჩება.

ზღვასაც კი, თუმცა ასე ვრცელია,
ზღვასაც არ ჰყოფნის თითქოს ადგილი,
ოხრავს და ქშინავს, ბრაზობს,
ღრიალებს,
იფართოებს პონტო კალაპოტს,
ზღვა ებრძვის აფხაზს, ებრძვის
აჭარელს,
ებრძვის გურიას და სამეგრელოს,
ითრევს მიწებს, ყანებს, ვენახებს,
და მაღლა-მაღლა, მთებში მიდენის
გაკვირვებულ ადამიანებს...

მაგრამ ჯერხნობით კაცს ჰყოფნის
მიწა,
ხოლო ათასის, ორი ათასის,
ან მილიონის მერე რა მოვა,
მე ეს ამბავი, რა თქმა უნდა,
ვერ დამაღონებს.

ეს იყო მგონი ორმოცდაცხრაში;
თოვდა იმ ზამთარს შეუსვენებლივ,
თოვდა დეკემბერს, თოვდა იანვარს,
თოვდა თებერვალს და მარტს დამდეგს,
დადგა წისქვილი, გზა წაიშალა,
საყრუეთი გახდა ქვეყანა,
დაიფარა გვიმი, ალაგე,
დაიფარა ღობე, ჭიშკარი.
კაცი კაცთან ვერ გადადიოდა,
სიმინდს ხარშავდა მთელი სოფელი,
სულ დაიხარჯა შეშა, რაც გვქონდა,
და ნაფოტიც რომ აღარ შეგვრჩა
ავიღეთ და ღობე გავტეხეთ.

მაგრამ როცა გამოზაფხულდა,
ახალი ღობე დავწანით ყველგან,
ღობის გარეშე არ ვარგა კაცი,
კნინია მისი მეურნეობა,
ღობე რომ არა,
მეზობლები დაჭამდნენ ერთურთს,
სოფელი — სოფელს, ქალაქი —
ქალაქს
და სახელმწიფო სახელმწიფოს არ
დაინდობდა,
იბობოქრებდა სამყარო მთელი,
იბობოქრებდნენ ძეხორციელნი
„იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ, თვითვე არიან",
მაგრამ მე ახლა
უფრო იმგვარ ღობეზე ვფიქრობ,
რომელიც არ ჩანს და მაინც არის,
მაინც მტკიცეა, როგორც დულაბი,
მტკიცეა, როგორც კამეჩის შუბლი,
ყრუა ის ღობე და შეუვალი,
იმ ღობის იქით ბალახობენ
ჩვენი ფიქრები,
ჯოგები ჩვენი ოცნებების და იმედების,
და ჩინური კედელი რაა,
სიგრძე იმისი მეტია და
განუზომელი,
ცამდე აღწევს მისი სიმაღლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე ტალიაშვილი

გიგა

მოთხრობა

ამინდმა დილიდანვე აურია. ჯერ თიოქოს გაწვიმებას აპირებდა, მაგრამ მერე და მერე ქარმა წვრილი, უსიამო ფიფქები წამოაფრინა დათოვლილი მთებიდან და სიცივე მოიყოლა თან. გიგას სახლის წინ ატუზულ ლერის ახლა, სიმშრალეშიც კი, ჯერ კიდევ ამცივნებდა და თვალები ეწვოდა. ბიჭმა მჭიდროდ ამოიწია ძველი, დაბამბული ქურთუკის საყელო და მუჭა დაიორთქლა. მერე გაბმით დარეკა ზარი. შიგნიდან მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოისმა. ეს გიგას სიარულს არ ჰგავდა. ნაბიჯები კარს უკან მალე მიწყდა, საკეტი აჩხაკუნდა და ღრიჭოში ქალის გაწამებული ხმა ვაისმა:

— გიგა, შენა?

— არა, დეიდა ქეთო, ლერი ვარ, — სწრაფად მიაგება ბიჭმა და გული უსიამოდ შეეკუმშა. გიგა სახლში რომ არ დახვდა, სტუმრობის ხალისი დაკარგა.

გიგას დედა უკვე ზღურბლზე იდგა, მაღალი, გამხდარი, მხრებზე თავშალმოხურული ქალი. ვაჟიშვილს და დედას ერთნაირად ცისფერი თვალები ჰქონდათ. აგერ, რამდენი ხანია მათში მხოლოდ სასოწარკვეთილება და მწუხარება ირეკლებოდა: ღია კართან ქაფურის, ნაფტალინისა და გულის დამამშვიდებელი წამლების სუნი გამოიჭრა.

— მოდი, მოდი, — ალერსი გაერია გიგას დედას ხმაში, — იმ ბიჭს სახლში ხომ ვერ დაიჭერ? მე კი მეგონა, შენთან იქნებოდა, წუხელ შინ არ მოსულა.

ქალმა გრძელი, შავი კაბის ქობა ოდნავ ზევით აზიდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. ლერიმ შენიშნა მის წამწამებზე მოციმციმე ცრემლი.

— არა უშავს, დეიდა ქეთო, ალბათ ვარჯიშზეა, სპორტდარბაზში, ეხლა ტურნირები იწყება, — უნიათოდ ანუგეშა ბიჭმა და უკან მიჰყვა ქალს.

ოთახში ციოდა... ფანჯარაზე ჩამოფარებული მძიმე, თალხი ფარდები იქაურობას აბნელებდნენ და აყრუებდნენ.

კედელზე გიგას მამის გადიდებული ფოტოსურათი ეკიდა. ლერიმ ცერად შეავლო თვალი.

— ჯერ ორმოციც არ გადაგვიხდია, ათასი საქმეა მოსაწესრიგებელი, საფლავი მისახედია, გუშინ ვიყავი, ყვავილები ავიტანე, რაღა ჯანდაბად უნდა, მაგრამ გული არ მიძლებს, — მისუსტებული, დალეული ხმით ლაპარაკობდა გიგას დედა, თანაც მაგიდაზე გადასაფარებელს ასწორებდა და პატარა გოგოსავით თავდაღუნული ზედ ამოქარგულ ორნამენტებს თითებს აყოლებდა.

ლერი კედელთან აიტუზა, არ დამჯდარა, გარშემო მხოლოდ სიცივე, მწუხარება ეხვია და, ერთი სული ჰქონდა, მალე გამქრალიყო აქედან.

— გუშინ გათბობა გამორთეს, — კვლავ წყნარად, თითქოს თავისთვის ალაპარაკდა ქალი — ცხელი წყლის მილი გამსკდარა მეორე კორპუსში, შევაკეთებთო, მაგრამ ორი კვირა მაინც დასჭირდებათ. — მერე უცებ გამოცოცხლდა: — ხომ არ გშია? ხორცი შევწვი კარტოფილთან ერთად, გიგას უყვარს, ახლავე გამოგიტან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა. — კინალამ წამოიყვირა ბიჭმა. მერე ცოტა დამშვიდდა და იცრუა კიდეც. — აქეთ წამოსვლისას სახინკლეში გავიარე. ლუდიც დავაყოლე.

— ჰოო, ჩემს ქმარსაც ძალიან უყვარდა, ხინკალი... ამხანაგებმა ორმოცი ბოთლი შამპანური დააყარეს საფლავზე, კონიაკს ხომ ნუღარ იტყვი...

ქალმა ორნამენტების ხაზვა მიატოვა და თვალები გაუშტერდა. მძიმე სიჩუმე გამეფთა ოთახში. ლერიმ ამოიოხრა...

... თვითონაც ახსოვდა ის დღე. გიგასთან ერთად იდგა, პირდაპირ გაჭრილ საფლავს ჩაჰყურებდნენ. მესაფლავეები ფუსფუსებდნენ და „სასახლეს“ აწესრიგებდნენ... მათგან მოშორებით ვიღაცები კუბოს სახურავს ასწორებდნენ. მერე ბიჭებს დაბალი, სახედაბიუვინებული კაცი მიუახლოვდა, — წადით აქედან, უნდა ჩავახვენოთ მიცვალებული, — ბრძანა და ღვინის სუნი დააყენა ირგვლივ.

— ჩაასვენეთ, ვინ გიშლით? — აგდებით ჩაულაპარაკა გიგამ და ყელის ძარღვები დაებერა.

— ყმაწვილო! — მუქარა დაეტყო კაცს ხმაში.

მესაფლავეები უკვე ამოსულიყვნენ, ულვაშა მოხუცი ტალახიან ხელებს იწმენდდა.

— ქვიანი ადგილია, ძლივს გამოვიღეთ საბირკველი.

— არა უშავს, სამაგიეროდ, წყალი არ ჩაჟონავს...

ჭირისუფლების ტირილი და მოთქმაგოდება ერთმანეთში ირეოდა. სამგლოვიარო ცერემონიალი დასასრულს უახლოვდებოდა.

— როგორ უნდა ჩაასვენონ, თოკებით? — იკითხა ჩუმად ვიღაც ქალმა.

გიგას ფეხი წაუბორძიკდა, ლერიმ ფრთხილად შეანჯღრია მეგობარი.

— წავიდეთ აქედან, არ ვარგა, თურმე, ყურება...

გიგამ უაზროდ გამოხედა, — იცი რომ, ჯერ ორმოცდახუთის არ შესრულებულა? მეც ასე ჰა-ჰა, ოცდათხუთმეტ წლამდე ვიცოცხლო...

იგი მამის კუბოს უყურებდა.

— ახლა, ჩემო ლერი, თანაბრად ვართ. შენ დედა გაკლია, მე მამა...

ლერი თავჩაღუნული უსმენდა მეგობარს. გულში წვეტიანი ეკლები ჩხვლეტდნენ და პირი უშრებოდა.

— წადით აქედან, ყმაწვილებო! — კვლავ გაჟღრიალდა უცნობის ხმა. მერე ყრუ გრუხუნი ამოვარდა ქვესკნელიდან, თვალის დახამხამებაში ამოივსო გაჭრილი მიწა. უცნობი კაცები არ ერიდებოდნენ ხელების გასვრას და მუჭებით იღებდნენ სველ-სველ ბელტებს. სასაფლაოს გაღმა მატარებელი მიჰქროდა და კივილით აძლევდა ბანს ჭირისუფალი ქალების მოთქმას, თანდათან ამოიზიდა პატარა პირამიდა — საფლავის ბორცვი.

— ახლა ეს მიწაა ჩემი მამა, — მწუხარედ დაილაპარაკა გიგამ, — არ ყოფილა საშველი!..

„მთელ ქუთაისს მერაბის სახელი ეკერა პირზე. ყველას ემფარველებოდა, ექომაგებოდა, პატარა ბიჭივით თავდაუზოგავი იყო, ხალისიანი“, — თითქოს კედლები ჩურჩულებდნენ ირგვლივ.

ლერი გამოერკვა. კვლავ ფოტოსკენ გაექცა თვალები. დინჯად, აუღელვებლად იყურებოდა ზევიდან ოჯახის ყოფილი უფროსი.

— ახლა გიგამ უნდა შეცვალოს მამა... ნეტავ დაუსწრებელზე მაინც არ სწავლობდეს. დრო ყელამდე აქვს. პროფესიაც გულის გადასაყოლებელი აირჩია. გამოვა კი რამე მაგისგან? მთელი ღამე ჩხაპნის, რვეულები ტომებივით ულაგია... გუშინ დილით დედაჩემის სახლის გასაღები გამომართვა. მარტო კარგად ვმეცადინეობო. ასასვლელადაც ვეღარ ვიცლი, რა ვიცი, აბა, რას მეცადინეობს? ამის წინ თვალდალილავებული მოვიდა... სპორტზე დავდივარო... ჭიდაობა რა მაგის საქმეა? შენც ხომ იცი, რომ მაგის საქმე არ არის, ჰა, ხომ იცი? — რაღაცნაირი იდუმალებით ათრთოლდა დედის ხმა. ლერი ციებიანივით აკანკალდა, მთლად გაიყინა, ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარ უძლებდა შიშით გათანგულ, ეჭვით აღსავსე ქალის თვალებს.

— საშიში არაფერია, დეიდა ქეთო, მოვძებნი, იქ იქნება, ვარჯიშზე...

ქალს ხმა აღარ ამოუღია. გაუნძრევლად, გაქვავებულივით მიეჯაჭვა მაგიდას. სახე მთლად გაუმტკნარდა. ბიჭმა უკან დაიხია, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ გაბედა.

— თქვენ ნუ გეშინიათ... — ჩაილაპარაკა უმწეოდ, დაბნევით და ყელში გაჩხირული გორგალი გადაყლაპა. — წავედი!

●

აღარ თოვდა, მაგრამ ამინდს სასიკეთო პირი მაინც არ უჩანდა, ნისლი ჩამოწოლილიყო ქალაქის თავზე. ჯაფარიძის ქუჩაზე ასფალტს ჭრიდნენ ყვითელ-ჟილეტიანი კაცები და თან ბაასობდნენ.

— რაღა სწორედ ასეთ ამინდში მოუნდებათ ხოლმე ყველაფრის მოწესრიგება, —ბრაზით გაიფიქრა ბიჭმა და ხის ძირას მიგდებულ, დაჟანგულ მილს ფეხი გაჰკრა.

— ალბათ ესენი არიან ცხელი წყლის მილზე მოსულები...

მაგრამ ცხელი წყლისა იქაურობას არაფერი ეტყობოდა. მანქანის გუგუნში კაცები რაც შეიძლება ხმამაღლა განაგრძობდნენ ლაპარაკს.

— ჰო, გამოგიძახებენ... დღეს აქ თხარე, ხვალ იქ თხარე... — ჩიოდა დაბალი ყვითელჟილეტიანი მამაკაცი და თან გულმოდგინედ ულაყუნებდა წერაქვს.

— ეგრეა, ეგრეა, — კვერი დაუკრა მეორემ, მერე ლერისკენ გამოიწია და ჩამქრალი სიგარეტი დაანახვა, — მომიკიდე!.

ლერის ხმა არ გაუცია, ბოლმიანად შეავლო თვალი და ნაბიჯს აუჩქარა.

...სპორტდარბაზამდე ჯერ კიდევ შორი გზა იყო ღარჩენილი და ჯიბე მოიჩხრიკა. ეზარებოდა ტროლეიბუსით წასვლა, ტაქსის დაჭერა ერჩია. ბედად, ხუთმანეთიანი ამოაყოლა ხელს, გაუხარდა, მერე საათს შეხედა. საჩქარო არაფერი ჰქონდა, სპორტდარბაზი ორი საათიდან იწყებდა მუშაობას, მანამდე კინოშიც მოასწრებდა შესვლას და შეიძლება გიგასაც წასწყდომოდა.

ლერის ფიქრიანად ჩაეღიმა. ხელები ღრმად, ჩაიწყო ჯიბეში და ნაბიჯი ააჩქარა, — „დეიდა ქეთოს თქმისა არ იყოს, მაინც რამ მიიყვანა ძიუ-დოზე... იცის ხოლმე, არჩევა!“ — ვერც შენიშნა, როგორ გალია დაღმართი.

— ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ? — მოესმა უცებ გვერდიდან. ლერი გაჩერდა, ვიღაც მოკლეთმიანი, ქერა გოგონა ხვეწნით უყურებდა.

ბიჭმა ხელები ჯიბიდან ამოიღო და მუჭა გაშალა.

— ხუთი მანეთი მაქვს...

გოგონა გაბრაზდა.

— შენთვის შეინახე!

ლერიმ მხრები აიჩეჩა.

— სალარო უკვე გააღეს?

— ერთი ბილეთიც აღარ იშოვება...

გოგონა ფეხს არ იცვლიდა, კვლავ შეუპოვრად შესცქეროდა.

— მარტო ხარ?

ქერათმიანმა თავი დაუქნია.

— ძალიან მინდა ამ ფილმზე მოხვედრა.

— ლერიმ ახლაღა შეხედა აფიშას.

— რა გადის?

— ფრენსისი... მაშოვნინე ერთი ბილეთი, —ხვეწნა დაეტყო გოგონას.

ლერიმ უმწეოდ მიიხედ-მოიხედა.

„ნეტავ სად მომძებნიან ხოლმე ამისთანები. სახეზე მეტყობა ხათრიანობა?“

ქერათმიანმა მაჯაზე მოჰკიდა ხელი.

— აგერ, კუთხეში, ხედავ? კაცი დგას, ყავარჯნიანი... ათჯერ მაინც მივიდა მოლარესთან. რიგს უთმობდნენ.

— მერე? — ვერ მიხვდა ლერი.

— ეეჰ, — თავი გადააქნია გოგონამ, — შენც ჰყოფილხარ, რა! სპეკულანტობს, გაიგე? ჰკითხე, რამდენი უნდა...

ლერი ახლა მიხვდა რასაც გულისხმობდა უცნობი გოგო.

— შენ ვერ ჰკითხავ? — ცოტა არ იყოს მკვახედ გამოუვიდა თქმა.

— აღარა მაქვსო, მითხრა.

— მერე, რაღა ჩემთვის ექნება? თავი დამანებე...

— ჰკითხე, ჰკითხე! — გოგონა კინაღამ ატირდა, — გინდა? ერთად მივიდეთ.

ლერის აღარ შეეძლო. მობეზრდა საუბარი. გული ისევ შეეკუმშა ტკივილით, უცნაური დარდით დაუმძიმდა მკერდი.

— არ მცალია, მე გიგას ვეძებ, ჩემს მეგობარს.

ქერათმიანს სახე დაეღრიჯა. — ეეჰ, შენც ხარ, რა რაინდი!.. არსად დაგეკარგოს ეგ შენი გიგა!

ლერი ყურს აღარ უგდებდა. თითქმის სირბილით გაშორდა იქაურობას და გაჩერებასთან მოითქვა მხოლოდ სული. მერე მიბრუნდა, ერთხელ კიდევ გახედა კინოთეატრს, მაგრამ იქ უკვე სიცარიელე სუფევდა.

●

სპორტდარბაზში კანტიკუნტად შემოდიოდნენ სპორტსმენები, თითქმის ყველას ერთნაირად ეცვა. ხელებს ისრესდნენ, კარებიდანვე იხდიდნენ „კურტაკს“ და გადაკიდებულ ჩანთას მხრიდან იხსნიდნენ.

ლერი ფრთხილად მიუყვებოდა მოპრიალებულ იატაკს, თან აქეთ-იქით იყურებოდა.

— ერთი, ორი!.. — ისმოდა მწვრთნელის ომახიანი, მედგარი ხმა საიდანღაც, შორეული ღია კარიდან — ჯარისკაცებივით ნუ დადიხართ, მსუბუქი სვლაა საჭირო, ერთი, ორი... თავისუფლად, მაგრამ არ გაჩერდეთ... შეინახეთ სუნთქვა, გაუფრთხილდით ორგანიზმს. გიგა, გიგა, ნუ ტრიალებ, ხელებს გაუფრთხილდი, ნერვებია!

ლერი იქით გაიქცა, საითაც ხმა მჭექარებდა. ზედ ღია კართან ფეხი მოუსრიალდა, მაგრამ არ შეეპუა, კოჭლობით წავიდა და თავი შეყო შიგნით.

სპორტსმენები უკვე ისვენებდნენ. ზოგი იატაკზე იჯდა, ზოგი კიმონოს ისწორებდა და მოურიდებლად იგინებოდა. მწვრთნელი ცალკე იდგა, ფანჯრის ახლოს და გარეთ იყურებოდა. რაფაზე იაპონური მაგნიტოფონი მოჩანდა.

— ერთი... ორი... სრული სვლა, ჩასჭიდე ქამარში ხელი!

— გამორთე ეგ ოხერი!

ერთ-ერთმა სპორტსმენმა პირდაღებულ ლერის გამოხედა.

— ვის ეძებ?

ლერიმ ნერწყვი ჩაყლაპა. დასცხა და პირი გაუშრა, — გიგას! უპასუხა ჩუმად. მწვრთნელი ბიჭებისკენ შემოტრიალდა.

— ვისა?

— გიგას!

სახელი ექოსავით გაიფანტა დარბაზში. მაღალი, გამხდარი ბიჭი ლერისკენ წამოვიდა. ძალიან გრძელ ხელებს თითქმის იატაკს უწვდენდა.

— რა მოვუხერხო, ამის, — გურული კილოთი თქვა და კიმონოს ქამარი ლაჯებში მოიქცია, — რა გინდა? გიგა ვარ... — ლერის კინაღამ გაეცინა.

— შენ გიგა არა ხარ.

— მასწავლი? — შეიჭმუხნა გრძელმკლავება, — რას მაიმუნობ?

— არ ვმაიმუნობ... რომელი ჯგუფია?

— ის რომელშია?

— ძიუ-დოში...

— აჰა!

უცნობმა გულხელი დაიკრიბა და თვალები მრავალმნიშვნელოვნად მოწკურა. შეჭყლეტილი ნიკაპით ცოტათი ჰგავდა კიდეც ნამდვილ გიგას. თვალებსაც ზუსტად მასავით ჭუტავდა. ქერა თმაც ისე ჰქონდა ჩამოვარცხნილი, სწორად, ლამაზად, არასოდეს რომ არ აეჩეჩებოდა.

— მოიცა!..

ლერი შეყოყმანდა, ჯერ წასვლას არც აპირებდა.

— სადაურია? თბილისელი?

— ჰო, მაგრამ ქუთაისიდანაა.

— ვა... — გრძელხელებას თვალები გაუბრწყინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი... დაუსწრებელი, ლარცულიანი.

ლერის უცებ შეუყვარდა ბიჭი. უცნაური სითბო ჩაეღვარა, შეკუმშული გული გაეხსნა და გაეღიმა კიდეც.

ბიჭმა ხელები გაშალა.

— იცი, რა? ეგენი ამ დღეებში ისვენებენ.

— გიგა! — დაიგუგუნა დარბაზმა.

შუქი ჩაქრა... ფანჯრისკენ შეტრიალებული მწვრთნელი მინაა ჩამოშორდა და ლერიმ დაინახა ორულიად ნაცრისფერი ეზო, ნისლი შედედებულიყო მრავალსართულიანი სახლის სახურავზე.

— უჰ შენი, მეიახიან.

გიგამ კიმონოს ქამარი მომუჭა ისევ, — სიახლი გამიშრო ამ კაცმა!

ლერი დაყრუვდა. უაზროდ გახედა დარბაზს და წინ წასულ ბიჭს.

— იქ ნახე, აუზში, ცურვაზე. იქაც დადის ხოლმე, თუ არადა ზეგ, ამ დარბაზში! — ხმამაღლა ყვიროდა ბიჭი.

— გიგა, გიგა; ...ერთი, ორი!.

დაცარიელებულ მოსაცდელში კვლავ ექოსავით მეორდებოდა სახელი, იმედდაკარგულ ლერის ისევ ჯიბეში ეწყო ხელები.

„ნეტავ წესიერად მაინც მოთოვოს!"

უკვე გარეთ იდგა. ციდან კვლავ უსიამოვნო თოვლ-ჭყაპი მოდიოდა და თავპირს უსუსხავდა ბიჭს. უაზროდ გაიხედ-გამოიხედა, არ იცოდა, სად ეძებნა გიგა...

●

— დამისხი ერთი ყავა...

ლერიმ ფული გადათვალა. ხუთი მანეთიდან სამიღა დარჩენოდა.

— აკმარისია, — მან გამომწვევად შეხედა გამყიდველ გოგონას და კიდევ გაუმეორა: — ერთი ყავა...

— გავიგე! — გახუნებული წარბები აწკიპა გოგომ და ხურდა ააჩხრიალა. ლერიმ მკლავები ჩამოაწყო ვიტრინის კიდეზე.

— გიგა ხომ არ გინახავს? — ჰკითხა დაბალი, იდუმალი ხმით.

— მე თქვენ არ გიცნობთ! — გაჯავრება დაეტყო გამყიდველს.

— სამაგიეროდ გიგას იცნობთ. ჩვენ აქ ხშირად მოვდივართ ხოლმე.

— ვიცი, — უცებ მოლბა გოგონა; — მაღალი, სპორტამენია, შეჭყლეტილი ნიკაპი აქვს, ციაფერი თვალები.

„ოჰო? ესეც სცოდნია", — კინაღამ გაეღიმა ლერის.

— თქვენ არ მახსოვხართ, — უკვე ყავას ასხამდა გოგონა.

— მე არ მაქვს ცისფერი თვალები...

ორივეს გაეცინა. ლერიმ ცხელი ფინჯანი წაიღო ცარიელი მაგიდისკენ.

— აქ სხედან! — ორი ტიპი აეტუზა გვერდით, იქვე იდგა ბეწვისქურქიანი შავთვალა გოგო.

—ბოდიში! — ბიჭმა უკან დაიხია და სავსე დარბაზს გადაავლო თვალი,

— მეგონა...

— რიგში ვიდექით...

ლერიმ გაცლა ამჯობინა. აყალმაყალის თავი ნამდვილად არ ჰქონდა.

— ამ გოგოს ხათრით...

—გოგოს თავი დაანებე.

დაბალი, წვერიანი ბიჭი თითქოს სარქენად გამზადებულიყო. ლერიმ უგულოდ შეათვალიერა. ეცნობოდა და არც ეცნობოდა.

— წადი, ერთი!..

მათკენ აღარ მოუხედავს, ცხელი ფინჯნით ფანჯრის მხარეს გასწია. დაჯდომა აღარ უნდოდა, კედელთან აიტუზა და ჭიქა რაფაზე დადგა.

პატარა დარბაზი მოხალული ყავისა და სიგარეტის მწკლარტე ჰაერით სუნთქავდა. ბინდისფერი, მკრთალი შუქი ეფინა ჭერსა და იატაკს. ჩუმი, ნაღვლიანი მელოდია ამძიმებდა იქ მყოფთა გულებს.

ლერიმ ზედიზედ მოსვა რამდენიმე ყლუპი. მერე დარბაზი გადაათვალიერა.

— მაინც სად უნდა დაკარგულიყო?

უცებ დალევა მოუნდა. სულ ცოტა, ერთი ჭიქა კონიაკი მაინც... გიგასაც ასე ეჩვეოდა, ერთი ჭიქიდან იწყებდა... ბიჭმა ისევ შეათვალიერა კაფე.

მოშორებით, კუთხეში პატარა ბიჭები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტს ექაჩებოდნენ და თან გულიანად იცინოდნენ.

რამდენჯერაც დაარტყამდხენ ნაფაზს, იმდენჯერ ახითხითდებოდნენ ხოლმე. ლერიმ ნერვულად შეატოკა ფეხი, — უნდა გაუშალო ყბაში ამ ლაწირაკებს, მაგრამ, აბა?

— გიგა, გიგა! — ხმამაღლა წამოიყვირა ვიღაცამ.

ლერის ფინჯანი შეაცივდა ხელში. მიტრიალდა. მის წინ თმაგაშლილი გოგო და ტყავის ქურქიანი ბიჭი იჯდა...

ბიჭი ალბომს ფურცლავდა, ერთმანეთში ირეოდა კენტავრის მძლავი, ნავარჯიშევი გავა და ქალღმერთის მოდუნებული, ვარდისფერი თეძოები.

— თქვენ გიყვართ სალვადორ დალი? — ზედ მის ყურთან აჩურჩულდა თმაგაშლილი გოგო და ნისლისფერ კვამლში ჩაიძირა.

ლერიმ ზევიდან გადახედა ორივეს. — მენანება, რომ უნდა დავშორდეთ! — გოგოს ხმა ახლა მაცდურად ჟღერდა. — ჩვენ ხომ ასეთები არა ვართ!

ბიჭმა ალბომი დახურა და თავზე წამომდგარ ლერის ახედა. ლერი მათ აღარ უყურებდა, ფანჯრის რაფაზე გაწოლილი სინათლის სხივი თვალებს ჭრიდა.

— გიგა, შემიყვარებ? — ისევ აფაჩუნდა გრძელთმიანი ყურთან.

— შენთვის სულ ერთი არ არის?

— არა!..

— გოგონა ბიჭისკენ გადაიხარა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ხმამაღლა განაგრძო: — მთავარია, რომ გაშლილი ადგილი იყოს, სივრცე... განსაკუთრებით კრიალა, კარგ ამინდში. ზევით რომ აიხედავ, უთვალავ სპირალისებურ ტრიალა წერტილებს დაინახავ, შეგიმჩნევია?

— ჰო... — კვლავ ლერის ახედა რატომღაც ბიჭმა.

— ჰოდა, ეს სპირალისებური სხეულები გალაქტიკებია. უთვალავი, პატარა გალაქტიკები... ვინ იცის, ისინი იქნებ ჩვენი სულებია, იქნებ...

— გაჩუმდი ერთი, სისულელეს ნუ ლაპარაკობ!..

გოგონას სიტყვა შეეყინა ბაგეზე.

— გიგა!

უცნობი, ცისფერთვალა ბიჭი წამოდგა. ახლა პირდაპირ ლერის შესცქეროდა, ჯიუტად, მოურიდებლად.

— რას მითვალთვალებ?

— მე? — ლერიმ ყავის ფინჯანს ჩახედა. უცნობმა დამცინავად ჩაიქირქილა.

— მკითხაობ?

— გიგას ველოდები.

უცნობი ჩაფიქრდა. მერე საჩხუბრად შემართული თავი გააქნია და მეგობრული გამომეტყველება დაუბრუნდა.

— გიგა ვარ.

—არა, სხვა გიგას, — ლერიმ ღრმად ამოისუნთქა და ხელები აჰქავდა, — არ იცნობ.

— მაინც?!

უცნობი გიგა ჯიუტად მიშტერებოდა.

— სპორტსმენია... ძიუ-დო.

— ვიცი, — თბილად გაიღიმა ბიჭმა და სიგარეტის კოლოფი მიაწოდა. — ერთი კურსით უკან სწავლობს.

ლერის ჩხუბის სურვილი გაუქრა.

— ლარცულიანი. მაღალი, უკმეხი ბიჭი, არა?

— უკმეხი? — ლერი ჩაფიქრდა. — ჰო.

უცნობმა ასანთიც მიაწოდა ლერის.

— მთელი დღე აქ ვზივარ, არ შემოუხედავს...

— გიგა, გიგა! — კარებში უცხო ფრინველებივით აფრთხიალდნენ გიგას ნაცნობი გოგონები.

— მაპატიე! — ხელები ზევით ასწია ბიჭმა. — წავედი!

გრძელთმიანმა გოგონამ თავი დახარა და ალბომი გადაფურცლა. ლერიმ უკანასკნელი ყლუპი მოსვა.

— იპოდრომზე ნახე, შეიძლება იქ იყოს... — გარედან ეძახდა გიგას სეხნია, — მაპატიე!..

გოგონები კისკისით მიაქროლებდნენ ბიჭს. ლერიმ შავთმიანს დახედა. მის გვერდით, თავისუფალ ადგილზე ვიღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერიანი ბიჭი მოკალათებულიყო უკვე. გოგო ლერის უთვალთვალებდა.

— კარგად იყავით! — თავი დაუკრა ლერიმ და სკამებს შორის ძლივს გამოიკვლია გზა.

— თქვენ გიყვართ სალვადორ დალი? — კარებთან დაეწია გრძელთმიანი გოგოს კისკისი.

●

იპოდრომზე ძაღლების წკავწკავი და უხილავი კაცების ყვირილი ისმოდა. ვიღაც უსტვენდა, ვიღაც ისროდა. უკვე ბნელოდა და ლერი ხმების მეტს ვერაფერს არჩევდა.

— აქეთ, კიდევ ერთი, — მის შორიახლო ძაღლი აწკმუტუნდა და მიყუჩდა. ჰაერში სისხლისა და კვამლის სუნი დატრიალდა. ლერიმ ჩაბნელებული ხეივნიდან ისკუპა, სირბილით გადაჭრა მოკლე გზა და საჯინიბოებს მიაშურა.

მართალია, ამ მხარეს აღარ ბნელოდა, მაგრამ ბიჭს ეჩვენებოდა, რომ უხილავი კაცები მას მისდევდნენ და შიშისგან ჰაერს ეპოტინებოდა ხელებით.

— ძია სერგო! — მუშტებს უბრაგუნებდა უკვე საჯინიბოს კედლებს, სიჩქარისაგან კარი დაავიწყდა.

— აქეთ მოდი, აქეთ, რა მოგივიდა? საკინძეჩახსნილი ძია სერგო ტალახიანი ჩექმებით ღია კარში იდგა და ხელში სამურველი ეჭირა.

— ოჰ, შენ ხარ? გიგა სადღაა?

ლერი უცებ მოეგო გონს. შიშმა გაუარა და ხასიათი წაუხდა.

— რა ვიცი, მეც იმას ვეძებ.

ძია სერგო უხმოდ, გამომცდელად დააკვირდა ბიჭს და ისევ შიგნით შებრუნდა. ლერიც მიჰყვა. საჯინიბოში თბილოდა. წაბლა ცხენი თვინიერად ახრამუნებდა თივას, სისუფთავისაგან ფერდები უბზინავდა და ჭკვიანი თვალებით ძია სერგოს აშტერდებოდა. მომვლელი ახლა ჭუჭყიან ტილოს წურავდა ვედროში. ლერიმ ალერსიანად მოუთათუნა ცხენს ჩიჩვირზე ხელი, პირუტყვმა იუკადრისა და ფეხი ასწია ურჩობის ნიშნად.

—კარგი, ჰო, — გაეცინა ბიჭს.

— დიდი პრანჭია ვინმეა, — ძია სერგოსაც მოუვიდა ღიმი — ხანდახან მეც არ მემორჩილება. გიგაა მარტო მაგისი ჭკუისა... ნეტავ, რატომ არ გამოჩნდა, ჰა?

ლერი ცხენს მოშორდა და იქვე, გადაბრუნებულ ყუთზე ჩამოჯდა, გული უფრო დაუმძიმდა, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა. პირი თითქოს ხვინჭით ამოევსო. საჯინიბოში გამხმარი ბალახისა და სველი მიწის სუნმა იმატა. ძია სერგომ წყალი გადაღვარა და მისკენ შებრუნდა. არ მოეწონა ბიჭის გამომეტყველება.

— რა იყო, ცუდად ხომ არა ხარ? — შეშფოთებით დაადო ტალახიანი თითები შუბლზე. ბიჭს ესიამოვნა, გაღიმება სცადა.

— აქეთ რომ მოვდიოდი, ისროდნენ.

— ააჰ, — ხელი ჩაიქნია ძია სერგომ, — უპატრონო ძაღლებს ხოცავენ, ეგენი სულ მაგ დღეში არიან...

ლერიმ შეშფოთებით წამოიწია.

— ხოცავენ, თუ იჭერენ?

— სულ ერთი არ არის? მოიცა, ახლავე მოვალ, —ბიჭმა შეპასუხება ვერ მოასწრო, ძია სერგო უცებ გაუჩინარდა და გარშემო გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცხენი ფრუტუნებდა ხანდახან, თითქოს მასაც ეჩოთირებოდა აუტანელი მდუმარება და ფლოქვებს ურტყამდა მიწას. ლერი გაუნძრევლად იჯდა და დაღლილი პირუტყვივით კუნთები უთრთოდა.

— მთელი დღე ამ ცხენს გადავყევი, პირში ნამცეცი არ ჩამიდვია, — ისევ შემოალაჯა საჯინიბოში ძია სერგომ და თან ფეხით ყუთი შემოათრია. მერე ჯიბიდან „ლელო“ ამოიღო და გადააფარა. ზედ პატარა ხელადა ჩამოდგა, ბოლოკი, ყველი და პურის ნაჭრები დაყარა. თვითონაც გვერდით ჩაეუცქდა, პირმოტეხილ ჭიქაში ღვინო ჩამოასხა და ასწია, — გაგვიმარჯოს!

„აი, ასეთები უნდა ვიყოთ, ძლიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ერთგულები, მშვიდები... ჩვენ რა გვაფორიაქებს, ნეტავ, რა?"

ბიჭმა პური მოციცქნა და ძია სერგოს გამოწვდილი ჭიქა ჩამოართვა.

—გაგვიმარჯოს! — მერე თბილი გრძნობით აევსო მკერდი. მუცელი აეწვა, სინათლემაც იმატა, კრიჭა გაეხსნა და პური ნაჭერს დასწვდა.

— მაშ, გიგას ეძებ, ჰა? — მადიანად აახრამუნა ბოლოკი ძია სერგომ.

ლერის ხელი გაუშეშდა. პურის გული გამოაცალკევა და დაასორსალა.

— რაღაცამ შეცვალა ეგ ბიჭი, მიუკარებელი გახდა, გულჩათხრობილი. მოვა, შლეგიანივით მოახტება ცხენს და გარეკავს... ვერ გამიგია, რა სჭირს?... უწინ მეგობრები ვიყავით. სულ ძია სერგოს შემომძახოდა, ახლა ჩემკენ ვერ მომიხედებია, თვალს მარიდებს, გულს არ მიხსნის... არადა, რა ჭკვიანია, კაცო, რამდენი რამე იცის, დაჯექ და უსმინე...

ძია სერგომ კიდევ შეავსო ჭიქა, — მაგის მეტი სხვაც ჰყავთ?

— ერთი და ჰყავს

— უფროსი?

— ცოტათი. გათხოვილია.

— ჰოო, იმიტომაც თავისთავზე არის ბიჭი გადაგებული.

ლერი უხმოდ დასცქეროდა ყუთზე გადაფარებულ გაზეთს. ძია სერგო თითქოს მეხსიერებიდან ამოვარდა და ქვესკნელიდან ისმოდა ვიღაცის მოგუდული ლაპარაკი.

— გუშინ და დღეს ბაბუნაშვილიც დაეძებს. ხომ იცნობ? ლაყუჩებიანი, ბრტყელცხვირა. ეოეოს ეძახიან. არ მომწონს და რა ვქნა? ამბობენ, იკეთებსო... იკეთებს და გაიკეთოს, სხვებს რას ერჩის ეგ პატრონმკვდარი.

ძია სერგოს ხმა უფრო და უფრო დაყრუვდა. მბეუტავი სინათლის შუქზე ბიჭი გაზეთის წაკითხვას ცდილობდა, ძლივს არჩევდა ნაბეჭდ ასოებს.

„სოკრატეს ბრაზილეირუ სამპაიო დე სოუზა ვეირე დე ოლივეირა... იტალიის ჩემპიონატის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე, ყველაზე მეტი ბვილის მამა, ერთადერთი დიპლომიანი ექიმი, I ლიგის ფეხბურთელთა შორის. მოთამაშე, რომელიც ყველაზე მეტად არის ცნობილი პოლიტიკურ წრეებში..."

ლერიმ კითხვა დაამთავრა და როგორც რეპროდუქტორის შორეული ტალღა, ისე შემოიჭრა კვლავ ყურთასმენაში ძია სერგოს ბუხუნი.

— ხულიგნობასა, თუ რაღაცა მამაძაღლობისთვის ციხეშიც მჯდარა. ნამდვილად ვიცი, თამაშობს კიდეც, აზარტიანია... იქნება შენ მითხრა, მაინც რა საერთო უნდა ჰქონდეს გიგას ბაბუნაშვილთან... სად ეგ, სად გიგა? აქამდე დანასიახლად იყვნენ გადაკიდებულები, ეხლა რა სიყვარულის ქოთანი გაუსკდათ?

— სხვა ამბავია მანდ, ძია სერგო.

ძია სერგომ გაჯავრებით ასწია ზევით მუშტი, — მეც მაგას არ ვამბობ? ორჯერ გამოურიცხავთ ინსტიტუტიდან. თანაც უფროსია თქვენზე, რა საერთო გაქვთ?

ლერი გაირინდა, ნამდვილად არ შეეძლო პასუხის გაცემა, უცებ გიგაა დედის ეჭვით სავსე თვალები გაახსენდა.

— ვიცი, შვილოსა, — კვლავ მჭირდავად აბუყბუყდა ძია სერგო, — თქვენ თქვენი საიდუმლოებები გაქვთ, თქვენს ქვეყანაში ცხოვრობთ, რაღაც საქმეებს აიმასქნებთ, აგვარებთ. ენერგია რაში უნდა დახარჯოთ, ვერ გაგიგიათ... მე კიდევ ვიმეორებ, არ მომწონს ეგ ბაბუნაშვილი და მომკალი...

— კარგი, ძია სერგო, ვიპოვი გიგას, აუცილებლად ვნახავ და ვეტყვი.

— რას ეტყვი? — ჭიქა დაახეთქა კაცმა. — აქამდე სად იყავი?

— ბებიის სახლში უნდა ავსულიყავი, მაგრამ დღისით მაინც არ იქნებოდა, ეხლა წავალ.

ძია სერგო ფეხზე წამოდგა, წამოდგა ლერიც.

— მაგის მარტო დატოვება შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება? ეგეთი გამწარებულია, კაცო, ჰა? წესიერი სამსახური მაინც ეშოვა, ათასში ერთხელ რაღაცას დაუბეჭდავენ, ეგ არი მაგის ფული, სამი მანეთი, ხუთი... გეუბნები, არ მიატოვო.

— ჩვენ სულ ერთადა ვართ, ძია სერგო, — ქურთუკის ღილები შეიბნია ლერიმ, — ამ დღეებში სოფელში ვიყავი. ჩამოვედი და ვეძებ, ეხლა სესიებიც გვეწყება.

— ბებია სად ჰყავს?

— ბებია დასთან ცხოვრობს, ეგ ბინა გიგას სახელზე ააშენეს მუხიანში.

— აბა, მაგისი ყოფილა.

— კი, ასე გამოდის...

ძია სერგომ ორჭოფულად გადააქნია თავი.

— არ მომწონს ეგ ბაბუნაშვილი, არა...

ლერიმ ერთხელ კიდევ მოუთათუნა ხელი ცხენს ჩიჩვირზე.

— მოიცა, — ძია სერგომ ჯიბე ამოიბრუნა, — აიღე ფული, ხომ ვიცი, ტაქსით წახვალ.

— კი.

— აბა გამომართვი.

— არ მინდა, ჩემი მეყოფა, — ძია სერგომ ხელები დაუჭირა.

— როცა გამდიდრდები, მაშინ დამიბრუნე, სამ მანთზე მეტი მაინც არა მაქვს.

ლერი დამორჩილდა.

— წავედი! — ძია სერგოს კი არა, თითქოს წაბლას გამოეთხოვა ბიჭი.

— ჰო, უთხარი, არ მომწონს ეგ ბაბუნაშვილითქო.

— კი.

ლერიმ საჯინიბო დატოვა და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. უკვე იპოდრომზეც ჩამოწოლილიყო ნისლის ღრუბელი. ძაღლები აღარ იყეფებოდნენ, ცხენები ჭიხვინებდნენ მხოლოდ. მოშორებით, ჩაბნელებულ ხეივანში რუ მიროკრაკებდა და ალვის ხეებზე ჭილყვავები ფრთხიალებდნენ.

●

სადარბაზოში ბნელოდა. ფეხის ხმაზე ერთი შლეგიანი კატა გამოვარდა და გაქრა. გიგა პირველ სართულზე ცხოვრობდა. სამჯერ მაგრად დააბრახუნა ლერიმ. შიგნით ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბიჭმა ახლა მუშტები დაუშინა.

— რომელი ხარ? — მოისმა უეცრად ოთახიდან ქალის ხრინწიანი ხმა. ლერის გაუკვირდა, არ მოელოდა. — ქალი ჰყავს?

— გიგა? — უკვე კარს იქით დაიძახა ვიღაცამ.

— ლერი ვარ, გიგას ამხანაგი.

— ოოჰ! — გაღიზიანებით წამოიძახა იმ ვიღაცამ და გასაღები გადააბრუნა, ლერის წინ შარვლიანი, ხუჭუჭთმიანი გოგო აღიმართა.

— შემობრძანდი! — დაცინვა გაურია უცნობმა ხმაში. შეცბუნებული ლერი წინკარში მიჰყვა. მერე სინათლეზე უფრო კარგად შეათვალიერა. ღაწვმაღალი სახე ჰქონდა, ირიბად გაზიდული თვალის ჭრილით მონღოლს წააგავდა.

— სად მოძებნის ხოლმე ამგვარ ტიპებს.

ბიჭი რატომღაც უსიამოვნოდ განეწყო მასპინძლის მიმართ, გაბოროტებით, მოურიდებლად აკვირდებოდა და დამცინავი ღიმილი ეხატებოდა ტუჩებზე.

— უფროსი იქნება გიგაზე... არა, მაინც სად იპოვის, ხოლმე, ჰა?

ახლა ოთახზე გადაიტანა მზერა. გიგას სამუშაო მაგიდაზე ქაღალდები ეყარა, დაბლა, იატაკზე წიგნები ეწყო. სიგარეტის ცარიელი კოლოფები მოჩანდა საწოლის ფეხთან. კედელზე ერთადერთი ნახატი ეკიდა, მაიკოს და მზიას საჩუქარი. იმასაც ლურსმანი მორყეოდა და ირიბულად, დამცინავად გადმოჰყურებდა დაბლამსხდომთ ჩაჩიანი ჯამბაზი.

ლერი ისევ მასპინძელს დაუბრუნდა. მუთაქაზე იდაყვდაბჯენილი გოგო

ტახტზე იჯდა და თან სიგარეტს აბოლებდა, თან ბიჭს უთვალთვალებდა. ლერიმ სცადა სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— სად არის, გიგა?

— მე რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა გოგომ. მერე დაიხარა, ტახტის ქვემოდან საფერფლე გამოათრია და ნამწვი ჩაჭყლიტა.

— აბა, აქ საიდან მოხვდი? — დაბნევით იკითხა ლერიმ.

გოგომ კვლავ უტიფრად აიჩეჩა მხრები.

— თორემ მეც სამოთხეში მოვხვდი, — თქვა და კვლავ საფერფლესკენ დაიხარა. რაღაცნაირი ცხოველური სიზანტე და მოქნილობა იგრძნობოდა მის მოძრაობაში. ერთი შეხედვით, ბიწიერი, ბრიყვული სახე ჰქონდა, მაგრამ კარგად დაკვირვებული თვალი ამ სახეზე უმწეობასა და სისაწყლესაც ამოიკითხავდა. ბიჭი იქვე, ტახტის ახლოს, ფეხმორყეულ სკამზე ჩამოჯდა.

„რა შეუხედავი ვინმეა“ — მერე ხმამაღლა დაამატა:

— ახალი წასულია?

— ახალი წასულიო? — უცებ ისტერიულად დაიკივლა გოგომ, — ორი დღეა დაიკარგა, ახლავე მოვალო, თქვა და წავიდა. ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან, ვიდრე არ მობრძანდება, ფეხსაც არ მოვიცვლი... შეიძლება? ეგრე შეიძლება? უნამუსოდ, სულ უნამუსოდ... ვეხვეწებოდი? თვითონ ამაცუნცრუკა, ამამჩატა, არადა, მეც მეხალისებოდა მის გვერდით ყოფნა.

გოგო ტახტიდან წამოხტა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ლერის ახლა უფრო მაღალი ეჩვენა. შარვალი უშნოდ ედგა ტანზე, მაგრამ თვალს მაინც იზიდავდა. მტანჯველი მოლოდინი დაგუბებულიყო მის სხეულში.

— რა გქვიათ?

გოგომ სიარული შეწყვიტა.

— ილონა, ილონა-მეთქი. ამ სახელის ბრალია, ყველას რატომღაც უცხოელი რომ ვგონივარ. მე კი სნოდან ჩამოვედი, მოხევე ვარ. გაგიგია, ხომ?

ლერიმ ყოყმანით გადააქნია თავი.

— ჰო, იმანაც ასე აკანტურა გოგრა, მერე სამსახურში დამირეკა. ვინ ეხვეწებოდა? სამუშაო მაქვს-მეთქი, ზრდილობიანად ვუპასუხე. განა არ მინდოდა შეხვედრა? ბიჭი მომეწონა, რაც მართალია, მართალია, მაგრამ მბეჭდავ-მემანქანედ ვმუშაობ. სამსახურის შემდეგ ვრჩები და ვბეჭდავ, გესმის? ჰოდა, არა უშავსო, მიპასუხა იმ შენმა გიგამ. საბეჭდიც მიდგას სახლში, წამოიღე სამუშაო და ბეჭდე, რამდენიც გინდაო... ხომ გეუბნები, მომეწონა-მეთქი, თანაც ისეთი დაჟინებით მთხოვდა, რომ აბა, რა ვიცი... სიცარიელეა, ეხლა მხოლოდ სიცარიელეა!

გოგომ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, ლერის მიუახლოვდა და თვალებში ეჭვით ჩახედა.

— ხმას რატომ არ იღებ?

ბიჭი შეცბუნდა.

— რა უნდა გითხრა?

— გულს ვიფხან, გაიგე? იმ შენს გიგას უწესო ვინმე ვეგონე, შენც ხომ ასე ფიქრობ, ჰა? ხომ ფიქრობ?

— აარა!

ბიჭს ხელები გაეყინა, ქალის თვალები ანდამატივით იზიდავდა თავისკენ. ვერაფერს ამჩნევდა ორი მომრგვალებული ტუჩის გარდა.

— მე შენს შესახებ ყველაფერი ვიცი, გიგამ მიამბო, — ქალი უკუდგა და ბიჭიც გათავისუფლდა, — ჩემი ერთადერთი, ახლობელი მეგობარიაო.

ისევ ათამაშდნენ ტუჩები ლერის თვალწინ, თითქოს ოთახში უთვალავი ფუტკარი აფრინდა და ჩუმი ზუზუნით მოედო კუთხე-კუნჭულს.

— გინდა თუ არა, დღესვე შევხვდეთო. ჩაის დავლევთ ერთად, სხვა კი არაფერი. ადამიანი მენატრება, თბილი ხელებიო. გული ამიჩუყდა, ჰოდა, შევხვდით... მერე შემიყვარდა კიდეც, იმ წუთებიდანვე, ხომ გესმის? მე ვუთხარი, ცისფერი თვალები ბევრ-

სა აქვს, მაგრამ შენ ცრემლი გიკამკამებს-მეთქი... მართლაც ესეა. სულ რაღაცით არის შეწუხებული. სიმაღლისგან მხრებში რომ მოიხრება ხოლმე, გეგონება, გული ხელით უჭირავს.

გოგო ცოტა ხანს დადუმდა და ოთახში ფუტკრების ზუზუნიც შეწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა. გარკვევით გაისმა ონკანში მიმდინარე წყლის ხრიალი. მერე ესეც მიწყნარდა და უცებ ხმამაღლა, უმწეოდ აქვითინდა ილონა.

— ნილაბი ჩამოიგლიჯა, უტიფრად გადაიქცა, ჩემთან იგინებოდა კიდეც, შენი ამბები მიამბეო, რამდენი შვილი გყავსო. შვილები სად მყავს? ორ პატარა ბიჭს ვზრდი, ყველას ვატყუებ, ჩემები არიან-მეთქი. მაგათი გულისთვის ქმარმა მიმატოვა. არც დედა მყავს, არც მამა... ავარიაში დაიხოცნენ... ვინ იყო შენი ისაო... ესეც მკითხა. რომ მეთქვა არავისთანაც არ დავწოლილვარ-მეთქი, ხომ არ დამიჯერებდა? მეც მოვატყუე ერთი მსახიობი-მეთქი, მაგრამ რომ არ მყოლია, ჰა, რომ არ მყოლია?

ლერის მეტი აღარ შეეძლო, თავბრუ ეხვეოდა, აუტანელი სიმძიმე ადგომის ნებას არ აძლევდა.

— ილონა, ნუ ტირი, კარგი!..

თქვა ჩუმად, თავისთვის, მაგრამ გოგომ მაინც გაიგო.

— როგორ არ ვიტირო, სულ მეფერებოდა. ადამიანებმა გულისხმიერება დავკარგეთ და ასე მაინც მივესიყვარულოთ ერთმანეთსაო... მერე მკითხა, რა გაკლია, ყველაფერში დაგეხმარებიო. აბა, რა ვიცი, არაფერიც არ მაკლია. ვარ ჩემთვის მარტოდმარტო და ვმუშაობ... იმ ღამეს მთხოვა დარჩიო, უარი ვუთხარი... მერე კიდევ, მერე...

— ილონა!

ილონას ენა დაება, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, მთელი სახლი თითქოს ცრემლის მდინარედ იქცა. ბიჭი წამოხტა და სამზარეულოდან ჭიქით წყალი შემოარბენინა.

გოგოს არ დაულევია, ხელის კვრით მოიშორა თავიდან.

— აგერ რამდენი ხანია გაურკვეველ მოლოდინსა და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი... რა დავაშავე? როგორ უნდა შეცვლილიყო ასეთი აფეთქების შემდეგ... შემპირდა, ხვალვე დაგირეკავო და აღარ დარეკა... ერთი დღე, ორი დღე, მერე გულმა არ გამიძლო, იქნება ავად არის-მეთქი, მოვედი, კარი გამიღო... — ილონას ისევ გაუჭირდა სულის მოთქმა. — არა, არა, გეუბნები, მე მასზე სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოვახდინე, რაღაც გაუტყდა. მარტლა, ძუკნები და ხვადები ხომ არ ვართ, რომ მარტო ტკბილი სიტყვები ვფანტოთ და ერთმანეთი მოვატყუოთ... მითხარი, რა დავაშავე? იმას ეგონა, სახლის კარებს ავუტალახიანებდი?... ჰოდა, რომ დამინახა, სახე შეეცვალა. მაგიდაზე ქაღალდები ეყარა, აქაურობა სიგარეტის კვამლით იყო სავსე. აღარც თბილი ხელები, აღარც ტკბილი სიტყვა, მითხრა მოიცადე, ახლავე მოვალო, ჩანთა აიღო, მიმატოვა და წავიდა...

გოგომ წყლიანი ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და თვალები გაუშტერდა.

— კონკრეტულად ვერ გეტყვი, როდის დავშორდებითო, გესმის? — ილონა ლერისკენ შეტრიალდა — ჰო, მაგრამ ასე მალე? ნეტავი რა ეწყინა? მე ვუთხარი, ცარიელი სული ვარ-მეთქი... შეიძლება არ მოეწონა?

— არა მგონია, — ყრუდ ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ის ასეთი არ არის...

— ეს ყველაფერი მოსაბეზრებელია, მუშაობა მინდაო.

— ვინ გიშლის-მეთქი, მერე უცნაურად მიყურებდა.

— ჰო-ო? გონებადაფანტვით წამოსცდა ლერის.

აქ აღარაფერი ესაქმებოდა, ადგა, მაგიდასთან მივიდა და დაჭმუჭნული ქაღალდები იატაკზე გადმოყარა, მერე ცალ მხარეს ჩამოვარდნილი ნახატიც გაასწორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავედი!

ილონამ პირზე აიფარა ხელები. ნამტირალევი გოგო ახლა ლამაზიც კი მოეჩვენა. ძალზე პატარა თითები ჰქონდა და მთრთოლვარე. „როგორ ბეჭდავს?“ — გაიფიქრა ბიჭმა და გაღიმება სცადა.

— რას იზამ, დარჩები?

— დაველოდები, — წყნარად წარმოთქვა გოგომ, — ცოტა ხანს კიდევ დაველოდები. იმან ჯერ თვითონაც არ იცის, რა უნდა და რა არა. გულს ჰყვება, სიბოროტით არ მოსდის.

ილონას უცებ დაუბერდა სახე. წვრილი ნაოჭები დაგრძელდნენ თვალების გარშემო. ყელზეც ჩაეკეცა ღარები. შუბლზე გაწოლილი ხაზები შეერთდნენ.

— ასეც ვუთხარი. შენ ჩემზე უმცროსი ხარ, თორემ პატარა კი არამეთქი.

ლერი კარებში გადიოდა. გოგო ორი ხელით მიეყრდნო წინაკარის კედელს.

— თუ ნახავ, ეტყვი, ხომ? — მიაძახა ცრემლნარევი ხმით.

— კი!

ბიჭი სწრაფად შეერია სიბნელეს...

●

შუაღამე გადასული იყო, სახლში რომ მივიდა. უხმოდ, ფრთხილად შეაღო კარი, მამას არ ეძინა. წიგნებში ჩაფლული, სამუშაო მაგიდას უჯდა. ვაჟიშვილის დანახვაზე თავიც არ აუღია, მშვიდად გადაფურცლა მომდევნო გვერდი, მაგრამ სწორედ ამან გასცა მისი მღელვარება. ლერიმ მოუარა და კეფაზე, გამელოტებულ ადგილას აკოცა. გულისწამღებად აჭრაჭუნდა სკამი.

— სადა ხარ, კაცო, სად დადიხარ, ვის ეძებ, რას ეძებ, რა დაგკარგვია? დაეტიე ერთ ადგილზე, როდისღა უნდა მოასწრო? მთელი ცხოვრება ამ წიგნებსა ვარ მიჯაჭვული და ცოდნა მაინც არ მყოფნის... მოჰკიდე ხელი, ესე უნდა? ან არ გშია ან არა გწყურია?

— გულს ვერ ვუდებ, — ლერიმ ნიკაპი ჩამოაყრდნო მაგიდას, — მოთმინება არ მყოფნის, რომ ერთ ადგილას დავჯდე.

— რატომ, შვილო, რატომ, რა გიშლის ხელს?

ბიჭმა გაიცინა

— ასაკი, თანაც დრო. არ მეჩქარება, არ ვჩქარობ.

— დრო ყელამდე გაქვს.

— არა, დროა-მეთქი ასეთი... რაღაც კარგი რამე მინდა მოვიფიქრო, მაგრამ არავის არ სჭირდება.

მამამ გაბრაზებით მიაგდო გვერდით წიგნი.

— ვის უნდა სჭირდებოდეს? რას მიედ-მოედები.

— პირველ რიგში ჩემ თავს...

— კარგი ერთი, რა, ლერი, ფილოსოფიის ხასიათზე ვარ? დღეს გიგა იყო აქა.

— გიგა?!

ბიჭმა საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

— მთელი დღე ვეძებო, თქვა, მნახოსო.

ლერი კვლავ უაზროდ შეჰყურებდა მამას. გიგა თითქოს აღარც კი არსებობდა. სახელი დარჩა მხოლოდ მისგან, არარეალური, უჩინო არსება...

— მოიცა, რომელი გიგა?

— კაცო, რამდენი გიგა გყავს. შენი, ლარიანი და ცულიანი, სადღაც უნდა გამყოლოდაო.

— როდის იყო?

— დილიდან დავდევ, მოვკვდი მაგის ძებნითაო. ვიღაც ტიპმაც გიკითხა, რაღაც არ მომეწონა, არ მომეწონა და რა ვქნა?

— ბაბუნაშვილი, ჟოჟო?

— არ ვიცნობ, არა, ჟოჟოა, თუ ჯო-

ირინე ტალიაშვილი
გიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯო... ძალიან ზრდილობიანად კი მელაპარაკებოდა, წესიერი კაცის მანერები ჰქონდა... ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე მოვედიო.

— წავიდეს ერთი!..

მამამ გაკვირვებით ასწია თავი.

— ლერი!

ბიჭი უკვე ჩაბნელებული ფანჯრისკენ იხედებოდა. გიგაზე ფიქრობდა. ქუჩის ლამპიონები ანათებდნენ ჭადრეების ხეივანს. სველი ტოტები შავად ბზინავდნენ. მერე მოულოდნელად ელექტრონის ბოძზე ტკაცუნით გასკდა ნათურა და უკუნეთი ჩამოდნა გარშემო. ქვაფენილზე ჩექმები აბრახუნდნენ. ლურჯი სასიგნალო ფარნის შუქი აფართხალდა სველ ტოტებზე.

— დაიწყო ღამის კაკაფონია! — მამამ მაგიდა მიატოვა, — მოშორდი ფანჯარას, რაში გაინტერესებს?

ლერიმ მოუყრუა.

— გამიშვით! — სასოწარკვეთილი იძახდა გარეთ ვიღაცა.

— აყვანილია! — ბოხი ხმა აგუგუნდა ჰაერში. ასფალტზე ტყაპატყუპით ჩაირბინეს ახალგაზრდებმა. გაისმა სიცილი.

— აქეთ, აქეთ!..

სადარბაზოდან შავი ჩრდილი დასხლტა. აივანზე გადმოყუდებული ადამიანები ზეცას ემუქრებოდნენ მუშტებით.

— ძილს აღარ გვაცლიან...

— დამშვიდდი მამა!

მერე გასროლამ შეარყია ჰაერი და გოგონას კივილმა გააპო წყვდიადი. — გიგაა, გიგაა!

— წავედი! — ლერის მოთმინება აღარ ეყო, მოწყდა და ოთახი გადაკვეთა.

— შვილო, საით? — გამოწვდილი ხელებით უხილავის შეყოვნებას შეეცადა მამა.

— გიგა უნდა მოვძებნო!..

ახლა ზევით, ვაკის პარკისკენ ისროდნენ. უცნობი გოგონა კვლავ გააფთრებით წიოდა. — გიგაა!

ლერი უკვე ქუჩაში გარბოდა. მირბოდა უმისამართოდ, თავდავიწყებით. უცებ მიყუჩდა ყველაფერი. აღარც ჩექმების ბრახუნი, აღარც სროლა, აღარც კივილი. შორიდანვე შენიშნა ელექტრონის ბოძს ჩახუტებული უცნობი სხეული. ზურგი უჩანდა მხოლოდ. ლერის ჰაერი აღარ ეყო. შეჩერდა და ადგილზე გაიყინა. — ვაითუ! — შიშით ჩამორეკა გულმა. მერე თითქოს ცხენი დაასკდა მიწას უკანა ფლოქვებით. ერთი ნახტომით გაჩნდა ელექტრონის ბოძთან. დაიჩოქა და თავი გადაუწია უცნობს. არ ეგონა ცოცხალი თუ იქნებოდა. ბიჭმა უმწეო, გაფართოებული თვალები შეანათა.

ლერიმ ძლივს მოითქვა სული. არა, ეს გიგა არ იყო, მაგრამ ძალიან კი ჰგავდა.

„საოცარია, როგორ ვემსგავსებით ადამიანები ერთმანეთს განწირულების წუთებში“.

ლერიმ დაიჩოქა და უცნობს შუბლზე დაადო ხელი. ბიჭი მაჯაზე ჩააფრინდა. — არ მიმატოვო, არ მიმატოვო! — ალუღლუღდა უთავბოლოდ. ლერი გაჯავრებით ჩააშტერდა ბიჭს და ისევ გიგას გადასწვდა. — არა, მაინც სად დადის? მეგობრები მაინც არ ვიყოთ, ისე წავა და დაიკარგება, ასავალ-დასავალს ვერ გაიგებს კაცი. არც დედა ეცოდება, არც...

მოულოდნელად ფეხქვეშ თითქოს მიწა იძრა. ხის ტოტებში მიმალულმა ლამპიონმა ყვითლად იფეთქა და მკრთალი, მიბნედილი შუქი მოჰფინა გარემოს. ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა. უცნობს მაჯაზე ჩაფრენილი თითები გააშვებინა და ზეცას შეხედა. ახლაღა შენიშნა, რომ თოვდა. გულმოდგინედ, ნება-ნება მოფარფატებდნენ ფიფქები. მსუბუქი, ხალისიანი მუსიკასავით შემოიჭრა სულში სიხარული.

— არა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე, სასაფლაოზე უნდა ავსულიყავი პირველად, — გაიფიქრა და გიგას ნათქვამი გაახსენდა.

— იცი? საოცარია, ავდივარ ხოლმე და ისეთი სიმშვიდეა ირგვლივ, ისეთი სიწყნარე, რომ ღიღინი მინდება... ხომ ვარ მოსაკლავი, ჰა? ხომ ვარ?

ბოძზე ზურგით მიყრდნობილი უცნობი ისევ ვედრებით შეჰყურებდა. ლერის ნაღვლიანად გაეღიმა. მერე დაიხარა და მხრებზე დაეჭიდა.

— კი ხარ მოსაკლავი, მაგრამ რა გიყო? დალიე? — უთხრა და წამოდგომაში შეეშველა. — ადექი!

უცნობმა წამოიკვნესა და უაზროდ შემოხედა ქვემოდან, თუმცა მაინც ჩასწვდა ნათქვამს. — არა, ბიჭები წავკამათდით, გამომეკიდნენ და ფეხი ვიღრძე... მიმატოვეს, — თქვა ძლივს გასაგონად და ერთი ხელი ლერის გამოუწოდა, მეორეთი ბოძს მოეჭიდა.

გარშემო უკვე სრული სიმშვიდე სუფევდა. ძაღლებიც ჩაჩუმებულიყვნენ. — წავედით! — ამოიოხრა ლერიმ და მხარში ამოუდგა. ბიჭები უბრად გაუყვნენ ქუჩას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაძე

რამდენიმე ლექსი ნაბისადმი

1

საით მიაფრენს უდაბნოთა სულს კომეტები,
საით?
ჩამეკარ მკერდში მომეფერე და მომენდევი,
საით გადირეკს ქარი ღრუბელს ფაზისის მხრიდან,
შენ იაე სუფთა ღიმილი გაქვს, თითქო მუხლი გადაიღლიტა
ღრუბელზე ბალღმა ანგელოზმა...
ლურჯად ინათა....
ჩემში იყავი ჩემს მოსვლამდე ნაბი, წინათაც,
ჩემში იყავი... თვალებში ცა გიციალებდა,
მიწას დამტოვე და მაკმარე ცით ზიარება.
ჩემში იყავი,
ჩემში რჩები,
ახლაც,
მერედაც,
ჩემს დაცემასთან...
ზეაღსვლაათან და...
იმერეთთან.

2

რას ამბობს დაფნა, ლურჯად მკრთომი
ჩემს ფანჯარასთან?
შენი სიმშვიდე მენატრება — ვრცელი მინდორი,
რას ამბობს დაფნა?
მიიზლაზნება მდინარე მდორედ,
მოგონების და ხსოვნის მდინარე!
მოჩანს უფსკრული თვალთა ჩემთა
ნაბი, წინარე,
და უფსკრულიდან გრიგალების სუნთქვა მძვინვარებს.
რას ამბობს დაფნა?
შენ ოცნების ჭალაკს გაჰყევი,
ყელს მოგხვევია უფაქიზეს ნისლის ნახევი;
თვალში ბარჩხალა მზე დაგლუის
და მზე გახელებს...
ჩემს სახელს ღამით შენს სუსტ ფილტვებს ამოახევენ.
ვერ ამიხსნია: გზა შენამდე ვინ გადარაზა
და ან რას ამბობს დაფნა მკრთომი
ჩემს ფანჯარასთან?!

3

როგორ თოვს, ნაბი, მოცისფერო, ირიბი თოვლი
გადანთებია იმერეთის ტყენაფენ ხედებს.
ვიცი, შენ მოხვალ, ვიცი, ზოგჯერ მეც მწყალობს ბედი
და ვიცი, ზოგჯერ ცა ანათებს ჩემი, ვით ბროლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნაურია ბედისწერა მომღერალ ბავშვის.
დააწკრიალებს დამფრთხალ მზერას ქალაქში, ქარში.
მიაფრიალებს ურყვნელ სიცილს დაბურულ ნისლში.
ფეხდაფეხ მოსდევს იდუმალი სიცხადის შიში.
უცნაურია ბავშვი, როცა მთვრალია მთვარით,
როცა თვალებში ცა ტორტმანებს ვეება ტანით,
როცა სხეულზე ეფინება ციერი სმოგი...
...ხედავ, ქუჩაში მოსეირნობს ინგლისურ დოგით
უცნაური და უსაშველოდ ლამაზი ლედი.
ნახე, გაერთე... რაღა გინდა ამაზე მეტი,
რაღა ნეტავი?.. ძვირფასია ქალაქში ბუმი —
ფეხბურთის ჰობი.
აკეცვია კალთები დუმილს.
შეღებილია მწვანედ ძველი სასახლის კარი,
ჭრიალით გარბის გაფითრებულ სივრცეში ქარი.
სასახლის ბაღში დათრთვილული კედრები ჩანან:
ძინავს მდინარეს და კბოდესთან არ იძვრის ჭალა.
როგორ თოვს, ნაბი, მოცისფერო ირიბი თოვლი.

4

თითქო კოცონად დაგანთეს ქარში,
აგაბრიალეს სერით და მინდვრით,
აგიწკრიალეს ზარები ხმაში
ხლაპრის, ლეგენდის, სიცხადის, მითის.
აგიდგაფუნეს თვალებში ზღვები,
გადაგისერეს ხაზებით შუბლი...
სხვები კი... ცივად გიცქერენ სხვები,
ცივია თხელი პროფილიც უფლის.
თუმც შენც გაიღე ფასკუნჯის წილი
ხორციც და სისხლიც და ზოგჯერ მეტის
გაურდა გაცემაც და ცრემლზე თბილი
არ გაიმეტეს ალერსი შენთვის.

...შენ ისე ცივად გიცქერენ სხვები.

●

მე რომ შემეძლოს, დავბრუნდებოდი
ჩემი ბავშვობის თეთრ საუფლოში,
ვარ ჩაჭედილი ახლა აწმყოში, —
ამ ურბანიზმის რკინის კუბოში.
მე ჩემს უცნაურ დროსთან ვბერდები,
ვივსები დროით და ვიტვირთები,
ჩემს შუბლზე მისი ფერი ირეკლავს,
ფერი დაცემის, ფერი დიდების.
დრო არი რადგან ჩემი მუდმივი
ულამაზესი განცდის წაწალი,
მიტომაც მერგო ამ სამყაროში
ხვედრი მომღერლის და მაწანწალის:

ხვედრი ლოთის და ხვედრი კეთილის,
ხვედრი ავის და ხვედრი ბოროტის...
თუმც ყველაფერი არი ახალი...
ათასწლეულის ცივ სიმბოლოთი
დაღდასმულია მაინც ყოველი, —
სიკვდილის დამღით გარდაუვალით —
მოხუცის გული, ჩვილის სხეული
და ისიც სადმე თუ ჩქეფს, თუ არი,
კუთვნილებაა ცივი გარდასვლის...
კრთის მთვარე — სახე ახალშობილის,
და მესიზმრები, ჩემო გელათო,
და მოვქრი შენსკენ გულგაპობილი;
დამესიზმრები, ჩემო გეგუთო
და საფიჩხიის ლურჯო ხედებო
და მამაჩემის თბილო საფლავო,
ვარამო, ფიქრში ჩამომხედველო.
დამესიზმრებით... ახლა აწმყოში
ჩაჭედილი ვარ, როგორც კუბოში,
მე რომ შემეძლოს დავბრუნდებოდი
ჩემი ბავშვობის თეთრ საუფლოში.

ბარბიან ცისკენ ზედაზნის მთები

მოწყენილია ქალი, როცა ღალატობს ქმარი,
რა ქნას ქალია, ვერ დახუჭა ღალატზე თვალი,
მოწყენილია ქალი.

ავდება ძლიერ კაციც, როცა დასტოვებს ცოლი,
ძმის სიკეთესაც იგი იჭვის სასწორზე წონის.
ძლიერ ავდება კაციც.

უწივის ძუძუ დედას, როცა ეცლება შვილი,
ეშვება, როცა სარეცელზე პირქუში ჩრდილი,
უწივის ძუძუ დედას, უწივის.

ზრიალებს ხალხი, როცა მისი მაღალი ბარდი
გზად გააცილა, მიწიერი სიკვდილის გზამდი...
ზრიალებს ხალხი.

ბარბიან ცისკენ ტყენაფენი ზედაზნის მთები,
აქა ვარ ისევ, შენს ნათელთან ვდგევარ და ვთბები,
ბარბიან ცისკენ მთები.

მიღვივის თვალში ხანძარი ქარვის, მივდევ ნაჩალარს ყვითელს,
ღმერთო, მომეცი ძალი მიყვარდეს, — კიდევ ვეწამო კიდევ!
თვალში ხანძარი მიღვივის ქარვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განწმენდის შემდეგ

არ მახსოვს მოსვლას როდის დაგპირდი
ან ხელში როდის შემრჩა ნაფლეთი
წლების... და ქამის და იაფეტის
როდის ჩამიდგა ტანში სიკვდილის
შიში, აშკარა და უამური,
ვინ გადამშალა წყლული ამურის
და ვარსკვლავებით ცა მონავლული
თვალში ვარდისფერ მწუხრად მიტირის.
გადაიწია და გადიცრიცა
სამხრეთის მთებზე ფერი ნისლისა,
შენი სითბო მსურს, სითბო რისთვისაც
გზები მიკვალავს, გზები დამრეცი.
შენი სითბო მსურს, სითბო ქალური,
ანგელოსურიც და სატანურიც
ბევრის დამთმენი და ამტანელი,
თვალში ჩამდგარი მკაცრი ალერსით.
თითქო აპრილის პერანგს მაცმევდი,
ველურ ყვავილთა ნაყურს მასმევდი,
რომ მომეტანა შენთვის განწმენდილს,
ქართლის მინდვრების ფერიც,
ნექტარიც...
და მეც მომქონდა, შენთან მომქონდა,
მომქონდა გული, როგორც გოლგოთის
გზაზე მაცხოვარს ჯვარი მოჰქონდა,
გვემა მოჰქონდა ჩვენთვის ნეტარი.
ის ღამე შენთან შემომაღამდა
და როგორც მაშინ, წინათ... ახლადაც
თვალში ღადღადა მზე ჩამახატა
შენი დანახვის ბრმა სიხარულმა.
რა უცნაურად ვიგრძენ დათენთვა,
რა უცნაურად ჩამოგვათენდა —
იკივლა, როცა ცისფერ ნათელთან
ვნებამ და სისხლში გაიმარულა.

2

გეწვია, მერე თოვლი გეწვია,
თოვლი დამრბევი და დამლეწია!
ცა დაგედევნა და დაგეწია,
დაგეწია და თვალს გაგაშორა...
რა ბავშვურია, რა ბავშვურია
ჩვენი ბავშვობა, რა ბავშვურია,
ჩვენთვის მარადის კარდახშულია
ჩვენი ბავშვობის მერე ბავშვობა.
ფიფქის, ლამაზი ფიფქის ფოთლები
კვდება მარტივი და უშფოთველი,
მიმოშლის ქარი და მიმოდენის
შენს ღიმილს ხსოვნის ღრმა
ნაპრალებში.
გრძნეული დამღით შუბლდაღდასმული,
წარსული — ხსოვნის ანჩხლი ასული
ვინ დამიბრუნოს, ვინ, გარდასული
— ვინ შემიჩეროს ქამის თარეში!

ზემო იმერეთში მოგზაურობა

რეზო ჭეიშვილის „ნივით".

ამ მთასა და იმ მთას შუა თითქოს უფალს გაუვლია,
წალკოტს იქით წალკოტია, გაღმა ხარაგოულია.

ქართლა უცხო სამზეროა, ტყემლის ბევრი ფთილებია
იმერეთი გქეტკინა და თვალში წამოგვკიდებია.

ისე მკაცრი სიცხადეა, ისე სუფთა ნათელია,
ვფიქრობ, ღრუბლის თეთრი არვე ქართლზეც გადამადენია.

მეუბნები — სამოთხეა, გეუბნები: ედემია,
ხედებია იმოდენა თვალში ვეღარ ეტევიან.

ისე თოთო აპრილია, საბნად ნისლი აფარია,
მეუბნები: — სიხმარია, გეუბნები, ზღაპარია!

ამ მთასა და იმ მთას შუა, თითქო უფალს გაუვლია,
წალკოტს იქით წალკოტია, გაღმა ხარაგოულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ნარმანია

ციკლიდან „გული“

დღე

სინათლის სოლით გაიპო ბნელი,
გამოჩნდა მიწა მძიმე და შავი,
ახალშობილი ბავშვივით სველი
შრება მინდორი, დრო — ჩხავის ყვავი...

მაჯა სცემს, კედლებს ეხლება გული,
სისხლის ცდას, სადმე დაუძვრეს
ნახაზს...
წამოეწევა შუადღის რული
და სიზმარიდან საღამო გაჰყავს.

ლაზარე

იოანე-ზოსიმესადმი

ნაწყვეტი

ცის უკიდეგანობაში ოქროს ნამცეცივით ბრწყინავს დედამიწა. ლაჟვარდების ოკეანეში, ამ უმნიშვნელო წვეთის ზედაპირზე, გონებისთვის მიუწვდომელი ხელოვნებითაა ამოტვიფრული ბაღის ერთ-ერთი ყვავილთაგანი, რომლის გულში, ღეროებსა და ფოთლებზე გაშენებული ჭიანჭველეთი ქართულ ენაზე ფიქრობს, ოცნებობს, უხარია და სწუხს...

უსასრულობაში გასროლილი ისრის წვერზე თავმოყრილი ცხოვრების გარშემო გადაშლილი სივრცეების იქით, სივრცეებივით დაუსაბამო იმედით ფრთაშესხმულთა გარდა, არავინ იცის რაა...

მზის სხივებითა და აყვავებული ტოტებით დაწნულ კალათში უეცრად გონსმოსულ ადამიანს, ყოველგვარ ადამიანურ ფანტაზიას აღმატებული წყალობის სანაცვლოდ, აღტაცება და სიხარული მოეთხოვებოდა, როგორც მცენარეს ნაყოფი...

მაგრამ გულუბრყვილობაში შეპარული ბოროტება ნაწყალობევი ძალით მწყალობელს დაუპირისპირდა, რის შედეგადაც, გულში გაჩენილი ჭრილობიდან გადმოიღვარა კაცობრიობის სისხლიანი ისტორია.

დაიმსხვრა სიყვარულით ნაგები ვეება ხომალდი, რომელსაც ისევ ელიან დროისა და სივრცის გარეთ გაბრწყინებული ნაპირები...

გადარჩენის რწმენით თითო-ოროლა ადამიანიღა შერჩენია თვალუწვდენელ ზღვაში ჰაიჰარად გაფანტული სიხარულის ნარჩენებს.

უმეტესობა კი, მოკვდავი სხეულის ამარა, ციფრების ურთულესი ურთიერთშეთანხმებებითა და მშვენიერების ლოგიკური ახსნის მცდელობით იმტვრევს თავს, რათა იპოვოს მადლიერების უბრალო გრძნობაში უყურადღებოდ მიტოვებული გამოსავალი...

ეღირსება ოდესმე აღურაცხელ ნაწილაკებად განწვალულ უსაზღვრობას ერთიანობის ბედნიერება?

უეჭველი იმედი იმთავითვე სამიზნეშია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვინ უნდა იყოს ის, ვისი სინდისიც პირველი დაუთმობს
თავის თავს ადამიანური გულის ღვთაებრივ შესაძლებლობებს?..
ვინც პირველი ამოიცნობს, რისი დასაწყისია დასასრული?..
ვინ დაუბრუნებს სიბრძნის მწვერვალს ბავშვურ გულუბრყვილობას?
ვინ დაიჯერებს დაუჯერებელს და ვინ შეეჭიდება შეუძლებელს?
ვინ? თუ არა იმ ქალწულის წილხვდომილი ქვეყანა, ღმერთი რომ შვა...
ახლა ვარსკვლავების ვეება საათზე ქრისტეს დროით XX საუკუნე იწურება...
და თუ სამყაროს სასწაულებრივ მოძრაობაში, ერთი კენჭიც არ დევს
ისე, უბრალოდ უმიზეზოდ... მაშინ შემთხვევით, არც ქართული
ასომთავრულით 2000 ის გეომეტრიული ნიშანია წარსულისადმი ზურგ-
შექცეული და გახსნილი მომავლისაკენ...
გუმანის, საგნებს მიღმა გახელილი თვალი უკვე ხედავს, როგორ
ემატება სინათლე, ქვეყნიერებაზე პირველი ანბანის შექმნის
საიდუმლოებას, სიცოცხლის მომავალზე წარმოდგენის წყვდიადს...
იმპერიები გაუჩინარდნენ კოსმიური მტვერის საუკუნეობრივი
ფენების ქვეშ. ერთი პატარა ერის მრავალტანჯულმა სულმა კი,
ვინ იცის, თავისი უმაღლესი დანიშნულების წყალობით ხელახლა
რამდენჯერ შეისხა მისივე ბავშვების უგულობითა და სულმოკლეობით
დამსხვრეული სხეული...
პატრიოტები?! — ყვირის თვით სიტყვა და სამშობლოსათვის ხმაურით
გაღებული მსხვერპლის უკან, თვითგანდიდების წადილიც იმალება...
ხოლო თუ ვინმეს მართლა სურს ლაზარეში ნაწინასწარმეტყველები
საქართველოს ხილვა, სულის სრულქმნისათვის გამუდმებული ზრუნვით,
თავისივე თავისაგან „მინდია" უნდა აღუზარდოს კაცობრიობას,
რათა ოდეს დაჰკრავს ჟამი, ადამიანთა მოდგმას ქართულმა სიტყვამ
გაუკვალოს უკვდავების გზა... არც რაოდენობა არც ახოვანება, არც
დიპლომატია, არც ლაზერი...
მხოლოდ უმანკოება... და თუ ღირსიქმნა გული წყალობისა გადავრჩით ..
ასე გაჰქონდათ წინაპართა შორის ბრძენთა ბრძენთ საქართველოს
საქმე ეროვნული საზღვრების გარეთ..
მე მომჭერი, მე მოჭერი, მე შევეწირები ადამიანის საჭიროებას,
რათა ეფემერული არსებობიდან, უკვდავებაზე ზრუნვად გარდავიქმნა,
ყელს უწვდიდნენ მინდიას ყვავილები და პურის თავთავები...
ჯვრიდან ჩამოხსნილი უფლის კვართი საქართველოს ერგო და სიდონიასთან
ერთად მცხეთაში დაიკრძალა, როგორც სასწაულმოქმედი რამ თესლი,
რომელზედაც სვეტიცხოველი აღმოცენდა...
მაგრამ ჯერ სამართალი შეჭამს პურს და წალეკვით დაემუქრება
ყველას და ყველაფერს კაცის გულიდან გადმოღვრილი ზღვა ბოროტებისა..
და როდესაც ნაპირების ჩასანთქმელად აღიმართება მეცხრე ტალღა,
ნოეს კიდობნის მნიშვნელობას შეიძენს თანაგრძნობისა და სითბოს
ყოველი, უმნიშვნელო წვეთი... და რამდენი ასეთი წვეთი მოიძევება მთელს
საქართველოში?.. და ყოველი მათგანი რამდენ სულს დაიტევს თავის
სულგრძელობაში?..
ბოროტების დასასჯელად აღმართული მახვილის ქვეშ
გადარჩება მხოლოდ ხარისხი გულისა... ნამდვილი, სიკეთით სავსე
გულისა, რომელსაც ყველასთვის მოეძევება ნუგეშის სიტყვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნგრევის გამაყრუებელი ხმა ზეციური ჩურჩულით გასრულდება... და
განწმენდილი გულისყურის სიფხიზლეში გაბრწყინდება უძლეველი
სხივი კეთილშობილებისა...
ახალი ძალით ფრთაშესხმული გული დაინახავს ხანძარგამოვლილ,
მაგრამ გადარჩენილ საკუთარ სხეულს და, სიყვარულთან გაიგივებული,
სინამდვილედქცეულ ოცნებას ჩახედავს მშობლიურ თვალებში...
ჩაივლის გადარჩენის სიხარულით დაღვრილი პირველი ცრემლები...
გაფერმკრთალდება წარსულის გამო სინდისის ქენჯნის წითელი ალი და
მდუმარების უცისფერესი უძირობიდან ყოველი სულდგმული გაიგონებს
შემოდგომების ხილით დაშაქრული სინათლის ხმას,
ერთი, მრავალთა ენაზე ამეტყველებული ანბანისა.

ღამე

მზე ჩაესვენა ზღვებს იქით, ღმერთო,
რა მატყუარა ყოფილა შიში,
ლამის ვირწმუნე, რომ განწირული
ვარ და სიკვდილით დასჯილი ვიშვი...

ამაოდ ზომა მზერამ ლაჟვარდი,
თურმე ნამდვილი თვალი გულია,
ღამდება, მაგრამ ვინც ფხიზლობს
მათთვის,
ღამის წყვდიადი დავარსკვლულია.

1

დაუგდეთ ყური, სასწაულია,
ისეთი რომ ვერ შეთხზავდა ჭორიც...
ამქვეყნად ხიდი, კაცის გულია,
სიბნელესა და სინათლეს შორის.

თუ არ ჰყოფ ორად და მის იჭვიან
მხარეს არ აგებ ბჭეს საგიჟეთის,
იმედი გულის დიდი ნიჭია,
სიკვდილისგან რომ გიხსნის ისეთი.

სხვა, ვერავისი გაალღობს ნუკვა,
ღმერთს და კაცს შუა ყინულს რომ
სძინავს...
ვერ დაიბრუნებს ვერავინ უკან
იმას, რაც გულით ვერ გასცა წინათ.

სიცოცხლეს წყალში აღიდგენს ფესვი,
და თუ ძმის ცრემლი გაიყო გულმა...
სხვათა ტკივილის გამო რომ კვნესის,
ბრძენი საკუთარ ჭრილობას კურნავს.

2

რასაც დუმილი ვერაფრით მალავს,
რასაც ვერასდროს გაამხელს ბაგე,
გულის სიწმინდე იცნობს იმ ძალას,
თავის სუნთქვით რომ სამყაროს აგებს.

კლდეს ათბობს მადლი რომ დევს
ქებაში.
დნება ძაფები სიკვდილის ბადის,
სიმღერით შექმნილ უკვდავებაში,
მოკვდავი თავის გულიდან გადის.

3

სადაც საშინელ სიმაღლეს ვეღარ
სწვდება ცრუ შუქი ძვირფასი ქვების,
სამყაროც, მისი შემქმნელიც შენ ხარ,
საფუძველიც და ნაყოფიც ქების...

სხეულის ნაცვლად სურნელი ფერთა,
იმედმა, რისიც მოგცა პირობა...
მოიცავ ყოველს, იმ გულთან ერთად
მკერდში რომ უცემს ცის უძირობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩიგოგიძე

ბურუსი მდელოზე

მოთხრობა

ნოემბრის მიწურულს, ჰოროფას შემდეგ, როგორც იქნა, დაადგა ამინდს საშველი. კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო. აგერ შემოდგომა მიიწურა, წვიმიანი ამინდები კი ისე მიეწყო ერთმანეთს, ორი მზიანი დღე სანატრელი გაუხდათ... ძალლუმადურად ჩათავდა რთველი, თითზე დასათვლელი დღეებიღა იყო დარჩენილი, გასაკეთებელი და სავიშვიშო კი ულევლად ჰქონდათ.

იმ ღამით ტკბილი გულისძილით ეძინა გაბილა ქავთარაძეს, აღარც თიაქარზე ჩაყოლილი კოშმარი ტანჯავდა და არც სხვა რამ სადავიდარაბო. საამურად მოთენთილი, გულაღმა იწვა მამისეულ ხის ტახტზე და ისე არხეინად ფშვინავდა, ეს დალოცვილი ცისქვეშეთი მისი საუფლო გეგონებოდათ. მარჯვენა ხელი უზრუნველად მიემარჯვებინა თავქვეშ, მკერდზე მისვენებული მარცხენა კი ისე უთრთოდა, თითქოს, უსაშველოდ შეყვარებული, თავისი დამდაგველის სუნთქვას ისმენსო...

შეგძრავდათ ეს ძალდაუტანებელი სიახლოვე ადამიანსა და ბუნებას შორის, ეს ზღვარგადასული უზრუნველობა. — თითქოს კნუტი წამოგორებულიყოს მზიან ერდოზე. ამ შესაშური სურათის შემხედვარეს, უთუოდ რაღაც თბილი და მათრობელა ჩაეღვრებოდა სულში.

იშვიათად რომ ასეთი ძილის შემდეგ გაცუდდეს მოლოდინი.

მართლაც, როცა თვალები გაახილა, შავგორას მწვერვალზე ზღაპრული მხედარივით გამოჯგიმული ნანატრი მზის დისკო დაინახა სარკმლიდან.

გაბილამ ნეტარებით გაიზმორა, გულში მიეხიყვარულა მზეს, მერე იმის შიშით, ფიქრის ძაფი არ გამიწყდესო, გვერდიც არ უცვლია, ისე მიმყუდროვდა საწოლში და ერთგვარი დახარბებით მიუგდო ყური ტკბილად აჩქამებულ საკუთარ არსებას.

ღრმად და ძალდაუტანებლად სუნთქავდა. ჭაბუკურად გალაღებულ სხეულში ძალუმად უჩქაფუნებდა მხურვალე სისხლი, ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს ჩაფერფლილ წარსულში ახლად განმეორებულიყოს.

აი, გაბილა თანატოლებს შორის... რკალად მდგარი ბიჭების ხორხოცი. ენერგიული მიხვრა-მოხვრა და ზავთი, თეთრად იელვებს ხოლმე კბილთა ათინათი. საყვარლად დამანჭული სახეები წარამარა იპურჭყუებიან. ბდღვრიალებს მზე და მათ ჯერ კიდევ გაუხუნარ თვალებში მარად ცინცხალი, ფერადოვანი სამყარო ხასხასებს. დაუკითხავად ღიღინებს მარადიულ დღესასწაულად აფოფინებული გული...

... თეკლე გაჰყავს ხრიანწოზე... ცუნდრუკით ეშვება ნაშვავი ქვა-ღორღი, რაკუნობს ხრიატზე. დაბლა ღელე მიიკლაკნება. მისი ჩქაფანი სწვდება სმენას. ფუტკარივით ბზუის სიცხისაგან გათანგული არემარე. დამფრთხალი თეკლე ცალი ხელით გაბილას ჩაჰფრენია, მეორეს სახეზე იფარებს. გალმიდან მეგობრები ამხნევებენ. რაღა გამხნევება უნდა, როცა თავად ანგელოზები შესხდომიან მხრებში. იმ წუთას ვინმეს რომ ეკითხა, გაბილა, ფრენა თუ იციო, უყოყმანოდ გაშლიდა მკლავებს და არწივივით მოევლებოდა უფსკრულს...

... თეკლეს დაბადების დღე... მიხაკები ყანჩისფეხებიან სურებში. თეკლე — ყაყაჩო მიხაკებში. აღგზნებული სახეები, შამფურზე წამოგებული გულების შიშინი, ჯიბრი და ქიშპობა. ყველა ცდილობს რაღაცით მოიწონოს თავი. ბიჭები მზად არიან, დახოცონ ერთმანეთი. ბარბაცებს მთვრალი ოთახი... გამოთხოვება... მთვარის შუქითა და ვარსკვლავებით განათებული ეზო, მთვრალი ბიჭებით გარშემორტყმული მოწიფული გოგო. სათითაოდ კოცნიან იუბილარს. ის თრთის და ტოკავს გაუხედნავი კვიცივით. ადვილი როდია, თექვსმეტი წლისამ ყველას მიუშვირო ლოყა, თანაც ასეთ ულაყებს — ლამისაა ვნებიანი ხვიხვინი რომ აღმოხდებათ. ბოლოს ზურია უახლოვდება. პირველი ყოჩი აქაც პირველობას ჩემობს, გულში იკრავს და ხანგრძლივად კოცნის. გოგონა თრთის და ფართხალებს ღონიერ მკლავებში. რა უნდა ქნას, ეკრძალვის სტუმარს. ის კი ვერა და ვერ ელევა. მაშინ გაბილა მიდის და ძალით სტაცებს ხელიდან, მადლიერი თეკლე გაბილას მკლავზე ეკვრის. მარცხს შერიგებული ზურია იქვე დგას, უმწეო, ბეჩავი. ნუთუ ეს იყო სულ?! ფიქრობს გაამაყებული გაბილა და მზად არის, თუნდაც ლომებს შეებას.

ასეთ სასიამოვნო ხილვებს შეხიზვნოდა ბურანში წასული გაბილა, რომ უცებ თავისი საკკივარი გაახსენდა და გულში ტკბილად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკრაკე ნაკადულიც უმალ შავმა ჯოჯოებმა ამოუხვრიპეს ღრიანცელით.

— ერთი, შენი კარგიცო! — ხმადაბლა შეიკურთხა და ლოგინზე წამოჯდა.

ჯალაბს ტკბილი ძილით ეძინა. ბუხარში ბუუტავდა ჩანახშირებული კუნძის ნამუსრევი. ძველი ბუხრის საათი დაუინებით ითვლიდა წამებს და, ღმერთმა იცის, საით მიერეკებოდა მზესა და პლანეტებს. გაბილას კი არსად ეჩქარებოდა. ტკბებოდა ცოლ-შვილის ცქერით და ისე, როგორც ყოველთვის, ბედნიერების ჟამს, გულგარეთ, ახლაც დროის შეჩერების პრობლემაზე ფიქრობდა. მაგრამ ეს მომავლის სასოწარმკვეთი სატკივარი და თვით თიაქარიც კი ვერ უჩრდილავდა იმ დიადსა და მათრობელას, ამ წუთში კვლავ რომ აეტაცებინა. მთელი არსებით თრთოდა გაბილა. თითქოს ამ პატარა, ჭვარტლით შემურულ სიმყუდროვეში ანგელოზები დაფათქუნობდნენ.

ანგელოზების რა მოგახსენოთ და, ვეება ვირთაგვამ კედელ-კედელ მართლაც გადაირბინა ცუხცუხით. ნაცნობი ვირთხა იყო. დილაობით გადაირბენდა ხოლმე. აუმღვრეველი მზერა მიადევნა გაბილამ. რა ხანია, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. დიდი უუმური და შეუპოვარი სულდგმული იყო. ისეთი რიხითა და ბღვერით და ცუხცუხებდა, ვაგლახად კატაც ვერ შებედავდა კლანჭს. რატომღაც, სათაგვეთზე გულარძნილს, განდეგილივით მარტოობა უყვარდა. დამფრთხალი თაგვები მისგან შორს ამჯობინებდნენ ყოფნას. გაბილამ ეს შეამჩნია და დევნა შეწყვიტა, სოლიდარობა გამოუცხადა. კიტოულაში ლეგენდები დადიოდა ამ სასწაულმოქმედ ვირთაგვაზე. ვირთაგვა ხვრელში გაუჩინარდა.

გაბილამ უხმაუროდ გაიხურა ოთახის კარი და ეზოში ჩავიდა. შილიფად ჩაცმულს დილის სუსხი მიეძალა და აბუსუსა. მობუზულმა კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები. ამინდს კარგი პირი უჩანდა. ნაირგვარი ნაფეხურებით ნაკენკ, დაჭეჭებულ მიწას ალბალბუდასავით მოსდებოდა ყინულის სუსტი აფსკი. ზედ მზის ოქროსფერი ეშმაკუნები დასხლტოდნენ.

ხელი მოიჩრდილა მადლიერმა გაბილამ. რიდით, როგორც ნაოცნებარ სატრფოს, შეჰღიმა მზეს: უშენოდ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოსო, ისე მიეფერა ჩურჩულით, თითქოს, ის დალოცვილი, მარტო მას უნათებდა წყვდიადს და მარტო მისი საუნჯე იყო. ეგოისტობას ვერ დასწამებდით, მაგრამ მართლაც უყვარდა ისეთი რამეების დასაკუთრება, რასაც ფასი არ ედო და ვერც ვერავინ შეიძენდა. მივიდოდა, მაგალითად, მდინარესთან, თუ მზიანი ამინდი იყო, გაღვანღვალდებოდა კარგად შიგ. ყურს მიუგდებდა მის საამო ჩქაფუნსა და დუდუნს. ხელად რაღაც განუყოფლობის გრძნობა აუფანცქალებდა გულს. აუჩურჩულდებოდა ბაგე და მდინარეს ბევრს ისეთს ანდობდა, რაც მხოლოდ გულით იგრძნობა და საერთოდ არ გამოითქმის... ადამიანის ნამდვილი „მე" კი სწორედ იმ ბუნდოვან ლაბირინთში აფარებს თავს. აქ მთავარი ის იყო, რომ მდინარის იმ „მეს" ნათლად ჭვრეტა, უღალატო დაფასება, ნუგეში და მფარველობა შეეძლო. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ, მდინარე მისი იყო და არც არავინ ეცილებოდა. ტყეში შევიდოდა, ჩემო ბატონო, და, თურმე, რაღა იქ შესულა და რაღა საკუთარ სახლში. არც გაემტყუნებოდა: აქ აედგა ფეხი, აქ აძოვებდა თხასა და ძროხას, აქ უყვარდა ხეებზე ცოცვა და ნადირობა, აქ ყველა ფუღეროს და ფესვს ცნობდა. აქ ამ ბუმბერაზების თვალწინ დავაუკაცდა. სწორედ ისინი იყვნენ მისი ყველა საიდუმლოს შემსწრე და პირუთვნელი შემფასებლები. თუ არა მათ, სხვას ვის შეეძლო დაენახა, ვინ იყო ნამდვილი გაბილა, რით სულდგმულობდა, რატომ მოდიოდა აქ მთვრალივით გაბრუებული, რატომ ეხვეოდა ბურმუხებსა თუ შხვართალა, ნორჩ წიფლებს, რას ეჩურჩულებოდა მათ... იას ნახავდა და, სინაზით მოხიბლული, იქვე ჩაუჩოქებდა. აბა, სხვა ვინ გაუზომავდა უკეთ გაბილას სიყვარულით ანთებული გულის სიღრმესიგანეს... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მთვარე ხომ ისედაც მისი იყო და მისი...

ასეთი აუწონარი სიმდიდრის პატრონს, თავისი კარის მეზობლის, ათია გუჯაბიძის ბრწყინვალე სასახლე, ყელამდე სასმელ-საჭმელი, ორი კრიალა მანქანა და მუდამ თავჩაქინდრული ცხოვრება, ბუნებრივია, არ უნდა შეშურებოდა და, ვგონებ, არც შურდა.

კიტოულაში ხელმოკლე კაცად იცნობდნენ. პაპისეულ სამოთახიან სახლში ცხოვრობდა, ეზოში ედგა ბოსელი, სასიმინდე, პატარა ხულა და საქათმე.

... და თუ მაინც ბევრს შურდა გაბილას ბედი, ამის მიზეზი მისი მშვენიერი ცოლი, თეკლე იყო. წნელივით მოქნეული გოგო იყო თეკლე. ქვის გულს გაალხობდა, ისეთი ღიმილი იცოდა. საცაა, ოცდაშვიდი წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ მაინც გოგნუცას ჰგავდა, ნებიერს, ახალშეღერებულს. ხასიათიც სულ ბავშვის ჰქონდა — ჭირვეული, ანცი და ცულლუტი. სამი შვილის დედისთვის, ცოტა არ იყოს, არასახარბიელო დახასიათებაა. შურიანი და ბოროტი ენის პატრონი იქნებ მეტსაც იტყოდა, მაგრამ თეკლეში განსახიერებული ყველა ეს თვისება იმდენად მომხიბლავი, წარმტაცი და ბუნებრივი იყო, რომ ვერა მყრალი ენა მასზე აუგს ვერ იტყოდა.

ჯერჯერობით თანხმობით და ბედნიერად ცხოვრობდნენ მშობლიურ კიტოულაში, გაბილა, ცოტა არ იყოს, რთული ბუნების კაცი იყო. ცხოვრება თავისებურად ესმოდა და თუ გლეხის სამოსი ამჯობინა, დავუშვათ, პროფესორისას, ეს იმიტომ კი არ მოსვლია, რომ სხვაზე უნიჭო იყო, ან სხვაზე ნაკლები შანსი ჰქონდა, არამედ სწორედ ამ შეხედულებების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო, რაც სხვათა შორის, ზერელედ და ერთი ხელის მოსმით როდი ჩამოუყალიბდა გაბილას. მთელი თავისი შეგნებით მტკიცედ სწამდა, რომ მიწის მუშაობა დედამიწის ზურგზე ყველაზე შესაფერისი საქმიანობა იყო ადამიანისათვის. მერე, როცა ცხოვრების ბნელ შრეებში უფრო ღრმად ჩაიხედა, იმასაც მიხვდა, რომ ეს ძირძველი საქმიანობა იყო სწორედ ის ერთადერთი და უტყუარი, რომელიც დაუყოვდრებლად აკმევდა პურს და შეუბღალავად მიიყვანდა სამანამდე. ნამუსშეუბღალავი ცხოვრება კი დევიზად აეტაცებინა და ვერც ვერავინ შეაცვლევინებდა ამ რწმენას. ჭკვიანი კაცი იყო, უტყუარი ინსტინქტით გრძნობდა, რომ ბოლოს, შავბნელის მიჯნაზე, სწორედ ეს ერთადერთი მოსწყურდებოდა ყველაზე უფრო, ის შერჩებოდა ხელში და სამარადუამო გზაზეც ის იქნებოდა მისი უკანასკნელი საგზალი. ბევრჯერ უთქვამს: „ეს ცხოვრება ადესა ღვინოსავით იულურწება, ძამია. მთავარია, იქ, მიქელ-გაბრიელთან როგორ წარსდგები... აბა, ისაა საქმე, ვიღაც მუტრუკის ტურტლიან ფეხს რომ გალოკინებს და კაცობას შეგირყვნის?!

ფეხის სალოკავი და საღიჯინო, იცოცხლე, აქაც ბევრი გამოუჩნდა და არც სოფლის გიტარა მღეროდა მაინცდამაინც მის ჰანგზე, მაგრამ ცხოვრება შეიძლებოდა და გაბილას, ჯერჯერობით არც მწვადი ეწვებოდა და არც შამფური. დიდი ქვეყნის გადამგრიმველი არ იყო, მაგრამ, ვერც სიზარმაცეს დასწამებდით. ახალგაზრდა კაცის პირობაზე, იქნებ, ძალიანაც ცდილობდა... ადვილი როდი იყო მარტოხელა გლეხკაცისთვის ცოლისა და სამი მცირეწლოვანი ღლაპის შენახვა. ყველასათვის თავისი უნდა მიეგო. ყველა თავისას მოითხოვდა: აქეთ საკარმიდამო, იქეთ კოლმეურნეობის ფართობი, ბოლოს და ბოლოს, სიყვარულიც თავისას მოითხოვდა და ისიც, სხვა რა ჩარა ჰქონდა, ეწეოდა ჭაპანს...

— ანტიკვარს გაუმარჯოს, ანტიკვარს! — მოესმა ეზოს გადაღმიდან გაბილას. რეზო დუმბაძე იყო, ზემოუბნელი მეზობელი. მას ორ სარს შორის ჩამომხვრჩალი ქათამივით ჩაეჩხირა სახე და იქიდან იკრიჭებოდა.

— ვა, პანტურ, შენა?! სად მიპანტურობ ამთვეით.

— თალი ხომ არ გინახავს ჩემი? — მოიჩლიქა ენა პანტურამაც.

საქმე ის გახლდათ, რომ კიტოულაში ერთი კაჩაგი ბიჭი ცხოვრობდა, მეტსახელად დანდალა. ზოგიერთი ბგერის გამოთქმა უჭირდა და ოდნავ შერბილებით ამბობდა. სოლიდარობის მიზნით, მუდამ მოყვარე კიტოულელები, ხშირად უჩლექდნენ ენას.

— რა თალი აგიტყდა, შე უპატრონო, ამ დილაუთენია!

— მართლა, მართლა!

— არ უფშტვენდეთ. ნეტავი. სუყველე! შენსას კი არა, ჩემსას ძლივს ვპატრონობ.

— პატრონობა არ მითხოვია მე!

— დილაუთენია ცოლი რომ გოუხდება კაცს საძებარი, იმისი არ ვიცი, რა ვთქვა!

— ნეტე მომშორდებოდეს ერთი!

— ჩამოდი, რა გადაღმა დამდგარხარ! — გაბილამ ყელზე წკიპურტი მიირტყა.

— მაგი სხომის. დღეს არ მცალია.

— რა ამინდი გამოვიდა, ბიჯო?! — გაბილამ ცას ახედა. სხივებმა თვალები მოუჭუტეს.

— აბა, ბიჯო! კი დაგვალპო, მაგ შობელძაღლმა და...

— ერთხანს იდარებს, ალბათ.

— ამინდს მტერი ენდო, ახლა.

— ყინვა რომ არის, ვითომ, არაფერს ნიშნავს?

— ა, ბიჯო, ლენჩი! ყინვამ იცის თოვლი, თვარა, სიცხეში სად გინახავს, რა ქენი შენ, თივა აიღე?

— დღეს ვაპირებ... მომეხმარები, თუ?

— კი, რავარც მეტყვი, იმ წუთში! შენ ცოლთან ჯაჯგურში ნაწლავი ჩამეიყარე და თივას მე მიგიხედავ!

— არა, მართლა, ხუმრობის გარეშე.

— დღეს და ხვალ არ მცალია, ტყეში მივდივართ. ზეგე, — ჩემი თავი გენაცვალოს.

— არ დადგება შენგან კაცი!

— შედი, შედი სახლში, არ გაცივდე, თვარა, ხომ იცი, ცხინკება თუ აგიტყდა, მაშვინ ხარ ცოდუა! — რეზო ღობეს მოსცილდა და გზა განაგრძო.

— პანტურა! — შეაჩერა გაბილამ. — იცი, დანდალე რაფერ მღეროდა მაუვალეს ქორწილში?

— არა, რაფერ?! — დადარაჯდა რეზო. გაბდღვრიალებული სახე საცინლად შეწკიპოდა.

— ამისთანა სიყვარული დინდ იყოს და დინდა არაო.

— ჰა, ჰა, ჰა!.. მე, იცი, რა მითხრა?

— ჰო! — ახლა გაბილა დადარაჯდა.

— თოფს არ მოტიდო ბიდო, ხელი, თვარა დადარეტავ მიწაზეო.

გაბილამ სიცილით შეაღო ბოსლის კარი. ბაგაზე მიბმულმა თეთრხალებიანმა ძროხამ პატრონის დანახვაზე სუსტად შეზმუვლა და ცოხნა განაგრძო. მაკედ იყო. გაზაფხულის პირზე, ალბათ, ხბოსაც მოიგებდა. გაბილამ რქებს შორის კორტოხი შეუჯიჯგნა.

— ნუ გეშინია, შიმშილით არ მოგკლავ, — უფრო თავი ინუგეშა. მერე ბაგა გამოწმინდა, საქონელს საპირეში ლობიოს ფუჩეჩი ჩაუყარა და ხულასკენ გასწია. იქ საზამთრო შეშა ჰქონდა დასაყადლებული. გაბილა მოზრდილ მორს დაეჯაჯგურა, მოიზიდა თავისკენ. ის იყო, ციმციმ წამოსწია კიდეც, რომ მუცლის არეში ძლიერმა ტკივილმა სახე დაუმანჭა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გადაგიშენდა პატრონი! — სიმწრით ამოიკნავლა გაბილამ, იქვე ჩამოჯდა. შუბლზე მომდგარი ოფლი სახელოთი შეიმშრალა.

— შემიკლავს ახლა ხელში! — თქვა და გამობერილი ადგილი ხელით მოისინჯა. — ფუჰ, შენი!.. გადაგიშენდა პატრონი!.. ეს ერთი დღე მაინც ეცლია ამ დაწყევლილს.

...ყველაფერი კი ამ ერთი თვის უკან მოხდა. გაუხუნარ შემთხვევათა აღმნუსხველ ნეგატივზე იმ დღის ფრაგმენტებიც ამოიბეჭდა სამუდამოდ:

გადაღრძუებული სიმწვანე... გახურებული მუშაობა საკარმიდამო მამულში... ზურმუხტისფრად მოსავადებულ ბურთულებში მომძლავრებული სიმწიფის ნიშანი — ქარვა... მეწველი ძროხებივით ჩამომდგარი ვენახის სვრელები რიგს ელოდებიან. წყვილი სეკატორის შეუწყობელ ტაკატაკუცში მოკვეთილი ცურები ცვივიან და ფანთქალებენ მოწნულ კალათებში. ლილოჭრელ ცაზე ღრუბლის გიგანტური ფთილები მიიზლაზნებიან... „დაკრეფილი ვაზი აღარ ჰგავს ქალწულს", — ფიქრობს გაბილა და მტევნებით სავსე გოდორს დასცქერის. თეკლე მოშორებით დგას. ყურძენს ნება-ნება, მოყირჭებით მიირთმევს. მარცვლების ნახევარზე მეტს გაბილას ესვრის.

— ჰე, წამომწიე, რაღას უცდი, — ეუბნება გაბილა და გოდორთან მომარჯვებული დგას.

— არა, სულაც არ მეპიტნავება! — აცხადებს ცელქობის იშტაზე მოსული თეკლე და უფრო მოშორებით ინაცვლებს.

— ჩქარა, გოგო, სხვაც ათასი საქმე მელის! — უმეორებს გაბილა.

— ყრუ ხომ არა ხარ, ვთქვი, არა-მეთქი, და მორჩა! — დაიჩემა თეკლემ.

— მოდი, ჩემი გოგო, — დაუყვავა გაბილამ.

— არა და არა! — ფეხი დააბაკუნა თეკლემ.

გაბილას სისხლი აემღვრა. ისედაც ხომ მთელი დღე ირჩევდა დროს, როგორმე ჩაეხუტებინა მუეღლე და რაკი ახლა ამის საბაბი ეძლეოდა, ხელი შეუშვა გოდორს და ცოლისკენ გაეთრო. გასხლტა თეკლე, დაეშვა ფერდობზე. კვანწი ქნეს მწყაზარმა ნაკვთებმა შინდისფერი ჭიჭნაურის ქვეშ, გააფიცხეს მდევარი... ვენახის ბოლოს, ხვილიფებში მოიმწყვდია თავისი ღუღუნა ქედანი გაბილამ და საბერველივით აქშინებულ მკერდზე მიიკრა:

— ტუუილად იკლაკნები, გველთევზა. ხომ იცი, უკვე ვეღარ დამისხლტები.

— გამიშვი! გამიშვი! — სხმარტალებდა თეკლე და გაბილას გამეტებით სცემდა სახეში...

... გაბილამ მკერდზე ატატებული მეუღლე გოდორთან ჩამოსვა.

— ჰე, წამომწიე, ახლა, — უთხრა და გოდრის სახელურს ჩაეჭიდა.

— არა, მაინც არ წამოგიწევ! — განზე გადგა თეკლე. — მე ძალიან ამაფრიალე?

სხვა რა გზა ჰქონდა. გოდრის წინ მოგონილი ხვნეშით ჩაიკუნტა, გაბილა და სამხრეებში მკლავები გაყო. — შენ ფიქრობ, ჩემს იქით საშველი არაა, ხომ?

— მე ვფიქრობ, რომ დოყლაპია მყავხარ.

— დოყლაპია, არა?! — გაბილა ტვირთს შეეჭიდა. ზურგით თავისკენ დაითრია, ოდნავ წამოსწია კიდეც, მაგრამ ვეღარ შეიმაგრა და წონასწორობადაკარგული კარგა ლაზათიანად დაეჩეჩვა მიწას. კინაღამ ყურძენიც დაბანია.

— აუ, არ გაანგრია მიწა?! — იკივლა აღტაცებულმა თეკლემ. ერთხელაც, გაბილა, და, გახვალ ამერიკაში! — დაუმატა ბოლოს, როცა სიცილით გული იჭერა.

გაბრაზდა გაბილა, ამან როგორ უნდა მაჯობოსო. ენერგიულად ჩაუჩოქა ტვირთს და კარგა ჯახირის შემდეგ, როგორც იქნა, გოდორი ბუქნის მდგომარეობაში შეიმაგრა. მთავარი უკვე გაკეთებული იყო და დამაგვირგვინებელი მომენტის წინ კმაყოფილი გაბილა ძალას იკრებდა: კინაღამ არ შერცხვა დედაკაცის თვალწინ?! ასწევ და, თითქოს არაფერია, მაგრამ, მოდი და, თუ ვაუკაცი ხარ, ნუ ასწევ, ისეთ დროს გაგიხსენებს ბედოვლათობას, შეიძლება, ცოფის ნაპერწკლებიც კი წამოგაყრევინოს.

წამომართვა მძიმედ და ენერგიულად დაიწყო, დაეძაგრა მთელი სხეული, აუკანკალდა მუხლები, ტუვიაჩასხმულივით გაუმაგრდა და დაუმძიმდა ნაწლავები. უჭირდა, ძალიან უჭირდა, მაგრამ რაკი ერთხელ ასძრა, უთუოდ უნდა მორეოდა ტვირთს და საცაა კიდევაც გამართავდა, რომ უეცრად მუცელში რაღაც წკიპინით გაერღვა და ტკივილისა და ელდისგან მუხლმოკვეთილი გაბილა პირაღმა გადაესვენა აყირავებულ გოდორს.

— ვაიმე, დედიკო, მიშველე! — ზაფრით შეპყრობილი თეკლე დაემხო გაბილას, — რა მოგვივიდა, ჩემო გაბილა! არ დამღუპო, ბიჭო! — ჩაიკრა გულში და რაც ამ ათი წლის განმავლობაში ალერსი დააკლო, სულ ერთიანად აუნაზღაურა.

თავგზააბნეულმა გაბილამ არ იცოდა, თავის გასაჭირზე ეფიქრა თუ ცოლის ალერსზე.

... იყვნენ ექიმთან. ექიმმა ოპერაციაო, ისე დაუყვინა, რომ გაცეცხლებულმა გაბილამ ორჯერ მუშტიც კი მოუღერა.

— მაშინ, რომ ჩაგეჭედება, ჩემი ბრალი არ იყოს! — ხელები დაიბანა მედიცინის მსახურმა.

— ნუ გეშინია! — დააშოშმინა გაბილამ და კაბინეტიდან გაბრაზებული გამოვიდა.

— იცოდე, არ დაგინახო, ორ კილოგრამზე მეტი ტვირთი აგეწიოს! — თითის ქნევით დაემუქრა ექიმი მიმავალს.

გლეხკაცი და თიაქარი ერთად რომ ვერ შეთავსდებოდნენ, თავადაც კარგად მოეხსენებო-

და, მაგრამ რა უნდა ექნა, ვინ იყო მისი შემხიდე. ამ გაუთავებელმა წვიმებმაც ისე ერთად მოჯარა საქმე, მეზობლისათვის ვიღას ეცალა. ყველას თავი უჭირდა. ერთხელ გაბილამაც შეიწია ნადი და სიმინდი მოუტეხეს, მაგრამ იმ სიმინდს გაფურჩქნა და სასიმინდეში ატანა უნდოდა. ჩალას მოჭრა, კონებად შეკვრა და დაბინავება. აბა, საქმეს რა გამოლევს სოფელში და, ყველაფერზე მეზობელს ხომ ვერ შეაწუხებდა...

გამწარდა საწყალი გაბილა. ნაწლავებგადმოცვენილს მეყანე ძროხასავით უხდებოდა აღმა-დაღმა სირბილი. როცა ტკივილი ძალიან შეაწუხებდა, იქვე ჩაჯდებოდა მოკუნტული. ცოტა დაუამდებოდა და კვლავ საქმეს მიუბრუნდებოდა. საღამოს, ნაჯაფი და გაწამებული, გულაღმა გაიშხალართებოდა ტახტზე, აიშვერდა მაღლა ფეხებს, მიაყუდებდა კედელზე და მოუთმენლად ელოდა, როდის დაუბრუნდებოდა ძველ საბუდარს გზასაცდენილი ნაწლავები...

... ასე, ჩანჩალ-წვალებით მიათრევდა საქმეს. აგერ, ჩემო ბატონო, ჯერ ხეირიანად არც გათენებულიყო და უკვე ჩამოუბრძანდა. რა ქნას ახლა, ამას ელოლიავოს თუ საქმე აკეთოს? მერედა, რა დილა გათენდა, სამარიდან მკვდარსაც კი წამოაყენებს.

— რას დამჯდარხარ მაქ და ბურდღულობ დათვივით, — მოესმა გაბილას ზურგსუკან მეუღლის ხმა.

— ჩამოვიდა, — თქვა გაბილამ ისე, რომ მეუღლისკენ არც გაუხედია.

— ვინ?.. გააფრინე?!

— ჩა-მო-ვი-და! — მრავალმნიშვნელოვნად დამარცვლა გაბილამ, ნაფოტი აიღო და კედელს შეანარცხა.

— ხო, უცადე შენ, არ გაიკეთო ოპერაცია და მისით მოგირჩება!

— შედი, ეხლავე, სახლში! — გაანჩხლდა გაბილა. ოპერაციის ხსენებაც კი თავგზას უბნევდა. ერჩივნა, ყულფში გაეყარა თავი.

— ვინმემ რომ შეგხედოს, ვაუკაცი ეგონები, ასეთი მშიშარა როგორ ხარ! — ქალს „ლაჩარიო" უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. იცოდა, ძალზე ატკენდა გულს.

— ვარ! მერე შენ რა გინდა!

— რა მინდა და, ჩაგეჭედება ერთ მშვენიერ დღეს და გაფშეკ ფეხებს.

— გავფშეკ, თვარა, მე შენ გეტყვი, შემცვლელს ვერ იპოვი.

— უი, გაბილა, მაგაზე შენ ერთი წუთითაც არ იდარდო, გენაცვალე! აბა, მე რა კენტად გასაჩერებელი გოგო მნახე! — თქვა თეკლემ მომაჯადოებელი დუდღუნით და იქაურობა მთელი თავისი ქალური ეშხით ჩამობურა: შეარხია ბზისფერი დალალები, მოწკურა თვალები, მობოშებულ ბაგეთაგან აჭიატა ელვა დამდაგისი.

— შენგან მეტის იმედი არც მაქვს, — ხმა გაებზარა გაბილას.

— არა, შენმა თავის გახეთქამ, სულ ძაძებში ვივლი!..

რას გაშტერებულხარ ბლუსავით! დააპე, ჩქარა, შეშა, გეიყინა ბაღნები! თეკლე სახლისკენ გატრიალდა.

— „გადამრევს, ეს მშობელგასახარელი!" თვალი მიადევნა გაბილამ და ხელი ათრთოლებული მკერდისკენ გაექცა.

მზე თანდათან იკრებდა ძალას. ნასაუზმევს უკვე ორთქლი ასდიოდა გამთბარ დედამიწას. ბავშვები კარგა ხანია გაისტუმრეს სკოლაში. სკოლა იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზე ჰქონდათ. ზარის დარეკვის შემდეგაც უსწრებდნენ გაკვეთილს. თეკლემ თხილით სავსე ტოპრაკი გამოიტანა პარმაღზე და მზის ყურში ჯორკოზე მოიკალათა. გაბილამ ძროხა გამოუშვა და ეზოს გადაღმა, კოლმეურნეობის ნაყანევში შეიყვანა. მერე, ათასი ხარახურით გამოტენილი, ნახევრადბნელი გრძელკბილებიანი ფიწალი გამოათრია და სინათლეზე შეამოწმა.

— გოგო, მივდივარ მე! სადილად ტყუილად არ მელოდო.

შენ ოღონდ მორჩი და...

— დღეს უნდა დავამთავრო, თვარა მართლა ცუდადაა საქმე.

თეკლე სახლში შევიდა და საგზალი გამოუტანა. — იგი როგორ გაქვს?

— ერთი, მაგის შიგანიც!.. — შეიკურთხა გაბილამ. საგზალი ჩამოართვა, სახელურში ფიწლის ტარი გაუყარა, მხარზე გაიდო და ეზოდან გადავიდა.

ოთახის კარი შებინდებისას შეაღო. მზე ის იყო მოფარებოდა თვალს. ჰორიზონტის გასწვრივ, ვარდისფერ ციაგში ჩამოდებული ვეება, ქლიავისფერი ღრუბელი ამ უხინჯო ცით განცდილ განწყობილებას, ცოტა არ იყოს, უმძიმებდა.

ტკივილამდე ენანებოდა ყოველი მზიანი დღე. ის ჟამი თუ ადარდებდა, როცა უიმისოდ აენთებოდა ცისკარი... ამიტომ ეფეტიშებოდა ასე ძალუმად, ამიტომ ეწაფებოდა პეპელასავით და სხვასაც შეახსენებდა: „დასტკბი, ძამია, განა ყოველთვის ასე იბდღვრიალებს!". ავდრიან დღეს მკვდარ დღედ აცხადებდა და მოლუსკივით ნიჟარაში შეყუჟული დაუნანებლად ისტუმრებდა თავისი გულის კალენდრიდან. ეტყობოდა, სიბერე ჯერ კიდევ შორს იყო, ჯერ კიდევ სარჩევად ჰქონდა საქმე.

— ვაშაა! მამიკო მოვიდაა! — ურიამულით წამოფრინდნენ იატაკზე მობურხალე ბავშვები და შესასვლელში გალაჯულ გაბილას მისცივდნენ.

— მაცალეთ, თქვე მამაძაღლებო!... აუ! რაშობი, კაცო, მკლავ?! — იყვირა გაბილამ და უხეშად მოიშორა შეფრენილი უფროსი ვაჟი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, ზევით ასაპორტყებლად ძალ-ღონეს რომ არ იშურებდა და მუხლისთავებით ლამის მუცელი შეუნგრია.

ბიჭმა დაიმორცხვა და თავჩაქინდრული განზე გადგა.

— მტკივა, მამიკო... — დაუყვავა გაბილამ და ოფლში აზელილი ქოჩორი აუბურდა.

— ტკივა, მამიკოს! — იყვირა ახლა მოფერებით წათამამებულმა ბიჭუნამ და ლაჯებზე მიჭიპჭიპებული პატარებიც მოაცილა გაბილას.

გაბილა ბუხართან მივიდა და კრუსუნით ჯორკოზე დაჯდა. — უ, ჰუ, ჰუ, ჰუ!

— გტკივა, მამიკო? — თანაგრძნობით შემოუსხდნენ ბალღები.

— მტკივა, ეს დაწყევლილი! უ, ჰუ, ჰუ ჰუ, ამის...

— მერე? — იკითხა უმცროსმა და გაბილას თვალებში შესციცინა.

— რა, მერე, შვილო, თუ მომირჩა, ხომ კაი, თუ არა და, წევიღებ, ალბათ, წერილს! — ცალყბად გაიღიმა გაბილამ.

— რომ არ მოგირჩეს და ჩაგეჭედოს?! — შიშით იკითხა უფროსმა.

—შენ ნუ დარდობ, შვილო, მორჩება, აბა რა ჯანდაბას იზამს!

რაკი დამამშვიდებელი პასუხი მიიღეს ბავშვები აღარ ჩასძიებიან. ეს კი იყო, სამივენი უხმაუროდ მოშორდნენ ბუხარს და იქნებ მამას ამით მაინც შევეხიდოთო, წიგნებს მიუსხდნენ.

— რა ქენი, მორჩი? — შეეკითხა თეკლე, თან თხილს აკნატუნებდა.

— მივახრჩვე, რავარც იქნა.

— მშრალი იყო, თუ იცი?

— რა ვიცი, რაც ის ვაბრუნე წაღმა-უკუღმა კაი პატარძალივით...

— რამდენი გამოვიდა?

— თვენახევარს კი ეყოფა და მისამატებლად მეტი არც გვინდა.

— თუ არ დეიქცა ქვეყანა, კი უნდა გვეყოს.

— გვეყოფა! — თქვა გაბილამ და ტკივილისაგან მარჯვენა თვალი მოეჭუტა.

— შეგიკლა ალბათ მთელი დღე.

გაბილას არაფერი უთქვამს. ზურგით კედელს მიეყრდნო და ბუხრის წინ ფეხები გაწვართა.

— წამოწექი, ამასობაში სუფრასაც გავშლი.

— ბარემ, იმ სიმინდსაც ავათრევ-მეთქი. რაღა დარჩა, სამი-ოთხი გოდორი თუ იქნება.

— მაგას რა აჯობებს, თუკი შეგიძლია!

— გამიწყალა ერთი, გული!.. ჰა, ჰა, ჰა! — გაბილა კეცკეცად წამოიმართა. ცალი ხელი თეძოსე ჰქონდა შემოდებული. ერთხანს ასე, ვაჯგიმული იდგა ტკივილის გაყუჩების მოლოდინში. სხეულის ქვედა ნაწილი ყინვაში დამზრალივით ერთიანად უბუოდა და ყველაზე მეტად სწორედ ეს ტანჯავდა. — აუ, არ გადამიწიწმატა გული?! — სახემომანული — ფეხათრევით გავიდა ოთახიდან.

— ღმერთი არ გაგიწყრეს და გოდორში ნახევარზე მეტი არ ჩაუარო! — ბრძანებასავით დაადევნა თეკლემ.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ არაქათგამოცლილი გაბილა ჩქარი, მოუთმენელი ნაბიჯით შემოვიდა და პირდაპირ საწოლისაკენ აიღო გეზი. ეტყობოდა, სული კბილით ეჭირა. ბავშვები ახალდაწოლილები იყვნენ. ბუხართან დაბალფეხიანი ტაბლა იდგა, ბუხრის ერთ კუთხეში თეკლე საჩურჩხელე თხილს ამტვრევდა. მეორე კუთხეში მაღალყელიანი საღვინე სურა მიედგა შესათბობად. მიმქრალ ბუხარში უგემურად ბოლავდა თხილის ნაჭუჭები. გაბილა საწოლზე გაიშოტა და შვებით ამოიქშინა:

— უჰ ა ა ა!.. ქი არ მევიკალი, ბაბაია, თავი?! უჰ!

— მოგირჩა, მამიკო? — საწოლიდან თავი წამოჰყო ნაბოლარამ. პასუხის მოლოდინში განაბულმა უფროსებმაც გამოიჭყიტეს.

— დაიძინე, შვილო, მომირჩება, აბა რა ჯანდაბას იზამს!

აუჰ! ამისთანა არაფერი მინახავს.

კიდევ არ მორჩენია, ვაითუ ჩაეჭედოსო — დაიზაფრნენ პატარები და აბა, ამის შემდეგ, რაღა დააძინებდათ.

თეკლე მრავალმნიშვნელოვნად დუმდა და ჯიუტად განაგრძობდა საქმეს. გაბილამ ფეხები წამოსწია და კედელზე მიაწყო. ტკივილისაგან შეწუხებული მალიმალ იკვნეტდა ქვედა ტუჩს. გავიდა ნახევარი საათი, ჩვეულებისამებრ, ნაწლავი უკვე უნდა დაბრუნებოდა თავის პირვანდელ საბუდარს.

— რას შვრება, არ ჩადის? — იკითხა მოლოდინით გაბეზრებულმა თეკლემ.

— თავს იკავებს, მამაძაღლი! — ცალყბად გაუღიმა გაბილამ.

— ხომ არ გვევახშმა, კვნესას მერეც მოასწრებ, გაცივდა ყველაფერი.

— მე რას მიყურებ, ნავახშმი ვარ, აქეთობას ამბაკოსას შევიარე, — იცრუა გაბილამ. აბა ცოლს ხომ ვერ ეტყოდა, რა მევახშმება, წამხდარი ვარ კაციო.

— მაშინ, ავალაგებ, — თქვა თეკლემ. ყურადღებით მიშტერებულ მის თვალებში გაბილამ შიში ამოიკითხა.

„მგონი, მართლა ცუდადაა საქმეო", გაიფიქრა და თავი ექიმებით გარშემორტყმულ საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილი წარმოიდგინა: აი, საჯაროდ გაატიტვლეს, ჩართეს თავზე გადმომხობილი უჩრდილავი ნათურა, გაუკავეს ხელ-ფეხი და დაარჭვეს ნემსი. აი, უახლოვდება პირხმელი დასტაქარი. აკანკალებულ ხელში პარპალა ნესტარი უპყრია, დაუსვამს, საცაა... გაბილას ნერვიულად შეაჟრჟოლა და ცივი ოფლით დაცვარული შუბლიდან, მტან-

ჯელი ზმანება ხელის მძიმე გადასმით მოიშორა.

— ცოტა ხნით გულიკოსას გადავალ, — თვალი აარიდა თეკლემ.

მის არსებაში შიში, აღშფოთება და სიბრალული ერთად მომძლავრებულიყო და, ცოტა არ იყოს, დაბნეული გამოიყურებოდა.

— წადი. ნუ იცი ყველაფერზე პანიკის ატეხა, ცოტაც და, ჩავა, ალბათ.

— მომკლავ მე შენ, მომკლავ! — აღშფოთება ვეღარ დამალა თეკლემ და თვალები ცრემლებით აევსო.

— კარგი, ახლა, გოგო, წინასწარ პანაშვიდს ნუ მიმართავ.

თეკლემ თვალები შეიმშრალა.

— წადი, ჩემო ლამპარო, წადი.

— გულიკო გადმოვიყვანო?

— შემიყარე, ახლა ხალხი! ჩემი გაჭირვება არ მეყოფა?

— ახა, რა ვქნა, მე ხასიყვდილემ, რაი!

— რა უნდა ქნა, ხომ გითხარი ჭართულად, ჩავა-მეთქი!

— ვაუას გავაგზავნი აპალოსას.., ვინიცობაა დაგვჭირდეს... — თავისას არ იშლიდა თეკლე.

აპალოს ხსენებაზე კვლავ ცივი ოფლი დაასხა გაბილას.

— მომწყდი, გოგო, თავიდან! ნუ გადამრევ, ახლა, ნუ! — დაიღრიალა და მეუღლეს მუთაქა მოუღერა.

გარეთ ძაღლი წკმუტუნებდა. „მგონი უმუის, ეს უპატრონო," ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი გაბილა და ეს ცუდის მაუწყებელი ნიშანი ცეცხლზე ნავთს უსხამდა. უკვე ისე იყო შიშისაგან წამხდარი, მართლაც ცუდად ჰქონდა საქმე და გულში კიდევაც ნატრობდა: ნეტავი თეკლემ მართლა გაგზავნოს ვაუა აპალოს მოსაყვანადო.

ბავშვებს არ ეძინათ. ან კი რა დააძინებდათ, გალურსულები იწვნენ თავ-თავიანთ საწოლებში. დაეკუტათ თვალები, გაეფიცხებინათ სმენა, მეტისმეტი მონდომებისგან პირი ღია დარჩენოდა სამთავეს. თითქოს არც სუნთქავდნენ: „ვაი, მამიკო ცუდად გვყავს! ვაითუ, მოგვიკვდეს, ჩვენი ხაყვარელი მამიკო... ღმერთო, უშველე ჩვენს მამიკოს! ღმერთო, უშველე! ღმერთო, უშველე! უშველე! უშველე!..." წარამარა გულში იმეორებდნენ თავზარდამცემი მოლოდინით დაზაფრულები.

მალე თეკლე დაბრუნდა გულიკოს თანხლებით. ენაწყლიანი შეზობლის დანახვისას, როგორლაც გულზე მოეფონა გაბილას. საწოლზე წამოჯდა და მორცხვი ღიმილით ძუნწად აელვარებული ხახე შემოსულებს აარიდა.

— ჩავიდა, თუ?! — ხახე გამოედარა თეკლესაც.

გაბილამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და კიდევ უფრო მოეძალა ღიმილი.

— რას იჯღანები, რომ იჯღანები, თუ იცი!

— მომართა თავისი ნაქები ენა გულიკოს.

— ამხელა კაცს როგორ არ უნდა გრცხვენოდეს! საოცარია, მაინც, ვის დაემსგავსე ასეთი ბედოვლათი და ნაცარქექია. პაპაშენი იყო და, იმის შიშით ამხელა ხოფელში აუგი ერთხელაც არ ქნილა, — დედიმისის შვილები იყვნენ და გაბედავდნენ... ცხონებული მამაშენი იყო და, თვე არ გავა, მისი გმირობის ამბავით არ გამოგვიჭედონ უურები — თუ კრებებზე და თუ რადიოთი... რას ბგავს მაგი, გათხლაშულხარ მთხლეხავით ამხელა კაცი და ზაფრავ ოჯახს!

— ტუვიის არც მე მეშინია, ბატონო! — თავი გამოიდო თავმოყვარეობაშელახულმა გაბილამ.

— ახა, ოპერაციის გეშინია და ტუვიის არა?! — გაიკვირვა გულიკო დეიდამ. — გადამრევს ეს კაცი!

— ხო, ბატონო, ასეა და, რას იზამ!

— ხმლის თუ გეშინია.

— არც ხმლის!

— ახა ლანცეტმა შეგაშინა, შე დოყლაპია?! კაი, ბატონო, რახან ასეა, ხვალვე ავალ ბეჟანი თავართქილაძისას, გამოვართმევ ხმალს, ჩემი ხელით ჩავუტან აპალონა ექიმს ბალინცაში და შევეხვეწები, ოპერაცია იმით გაგიკეთოს. ახა დედიმისის შვილია და გამაწბილოს!

ყველას გაეცინა. ბავშვებიც კი შვებით შეტრიალდნენ. იფიქრეს, რახან უფროსები იცინიან, ალბათ, ყველაფერი კეთილად დამთავრდაო.

— ახა, მართლა, რაია, შე კაცო, ოთხმოცი წლის კახიანემ გეიკეთა მაგის ოპერაცია, ჩირივით იყო გამოფშიკინებული, შენ კი ახე რამ დაგაძაბუნა აი, ვაუკაცი კაცი!. — გაახა და გაახა. მოყავდა უამრავი მაგალითი. უმტკიცებდა, აგულიანებდა. უძილობით გატანჯულ ბავშვებს ამასობაში ჩაეძინათ კიდეც.

ცოტა არ ყოს, რცხვენოდა გაბილას, მართლაც ლაჩარი ხომ არ ვარო, ფიქრობდა. ამ ლაპარაკში ტკივილმაც შეუკლო და ეჩვენებოდა, თითქოს, მზადაც იყო ოპერაციის გასაკეთებლად. ვნახოთო, ამოიხვნეშა ბოლოს და მაშინვე, ეს რა ვთქვიო, ცივმა ოფლმა დაასხა. არა, ნამდვილად არ შეეძლო ოპერაციის გაკეთება. ამას ყველანი მიხვდნენ.

— მახე, ხო, შე კაცო! იფიქრე, პატარა ხომ არ ხარ! — თითქოს არაფერი შეემჩნიოს, ისე თქვა გულიკომ. — წავედი ახლა, ბერიკაცი მთვრალი დაბრუნდა. მეშინია, არ მიქნას ხაშინელი, ცეცხლში არ ჩავარდეს... ახა, კარგად იყავით! გაბილა, არ შეგეშინდეს, დედა! — — გულიკო წავიდა. „ტყუილად არ ვიუბედე ამდენი? — ფიქრობდა გულში. — ვაი, შვი

თამაზ ჩიგოგიძე
ბურუსი მდელოზე

ლო, რაფერ დაასხა ოფლმა?!“ დარდით გული ეწვოდა ქალს.

ჩაჯრეს შუქი და დაწვნენ. სიბნელემ უიმედო ფიქრები წამოშალა და უზომოდ გაწელა. საქმე სახუმაროდ არ იყო. რული არ ეკარებოდა არც ერთს. გაბილა წარამარა იცვლიდა გვერდს, კვნესოდა. იმდენად ტკივილი არ აწუხებდა, რამდენადაც ნერვიული მოუთმენლობა. ეს მოუთმენლობა ზოგჯერ ისე აიტაცებდა, ფიქრობდა, საცაა გული წამივა და გავთავდებიო. რამდენჯერ გადაწიწმატებული და გაფითრებული წამოჯდა სულის მოსათქმელად. რა პოზა არ მიიღო, მაგრამ გაჯიუტებული ნაწლავი არა და არ უბრუნდებოდა სიბუდარს.

ქმრის განწყობილება ცოლსაც გადასდებოდა. ისიც მოუთმენლად წრიალებდა და წარამარა იცვლიდა გვერდს. ზოგჯერ გაბილა გაყუჩდებოდა და იმედმოცემული თეკლე მყის იკითხავდა: „ჩავიდა, თუ?...“ პირველი საათი იქნებოდა ძილმა რომ მიუხუჭა თვალი.

გაბილა ერთბანს კიდევ ებრძოდა კოშმარულ ღამეს. მერე ნაწვალებ და გასავათებულ სხეულში მისდა უნებურად საამო მოთენთილობა შეეპარა და ტკბილად ჩაეძინა...

ჩვეულებრივ, ალიონზე გამოელვიძა გაბილას. ამომავალ მზეს ვარდისფრად შეეღება შავგორას უნაგირა მწვერვალი. თავად, „მისი უდიდებულესობა“, ჯერ კიდევ არ ჩანდა. გაბილას წუხანდელი სატკივარი გაახსენდა. შიშით და მოლოდინით აკანკალებული ხელი ნელ ნელა გააპარა იქითკენ... გუმანს არ უმტყუნია... ახლა ლოგინში რაღა გაჩერებდა და სიხარულით ატანილი, მხნე, ენერგიული მოძრაობით წამოდგა. ფეხი უნებურად ჯორკოზე მოუხვდა. ბრაგვანზე გამოელვიძა ჯალაბს.

—რა ქნა, ჩავიდა?! — იკითხა თეკლემ და სიხარულით გაბრწყინებული თვალები მეუღლეს, დააცეცა.

— ჩავიდა, კვდარძაღლი! — გამარჯვებულის ზვიადი კილოთი თქვა გაბილამ.

— ვაი, შე საცოდავო!

— ვაშა ა ა, ჩასულაა! — იგრიალეს სიხარულით აღტაცებულმა ბავშვებმა, წამოცვივდნენ საწოლებზე და ატეხეს ერთი ხტუნვა და ტრიალი.

— ვაშაა!! ვაშაა! ჩასულა!! — აღტყინებამ თეკლესაც გადაედო. ისიც წამოხტა ვაშაზე ძალ ხილით. კოხტად აიწლაწნა გრძელ, ვარდისფერ საღამურში, ააფრიალა მძიმე და გრძელი დალალები და ანცობაში ბავშვებსაც კი გადაამეტა. იდგა ერთი ღრიანცელი და ბედნიერი წიოკი.

გაბილას პატარა სახლი ამა ამდენ სიხარულს როგორ შეიფარებდა და ბედნიერების ზღვაური უბოდიშოდ მიიგრაგნებოდა კიტოულას კოხტად ჩარიგებულ ფერდობებზე.

გზაზე ალექსანდრე ნოკარი მიცუხცუხებდა თავის კანტურით. ხმაურზე შედგა. მიაყურადა რაშია საქმეო. ერთბანს უიმედოდ იქექა ქეჩო. მერე, თითქოს რაღაც იაზრა, შუბლზე იტკიცა ხელი: „აააა... გუშინ ლატარიის გათამაშება იყო, ეტყობა, რაღაც მოიგეს მაგ საცოდავებმა“, მერე, რაკი ნაფიქრალი ჭკუაში დაუჯდა და ხმაურიც თანდათან ძლიერდებოდა, ხელად აღვირი გაექცა:

„რა იცი, ეშმაკს არ სძინავს. იქნებ „ვოლგასაც გამოჰკრეს ხელი“, შურით შეუტოკდა ნამცეცა გული. თავის გამონაგონში ლამის დაჯერებულმა ხელის კანკალით შეაღო გაბილას ეზოს ჭიშკარი.

ათია გუჯაბიძე თავისი კომფორტული საპირფარეშოდან გამოდიოდა. შუბლი შეეჭმუხვნოდა რაღაც კომბინაციაზე ფიქრით. ხმაური რომ შემოესმა, უცებ გამოერკვა, წამოსწია ჩაქინდრული თავი და მიაყურადა. ცალი ხელით კარის ოქროსფერი სახელური ეჭირა

კარგა ხანს იდგა ასე ათია გუჯაბიძე და რაღაც შორეულს, მივიწყებულსა და ძვირფასს უღიმოდა. ბოლოს, ეეხო! მძიმედ ამოიხვნეშა მოჭარბებული გრძნობისაგან თვალებზე ცრემლმომდგარმა: „ — ეხ! იმ მამაძაღლებს, ალბათ, კიდევ ჩემი შურთ,“ ჩაიბურტყუნა თავისთვის და ამ სიტყვებში მართლაც იყო რაღაც სიმართლის მაგვარი.

ქვეშ-ქვეშად, თავისთვის ჩაღიმილებულიყო შავგორას უნაგირზე წამოსკუპებული ღვთის თვალი. აგორებული ტალახის გროვა აეტაცებინა მარადიულ ბურუსთა ქროლვას. არავინ იყო მისი გულშემატკივარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული

ვდგავარ მაღლობზე, — მდინარე თეთრი —
ულვა მიწაზე დაცემული და გარინდული
ირწევა ჩემს წინ.

გაზაფხული აცოცებულა
ყოველ ხეზე და
აზამხამებს ნემსის ყუნწში გასაძვრენ თვალებს
მირიადზე მირიადი ჭიამაია, —
კვირტი, ბუნების უნაზესი სული და სუნთქვა.

მიწა ლბილია და თბილია,
ნაწვიმარზე ორთქლი სდის მიწას.
მლვრიე, მუქ-ლურჯი და მორჩილი
სინათლე დადის
ცა-ხმელეთს შორის,
თაფლივით წვეთავს ეს სინათლე
თვალსაწიერზე
და უზენაესს ეჩურჩულება
ველის ნიავი.

●

ვიღაც მიდის შარაგზაზე,
ნათელს მიატკაცუნებს.
მთებს და ველებს ალამაზებს,
ჩინჩხლებს აყრის ავსულებს.

მისი მზერა მზედ ენთება,
ლაღად მიიღიმება
და სიცოცხლე იღვენთება
სიმებად და მძივებად.

ვედრება დილის წინ

ისევ ამოდის განთიადის მახარობელი;
ქედებზე შუქი ილანდება მოოქროვილი,
სივრცეში კვლავაც სინათლე მძლეობს.
უცნობ წიაღებს მზერა ადგას შეუხებელის.
იდუმალებით დაბურული გზა გამოვლილი
მზე მოდის, მზეობს...

მამყოფე მშვიდად, ამ ერთ დღესაც მამყოფე მშვიდად,
აღარ დამიხშო საცნობელის გზა და საცქერალი,
გამომავლინე შენს სიწრფელეში...
კვლავ გამინათე უხილავო, — მარადის წმინდა
შენი სავანე, — სიყვარულის თეთრი მწვერვალი
უპირველესი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს დედამიწა სავსეა შუქით,
ეს დედამიწა სავსეა ფერით.
უძიროდ ღრმაა ლაჟვარდის ფსკერი.

სივრცე თავს უყრის ყველა სიკეთეს,
სივრცე განაგებს ყველა სიავეს
და იდუმალი უსიტყვოდ მღერის.

ბარათაშვილის სიდთან

ეს ნათურები რძისფერ სინათლეს
ღვრიან და ღვრიან დაუზოგავად.
მიმოდის ღამე სიბნელით მთვრალი.
მტკვარი სხივების გორგალს მიათრევს
შავი ლანდების შესათოკავად,
მიედინება მდუმარე მტკვარი.

თეთრ აქლემებზე სხედან ნისლები,
აზიისაკენ მიირწევიან.
ქარი აწვალებს ფოთლებს მიმოშლილს.
გათანგულია ძველი სიზმრებით
გაუხუნარი ღრუბლის ფერია —
მოჩვენებები სანაპიროსი.

ორი თევზი

ოკეანეში, მზით გავარვარებულ
ოკეანეში,
სანაპიროს გაყოლებით, ნაპირთან
ახლოს
ნებივრად მიცურავს ორი თევზი, —
ორი თევზი — ქალი და კაცი,
ცოლი და ქმარი,
ორი თევზი მიცურავს ნელა.
ირგვლივ უამრავი თევზი ირევა;
დიდნი, მცირენი,
ბებრები და ახალგაზრდები...
პატარ-პატარა ლიფსიტები
დაციგლიგებენ.
ღვივის ადუღებული პლაზმა,
ლღვება ასფალტი,
იწვის ქვეყანა.
გვიან შეხვდნენ ერთმანეთს;
პირველი ვნების სულსწრაფობა,
ლიფსიტობის ჟამის შეცდომა,
სამაისო ნეტარება
განვლეს ცალცალკე.
ქალის გულში ზაფხულის მზის ქვეშ
გაწოლილი ოკეანის სიგრილე სუფევს.
მიჰყვებიან ხეივნის ჩრდილებს:
იმ ადგილს როცა მიაღწევენ,
სადაც ქალი
ღამის აკრძალულ პაემნებში
ვნებით თვრებოდა, —
კაცს წინ გაუსწრებს
და ფარფლებით ნაზად გაეგლასუნება
ბნელ დარანებს,
მიუალერსებს ნექტრიან ლეყეჟს,
ლამსა და ქვიშას...
გარეგნულად არაფერს იმჩნევს...
კაცი მაინც გრძნობს ყველაფერს,
კაცი მაინც ყველაფერს ხვდება.
გვიან შეხვდნენ ერთმანეთს;
როდესაც კაცი
მარტოობით იყო დაღლილი
და ქალსაც უკვე მოსწყენოდა
ქუჩების ზომვა, —
შარვლიანი სწორი წვივების
დემონსტრაცია...
გვიან შეხვდნენ ერთმანეთს.
თუმცა ადრე შეხვედრა
რას მოიტანდა სასიკეთოს?!
მაშინ უფრო გვიან მოხდებოდა იგი,
რაც ადრე მოხდა
და ღალატი დაერქმეოდა იმას,
რასაც ახლა შეცდომა ჰქვია.
იწვის ქვეყანა,
გავარვარებული პლაზმა
ებჯინება დედამიწას,
ლღვება ასფალტი.
პლანეტის სუნთქვას
ჟრჟოლა უვლის გარდასახვათა,
ჩვეულებათა მსხვრევის ტკაცანი
ისმის სივრცეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ბეგიაშვილი

●

შევისვენებდი, როცა მეგონა,
უფრო დააწვა კისერს ჭაპანი,
როცა ვითვლიდი ძმას და მეგობარს,
იღბალს დუელში მარტო გავყავდი.

როცა მეგონა, გაიდარებდა,
გზას მიკეტავდა მაშინ მეწყერი,
როცა მეგონა მტერი დამნებდა,
მაშინ გამექცა და ვერ ვეწევი.

შენ ჩემს სიზმრებში ამოთავთავდი,
ზეცა გამიხსენ თავდავიწყების,
როცა მეგონა, უკვე გავთავდი,
თურმე სიცოცხლეს მაშინ ვიწყებდი.

●

არ დაგავიწყდეს, ვეფხვი რომ ხარ
უდაბნოს ქარით, გარუჯული,
არ გაგეპაროს დროის სუნთქვა,
ბრჭყალებში გყავდეს ჩაბღუჯული.

ტევრში შეიყუჟე განაბული,
ახლა ნახტომი ამაოა,
როგორც კალმახი არაგვული
დრო თუ გაგვისხლტა, აღარ მოვა.

გქონდეს სიმშვიდე მონადირის
და თავთან გედოს სატევარი,
არ დაგეკარგოს შნო ქადილის,
ფეხზე დახვედრა სატკივარის.

არ დაგავიწყდეს, ვეფხვი რომ ხარ
უდაბნოს ქარით გარუჯული,
არ გაგეპაროს დროის სუნთქვა,
ბრჭყალებში გყავდეს ჩაბღუჯული.

●

გათენდა ისე ნაუცბათევად,
ისე ანაზდად
ზეცას ვარსკვლავის შერჩა ნაბული,
ისე განაზდა ხმა ნაკადულის,
ალბათ, ჩემსავით ღამეს ათევდა.
აქ შორიახლოს რომ გოლიათობს
მთების ჩრდილია
ყალბი დიდება სხვისი ბეჭებით,
დაბეჭდილია დღე მზის ბეჭედით
ბნელთა და ჩრდილთა საფორიაქოდ.
. . . . . .
გათენდა ისე ნაუცბათევად.

●

ერთადერთიღა შენ ხარ იმედი,
ვით ჩადებული ბოთლში წერილი,
ჰკიდია კლდეებს სხივთა კიბეთი
მზე, დასალიერს გადაწვერილი.
ქურდის ნაბიჯით მოდის სიბნელე,
ავსებს ხეობას ფერი ღალატის,
როგორ დავიხსნი ტყვედქმნილ
სიმღერებს,
რა ბეგარათი, ან რა ღალათი.
განწირულია ლექსი უშენოდ,
ძელიცხოველთან ლოცვით მივედი,
ეგებ მოასწრო, ეგებ უშველო,
ერთადერთიღა შენ ხარ იმედი.

არსენა

მე დღეს ღალატით უნდა დავეცე,
სიმწრით ფხოჭნიან მიწას ლეკვები,
გავეშებული სიკვდილს დავეძებ
და ვიცი, სადმე გადავეყრები.
ბედისმწერალი ჩუმი, უტყვია,
მოვა წარსულის ფურცლად გადამშლის,
დღეს ვინმე ზურგში მომახლის ტყვიას,
ან გამიტყდება ხმალი ვადაში.
იმედმა მაინც არ მიმატოვა,
მოათამაშებს სივრცეს მერანი,
უნდა სახეზე შემოგატოვოთ
ბოლო მოქნევა და ნახელავი.
. . . . . .
მე დღეს ღალატით უნდა დავეცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ბაბუხადია

სურათი

ჩამუხლულიყო ჩრდილი გზის პირას,
გამოლეოდა მკლავებში ღონე,
გული წასვლოდა მზისფერ გვირილას
და საცოდავად ეკიდა ღობეს.

ირგვლივ სიჩუმე დაძრწოდა ცხელი,
ჭრიჭინობელა ჭინჭყლობდა მხოლოდ,
არ ეტყობოდა ყანას მარჯვენი —
ნადს დაეძებდა კაცი უხელო.

ხმელო ფოთლებო

აჭრელებული კალთა,
გარემოს უჩანს შიშველი,
ჯერი დამდგარა ქართა,
ახლა ვერავინ გიშველით

ხმელო ფოთლებო! მაგრამ
ბედნიერნი ხართ მაინც,
ლამაზები ხართ რადგან
ცოცხალნიცა და მკვდარნიც.

სოფელში

ჭაღარა დედა ჩვენი მერცხალას
უკვე მეშვიდე თაობას წველის,
რომ გაეხსენა, ბევრი ეწვალა
მამა, ამ კაკლის გადმორგვის წელი.

და მოხუცების ლოცვა-კითხვებში
წამომპარვოდა კიდეც ვახშმობა,
ნათამაშები სოფლის ბიჭებში
ეზოს გადმოჭრის ჩემი ბავშვობა.

წინკარში მორცხვად აიტუზება,
დიდ სტუმარს შურით მიყურებს უფრო,
მაგრამ მყის მუხლზე დამისკუპდება,
როცა ნაცნობი სახელით ვუხმობ.

განცვიფრებული მშობლები დუმან,
ალბათ, ორთავე თავისთვის ფიქრობს:
გაუმასპინძლდნენ სანატრელ სტუმარს,
თუ მოეფერონ საყვარელ პირმშოს.

●

ჩემი სარკმლიდან კვლავაც მოჩანს
ლურჯი სიმწვანე...
ხვალ ყვავილების ზეიმი ყოფილა!
ო, რა თქმა უნდა,
უეჭველად უნდა წამოვდგე
და შარშანდელი ვარდების ნაცვლად

ბეთანიის გვირილები უნდა ვიყიდოთ...
და სათითაოდ სანთლებივით უნდა
ჩავუთქვა,
რომ მომავალი გაზაფხულის
იებს მოვესწრო!

●

კვლავაც ამტკივდა ძველი იარა,
ამჯერად მგონი ყველაზე უფრო —
რწმენა ცეცხლივით ამიბრიალდა,
რომ ამ ხნის ლოდინს ძილი
დავუფრთხო.

მე ვინატრებდი სულ სხვა სანახავს
(თუმც სინამდვილეს არაფერს ვერჩი),
მაგრამ ვაიმე, მაშინ რაღა ვქნა,
შიშველი სული რომ შემრჩეს ხელში!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინ სიმონოვი

დღიურიდან

1945 წლის 30 აპრილი. გერმანელი ტყვე, პოლკოვნიკი, კორპუსის ინტენდანტი, დაკითხვაზე ასე პასუხობს:

„ახლა ჩემთვის სულ ერთია, ვიცოცხლებ თუ მოვკვდები. დაჭრილი ვიყავი, ტყვედ რომ ჩავვარდი. განადგურებული ვარ არა იმით, რომ ტყვეობაში ვიმყოფები, არამედ იმით, რომ ბრძოლის ველზე გერმანია დამარცხდა. თუ მხნეობა ოდნავ შემრჩება, სურვილი მაქვს, ვიცოცხლო იმის გამო, რომ ტყვედ ჩამიგდო ისეთმა არმიამ, რომელმაც უძლიერეს არმიაზე, გერმანელთა არმიაზე გაიმარჯვა. გერმანელები თავს სასტიკად იცავდნენ. ჩემი პირადი მაგალითით შემიძლია ვთქვა რომ ჩვენ, ყველანი, ჩვენი დივიზიის ჯარისკაცები, საბჭოთა ჯარის ბერლინთან მოახლოებისას თავგანწირულად ვიბრძოდით. გერმანელები თქვენთვის უძლიერესი მოწინააღმდეგენი იყვნენ. ვის შეეძლო მის ჯართან მეტოქეობა?! ვინ გაუტოლდებოდა?! გერმანელთა ჯარი იყო ზედმიწევნით გაწვრთნილი, საბრძოლო ტექნიკით უაღრესად აღჭურვილი ხალმარი მანქანა, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვებოდა“.

საათ-ნახევარში ბერლინს მივაღწიეთ, მის სამხრეთ უბანს. ცენტრთან მისვლა გვინდოდა, მაგრამ კარგად არ ვიცოდით, რომელ არმიას გავყოლოდით. ამის გასაგებად ბევრი დრო დავკარგეთ. ფრონტზე ასე ხდება.

პირველად მოვხვდით გენერალ ლუჩინსკის არმიაში, მაგრამ მასთან არ დავრჩი, რადგან ეს არმია მის მიერ დაკავებულ ქალაქის კვარტლებს აბარებდა მარჯვნივ მყოფ ჩვენს ჯარს, თავად კი სხვა მხარეს მიეშურებოდა.

მერე ტანკისტებს გადავეყარეთ და შემთხვევით მესამე სატანკო ლაშქრის სარდალ, გენერალ რიბალკოსთან აღმოვჩნდით. ორი განადგურებული ქუჩის ჯვარედინზე იდგა „ვილისი“ გვერდით კი მიდიოდა ლიუკაბდილი ტანკები. რიბალკო „ვილისის“ ბამპერზე იჯდა, ზურგით რადიატორს მიყრდნობილი და მიმავალ ტანკებს გასცქეროდა.

გაზაფხულის თბილი, ამინდისათვის შეუფერებელი ზამთრის ტანისამოსი ეცვა — ტყაპუჭი. ავადმყოფობა ეტყობოდა. მისი ფერგამკრთალი სახე ტკივილს არ იმჩნევდა. კრიჭაშეკრული ძლივს ლაპარაკობდა. ვუთხარი, თქვენს არმიაში დარჩენა მინდა-მეთქი:

— რომელ ნაწილს გავყვეთ, რომ ბერლინის ცენტრთან ახლოს აღმოვჩნდეთ?

— არც ერთს, — თქვა მან. — ბერლინი ჩვენს ყურადღებას არ საჭიროებს. ადგილს ვიცვლით. საით? ბევრის ცოდნა მალე დაგაბერებთ. ჩვენთან თავის დროზე გაერკვევით.

— ჩვენთვის საჭიროა ბერლინში ყოფნა.

მზრები აიჩეჩა და უკვე ყურადღებას აღარ გვაქცევდა, თავის ხელქვეითებს მიუბრუნდა. იმ წუთში ვერ მივხვდი, რომ თვითონ მას უნდოდა ბერლინში დარჩენა და ფაშისტების განადგურება. მაშინ ვერ წარმოგვედგინა, რომ რაღაც ერთი კვირის შემდეგ ჩვენთან კრიჭაშეკრულად მოლაპარაკე გენერლის ტანკები პირველნი შეიჭრებოდნენ პრაღის ქუჩებში. ეს რომ გვცოდნოდა, ალბათ, მასთან დავრჩებოდით.

გარემოებაში ვერ ვერკვევოდით, ნაწილიდან ნაწილში, ბერლინის ერთი რაიონიდან მეორეში გადავდიოდით. გავწვალდით მთელი დღე და მთელი ღამე ბერლინის ნაკლებად საინტერესო პუნქტებში ხეტიალით, ბოლოს ჩუიკოვის არმიაში მოვხვდით.

უკანასკნელი იშვიათი შეტაკებები გრძელდებოდა ცალკეულ ნაწილებთან, რომლებსაც კაპიტულაციაზე ჯერ არაფერი სმენოდათ და ესესელთა ჯგუფებთან, რომლებიც ბრძანებას არ დაემორჩილნენ. თავს ვიწყევლიდით, რომ მოლაპარაკებას კაპიტულაციის შესახებ ვერ დავესწარით.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მე, საერთოდ, ვერ შევესწარი იმას, რასაც ბერლინის შტურმს უწოდებენ. ვნახე მხოლოდ ამ შტურმის უკანასკნელი თქაფუნი, ფაშიზმის არა სიკვდილისწინა, არამედ სიკვდილშემდგომი კრუნჩხვა.

საღამო ახლოვდება. მივადექით ზოპარ-

კის გამონგრეულ კედელს. საქალაქო რკინიგზის ეხტაკადა. ეხტაკადასთან ბევრი გვამია მიყრილ-მოყრილი, ზოგი პირაღმა, ზოგი პირჩაღმა. ქვაფენილი მოთხვრილია სისხლით. აქ ესესელთა მცირერიცხოვან რაზმს უბრძოლია. ეხტაკადასთან ორი დამტვრეული ტყვიამფრქვევია, თხუთმეტიოდე გვამი, მათ შორის ორი ქალი ესესელთა ფორმაში. და როგორც ყოველთვის, როდესაც ომში დახოცილ ქალებს ვნახავდი, ახლაც, ყველაფრის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ესესელთა მუნდირი ეცვათ, რაღაც განსაკუთრებული ძრწოლისა და სიბრალულის გრძნობამ შემიპყრო.

გადავდივართ ზოოპარკის ზღუდის ნანგრევებს და შევდივართ სპილოთა სადგომში, რომლის უმეტესი ნაწილი ბომბებს დაუნგრევია. ერთადერთ გადარჩენილ სექტორში დადის მოწყენილი, დამშეული სპილო. მშიერიაო, მითხრა დარაჯმა, მოხუცმა გერმანელმა, რომელიც ცოლთან ერთად იყო ზოოპარკში. როცა დარაჯს გავეხაუბრე დამახინჯებულ გერმანულ ენაზე, მაშინვე საკვები მთხოვა თავისი ცხოველებისათვის, მერე ზოოპარკის დათვალიერება შემომთავაზა:

— თუმცა მცირე რამ დაგვრჩა.

მოხუცი წინ მიდის, ჩვენ მივყვებით, გვიჩვენებს ზოოპარკს მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ბილიკებზე გერმანელთა გვამებია. ბაღის მერხზე ჩვენი ჯარისკაცის გვამია. თავზე ფარაჯა ახურავს.

მოხუცი გვამებს ყურადღებას არ აქცევს, ზოოპარკში დაგვატარებს და მხოლოდ პირუტყვებზე გველაპარაკება. ეს ძალიან გვაოცებს.

ბოლოს მივადექით ბეჰემოთების აუზს, რომლის უკან ცემენტის კლდეა აღმართული. ერთი ბეჰემოთი კლდეზე წევს და მძიმედ სუნთქავს. მეორე კი მოკლული, წყალში ტივტივებს. გვერდში ნაღმის სტაბილიზატორი გასჩხერია, რომელსაც ბეჰემოთი მოუკლავს, მაგრამ არ აფეთქებულა. ვუცქერი ბეჰემოთის გვერდში ჩარჩენილ სტაბილიზატორს და ვფიქრობ, ვინმეს რომ ვუამბო ეს, არავინ დამიჯერებს-მეთქი. მეორე ბეჰემოთი წყალში ჩაეშვება და ცურავს, მკვდარს არ უახლოვდება, თითქოს იცის, რომ მისვლა საშიშია.

მაიმუნების ვოლიერი. რამდენიმე ჩვენი ჯარისკაცი ქვაბულის ნაპირზე დგას, სადაც მაიმუნები დარბიან. ჯარისკაცებს დაღლილობა ეტყობათ, გაჭუჭყიანებული არიან, მაგრამ დაინტერესებულნი მაინც დგანან, მაიმუნებს თვალს არ აშორებენ. მერე ერთი ჯარისკაცი პარაპეტზე გადაფოფხდება და მოულოდნელად პატარა მაიმუნს დაიჭერს. იგი კბენს და მგონია, რომ ჯარისკაცი მაიმუნს ახლავე მოკლავს, მაგრამ არ კლავს, იცინის, „იკბინეო!“ ამბობს გაკვირვებით და სიამოვნებით, როგორც ცოცხალ არსებაზე, რომელმაც რაღაც სასიამოვნო და ომისგან შორეული მოგონა. მერე გადაისვრის პატარა მაიუნს, პარაპეტზე უკანვე გადმოდის, დაღლილი ხელივანს მიმყვება და მერხზე დასაძინებლად წვება.

მოხუც გერმანელთან ერთად აგურით ნაგებ პატარა სახლს მივადგებით. კარს გააღებს და ამბობს:

— ესეც სამაიმუნეა და აქ გვყავს ევროპაში ყველაზე დიდი გორილა და შიმპანზე. შევყვებით გერმანელს პატარა სახლში, რომელიც შუა ადგილას გადატიხრულია სქელი გისოსით, ამ გისოსის უკან შემაღლებაა, ზედ უზარმაზარი გორილა და ძალიან დიდი შიმპანზე გაშოტილა. ბეტონის საფეხურთან, რომლის ზევით გისოსი იწყება, ორი ესესელის გვამია. მესამე, ცოტა მოშორებით, გაშეშებული ზის, ზურგით საფეხურს მიყრდნობია და მუხლებზე ავტომატი უდევს. ჩანს, სამივემ აქ მოირბინა და ვიღაცამ ერთი ჯერის გასროლით მოუსწრაფათ სიცოცხლე. სამი ესესელის უკან, მათგან ერთი მეტრით მაღლა, თავიანთ გალიებში დახოცილი გორილა და შიმპანზე მოსჩანს. მათი ფერშეცვლილი სისხლი ბეტონიდან ძირს მიედინება. დარაჯი ჩვენს გვერდით კართან დგას მდუმარე, ეტყობა, ძალიან დარდობს მაიმუნების დახოცვას, ბებრულად თავს აქნევს.

ყველაფერი ეს არაჩვეულებრივი თვალით აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, არა როგორც სიმბოლური, არამედ როგორც ზღვარი დაბეჩავებულობისა: დახოცილი მაიმუნები, მკვდარი ესესელები. ამ პატარა სახლს არც ფანჯრები, არც გალიები არ ჰქონდა.

შევდივართ მიწისზემოთა ბეტონის ბუნკერებში. ბეტონის უზარმაზარი შენობაა, ელევატორის მსგავსი. ზედა სართულებზე ფანჯრებია, რომლებსაც უზარმაზარი ლითონის დარაბები აქვს, დაბლა რკინის კარია ჩასმული. სახურავის ნაცვლად გასაოცარი სიხქის ბეტონის მთლიანი ფილა ადევს. ამბობენ, რომ ამ ფილაზე დგას ან იდგა საზენიტო ქვემეხები. არ ვიცი, ესეა თუ არა, დაბლიდან არა ჩანს.

ბუნკერის შიგნით, როგორც ამბობენ, სამაერო თავდაცვის შტაბი იყო მოთავსებული, და, ამას გარდა, ესესელთა რომელიღაც ნაწილის შტაბი.

რკინის კარიდან შევდივართ. ჩვენკენ ტყვეები მოჰყავთ. ბადრაგის უმცროსი ლეიტენანტი ამბობს, მეოთხე სართულზე გერმანელ გენერალს თავი მოუკლავსო. როდესაც შენობას ჩხრეკდნენ, დაკეტილი კარი შეხვდათ. მტვრევა დაუწყეს და ამასობაში გენერალმა თავის მოკვლა მოასწრო.

ავდივარ მეოთხე სართულზე. ელექტროსადგური ან აფეთქებულია ან გამორთული. მივდივართ ჯიბის ფარნებით დერეფანში, რომ-

ლის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა ოთახებია, სადაც სამაერო დამცველები და სხვადასხვა ჩინის ესესელები ორ-ორი ან სამ-სამნი ცხოვრობდნენ ყაზარმული წესით. კარი კედელში იღება, როგორც ვაგონში. გაუგებარია, კარს რატომ ამტვრევდნენ, როდესაც ჩვეულებრივი გრანატებით აფეთქებენ, ალბათ, აუცილებლად სურდათ, რომ გერმანელები ცოცხლად შეეპყროთ.

მაგიდა ერთი კუთხით კედელზე იყო მიდგმული, მეორეთი საწოლზე, მაგიდას წინ სკამი ედგა. სკამზე კიტელი ეკიდა განმასხვავებელი ნიშნებით. საწოლზე კარისკენ თავმიბრუნებული მკვდარი გენერალი იწვა, ტანადი, ორმოცდახუთი წლის კაცი, მოკლედ შეკრეჭილი თმით, ლამაზი, მშვიდი სახით, პარაბელუმს ჩაჭიდებული მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ ედო, მარცხენა მის გვერდით გაშოტილი ახალგაზრდა ქალის მხრებზე შემოეხვია. ქალი თვალდახუჭული იყო. ახალგაზრდა, ლამაზ ქალს თეთრი „კოფთა", მოკლესახელოებიანი პერანგი და ფორმის კაბა ეცვა, ჩექმებიან გენერალს კი სუფთა პერანგი და მკერდზე გახსნილი კიტელი. ფეხებს შუა შამპანურის დაუცლელი ბოთლი ედგა. უცბად მივხვდი, გენერალს ხომ კიტელი აცვია, მაშასადამე, მეორე სკამზე ჩამოკიდებული ესესელთა კიტელი ამ მკვდარ ქალს ეკუთვნის-მეთქი. ბერლინში ყოფნისას არასოდეს მშორდება სრული დაბეჩავებულობისა და ჩიხში მომწყვდეულობის განცდა.

რაიხსტაგი. საყოველთაო მოლოცვები. მიდიან და მიდიან ადამიანები. მდინარის მეორე მხარეს, ასორმოცდაათი მეტრის დაშორებით ტყვიამფრქვევებს კიდევ ისვრიან რომელიღაც ნაწილის გერმანელები.

გამარჯვების ხეივანი. დახოცილი ადამიანები. დამსხვრეული საზენიტო ქვემეხები. დამტვრეულ-დაჭეჭყილი საზენიტო არტილერია, გერმანელთა გადაბრუნებული საბარგო მანქანები ჩვენი თუ გერმანელების ტანკები.

შემდეგ კი საიმპერიო კანცელარიის სანახობა. გებელსის გვამსაც დაეძებენ. გვამი ერთხელ უკვე იპოვეს, მაგრამ მერე დაეჭვდნენ, ის არ არისო, და ახლა კვლავ ეძებენ. ჰიტლერის გვამსაც ეძებენ. უზარმაზარი შენობა ისეთი არქიტექტურული პროპორციებით არის განზრახ აგებული, რომ ადამიანს გუნება დაუმძიმოს. ზომათა საოცრებას, სიცარიელესა და ანფილადის უდიდეს სიგრძეს ევალებოდა, მთელი ყურადღება მიეპყრო ერთ ადამიანს, რომელიც უზარმაზარი კარებიდან გამოდიოდა.

ჰიტლერის კაბინეტი, ბომბით დანგრეული და ნამსხვრევებით ავსილია, მეზობელი ოთახებიდან ერთი ოთახი გადარჩენილა. ჯიღაც მეუბნება, — ეს ბორმანის კაბინეტია-მეთქი — ლება, ასეც იყოს.

ოთახი არ დანგრეულა, მაგრამ შიგ ყველაფერი არეულია. იატაკზე მიმოფანტულია რაღაც კვადრატული ქაღალდები. ერთს ავიღებ, გადავაბრუნებ. ეს ჰიტლერის ბიბლიოთეკის ექსლიბრისებია. დიდი ბიურო, რომელსაც ხის მოძრავი სახურავი აქვს, ღია არის, შიგ ქაღალდები ყრია. ამ ქაღალდებში ვპოულობ ორ ძველ ნახატს. ერთზეა გორაკში ჩათხრილი ბლინდაჟი წარწერით: „ლე გრეტტ 1917 წლის დეკემბრის დასაწყისი. ბრიგადის საკომანდო პუნქტი". ფიქრმა გამიელვა, ეს სურათი შეიძლება, თვითონ ჰიტლერის დახატულია-მეთქი. უფრო მგონია, რომ არა, მაგრამ შეიძლება ასეც იყოს. ჰიტლერი ხომ მხატვარი იყო, მაშინ საფრანგეთში, სადღაც ფრონტზე იმყოფებოდა.

სურათებს ჩემს ჩანთაში ვდებ, ვიღებ კიდევ ფოტოსურათს წარწერით: „ბრძოლა სპარტაკელებთან — მიუნხენი, 1919 წ. მაისი". დანომრილია ტუშით ოთხთვალაზე მსხდომი სამხედროები. მათ შორის არის რუდოლფ ჰესიც. იატაკზე ექსლიბრისების გარდა, ყრია ღია ბარათები. ოთხს ვიღებ და სამახსოვროდ ვინახავ. ესენი აქ რა საქმიროა. ალბათ, ამ ღია ბარათებს ავტოგრაფით საჩუქრად იყენებდნენ. სამ ღია ბარათზე გალიმებული ჰიტლერია პატარა გოგონებთან ერთად. მეოთხეზე — კომპიერი, ვაგონი, კვადრატული სახის მქონე კეიტელი მაგიდის მეორე მხარეს მყოფ გამხდარ ფრანგ გენერალს აჩერებს ქაღალდს — დროებითი ზავის პირობებს.

ოთახებს დავივლი. რამდენიმე შორეულ ოთახში უამრავი ორდენი და მედალია. ყუთები, კოლოფები, ლურჯი პატარა პაკეტები.. ერთი სიტყვით, იატაკზე კოჭებამდე ყრია ყველაფერი, რაც გინდა — რკინის ყუთებიდან დაწყებული დამთავრებული მედლებით „ხანძრის დაქრობისათვის". ყველაფერი ეს იმდენად ბევრია, რომ ერთ წამს გეგონება, ეს საიმპერიო კანცელარია კი არა, ორდენთა რომელიღაც ფაბრიკის უზარმაზარი საწყობია. გამონგრეული კედლიდან ეზოში გავდივარ. აქ გვამებია უკანასკნელი ესესელებისა, რომლებიც თავს იცავდნენ. ერთმანეთში არეული სანიტრები მიწის ქვეშ მოყოლილ დაჭრილებს დაეძებენ და გამოპყავთ. ძაბრისებრი ორმოებით დამახინჯებულ პატარა ეზოში ათასნაირ ნანგრევთა, ნამსხვრევთა, დალეწილ ხეთა შორის ბეტონის პატარა კოშკია და ჰიტლერის ჩასასვლელი მიწისქვეშეთში.

ვუცქეროდი ყოველივე ამას და ვფიქრობდი, რომ როდესმე ყველაფერი ეს ისტორიაში შეიძლება დიდებელი სახით წარმოგვიდგინონ-მეთქი, მაგრამ აქაურობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ხვდები, გერმანელები უკვე კი არ იბრძოდნენ, არამედ

ხავს ებღაუჭებოდნენ თავის გადასარჩენად. ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ, რა დაემართათ.

ფაშისტური ბელისუფლების გადაჭარბებული ცენტრალიზაცია ახლა, მისი დაღუპვის მომენტში, რაღაც უცნაურ ობსურდად ჩანდა. ფაშიზმის კრახში, ჩემ თვალწინ რომ მოხდა, იყო რაღაც მომაკვდინებელი საშინელება. ახლა ეს გრძნობა გაქრა. დღეს ყოველივე ამისგან რჩებოდა რაღაც არარაობის შეგრძნება. გერმანიამ ვერ შეინარჩუნა მესამე იმპერიის ყაჩაღური სიდიადის ვერც ერთი დეტალი. იგრძნობოდა, რომ ფაშისტები იმალებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ, აქეთ მოძვრებოდნენ, სადაც მათ ჭულეტდნენ, ისინი კი უფრო ღრმად და ღრმად იმარხებოდნენ, უკვე არაფრის იმედი არ გააჩნდათ, მერე იმედს ისევ ებღაუჭებოდნენ, რაღაც სასწაულს ელოდნენ და უფრო შეიწროებულნი იჭყლიტებოდნენ, უკვე ყველაფერი მხოლოდ მათ გარშემო კი არ ირია, არამედ მათ არსებაშიც გადაგვარდნენ, თავის თავს ვეღარ ცნობდნენ. მე არასოდეს ვეკუთვნოდი ისეთ ადამიანებს, რომლებსაც საჭიროდ მიაჩნდათ მტრის, თუ გინდ სასტიკი მოსისხლისაც, ღირსების დამცირება, მისი ძლიერების შეუფასებლობა, ან იმის უარყოფაც, რაც მას გააჩნია — ჭკუა ან მამაცობა, ან თავგანწირული გმირობა.

გავიხსენოთ ალყაშემორტყმული ტარნოპოლი. ტარნოპოლის მიწისქვეშეთებში, რომლებშიც ჩვენ შევიჭერით, ვნახე ასობით თუ ათასობით მძიმედ დაჭრილი, მომაკვდავი და მოკლული გერმანელი, რომლებიც ალყაშემორტყმულნი იყვნენ ერთ თვესა და ზუთ დღეს. წარმოვიდგინე ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, მე ვერ შევძელი ჩემს გულში არ დამეფასებინა მათი გმირობა და ტარნოპოლი ჩამრჩა მეხსიერებაში როგორც შავბნელი, მაგრამ თავისებურად ეპიკური სურათი.

მაგრამ ეს რაიხსკანცელარია, ეს უკანასკნელი გახვრეტილი შაურიანი, ეს უკანასკნელი სასიკვდილოდ განწირული ესესელები და უკვე მიწისქვეშეთში ჰიტლერისა და გებელსის სენაკები, აქვე, მათ ზევით ოთახები ავსებული რკინის ჯვრებით, რაც საკმარისი იქნებოდა, ომი კიდევ ხუთ წელიწადს გაგრძელებულიყო, აქვე ექსლიბრისები უკვე არარსებული ბიბლიოთეკისა და ნახევრად დამწვარი გვამები, რომელთა შორის ფიზიკური ნაკლის მიხედვით დაეძებენ ევროპის ყოფილ მბრძანებლებს.

სამი მაისი.

მტვრიანი, მზიანი დღეა. რამდენიმე ჩვენი არმია, რომლებმაც ბერლინი აიღეს, მის მიდამოებში მიეშურება სხვადასხვა მიმართულებით, ხაშინელ მტვერს აყენებენ. მოდიან ტანკები, თვითმავლები, „კატიუშები", ათასობით ხაბარგო მანქანა, ქვემეხები, მძიმე და მსუბუქი ტანსაწინააღმდეგო ზარბაზნები, მიდიან ქვეითნი, მიიზლაზნება უთვალავი აღალი. ყველაფერი მოძრაობს და ქალაქში შემოდის ყოველ [illegible]. გაოგნებული მცხოვრებლები განადგურებულ ქუჩებში, გზაჯვარედინებზე, სახლების ფანჯრებიდან გულდამძიმებულნი უცქერენ ყოველივე ამას, მოძრავს, ახმაურებულს, უამრავი ადამიანის შეუწყვეტელ დინებას, თვითონ მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბერლინში შედიან არა მხოლოდ დივიზიები და კორპუსები, არამედ მის წიაღში ახლა ყოველი მიმართულებით მთელი რუსეთი შემოდის. მისკენ მოღოღავს ტყვეთა გროვა. ქუჩაში ტევა არაა.

ვილჰელმ პირველის უზარმაზარ, უშნო ძეგლთან ფოტოსურათების გადასაღებად ჯარისკაცები და ოფიცრები ჯგუფ-ჯგუფად დგებიან. ხუთი, ათი, ახი კაცი, იარაღით და უიარაღოდ, მოწყენილნი და დაღლილნი, მოღიმარნი და მოხარხარენი. სურათები სამახსოვროდ უნდათ.

ღამეა. ორნი, მეძღოლთან ერთად მივემგზავრებით „ვილისით" ბერლინის ერთი მხრიდან მეორე მხარეს, დასაწყისიდან ქალაქის ბოლომდე. ქალაქი სიბნელეს მოუცავს. გეგონება, ირგვლივ არავინაა. არ შეგვხვედრია მოძრაობის მომწესრიგებელი. უკაცრიელ უცნობ ქუჩებში ვიბნევით. უამრავ ნანგრევთა შორის, სადაც „ვილისი" ფარებით ანათებს ქალაქის ამა თუ იმ კუნჭულს. ორი საათის მანძილზე სულ ნანგრევებია. არსით ხმა, არსით ძახილი არ ისმის. აი ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რა საშინლად დანგრეულა ბერლინი.

ვსხედვართ, ვვახშმობთ ჩუიკოვის შტაბში რაიხსტაგი, რომელიც რატომღაც ბრძოლების ბოლო დღეებში ჩვენთვის, ყველასათვის, ბერლინის სიმბოლიური ცენტრი გახდა, ხხვა ჯარებმა დაიკავა — კუზნეცოვის არმიამ, — მაგრამ სამაგიეროდ ჩუიკოვმა მიიღო ბერლინის გარნიზონის კაპიტულაცია. სწორედ იმ ჩუიკოვმა, რომელიც ორმოცდაორი წლის სექტემბერს, ოქტომბერსა და ნოემბერში იცავდა სტალინგრადს. ზუსტად რომ ვთქვათ სტალინგრადს კი არა, ვოლგის ნაპირის ნაწილს უკანასკნელ სამ ვიწრო ნაკვეთს სტალინგრადთან და რამდენიმე ათეულ სახლს, რომლებიც იდგა ყველაზე უფრო ახლოს ამ ნაპირთან. ჩანს, თვით ისტორიამ იზრუნა იმისათვის, რომ ბერლინის კაპიტულაცია განსაკუთრებით სიმბოლიურად გვმოჩენილიყო.

ჩუიკოვს ტრადიციად აქვს, მთელ თავის შტაბთან ერთად ივახშმოს, თუ ეს მდგომარეობით შესაძლებელია. ახლა მდგომარეობა გვწყალობს. ბერლინის განაპირას ვსხედვართ მეშჩანურ, განცალკევებულ სახლში. პირველი ნახევარი ხაათი მხიარულად გავატარეთ. გამარჯვების, ბერლინის აღების, სტალინგრადის სადღეგრძელოებს ვსვამთ, მერე ყველანი როგორღაც უცაბედ მოვეშვებით უკანასკნელ დღეთა დაღლილობით და უცნაური შეგრძნებით, რომ ხვალ აღარ უნდა ვიომოთ. უკვე ვიცით, რომ არმია ჯერ ბერლინიდან არსად გადაჰყავთ. ყოველდღე ვამბობდით: „აი მივალთ ბერლინამდე, ფაშისტ მხეცს

თავის ბუნაგში გავანადგურებთ, ავიდებთ რაიხსტაგს, ხელთ ვიგდებთ საიმპერიო კანცელარიას...“ ყველაფერი ასე მოხდა: რაიხსტაგი აღებულია, საიმპერიო კანცელარიაც ხელთა გვაქვს და ყველანი აქ ვსხედვართ, ფაშისტთა ბუნაგში, მეტი არაფერია ახალები ბერლინის შემდეგ, არავის სიკვდილი ისეთი მნიშვნელობისა არ იქნება, როგორც ჰიტლერისა, თუგინდ ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, ჩვენ უკვე აღარ დაგვჭირდება გავაკეთოთ იმაზე უძნელესი და უდიადესი, რაც განვახორციელეთ.

ხომ ნამდვილად საოცრებაა, დახედო გაზეთს სადაც პირველი გვერდის ნახევარი სამგლოვიარო ჩარჩოში მოთავსებულ ჰიტლერის უზარმაზარ სურათს უკავია წარწერით: „ადოლფ ჰიტლერი გმირულად შეეწირა ბრძოლას თავისი ხალხის ყოფნა-არყოფნისათვის“.

დაუჯერებელი იყო, რომ ასეთი გაზეთი რეალურად არსებობდა და გამოვიდა ისეთ მოკლე ხანში, რაც მოიცავდა დროს ჰიტლერის თავის მოკვლიდან ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციამდე.

მაგრამ იგი რეალურად არსებობდა. ეს გაზეთი „დერ ფრაიჰაიტ კამპფ“ — „ბრძოლა თავისუფლებისათვის“, ნაციონალურ-ფაშისტური პარტიის ორგანო განაგრძობდა გამოსვლას 3, 4, და 5 მაისს დრეზდენში, უკანასკნელ, დიდ გერმანულ ქალაქში, სადაც ჯერ კიდევ ნაცისტები ბოგინებდნენ.

შემდგომ სხვადასხვა ქვეყნის პრესაში გრძელდებოდა კამათი იმის თაობაზე, ჯარისკაცურად თუ არაჯარისკაცურად მოკვდა ჰიტლერი, თავი მოიწამლა, თავი ტყვიით მოიკლა, თუ თავის მოწამვლის შემდეგ ესროლეს ტყვია ხალხისთვის საჩვენებლად!

დრეზდენის ნაციონალურ-ფაშისტურ გაზეთში ეს საკითხი უმჯობესი, გმირული ვარიანტით იქნა გადაწყვეტილი:

„ბოლშევიკების ტყვიამ განგმირა ადამიანი, რომელიც, მიუხედავად ხიძულვილისა და დაცინვისა, მის მტრებსაც კი აკვირვებდა, თუმცა მათ არავინ ჰყავდათ ისეთი, ჰიტლერს რომ გატოლებოდა, ან მისი მსგავსი მაინც ყოფილიყო. ამიტომ მის მტკიცე მისწრაფებას, რომ შეექმნა ახალი სახელმწიფო წესწყობილება მშვიდობიან პირობებში, მტრები მხოლოდ ომით დაუპირისპირდნენ“.

მაშ ასე, მშვიდობისათვის მებრძოლი — ჰიტლერი — ბოლშევიკების ტყვიამ განგმირა. ნეკროლოგში ვრცლად იყო აღნიშნული ჰიტლერის მეომრული ღირსებები: „ერი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ძალუძს გაერკვეს იმაში, რაც მოხდა, მტკიცედ არის /გაერთიანებული, განაგრძოს მისი საქმე და ბრძოლა იმ მომენტამდე, სანამ მოსახსნელ მტრები, ბოლშევიკები, არ იქნებიან განდევნილი გერმანელთა მიწა-წყლიდან.

დრეზდენის გაზეთის შინ გამოჩეკილი მოწოდება თითქმის დაემთხვა ადმირალ დენიცის მიერ ამ გაზეთშივე დახეგდილ მოწოდებას, სადაც ნათქვამი იყო: „... მისი პირადი მონაწილეობა ბოლშევიკების ურდოებთან ბრძოლაში დასაფასებელია არა მხოლოდ ევროპისათვის არამედ მთელი მსოფლიოს კულტურისათვის. ჩემი (ეხე იგი დენიცის — კ. ს.) მიზანია, ვიხსნა გერმანელები განდგურებისაგან, განვდევნო ჩვენში შემოჭრილი ბოლშევიკები! მხოლოდ ამ მიზნით განვაგრძობ ბრძოლას მანამდე, სანამ ამერიკელები და ინგლისელები ამ მიზნის მიღწევას აღუდგებიან, თუ ასე მოხდა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მათაც ვებრძოლოთ“.

მინდა თუ არა, ამჟამად კვლავ ჩავუფიქრდები დენიცის ამ მაშინდელ ნათქვამს. დიდი მნიშვნელობა აქვსო მთელი მსოფლიო კულტურისათვის ჰიტლერის პირად მონაწილეობას ბოლშევიკთა ურდოებთან ბრძოლაში; ბრძოლა გრძელდებაო ბოლშევიკების განადგურებისათვის, ამერიკელებსა და ინგლისელებს ებრძვიან მხოლოდ დრომდე და იძულების გამო.

სწორედ ეს იყო ნამდვილი მიზეზი, რომ გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ექვსი წლის მაძილზე ნაომარ გერმანელ ჯარისკაცებს უფროსები აიძულებდნენ უკანასკნელ წუთამდე ებრძოლათ აღმოსავლეთის ფრონტის ყველა უბანზე, კურლანდიიდან ჩეხოსლოვაკიამდე, სადაც ფელდმარშალმა შენერმა ჯარებისთვის გასცა ბრძანება, რომელიც დრეზდენის იმავე გაზეთში იყო გამოქვეყნებული: „არმიის ცენტრის“ ჯგუფის ჯარისკაცებო! ადოლფ ჰიტლერი დაიღუპა, როგორც წამებული, თავისი იდეისა და რწმენისათვის და როგორც ჯარისკაცი, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა უკანასკნელ წუთამდე. ჩვენ გვევალება, განვაგრძოთ და დავასრულოთ მისი ცხოვრების საქმე“.

აი, სწორედ: კი არ განვაგრძოთ, არამედ დავასრულოთ. იბადება კითხვა: რით დავასრულოთ? ალბათ, ბოლშევიზმზე, რუსეთზე გამარჯვებით. როგორ დავასრულოთ? შეიძლება, ყოფილ მოწინააღმდეგეებს — ამერიკელებსა და ინგლისელებს — დავუკავშირდეთ.

ამის იმედი ჰქონდათ, რაც მრავალ დაკითხვასა და ჩვენებაში ჩანს.

შერნერსაც ამის იმედი ჰქონდა.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ახალი არაა, და მაინც რაღაც დაგვიანებული მღელვარება გიპყრობს, როდესაც ხელთა გვაქვს არა მრავალტომიანი ომისმერმინდელი ისტორიული შრომები, არამედ დრეზდენის გაზეთის თხელი გაყვითლებული ფურცელი, 8 მაისს გამოსული, როდესაც ჰიტლერი უკვე მკვდარი იყო. ბერლინმა დაყარა იარაღი, როდესაც დრეზდენთან ჯერ კიდევ სახტიკი ბრძოლა გრძელდებოდა და ყოველ საათს, ყოველ წუთს იხოცებოდა და იხოცებოდა ადამიანები, რომლებიც ომის დასასრულს ჭეღად მოესწრნენ.

რამდენიმე დღის დაგვიანებით დრეზდენის გა-

ზეთის ფურცლები ხელში ჩამივარდა. ბერლინიდან პრაღაში რომ მივემგზავრებოდი დრეზდენის ნანგრევებში აღმოვჩნდით. ომის დროს დამკვიდრებული ჩვენის მიხედვით, მოვძებნე სტამბა, სადაც კაპიტულაციის დღემდე ამ გაზეთის დასტები ელაგა.

... ბერლინში რამდენიმე დღე დავრჩით. ყოველ დღეს ნათელი ხდებოდა, რომ გერმანიის კაპიტულაცია ახლოვდებოდა.

კაპიტულაციის შესახებ სხვადასხვა ცნობები ვრცელდება, ეს ცნობები ჭეშმარიტებას ხან შეიცავს, ხან არა.

უეცრად ღამით ბერლინში მყოფი ყველა კორესპონდენტი, რომლებსაც კი მისწვდნენ, სასწრაფოდ ფრონტის შტაბში გამოიძახეს.

ქალაქიდან რომ გავედით და შტაბისკენ მიმავალ შუა გზას მივაღწიეთ, უცბად მთელ ჰორიზონტზე გაისმა საშინელი ხროლა მგზველი ტყვიებით და ყუმბარებით... და მივხვდით, რომ ომი დამთავრდა; მოულოდნელად ცუდად გავხდი, ამხანაგების შემრცხვა, მაგრამ ბოლოს მაინც „ვილისი" გავაჩერებინე. დამეწყო სპაზმები ყელში და საყლაპავ მილში, ნერწყვი და ნაღველი მაღებინა, პირში მწარე გემო მქონდა, არ ვიცი, რა დამემართა, ალბათ, ნერვიული გაწმუხტვა იყო, რაც ასე უცნაურად გამოიხატა. ომის მთელი ოთხი წლის განმავლობაში, სხვადასხვა პირობებში, ძალიან ვცდილობდი თავდაჭერილი ვყოფილიყავი და, მგონია, ნამდვილად ასეთი ვიყავი. აქ კი იმ დროს, როდესაც უეცრად გავიგე, ომი დამთავრდაო, რაღაც შეინძრა, ნერვებმა მიღალატა. ამხანაგებმა არ დამცინეს, არ იცინოდნენ, დუმდნენ.

ფრონტის შტაბში სამხედრო საბჭოს წევრმა ტელეგინმა გვითხრა, რომ დასავლეთით გერმანელებმა მოკავშირეთა შტაბში დღეს განაცხადეს თანხმობა კაპიტულაციის შესახებ და წინასწარ ხელიც მოაწერესო. საბოლოო ხელის მოწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე მოხდება ხვალ, ბერლინში, კარლსხორსტში, საინჟინრო სკოლის დარბაზში. ამიტომ გამოგვიძახეს, რომ ხვალისთვის მოვემზადოთ.

ტემპელხოფი. დილა. ჯერ არავინ მოფრენილა. აეროდრომი ცარიელია. მხოლოდ ცენტრში სქელი, ტანმორჩილი პოლკოვნიკი წვრთნის საპატიო ყარაულს მოკავშირეთა შესახვედრად. წვრთნის დიდხანს, ზედიზედ. ომის დროს ასეთ რამეს გადაეჩვევნენ. ჩვენ ბალახზე ვსხდებით მოწყენილები. მერე მანქანით მოვა ფრონტის სარდლის მოადგილე სოკოლოვსკი რამდენიმე გენერლის თანხლებით. ერთ მათგანს ვიცნობ. გავიხსენეთ, იტალიაში როგორ შევხვდით ერთმანეთს. მაშინ ბრძოლა ფლორენციაში კიდევ გრძელდებოდა. ახლა გვგონია, რომ ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ იყო.

პირველი თვითმფრინავი ჯდება, ჩამოდის ვიშინსკი რამდენიმე ჩვენი დიპლომატით. მაშინვე მანქანაში ხდებიან და მიემგზავრებიან. ნახევარი საათის შემდეგ ერთი „დუგლასი" დაეშვა. გუშინ ეიზენჰაუერის მოფრენას ელოდნენ. რა დესაც დავინახეთ, რომ შესახვედრად მოვიდა არა ეუკოვი, არამედ სოკოლოვსკი, მაშინვე მივხვდით, რომ ეიზენჰაუერი არ მოფრენილა.

მოფრინდნენ ინგლისის ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი და შორეული მოქმედების ამერიკელთა ავიაციის სარდალი სპაატსი. სპაატსი — საშუალო სიმაღლის კაცია, ჩასუქებული, კვადრატული. ტედერი გამხდარია, ახალგაზრდული შესახედაობისა, განუსაზღვრელი წლოვანებისა, მსუბუქი, მოძრავი, ოდნავ ნაძალადევად მოღიმარი. სოკოლოვსკის მიესალმნენ. ჯარისკაცები საპატიო ყარაულში დადგნენ. ორკესტრმა სამი ჰიმნი დაუკრა. მოკავშირეებმა და სოკოლოვსკიმ საპატიო ყარაულს ჩაუარეს.

ამ დროს კიდევ ერთი „დუგლასი" დაეშვა, საიდანაც გერმანელები გამოძვრნენ: კეიტელი, ადმირალი ფრიდებურგი და ავიაციის გენერალი შტუმპფი. მათ რამდენიმე გერმანელი ოფიცერი ახლდათ.

საპატიო ყარაული, რომელიც მოკავშირეებს შეხვდა, აღმოჩნდა გერმანელთა ჩამომყვან თვითმფრინავსა და აეროდრომის განაპირას დაგროვილ მანქანებს შუა. ამ საპატიო ყარაულთან ახალჩამოსული გერმანელები უნდა მისულიყვნენ. როგორც კი ჩამოვიდნენ, რამდენიმე ჩვენიანი შეეგება და, სანამ მოკავშირენი საპატიო ყარაულს ჩაუვლიდნენ, გერმანელები სხვა მიმართულებით წაიყვანეს, კეიტელი წინ მიდიოდა, გრძელი ლაბადა ეცვა, გენერლის დიდი, მაღალი, ფორმის ქუდი ეხურა, ფართო ნაბიჯს ადგამდა, განზრახ არ იცქირებოდა ირგვლივ.

გერმანელებს შორიახლო მივყვებით. გავყურებ ბერლინის გაუთავებელ ნანგრევებს, მცხოვრებთა განცალკევებულ სილუეტებს და ვფიქრობ, ძნელია, ამაზე საშინელი სანახაობა წარმოიდგინო, რასაც აქ ხედავენ კაპიტულაციის ხელისმოსაწერად მიმავალი გერმანელი გენერლები.

კარლსხორსტი. წინასწარ ვათვალიერებთ საინჟინრო სკოლის საპატიო დარბაზს, სადაც ხელისმოწერა ჩატარდება. დარბაზი დიდი არაა — ორასი კვადრატული მეტრი იქნება. კედლებზე დროშებია — ჩვენი, ამერიკელთა, ინგლისელთა და ფრანგებისა. ამბობენ, ფრანგთა არმიის სარდალი დელატრ დე ტასინიც ჩამოფრინდა, ან მოფრინავსო. დროშების ქვეშ თითქმის კედლის სიგრძე მაგიდა დგას, რომლის გარშემო მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელნი დასხდებიან. ამ მაგიდის პერპენდიკულარულად კიდევ სამი მაგიდაა — ორი გრძელი და ერთი მოკლე, გასასვლელთან უფრო ახლოს. მოკლე მაგიდა გერმანელების დელეგაციისათვისაა, შუა მაგიდა — ჩვენი და მოკავშირეთა გენერლებისა და ოფიცრებისათვის, რომლებიც კაპიტულაციას დაესწრებიან, მესამე, ჩვენისთანა კორესპონდენტებისათვის.

საინჟინრო სკოლაში და მის გარშემო თითქმის მთელი საათი დავბორიალებთ.

ამბობენ, საქმე იმის გამო ბრკოლდება, რომ ჩვენები და მოკავშირენი თათბირობენ პროცედურულ საკითხებზეო. ეს, ალბათ, ასეა. ამიტომ კაპიტულაციაზე ხელის მოწერა, ორი საათისთვის დანიშნული, მხოლოდ საღამოს იწყება. დარბაზში შემოდიან მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელნი: ჟუკოვი, ტელეგინი და მათთან ერთად ვიშინსკი, ტედერი, სპაატსი და დელატრ დე ტასინი, რომელსაც ახლა პირველად ვხედავ. ეს ვაჟკაცური გარეგნობის მქონე გენერალი, ორმოცდაბუთი წლისა თუ იქნება.

კორესპონდენტები და სამხედროები, რომლებიც კაპიტულაციას უნდა დაესწრნენ, მიეშურებიან ცარიელი ადგილის დასაკავებლად. ერთი განმკარგულებელი ოფიცერი მათთან მიიკრება და რაღაცას ჩასჩურჩულებს.

ჩვენი გენერლები, რომლებიც დამარცხებულებისთვის მიჩენილ მაგიდასთან დამსხდარან, წამოიკრებიან სკამებიდან და სხვა მაგიდასთან სხდებიან.

ჟუკოვი იღიმება. ტედერი იღიმება. დელატრ დე ტასინი იღიმება. შემცდარნი ოდნავ გაუღიმებენ ერთმანეთს და დალაგდებიან. ფოტოგრაფები და კინოოპერატორები შეშლილებივით დარბიან. მაგიდებზე შეხტებიან, გენერლებს მხრებზე დააწვებიან მუცლით და იღებენ, იღებენ, იღებენ სურათებს. ერთი ჩვენი კინოოპერატორი თავისი აპარატის გრძელი სახელურით რომელიღაც ამერიკელი ადმირალის თავს შეეხება. ადმირალი, ეტყობა, შეჩვეულია კორესპონდენტების ფაციფუცს, გულკეთილად უღიმის მას და ხელს დაუქნევს: „ო, კეი". მაგრამ ჩვენი მომწესრიგებელნი ამას დაჩვეულნი არ იყვნენ და ერთი ჩვენი საწყალი ოპერატორი კინალამ გააძევეს დარბაზიდან.

ცენტრალურ მაგიდასთან მსხდომნი სხვადასხვანაირად გამოიყურებიან. სპაატსის სახე არაფერს გამოხატავს. ვიშინსკი სკამზე ტოკავს. მის გვერდით მყოფი ტედერი ოდნავ იღიმება, მთარგმნელის მეშვეობით ჟუკოვს რაღაცას ელაპარაკება, და მე მგონია, რომ იგი ერთადერთი ადამიანია აქ მყოფთა შორის, რომელიც ოდნავ ირონიას გამოხატავს მომზადებული საზეიმო პროცედურის მიმართ. დელატრ დე ტასინის სხვებზე გვიან მოსული, შეწუხებული ადამიანის იერი აქვს, თითქოს უნდა საქმეში მალე გაერკვეს.

ვუყურებ ჟუკოვს, მის ლამაზ, ძლიერ, მძიმე სახეს და მაგონდება მასთან შეხვედრები იაპონელებთან ბრძოლის დროს ხალხინ-გოლზე, როდესაც იგი კომკორი იყო და იქ, მონღოლეთში, ჩვენი არმიის ჯგუფს მეთაურობდა. ბოლოს, უკვე იაპონელთა განადგურების შემდეგ, ძალიან გამთბარ ბლინდაჟში ვნახე... აბანოდან ახალდაბრუნებული იყო, შინაურულად დამჯდარიყო და ისვენებდა. მომაგონდა, რა დამცინავი ხიმშვიდით უსმენდა ერთ-ერთ მზვერავს, რომელიც ჟუკოვს ხასწრაფოდ მიღებას ითხოვდა. მზვერავმა მოახსენა უფროსს, იაპონელები დიდ ჯარს თავს უყრიანო. ჟუკოვის სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ მზვერავის მოხსენება არაფრად მიაჩნდა. ჟუკოვი დარწმუნებული იყო, რომ ახლა იაპონელები ისეთი განადგურების შემდეგ ვერაფერს წამოიწყებდნენ. მზვერავები თავს იზღვევენ. მოხსენების მოსმენის შემდეგ ჟუკოვმა ეს თქვა. თქვა ცივად, მკაცრად, გადაჭრით. მერე ჟუკოვი ექვსი წლის მანძილზე აღარ მინახავს. მაშინ როგორ შემეძლო წარმომედგინა, რომ მას შევხვდებოდი ბერლინში, როცა გერმანიის არმია უსიტყვო კაპიტულაციას ხელს აწერდა.

როდესაც დარბაზში ხმაური მიწყნარდება, ჟუკოვი წამოდგება და აცხადებს, რომ იწყება სხდომა გერმანიის არმიისაგან უსიტყვო კაპიტულაციის მისაღებად. შემდეგ ლაპარაკია რწმუნებულთა შესახებ, თუ ვინ რომელი მთავრობის მიერ არის უფლებამოსილი კაპიტულაცია ჩაიბაროს. დოკუმენტებს კითხულობენ სხვადასხვა ენაზე.

ჟუკოვი ისევ წამოდგება, მიუბრუნდება შემოსასვლელ კართან მდგომ ოფიცრებს და ცივად ეუბნება:

— შემოიყვანეთ გერმანელთა დელეგაცია.

კარი ფართოდ იღება და შემოდიან: კეიტელი, ფრიდებურგი და შტუმპფი. მათ რამდენიმე ოფიცერი ახლავს, ალბათ, ადიუტანტები. კეიტელს თავის მაგიდასთან მისასვლელად სამი ნაბიჯი სჭირდება. იგი შუა სავარძლის უკან დადგება, გაიშვერს ხელს, რომელშიც ფელდმარშლის კვერთხი უჭირავს. ხელს წინ და უკან ამოძრავებს. ეს რატომღაც განტელებით ვარჯიშს გამახსენებს, ბოლოს სავარძელს მისწევს და ჯდება. კვერთხს წინ დაიდებს. ფრიდებურგი და შტუმპფიც სხდებიან. ადიუტანტები დგანან. ჟუკოვი წამოდგება და რაღაცას ლაპარაკობს. არ ისმის.

მის ნათქვამს გერმანელებს უთარგმნიან. კეიტელი თანხმობის ნიშნად თავს დახრის. მერე მიმდინარეობს პროცედურის სხვადასხვა წესი.

კეიტელს თვალს არ ვაშორებ. ზის, ხელთათმიანი ხელები მაგიდაზე უწყვია. შტუმპფი სრულიად მშვიდად გამოიყურება. ფრიდებურგი გაქვავებულია.

ამ გაშეშებაში ჩანს უსაზღვრო დაბეჩავება. ჯერ კეიტელიც გარინდებული ზის, წინ იცქირება, მერე ჟუკოვისკენ ოდნავ მიაბრუნებს თავს ყურადღებით, კვლავ მაგიდას დასცქერის, მერე ისევ ჟუკოვს უყურებს. რამდენჯერმე ზედიზედ იმეორებს ასე. თუმცა ეს სიტყვა თქოს მეტისმეტად შეუფერებელია იმის გამოსახატავად, რაც აქ ხდება, მაგრამ მე მაინც ასე ვხედავ — კეიტელი ცნობისმოყვარეობით უცქერის ჟუკოვს. დიახ, ჟუკოვს და სწორედ ცნობისმოყვარეობით. თითქოს დაინახა ადამიანი, რომელიც დიდი

ხანია აინტერესებდა და ამჟამად ზის მისგან სულ ახლოს, რაღაც ათიოდე ნაბიჯით დაშორებული.

ცენტრალურ მაგიდასთან იწყება დოკუმენტზე ხელის მოწერა. ხელს აწერენ: ეუკოვი, ცედერი, სპაატსი, ბოლოს დელატრ დე ტასინი.

სანამ ისინი დოკუმენტს ხელს აწერენ, კეიტელი საშინლად გამოიყურება იმ წამის მოლოდინში, როცა მისი ჯერი მოვა ხელის მოწერისა. ზის გაჯგიმულად, უძრავად. მისი სავარძლის უკან სმენაზე მდგომი მაღალი ოფიცერი ტირის სახის არც ერთი კუნთი არ ეძვრის. კეიტელი კვლავ გაჯგიმულია, მერე მაგიდაზე ხელებს გაიწვდის, დამუშტავს, თავს კიდევ უფრო უკან გადასწევს, თითქოს უნდა წამწამებზე მომდგარი ცრემლები შეაჩეროსო.

იმწამსვე ეუკოვი დგება და ამბობს:

—გერმანელთა დელეგაციას წინადადება ეძლევა, ხელი მოაწეროს უსიტყვო კაპიტულაციას.

გერმანულად თარგმნიან. კეიტელი მიხვდება რაც ევალება. ხელს მაგიდაზე თავისკენ წაიღებს, რაც გამოხატავს თანხმობას და სურვილს — თავის მაგიდაზე მიუტანონ აქტი ხელის მოსაწერად.

მაგრამ ეუკოვი კვლავ ფეხზე დგას, მოკლედ გაიწვდის ხელს გერმანელებისაკენ, მერე შემოაბრუნებს იმ მაგიდისაკენ, სადაც მოკავშირენი სხედან და მკაცრად ამბობს:

— აქ მოვიდნენ ხელის მოსაწერად.

კეიტელი პირველი დგება, მიდის მაგიდის ვიწრო ბოლოსთან, იქვე თავისუფალ სავარძელში მოთავსდება და ხელს აწერს აქტის რამდენიმე ცალს. ბრუნდება თავის მაგიდასთან და ჯდება წინანდელ პოზაში. ხელს რომ აწერდა, ხელთათმანი გაიხადა, ახლა ისევ იცვამს. შემდეგ ხელს აწერენ შტუმპფი და ფრიდებურგი. ამ დროს კეიტელს თვალს არ ვაშორებ. ზის ნახევრად შებრუნებული მაგიდისკენ, რომელსაც მოკავშირენი უსხედან. მათ შესცქერის, ფიქრობს რაღაცაზე ისე თავდავიწყებით და დაძაბულად, რომ, ჩანს, თავისთვის შეუმჩნევლად მაგიდიდან ხელს ასწევს, სახეზე მოიკიდებს, მძიმედ ჩამოკიდებულ ლოყებსა და ნიკაპზე ისვამს, ხელთათმანიანი ხელით ისრესს სახეს, თითქმის ჭმუჭნის.

სამი გენერლიდან უკანასკნელიც აქტს ხელს მოაწერს და თავის ადგილს უბრუნდება.

ეუკოვი დგება და ამბობს:

— გერმანელთა დელეგაციას შეუძლია დარბაზი დატოვოს.

გერმანელები დგებიან. კეიტელი კვერთხს ამოძრავებს ისე, როგორც შემოსვლისას, მიბრუნდება და გადის, დანარჩენები მიჰყვებიან. კარი მიიხურება.

და უცბად დარბაზში დაგროვილი დაძაბულობა ქრება. გაქრა ისე, თითქოს ყველამ მკერდში დაგუბებული ჰაერი ერთბაშად ამოისუნთქა.

კაპიტულაცია ხელმოწერილია. ომი დამთავრდა.

ათ მაისს, საღამოს, სუდეტიდან პრაღის მივე-მგზავრებით. ვიცით, რომ გათავისუფლებულია. უკვე ვიცით, რომ ყველაზე უწინ იქ უკრაინის პირველი ფრონტის ტანკისტები შეიჭრნენ. და ყველაფერი ეს გუშინ დილით მოხდა. მაგრამ, თუმცა პრაღაში მისვლას ვჩქარობდით, გზაში საკმაოდ დიდხანს მოგვიხდა შეჩერება ერთ-ერთ დანგრეულ ხიდთან. გზატკეცილის მაგიერ სამი კილომეტრი ტყით უნდა გვევლო. ხიდთან ჩვენს მისვლამდე ათიოდე მსუბუქი მანქანა დაგროვილიყო. არავის სურდა ტყით გამგზავრება. ახლახან იმ მხარეს გამგზავრებულან ვიღაცები და ერთი მგზავრი დაუჭიათ, თუ მოუკლავთ ტყეში მოხეტიალე გერმანელებს, რომლებსაც კაპიტულაციის შესახებ არაფერი სცოდნიათ.

ომი დამთავრდა, და არავის სურდა ფათერაკს გადამყროდა. სამი დღის წინათ ამ ხიდთან რომ დაგროვილიყვნენ ოფიცრები ან მძღოლები, არც კი იფიქრებდნენ ასეთ სულელურ ხიფათს არიდებოდნენ. ახლა კი აქ, როგორც ყველა, ჩვენც მიწას ვტკეპნით ხიდთან და ველოდებით ჯავშანტრანსპორტიორს, რომელიც საიდანღაც გამოუძახებიათ.

ჩემი თანამგზავრი საშა კრივიცკი, უცბად გაგულისდა ამ ლოდინის გამო თავის თავზე, ჩემზე და ამქვეყნად ყველასა და ყველაფერზე და მეუბნება:

— ნუ დაველოდებით, გავემგზავროთ.

მხრები ავიჩეჩე. არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია. მაწვალებს, ფიქრი ამ აუტანელ გერმანელებზე, რომლებსაც ამჟამად, ომის შემდეგ, შეუძლიათ ტყიდან მესროლონ. კრივიცკი კი ცხარობს, და ჩემი მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს სასირცხვილოა.

მანქანაში ვსხდებით და ტყეში შევდივართ. სხვა მანქანებიც ჩამწკრივდებიან, თან მოგვყვებიან. ეჭვი არ მეპარება, რომ ხუთი წუთის შემდეგ გაგულისებული სხვა, რომელიმე მგზავრიც ჩვენსავით მოიქცეოდა და ჩვენც გავყვებოდით. მაგრამ ეს ფიქრი არ მამშვიდებს, მაინც მეშინია.

ტყეში ვართ. სიწყნარეა, მაგრამ დაძაბულობას ვერ გავუმკლავდით, ავტომატებით სროლა ავტეხეთ. მანქანები კი მთელი სისწრაფით მიქრიან ტყის გარემოცვაში. ტყეს თავი დავალწიეთ. არ ვიცით გერმანელები ტყეში ისროდნენ თუ არა, გვესმოდა მხოლოდ ჩვენი ავტომატების სასტიკი, შეშინებული ბაკბაკუნი. ერთმანეთის გვრცხვენია, დამუნჯებულნი ვართ. არ შეგვიძლია, დავუბრუნდეთ ომის იმ მდგომარეობას, როდესაც, რასაკვირველია, სიკვდილის გვეშინოდა, მაგრამ ამავე დროს მკვლელობა ბუნებრივად მიგვაჩნდა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ძალგვიძს დავუბრუნდეთ იმ ბუნებრივ, ადამიანურ მდგომარეობას, როდესაც მკვლელობა არაბუნებრივ საშინელად იქნება მიჩნეული.

თარგმნა �eroldiom ქავთარაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე-90

სიცოცხლის გაგრძელება

ტიციან ტაბიძე — დიდი ქართველი პოეტი!

არა გვგონია, დღეს, პოეტის დაბადების 90-ე წლისთავზე, ვინმეს ეჩოთიროს ამგვარი ფორმულირება!

მაინც რითი განისაზღვრება პოეტის სიდიდე? რა საზომით ვზომავთ და ვწონით იმ მემკვიდრეობას, პოეტის ხელიდან რომ გამოსულა?

ალბათ, ყველაზე უტყუარი საზომი მაინც ხალხის სიყვარულია, „ერში გადაგდებული" პოეტის სიტყვის სიცოცხლისუნარიანობაა, რაღაცა მოუხელთებელი მადლის წყალობით სულ რომ თან დაგვყვება, მუდამ თავს რომ გვახსენებს და ხალხის სულიერი თანამგზავრი გამხდარა!

პოეზიის ამ თვისებებს უმთავრესად დრო გამოცდის ხოლმე, იგია მთავარი „მეჭაშნიკე", მისი სრბოლისას ხდება საცნაური ყალბი და ნამდვილი, სწრაფწარმავალი და მარადიული...

თითქმის ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ ტრაგიკულ დღეს, როცა სამუდამოდ დაჭკნა პოეტის მკერდზე მოელვარე წითელი მიხაკი, მაგრამ ტიციან ტაბიძის პოეზიას ფერი არ გახუნებია. ახლა მისი პოეტური ეგზალტაციით ნათქვამი სტრიქონები:

მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!

სიცოცხლესთან და თავის ქვეყანასთან „განუყრელი" პოეტის იუბილეს იხდის დღეს საქართველო! სიამაყითა და სიყვარულით იგონებს თავისი ძვირფასი შვილის ნათელ სახეს, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილის, თავისი ხალხის სულიერი კულტურის შემდგომი წინსვლისათვის დაუღალავი მებრძოლის, ცინცხალი პოეტური ტალანტისა და უკვდავი პოეტური ხატების ავტორს მიაგებს მისაგებელს!

დღევანდელ დღეს კიდევ ერთხელ ხდება საცნაური — როგორც ბაჯაღლო ოქრო არ იჟანგება და ელვარებას ვერაფერი უკარგავს, ისევეა ნამდვილი პოეტის სიტყვაც — უბერებელი, ცინცხალი, ალესილი მახვილივით მოელვარე, მშობელი ხალხის სამსახურში ჩამდგარი, მისი სულიერი ავლადიდების დასტური და მიმანიშნებელი.

ჩვეულებრივ, დიდი პოეტები დიდი ეპოქის მიჯნაზე იბადებიან. მარადიული დროის მდინარეს აქვს თავისი შშფოთვარე და წყნარი პერიოდები. ტიციან ტაბიძეს ბედისწერამ არგუნა რთული და შფოთიანი დროის შვილად დაბადება: პირველი რევოლუციების ქარტეხილები, ახალი საქართველოს შენების, ახლის დაბადების მტკივნეული და ჰეროიზმით აღსავსე წლები, დიდი სულიერი მეტამორფოზების პერიოდი... ყველაფერი საოცარი სიცხადით აირეკლა ტიციან ტაბიძის პოეზიაში: ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი მთავარი მებაირახტრე, ქართული ლექსის განახლებისათვის თამამი და უკომპრომისო მებრძოლი... შემდგომ კი საბჭოთა საქართველოს ახალი გზების გულწრფელი მომღერალი — ქვეყნად სიცოცხლისა და სიხარულის დამამკვიდრებელი ლექსე-

ბის ავტორი! თანდაყოლილი შინაგანი დრამატიზმი მისი პოეზიისა მაინც ყველა პერიოდში საცნაურს ხდის პოეტის ხელწერას, მის განუმეორებელ ინდივიდუალობას — თვისებებს, რომლის გარეშეც პოეზიას საერთოდ არ ექნებოდა აზრი! მისთვის სილამაზე არ არსებობს მტკივნეული გრძნობის გარეშე — სამყაროს ჰარმონიული ძალმოსილება დაბადების ტკივილებთან არის წილნაყარი. არაფერი არ არის ქვეყნად ადვილი და ჰაიჰარად მოვლენილი: ლექსი — მშვენიერების ეს მარადიული სიმბოლო, მეწყერივით უნდა მოვარდეს, „გაიტანოს და ცოცხლად დამარხოს“ პოეტი, რომ მერე ამ მეწყერიდან კვლავ წამოიმართოს ახალი ძალითა და ენერგიით აღსავსე პოეტური სიტყვის ძალმოსილება!

დრომ დაადასტურა პოეტის ეს შინაგანი გუმანი თუ წინათგრძნობა. დღევანდელი დღეა ამის დასტური. პოეტის სიტყვა ჩაუქრობელ „თაფლის სანთელად“ უნთია დღევანდელ საქართველოს. მის ნახმევს მიჰყვნენ მომდევნო თაობის ქართველი პოეტები და მომავალშიც არა ერთი ყლორტი ამოიზრდება იმ ფესვებიდან, რასაც ტიციან ტაბიძის პოეზია ჰქვია! ამოიზრდება, რადგან ტიციან ტაბიძის პოეზიის ფესვები ქართული მიწის წიაღშია განტოტვილი, ორპირისა და მუხრანის ველების მშვენიერებით არის შთაგონებული, ქართული მიწის „ღალიან-ბარაქიანი ძუძუ“ აქვს ნაწოვი!

ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალის სულისკვეთებას, ძალითა და ენერგიით, ახლის შექმნისა და შენების ჟინით აღსავსე ახალგაზრდობის განწყობილებებს პირდაპირ ეხმიანება ტიციან ტაბიძის ლაღი, გულიდან წამოსული, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით განმსჭვალული პოეზია. მისი ლექსი დიდი ქართული პოეზიის მთავარ, მაგისტრალურ გზებს მოჰყვა და შემდგომ თვით იქცა ტრადიციად, გამოცდილებად, რომლის მიხედვითაც მომავალმა პოეტებმა უნდა მოინიშნონ სავალი:

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი!..

ეს გულწრფელი ღაღადისი პირდაპირი გაგრძელებაა ილიასა და აკაკისეული პოეტური ტრადიციისა, სამშობლოს, ქვეყნის სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს შთამომავლობას და „ახალი ცხოვრების ალავერდი“ ალავერდს გადმოდის შთამომავლობასთან. მისი წილი „ცისფერი ყანწი“ ყოველთვის სავსე იყო პოეზიის თავანკარა ღვინითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ახლის დაუცხრომელი ძიების ჟინითა და გულიდან მოხეთქილი, პირველყოფილი უშუალო პოეტური ხატებით! მისი ლექსების ხმამაღალი ექო დღეს მთელ საქართველოში ხმიანებს, მღერის „ტუჩმიუდებლად დაკოცნილი ლერწამის ღერი“ და თავის უკვდავ ქვეყანასთან ერთად აგრძელებს სიცოცხლესა და მარადისობას!

სერგი ჭილაია

ლექსები იყო მისი საგზალი

შემოდგომის პირველი თვე იყო, რუსთაველის პროსპექტზე უკანასკნელად რომ ვნახე ტიციან ტაბიძე. იგი ლაღიძის წყლების წინ იდგა „ბურთივით მრგვალი", ღია ცისფერთვალება, ვიღაცას პოეტური მღელვარებით ედავებოდა. პიჯაკზე წითელი მიხაკი ჰქონდა მიბნეული. იგი არავის უნახავს, ქუჩაში გავლილი, საზოგადო შეკრებებზე თუ მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე შემდგარი, ამ წითელი მიხაკის გარეშე. ასე მგონია, სიმბოლიზმის ქართული ემბლემა იყო წითელი მიხაკი. ან, როგორც თვითონ ამბობს, სიმბოლიზმი „განელებული ქართული სულით". „ცისფერი ყანწების" საპროგრამო წერილში ტიციან ტაბიძე წერდა: „ცისფერი" ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა, ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის. ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. საქართველოში ცისფერ ყვავილს ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს არ გაყრილან... ჩვენ სული უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა და სხეული კიდევ უსულოდ" („ცისფერი ყანწები" № 2, 1916 წ.) დიახ, ძირი ტიციან ტაბიძის პოეზიისა ქართულ მიწაზე იდგა, მაგრამ ქართული პატრიოტიზმი არ უშლიდა ხელს ყოფილიყო თანმიმდევარი მებრძოლი ქართული სიმბოლიზმისა.

20-ე საუკუნის პირველი ახწლეულის ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობა მოდერნიზმის გზას დაადგა (ნიკო ლორთქიფანიძე, ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია...) დაიწყო დაუცხრომელი ძიება ახალი მხატვრული ფორმებისა ილიას, აკაკისა და ვაჟას შემდეგ. ქართული პოეზიის დაქვეითებას ენობრივ ნატურალიზმს და ეპიგონობას დაუპირისპირდნენ და შემოიტანეს ახალი საზომები: სონეტი, ტრიოლეტი, ტრიპტიქი, რონდო, მინიატურა... ეს ვერსიფიკატორული ძიებანი დასრულდა ახალი მიმართულების სიმბოლისტური სკოლის „ცისფერყანწელების" შექმნით (1915 წ.). ეპიგონების წინააღმდეგ ფორმისათვის ძიების სურვილმა ამ სკოლის მიერ 1916 წელს გამოცემულ ჟურნალში „ცისფერი ყანწები" გააერთიანა: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე ცირეკიძე, ნიკოლოზ ნადირაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ივ. ყიფიანი, გრიგოლ და ლელი ჯაფარიძეები, არისტო ჭუმბაძე, აკაკი ფალავა. „ცისფერყანწელები" გამოვიდნენ ჩამოყალიბებული სიმბოლისტური მანიფესტით და პროგრამით: პაოლო იაშვილის „პირველი თქმა" და ტიციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით". ორივ ეს საპროგრამო მანიფესტი ბრძოლას უცხადებდა ენობრივ ნატურალიზმს, ეპიგონობას, ლიტერატურულ შაბლონს. ამას ასეთ ახსნას აძლევდა ტიციან ტაბიძე: „ყოველი ახალი ძალა და მიმართულება ხელოვნებაში გამოდის კადნიერებით... კადნიერი და შეუპოვარი იყო რომანტიზმი, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი... არ შეიძლება ახალი საქმის გაკეთება, თუ ძველს არ ეთქვა უარი. ასე იბრძვის ყოველი ახალი სკოლა, რომელიც შემდეგ აკეთებს კომპრომისებს, რადგან მთლიანი უარყოფა ძველისა შეიძლება მხოლოდ მანიფესტით, ისე კი, რაც არის ძველში კეთილშობილი და გამძლე, ატავისტურად გადაეცემა ახალ ცოცხალ ორგანოს. ვიმეორებ ძველის დანგრევა და უარყოფა არ არის დანაშაული, ნუ ვიქნებით კარჩაკეტილები: მსოფლიო რადიუსით გაიმართოს ხაზი ქართული ხელოვნებისა." „ცისფერყანწელებს" 1917 წელს ჩამოცილდნენ გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი... 1918 წელს ამ ჯგუფს შეუერთდნენ შალვა აფხაიძე, რაუდენ გვეტაძე, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), სერგო კლდიაშვილი, ლილი მეუნარგია, ნიკოლოზ მიწიშვილი, რაუდენ გვეტაძე, ინ-რე-ჟანი (იოველ ჟორდანია), ალ. არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, დია ჩიანელი (ჩხეიძე). ქართველმა სიმბოლისტებმა, რომელთა მთავარი ფალავნები იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი ფრანგი და რუსი სიმბოლისტების სტანდარტების მიხედვით შექმნეს ახალი ტიპის მწერლობა, სიმბოლიზმის ორდენით: „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრი სხვადასხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურისა. ბევრი იმათთვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი", რომელშიაც უაღრესად არის გამოჩენილი ქართული სული. უკანასკნელ დროს ჩვენში დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიდრდა ერთგვარი ცვლა ლიტერატურულ სკოლათა იმ გეგმით როგორც ევროპაში. აქ იდეები სამუდამო ცვლაშია, როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური ოპერაციფიციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს. სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი რამ შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს (ე. „ცისფერი ყანწები, № 1, 1916 წ). მართლაც და შეადარეთ ქართველი სიმბოლისტების მანიფესტები, თეორიული წერილები, ლექსები, მინიატურები, რუსულად თარგმნილი და გამოცემული ფრანგი სიმბოლისტების მანიფესტებს, თეორიულ წერილებს და ლექსებს და თქვენ აღმოაჩენთ მათ შორის არა მარტო მსგავს პოზიციას, არამედ ზოგ შემთხვევაში პირდაპირ გადმოქართულებულია ფრანგი და რუსი სიმბოლისტების (ასევე იტალიელი და რუსი ფუტურისტების) მანიფესტებიდან აღებული პასაჟები. ქართველ სიმბოლისტებს ამოძრავებდათ ქართული მწერლობის ევროპის რადიუსით გამართვის სურვილი. ისინი თვლიდნენ, რომ ქართული მწერლობა, განსაკუთრებით ქართული ლექსი რუსთაველის, ბესიკის შემდეგ გამომსახველობითი საშუალებებით გაღარიბდა, ეთნოგრაფიული გახდა. ევროპული სტანდარტების მიხედვით „პოეზია აყვანილი ეთნოგრაფიიდან და ეროვნული პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე, ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც. ეს არის თეზისი ცისფერყანწელების“ (ტიციან ტაბიძე). ხოლო ცოტა უფრო გვიან ეს თეზისი ასე ვითარდება: „ცისფერყანწელები“ პირველი მემარცხენე სკოლა იყო და არის ქართულ მწერლობაში. რვა წელიწადია ეს სკოლა აწარმოებს თავის სასტიკ ბრძოლას ახალი გზების დაპყრობისათვის. ჩვენ დღესაც ვერავის დავუთმობთ პოეზიის პოზიციებს, რადგან მწერლობაში ყველგან კარგად ვგრძნობთ ცხოვრების შეცვლას, ქვეყნიერების ახალ რიტმს და რევოლუციას. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ქართული კულტურის განმტკიცება, მისი გამოყვანა ეთნოგრაფიული საზღვრებიდან მსოფლიო კულტურისა და შემოქმედების ასპარეზზე. ქართული ხელოვნების ძველი არმია დღესაც განაგრძობს დამშვიდებულ ცხოვრებას, თითქოს ქვეყანაზე არაფერი შეცვლილა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვუცხადებთ ბრძოლას ყოველივე მოძველებულს, დაობებულს, ჩამორჩენილს“ (ტ. ტაბიძე, „ბარიკადი“ № 7, 1924 წ.).

ქართველი სიმბოლისტები შეეცადნენ ქართული ლექსის განახლების გზა ქართულ ნიადაგზე განვითარებულიყო, მათ გააქართულეს სიმბოლიზმი. აქ შეხვდნენ ტიციან ტაბიძე და გალაკტიონ ტაბიძე ერთმანეთს. „პოეზია უპირველესად ყოვლისა“ და „სიმბოლიზმი უპირველესად ყოვლისას“ (გ. ტაბიძე) ეხმიანებოდა ტიციან ტაბიძის ფორმულა: „ქართული პოეზიის ხერხემალის გამაგრება ევროპული სიმბოლისტური სტანდარტების მიხედვით“. თითქოს ტაბიძეების გვარს ვალად ემართა ორი ახალი ტიპის დიდი პოეტი მიეცა საქართველოსათვის. ორივესათვის პოეზია იყო ღმერთი.

ამ რწმენით შეაღეს ქართული პოეზიის კარი გვარტომობითა და სულით ნათესავმა პოეტებმა: გ. გაბიძემ, გ. ტაბიძემ და ტ. ტაბიძემ: ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი, ერთად ლპებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი. ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უყმურები და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით... გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი, რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა. ერთია ჩვენი სამუდამო ხამის ემბაზი ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით...

ტიციან ტაბიძემ 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა. ხოლო როდესაც ყურნალ „ცისფერი ყანწების“ საპროგრამო წერილში შეაფასა „ძვირფასი სამება ჩვენი პოეზიისა, — სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე“, განაცხადა: „გალაკტიონ ტაბიძე ახალგაზრდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. „მე და ღამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმაა, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას“. ასედაც მოხდა, ამის დასტური იყო გალაკტიონის მეორე წიგნი „არტისტული ყვავილები“ 1919 წელს გამოცემული.

აქ ისიც სათქმელია, რომ სიმბოლიზმის ერთნიშნიანი განმარტება არ არსებობს; ეს ტერმინი, როგორც მიმართულების აღმნიშვნელი, პირველად გვხვდება ჟან მორეასთან, მის მიერ გამოქვეყნებულ სიმბოლისტების მანიფესტში (1886 წელი), რომლის ძირითადი დებულებები შემდეგ ცისფერყანწელებმაც გაიმეორეს თავის მანიფესტებში. სიმბოლიზმის ესთეტიკურ იდეურ შინაარსს განსაზღვრავს ის, რომ არსებობს ორი სამყარო. ერთი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ ფიზიკურად და მეორე — ირეალური, აბსოლუტური, რომელსაც პოეზიამ უნდა გვაზიაროს სიმბოლოების საშუალებით, სიმბოლოსი იმ მუდმივი აბსოლუტისა, რომელსაც საიქიო, ღმერთი, პოეზია აერთმნიშვნელიანებს. ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ორიგინალურად შეერწყო ერთმანეთს ირეალურის, მისტიციზმის, ბოჰემის, თვითმკვლელობის სიმბოლოები ეროვნულ, პატრიოტულ შენაკადებს. ამის ტიპიური ილუსტრაციაა ლექსების ციკლი

„ორპირზე“ და „ქალდეაზე“. იგი პირდაპირ დაესხა დეკადენტი ფრანგი პოეტის ლოტრეამონის იმ წიგნს, სადაც პირველად ალაპარაკდა მალდაროორი. თავის ესეისტურ სტატიასაც ასე უწოდა: „ორპირის ოქროპირი მალდაროორი...“ „აქვს გამარჯლება — საქართველოში, — წერდა ტიციან ტაბიძე — მალდაროორს, ამ ყვითელ გომბეშოს ატირებას... მე დავდიოდი რიონის ფშანებში, ატეხილ ფშანებში, რომელსაც იორდანე დავარქვი და რომლის კუნძულსაც ახალი პატმოსი, ჩემთან ერთად დადიოდნენ ლაფორგი, ტიუტჩევი, ბოდლერი. და იმქვეყანაში სადაც ხალხი გადაშენდა, სადაც მხოლოდ ერთი ბაყაყების ორკესტრი დარჩა, მე ვფიქრობ პოეზიაზე — რომ პოეზია ბოლოს, როგორც უკანასკნელ წყაროს ამ ფშანს უნდა დაწაფებოდა. და აკი ამბობდა არტურ რემბო: მე თუ ევროპის წყალი მინდა, მხურს მხოლოდ ფშანი, ცივი და შავიო. და იყო ეფემერული ჩვენება ციებით გასიებული ადამიანების, დავიწყებულ საყდრებს მელამურეები ესიენ, და ამორძალები დასეოდნენ უზარმაზარ ბაყაყებს ამ ფოსფორით ადუღებაში, როგორც უკანასკნელი საყვირის ცემა ისმოდა მაღალი ხმა მალდაროორის“. („მეოცნებე ნიამორები № 7. ტ. ტაბიძე) ეხლა მოვიგონოთ ამ მოდელით შექმნილი ლექსები: „—ცხენი ანგელოსით“: — „აპოკალიფსის თეთრი იმედი. გზა შორეული ქიმერია, ქალდეა, ეღალი კავკაზი. საქართველოს ბედს მხოლოდ ცხენით თუ დაეწევი. მორბიხარ თეთრი — მარტო იმედი ცხენი ანგელოსით. გზას შორეულს რა გაიარდა? მე სამუდამოთ გავაღმერთე ერთი არია. დაიმახსოვრებს ამ სიმღერას ჩემი სამშობლო. მე აქ ვიხილე პირველად ყრმამ ყრმა უკვდავი აპოკალიპსის თეთრი იმედი ცხენი ანგელოსით“... და ძველი ქალდეას კიდევ ერთი ქება: „ძველი ორპირი, დანგრეული სანაოები. ქალდეას ზეცა, ამართული, ვით ეშაფოტი, მონომანისთვის აღარ არის სხვა სათნოება, რომ დაჭრილ სულის გადითვალოს ყველა ნაფოტი, ბედის ვარსკვლავი ქალდეასთვის მართლა მკვდარია, რექვიემივით ისმის ახლა ყველა არია. ძველია თემა: გიჟი მდვდელი და მალარია“.

ქალდეასა და ორპირის სიმბოლისტური ლექსების ციკლში ქართული პეიზაჟია გამოყენებული. ქალდეა და ორპირი ორპლანიანია. ზეციური, ღვთიური და მიწიერი, რეალური პეიზაჟით — ციების ბუდე ორპირის ფშანი და ჭაობი. იგი რექვიემური განწყობილებისათვის გვამზადებს. სიმბოლისტების მსგავსად ტიციანი თვლიდა, რომ მიუღებელია ტენდენცია სოციალური მქადაგებლისა, პოეზიის მარგებლიანობისა, უტილიტარიზმისა. რელიგიასა და მისტიკაში უნდა მოხდეს მეტი ჰარმონია ქართულ სულთან. იგი წუხდა, ყველაფერი წინ მიდისო პოეზიის გარდა. „კითხეთ თქვენს ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია, — ვინ უფრო აღელვებს: სტეფანე მალარმე, თუ დანტე ალიგერია?“ და დაასკვნის: „ორია რკალი: სატურნი და მალარია. სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტელ მე ერთ რექვიემს, ვარსკვლავად დასხდნენ ბაყაყები ქალდეას ზეცას“. ეს ქართული უყმურის, ციების პეიზაჟები შეერწყმის სიმბოლისტურ მისტიკას: „ბირნამიის ტყე... ქალდეას ჩრდილი, ლორდი პიერო მოღუნულ კუზით, ლედი მაკბეტი პერანგგახდილი გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზით. მოჰყავთ არტური ავადმყოფ ჭინკებს, მოწყვეტილ ფეხით ჭიანურს უკრავს, თავისმკვლელები ავსებენ ჭიქებს და ულოცავენ ამაყ მოურავს“.

ტიპიური სიმბოლისტური ლექსია ტიციან ტაბიძის ქართული მიწით მოზელილი „ნინა მაყაშვილს“.

„შენს წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას, შენს ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას! ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა, შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი, ამოდის მთვარე — თავისმკვლელთა ლეშით მსუქანი, ვანქის ტაძარში «Sabachtan»-ით შენ გაგეცინა.

მუხრანის ხიდზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით, საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა. ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით, ამიტომ მოგვწონს და შეგვინდობს ჩვენ ეს ობობა. ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი. ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით. თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივ დემონი: მე ვხედავ იმ მორგს, მოწამლული სადაც დავწვებით. ღმერთს, პოეზიას, შენს სიყვარულს მე დავაფიცე: წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!“.

ეს სონეტი მისტიკური ხატებითაა დასახლებული. ფორმალიზმის, ფორმის პრიმატის აღიარებით, ფრანგი სიმბოლისტების მსგავსად, ქართველმა სიმბოლისტებმა შექმნეს საუკეთესო ნიმუშები ქართული სონეტებისა: „კოჭლი სონეტი“, „სონეტი უნაგირით“. „ელამი სონეტი“, „სონეტი პროზით“.

საერთოდ სიმბოლისტებმა ლექსის ახალი სტრუქტურა შექმნეს მისტიციზმისა და ესთეტიზმის სინთეზის ნიადაგზე. გამოაცხადეს პოეზიის თვითმიზნური თავისუფლება, ლექსი იდეის კონცეფციიდან თავისუფალი. მათ მიიღეს შოპენჰაუერის ფორმულა: „სამყარო მხოლოდ ჩემი წარმოდგენაა, არის იმდენი განსხვავებული სამყარო, რამდენი მოაზროვნე ადამიანიცაა“. მეორეს მხრით, ნიცშეს „ზარატუსტრას“ ზეკაცის იდეა გაიზიარეს. ამის მიხედვით სიმბოლიზმის დოქტრინად იქცა მისტიციზმი. ლირიკის ენად გამოცხადდა მუსიკის ენა, იდეალური სამყაროს შეგრძნობა — სიმბოლოებით. სიმბოლისტებმა ლექსი გაანთავისუფლეს ლოგიკური მსჯელობისაგან. სიმბოლიზმი ნი-

ღბების პოეზიად იქცა და, ბოლოს, სიმბოლიზმი დაკავშირებულია ვერლიბრთან, ვერლიბრი სიმბოლისტებამდის იყო გამოყენებული, მაგრამ ვერლიბრის კლასიკური ნიმუშები ფრანგ სიმბოლისტებსა და, კერძოდ, არტურ რემბოს პოეზიაშია მოცემული. ქართველმა სიმბოლისტებმა სამყაროს აღქმის სიმბოლიზმის ფილოსოფიური და ესთეტიკური დოქტრინა გაიზიარეს. ოღონდ მას ეროვნული ნიშან-თვისებანი მოუძებნეს. ამ მხრივ წინ წამოწიეს პატრიოტული ნაკადი. ამის გამო აცხადებდა ტიციან ტაბიძე „არავის იმდენი არ უბრძოლია პოეზიის ემანსიპაციისათვის, არავის იმდენი არ უბრძოლია მაღალი პატრიოტიზმისათვის რამდენიც „ყანწელებს" (ტ. ტაბიძე „ბარიკადი" № 1, 1923 წ). რასაკვირველია, ეს გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ტიციან ტაბიძისათვის სიმბოლიზმი იყო სათავე ქართული ლექსის ეროვნული ბუნების გამდიდრებისა და ამაღლებისა. ამიტომ დააწყვილა მან სახელები ვერლენი და ბესიკი, რუსთაველი და მალარმე (იხ.„ცისფერი ყანწები", №2, 1916 წ.) მან სიმბოლისტური მისტიციზმი და ქართული ეროვნული სევდა თავისებურად მოარიგა ფორმისათვის ბრძოლაში.

„გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში. ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს. და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში, ჩემს ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს".

საპროგრამო წერილში ამ აზრს ასე ავითარებს: „ბესიკისაგან პოლიტიკისა და პოეზიის სფეროთა გაყოფა, მით უფრო დასაფასებელია, რომ ის იყო კანცლერი იმერეთის მეფის სოლომონის და დაიღუპა დიპლომატიურ მისიის ასრულების დროს ქ. იასაში... არ არის სხვა პოეტი, რომელსაც ისე გაეწმინდოს ლირიკული თემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, ჭრელი ეპითეტი, ნაჩრდილთა ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალური ენერგიის ჯადოქრობა, იმას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის ზამამთავრად, როგორც ფრანგმა სიმბოლისტებმა აიყვანეს რონსარი და რუსებმა თ. ტიუტჩევი" („ცისფერი ყანწები", № 2, 1916 წ.). ხოლო ვაჟა-ფშაველას შესახებ წერდა: „ვაჟა-ფშაველა პანის ღვთაებრივი მჭვრეტელი, ხევის ნიაღვრით დასველებული მუზით, რომლისთვისაც ბუნება ემბაზიც იყო, საქორწინო საწოლიც და კუბოც... ვაჟა ხელუხლებელი ბუნებაა. ვაჟა-ფშაველა ეს სასწაული და სიმბოლიკა უკანასკნელი საუკუნის, ცეცხლოვანი ჩვენებაა საქართველოს მარადი სულის... მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთას" („ცისფერი ყანწები")„...ყველა ქართველში, გამონაკლისს შეადგენს ნიკო ფიროსმანი, ამ შუადღის ლეგენდის, ჯადოქარი ოსტატის, საქართველოს მზის კონგენიალი ორეულია ვაჟა-ფშაველა, რომელთანაც მას აქვს ანალოგია" („ბახტრიონი" № 8, 1922 წ.) და ასე, ტიციან ტაბიძე ცისფერყანწელების (ქართული სიმბოლიზმის) უშუალო წინაპრებად თვლიდა ჯერ რუსთაველსა და ბესიკს, მერე ვაჟასა და ფიროსმანსაც... ცისფერყანწელებით იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების. „დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ სულს და ინაკვთება ქართული იდეა ძველი ქართული იდეით... მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე... ჩვენ ვიზამთ ამას. მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნულ აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ — „ცისფერი ყანწებით" (ტ. ტაბიძე, 1916 წ.).

ბესიკის მთავარ დამსახურებას ხედავდნენ ფორმალიზმსა და „პოლიტიკისა და პოეზიის სფეროთა გაყოფაში". მაგრამ რა ვუყოთ ბესიკის „ასპინძისათვის" და „რუხის ბრძოლას"? — პატრიოტიზმის ჰიმნს, ისტორიულ ბრძოლას ქართველებისა თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ? საქმე იმაშია, რომ პატრიოტიზმი თვით ქართველი სიმბოლისტების ნიშან-თვისებაა. მოვიგონოთ პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ლექსები თურქების წინააღმდეგ ომში 1918-1920 წწ. და მათი მონაწილეობა ამ ომში. ან გავიხსენოთ ყანწელების მანიფესტები; უფრო ნათლად ქართული პატრიოტიზმი გამოვლინდა გაზეთ „ბახტრიონში" (1922-1923 წწ.), დაწყებული სათაურით — „ბახტრიონი" და პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის წერილებში — ყველგან ღვივის ქართული ეროვნული სული. სწორედ აქ გამოაცხადეს ვაჟა და ფიროსმანი „ეროვნულ გენიად", ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილებში კი ილია „დიდ ეროვნულ და საზოგადო მოღვაწედ".

1921 წელს საბჭოთა საქართველოს მიესალმნენ ყანწელები, ისე როგორც რუსი სიმბოლისტები 1917 წლის რევოლუციას და ფრანგი სიმბოლისტები პარიზის კომუნას. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ, ლიტერატურაში კვლავ სიმბოლიზმის მეაბჯრეებად დარჩენილიყვნენ. ქართველი სიმბოლისტები რევოლუციას ეროვნულ მისიას ანიჭებდნენ. ტიციან ტაბიძე 1921 წელს წერდა წერილში:—„რევოლუცია და პოეტები", „ქართველი პოეტები ასე ფიქრობდნენ, ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე და რევოლუციის დაცვა ერის ეროვნების იდეის დაცვაა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად, განთავისუფლდება ერიც:... რასაკვირველია ეროვნულობა არ გამორიცხავს რევოლუციონრობას". და „ცისფერყანწელებმა" მიიღეს რევოლუცია, მაგრამ არა ერთბაშად. ეს გარდატეხა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე დეკლარაცია მიწას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დაბრუნებისა (1925 წ.) ოციანი წლების ბოლომდე შერჩა ტიციან ტაბიძესა და „ცისფერყანწელების“ ორდენის წევრებს სიმბოლისტური თემის მოდელები და ლექსის სტრუქტურა (მაგ. ტიციანს „შეხვედრა კოსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, (1927 წ) „სკვითური ელეგია“ (1920 წ.). „სერგეი ესენინი“ (1926 წ.). დიახ, ძლიერი იყო ესთეტიზმით გატაცება. ამ მხრივ მონოლითური და მთლიანი იყო ეს ცისფერი ორდერი ცამეტ ძმათა. აკი იტყვის პაოლო იაშვილი — ცისფერყანწელები ერთი კაციაო, ერთი პრინციპით შეკრული. ტიციანი დაუმატებს: „ამიერიდან გაყოფს ნამდვილ პოეზიას ბანალობიდან. არც ერთი ხაზი ეთნოგრაფიის. მისი მარშრუტია საფრანგეთი და მსოფლიო. მისი ფანტაზია გადადის ფანტასმაგორიაში. ლაფორგისა და ლოტრეამონის შემდეგ დღე ისე არ ღამდება, როგორც წინათ. და ამ კოშმარულ ღამეებს უნდა სხვანაირი გათენება“. („მეოცნებე ნიამორები“ 1924 წ). ყანწელებმა სიმბოლიზმის მისტიური თეორიული საფუძვლები გაიზიარეს, მაგრამ ქართული ლექსისთვის ზრუნვა არასოდეს დავიწყებიათ. ტიციან ტაბიძე სამართლიანად წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარო აღმოვჩნდით სწორად გავრკვეულიყავით სოციალ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინდელ გაღარიბებულ ქართულ ლექსის ფონზე, პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო, ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა, ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს: ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგის და სხვა ფრანგ და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემისა და სახეების არე — ქართულმა ლექსმა ახლებური ჟღერა შეიძინა“. ამას ემატებოდა ისიც, რომ ისინი თავიანთ თავს უაღრესად ეროვნულ პოეტებად თვლიდნენ, ისე როგორც გალაკტიონ ტაბიძე — „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართველის, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“, ტიციანი აცხადებდა: „ვარ თავმდაბალი, გულით საწყალი სხვისი ჩამიდგეს გული საგულეს, მაგრამ ქართული მიწა და წყალი ვერ ნახავს პოეტს ჩემს უერთგულესს“. მას აწვალებდა „ქართული მზე და ქართული მიწა“. ასე მყარდებოდა სიმბოლისტურ-სულიერი სამყაროს და ქართული ბუნების საოცარი ერთობა. მაგრამ საბჭოთა რეალობა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოიყოლია ცისფერყანწელების ეს მონოლითური სკოლა, კერძოდ ტიციან ტაბიძე, რასაკვირველია იყო „მტანჯავი გაორება“, ერთგვარი სინანულიც გამოთხოვებასთან: „ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია... და არ გვაცალა შთაგონების დავაუკაცება“. მაგრამ მან საბოლოოდ გულით იწამა. „არსად ჩაქრება არასდროს გიზგიზა ცეცხლის ქარბუქი, ახალი საქართველოა თავფარავნელი ჭაბუკი“, და საჯაროდ განაცხადა, „საბჭოთა მწერლობა თავგანწირულ მუშათა კლასთან ერთად, რომელმაც შექმნა ახალი ფორმა სოციალისტური შრომისა, ქმნის სოციალისტურ კულტურას, რომელიც ეროვნულია ფორმით, პროლეტარული და ინტერნაციონალური შინაარსით...“

პოეტი მთელი არსებით მოექცა ახალი ცხოვრების შუაგულში. ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ოქროყანა“, „მაშ გამარჯვება“, „ნუ გაიკვირვებ“ „შემოდგომის დღე ოქროყანაში“, საბჭოთა საქართველოს სადიდებელი ჰიმნია. გასაოცარი პოეტური ხილვები, მოვარდნილი, თავაწყვეტილი სტრიქონი გრძნობებისა გვაბრუებდა მიწის სურნელებით, საქართველოს ეშხით, აღგვაგზნებდა ახალი ცხოვრების უნაპირო გულწრფელი სიყვარულით. ეს მართლაც ხელმეორედ დაბადება იყო პოეტისა: „მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი, ახალ ბრძოლაში თავით დავეშვი, სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი, ისე როგორც ზღვას ვერ დაცლის პეშვი. დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარცით კი არა სისხლით რომ ვწერდი. საბჭოთა მიწავ! გიკოცნი ფესვებს ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი! (1928 წ.) სიმბოლისტური ძიებებით, გამოგონებებით, მირაჟებით, მისტიკით, მოჩვენებებით, ორეულებით, ნიღბებით გართულებული ლექსის კონსტრუქცია თანდათანობით შეცვალა ნათელმა, რეალისტურმა პოეტურმა ქსოვილმა. ეროვნული საწყისების განზოგადებით, რომელიც მას იმთავითვე ჰქონდა თანდაყოლილი, ამაღლდა საბჭოთა პატრიოტიზმის საოცარ ორიგინალურ გამოხატვამდე. „თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე და დაუჩოქებ მიწას მუხლებით. — მაშ, გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი. ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს, სანამდე უნდა რომ გზად ედინოს გავარვარებულ ოქროს მთა-ველებს! სხვა რომ მოკვდება მისთვის რა არი: წავა, გაქრება, როგორც სიზმარი, მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს. ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი. — სხვა საქართველო მაინც სად არი, რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა? ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი, ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა? დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი—მაშ, გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.“ ეს პატრიოტიზმი ისე გადამდებია, ისე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომაჯადოებელი, რომ მკითხველი ერთბაშად პოეტის თანაზიარი ხდება. ყველაფერი ეს დეკლარაციით კი არ არის გამოხატული, პოეტის სულშია აღმოცენებული სტიქიურად.

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

პოეტი მღელვარებით წერდა: სამჯერ ვარ დაბადებული მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.

ტიციან ტაბიძე მთელი თავისი არსებით, მეობით, პოეტური მრწამსით საბჭოთა საქართველოს ჭეშმარიტი მხატვარი გახდა. ამ მხრივ მისთვის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ოცდაანი წლების მიწურული და ოცდაათიანი წლები იყო. პოეტი ბევრს მოგზაურობდა, ეცნობოდა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას, თვეობით ცხოვრობდა რიონჰესის მშენებლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა როგორც პოეტი და მოქალაქე ამ გრანდიოზულ მშენებლობაში. ამის შედეგად შეიქმნა ორი ბრწყინვალე ნარკვევი: „რიონჰესი“ და „რიონიდან ენგურამდე“. კოლხეთის მშენებელთა თუ ტყვარჩელის მაღაროელთა ხშირი სტუმარი იყო, ეცნობოდა საბჭოთა რუსეთსა და ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს. მას ყველგან თბილად ხვდებოდნენ: უკრაინაში თუ ბელორუსიაში, სომხეთსა თუ შუა აზიაში. ყველაზე ხშირად მოსკოველ და ლენინგრადელ პოეტებთან ატარებდა პოეტური ცხოვრების საინტერესო დღეებს. პირადად იცნობდა იგი ყველა გამოჩენილ საბჭოთა მწერალს და მათთან მეგობრული კონტაქტები ჰქონდა. ამ ვითარებაში ყალიბდებოდა ის დიდი პოეტური იმპულსი და შთაგონება, რომლითაც ცხოვრობდა, სუნთქავდა და ჰქმნიდა იგი თავის საუკეთესო ლექსებს, ნარკვევებს, წერილებს თუ თარგმანებს. ყოველივე ამის შედეგად არაჩვეულებრივად გაფართოვდა, გამრავალფეროვანდა მისი პოეტური პალიტრა. სისხლსავსე და ხორცსავსე გახდა მისი საოცარი მიწიერი და სულიერი ლექსები.

პოეტი მთელი თავისი გულწრფელობით მიესალმებოდა ახალ დროს და მშრომელ ხალხს:

„თავისუფლება მხოლოდ ხალხს აკლდა — ედო მონობის მძიმე უღელი, თავისუფლება რომ აქ დასახლდა, ჩვენი თაობა ამას უმღერის. დარიალიდან ღართის კარამდე და ან სანამდის თვალი მიუწევს, სოფლიდან სოფლად, აულით აულს, ახალ ცხოვრებას ეყრება ფუძე“.

ტ. ტაბიძე თავდადებული მებრძოლი იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა, სოციალისტური სამშობლოს ამ საფუძველთა საფუძვლის განმტკიცებას მოანდომა მან დიდი დრო და ენერგია, როგორც საბჭოთა მოქალაქემ, ხოლო თავისი ლექსებით უკვდავი ძეგლი აუგო ამ ძმობასა და მეგობრობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა სომხეთზე დაწერილი ლექსების ციკლი.

გულწრფელი იყო პოეტის სიტყვები: საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტკაველი, იყოს უკვდავი, ვით პუშკინი და რუსთაველი. საოცარი სილაღით და უზადობით არის დაწერილი ამ პერიოდის ლექსები: „ალავერდობა“, „ვაჟა-ფშაველას გადასვენება მთაწმინდაზე“, „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“, „ლექსის დაბადება“, „ბაღდადის ზეცა“. ეს უკანასკნელი ასეთი პოეტური აკორდით მთავრდება,“ „როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს, მოდი! ბაღდადის ცას გადაურჩი ან საირმეზე ირმების ბღავილს“. ოცდაათიან წლებში ლაღად გაშალა ფრთები ტ. ტაბიძის განუმეორებელმა პოეტურმა ტალანტმა. სადად, უბრალოდ ამბობდა თავის სათქმელს: ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე გაზაფხულისთვის მოდის ბალახი...

და პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს უბრალოება არასოდეს დასულა მაღალი პოეზიიდან პრიმიტივიზმამდე, გაცვეთილ ტრაფარეტამდე. უნდა დავუჯეროთ პოეტის განცხადებას: არც ერთი სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა, როცა პწკარები, პწკარებს სდევნიან, საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა“.

მისი საუკეთესო ლექსები მუდამ დარჩება პოეტური, ორიგინალური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშებად. ასევე, მგზნებარე პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი მუდამ შთამაგონებელი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ მეძველია

პაოლო იაშვილის ხუთი ლექსის სადავო კომენტარები

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პაოლო იაშვილის ზოგიერთი ლექსის („ლანდი სიცივეში", „წერილი დედას", „წითელი ხარი", „პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა" „ახალ საქართველოს") პირველნაბეჭდი წყაროები, დაწერისა და გამოქვეყნების თარიღები არ არის ზუსტად მითითებული. ამ მიზეზით სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში დამკვიდრდა სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი და შეხედულება. ახლად მიკვლეული მასალა მნიშვნელოვნად გვეხმარება სადავო შემოქმედებითი საკითხების რეალურ ინტერპრეტაციაში, ხოლო თარიღს, როგორც სამართლიანადაა მიჩნეული, „ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოქმედის სულიერი ევოლუციის არაერთი საკითხის დასადგენად" (რ. თვარაძე „გალაკტიონი", 1972). ვინაიდან არ არსებობს პოეტის ნების გამომხატველი თხზულებათა კრებული, საფუძვლად ბოლო, 1975 წელს გამოცემული ერთტომეული მივიჩნიეთ.

„ლანდი სიცივეში." პ. იაშვილის თხზულებათა აღნიშნულ წიგნში ლექსის გამოქვეყნების შესახებ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში მოცემულია შემდეგი ცნობა: „ჩანგი", მეორე გამოცემა, 1915 წელი. „თბილისი". კომენტარი არ არის ზუსტი და სრული. შითითებული „ჩანგი" მხატვრული ნაწარმოებების ანთოლოგიაა. გასულ და მიმდინარე საუკუნეში დროდადრო გამომცემლები ვ. აბაშიძე, ი. დადეშქელიანი, მ. გაჩეჩილაძე და სხვები „ჩანგის", „ახალი ჩანგის", „მოწაფის ჩანგის" და სხვა სახელწოდებით ბეჭდავდნენ სხვადასხვა დანიშნულების კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებს. კომენტარში დამოწმებული ანთოლოგია მ. გაჩეჩილაძის მიერ არის შედგენილი, ოღონდ შეცდომითაა აღნიშნული გამოცემის წელი და ტომი. ზუსტი დასახელება მოცემულია ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიასა და ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგში: „ჩანგი", შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ ტომი მეორე, თბილისი, ჩშივ" (1916). სწორედ ამ კრებულშია დაბეჭდილი „ლანდი სიცივეში" და პ. იაშვილის კიდევ ორი ლექსი „ზარის ხმა ქარში" და „პირამიდებში".

აღნიშნული კრებულები ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. თავის დროზე მათ ინტერესით ეცნობოდა ქართველი საზოგადოება. აღნაგობის თვალსაზრისით მსგავსი ხასიათისაა 1919 წელს ქუთაისში ცისფერყანწელების მიერ გამოცემული „ახალი პოეზიის ანთოლოგია". ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა მოთავსებული ჟურნალ „ხელოვნებაში" (1921, № 3) „... ეს პირველი ცდაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „ჩანგის" I და II კრებულს."

ლექსი „ლანდი სიცივეში" პირველად დაიბეჭდა ქუთაისში, პერიოდულ გამოცემაში 1916 წლის 22 სექტემბერს. ლექსის შეთხზვის თარიღადაც 1916 წლის სექტემბრის თვე უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ახალი ლიტერატურული ჟურნალის „ცისფერი ყანწების" გამოცემიდან შემდგომი 6-7 თვე. პოეტურ ნაწარმოებში სიმბოლურ სახე-ხატებში გადმოცემულია საქართველოში ახლად აღმოცენებული, ჯერ კიდევ სუსტი და ნაკლებად გათვითცნობიერებული შემოქმედებითი მოვლენები: „ცივ ველზე ზამთრის სუსხსა და წვიმაში გამოჩნდა დაგვიანებული, უბინაო, გამხდარი ლანდი. ვინ არის? გზა სად არი?" — კითხულობს პოეტი.

მოპასუხე თავად ლექსის გამჭვირვალე სტრიქონებია: წარმოსახული ლანდი მსოფლიო მოდერნიზმის, კერძოდ, ფრანგულ-რუსული სიმბოლიზმის საქართველოში „დაგვიანებით" მოსული მგზავრის სახე-აჩრდილია. „ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი“ გაუპოხიერებელი ქართული ნიადაგი, „ზამთრის“ სუსხი და „წვიმა“ კრიტიკული ატმოსფერო, რომელიც ახალ ლიტერატურულ მანიფესტაციას მოჰყვა, მგზავრის მიერ გადარჩენილი „ყვავების მგლოვიარე გუნდს დაცილებული ყვავი“-ედგარ პოს ლექსზე აღმოცენებული მსოფლიო სიმბოლიზმის ქართული ნერგი.

სულ ცოტა ხანში პოეტმა ლექსში „ავტოპორტრეტი“ აბსტრაგირებული შთაგონებები მატერიალიზებულ სახეებში წარმოგვიდინა:

საქართველოში არ იწამეს ჩემი დენდობა,
მაგრამ ბოდლერის ცივი ლანდი თუ კი
მენდობა... და სხვ.

პ. იაშვილმა კონკრეტულ შემოქმედებით ფაქტს განმაზოგადოებელი ძალაც მიანიჭა: ყოველი სიახლე, შორეულ გზაზე შემდგარი ყველა მგზავრი როდი მიაღწევს მიზანს, ტრაგედიაც გარდაუვალია. ამიტომაც თანაუგრძნობს მათ:

მშვიდობა ყველას, ვინც ზამთარში მოკვდება გარეთ.

როგორც ამ ლექსში, ისე სხვა პოეტურ ნაწარმოებებშიც მეტნაკლებად შეინიშნება პოეტის შემოქმედებითი პრინციპების ერთი თავისებურება, რომელიც აღნიშნული აქვს შ. აფხაიძეს: „პაოლოს მრავალი ლექსი, თუ ყველა არა, ბიოგრაფიული ხასიათისაა, მათში სინამდვილეში მომხდარი ამბები არის აყვანილი პოეზიის დონეზე“ („ადამიანები და წიგნები“, 1964, გვ. 68).

ლანდის, აჩრდილის, ორეულის სიმბოლურ-პოეტური ხატები თავიდანვე აემგზავრნენ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს. როგორც ცნობილია, ყველაფერი ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოცემით დაიწყო. 1915 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ პირად წერილში პ. იაშვილი შემოქმედებითი ევოლუციის ამ მომენტებს ასე გვაცნობს: ჩემს ლექსებს, განსაკუთრებით რევოლუციურს, გაზეთ „მეგობარში“ არ ვბეჭდავ, ჩემი პათოსი ალმანახისათვის მაქვს შემონახულიო. როგორც ცნობილია, ქართული ლექსის განახლებას მართლაც მისცეს მძლავრი ბიძგი ჭაბუკი პოეტების ექსპერიმენტებმა. თუ პ. იაშვილის პირველთქმას მანიფესტის ძალა მიენიჭა, ხოლო ტ. ტაბიძის წერილს თეორიული საფუძვლების მნიშვნელობა, ჟურნალში გამოქვეყნებული ვ. გაფრინდაშვილის ლექსი „ინტერიერი“ შეიძლება ერთგვარ პოეტურ აღსარებად მივიჩნიოთ:

გადავშლი ბოდლერს, გადვიკითხავ მის „მარტოობას“
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი: „ჩვენ შენ მოგელით,
შემოგვიერთდი, ახლობელო, გიცხადებთ ძმობას“.

ამ ლექსში ახალი პოეტური ტაძრის ინტერიერი უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი, ვიდრე პ. იაშვილის ლექსის რთულ, დაშიფრულ სახეებში.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აქვე უნდა გავიხსენოთ ტ. ტაბიძის მიერ „ქალდეას ქალაქებში“ გაცხადებული ჭეშმარიტებაც:

გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.
და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში,
ჩემს მწყობრ ლექსებში დაისვენებს და დაიჩრდილებს.

განსახილველი ლექსებიდან „ინტერიერი“ და „ქალდეას ქალაქები“ 7 თვით ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე პ. იაშვილის აღნიშნული ლექსი, რომელიც მალე თვით გახდა შთაგონების წყარო. ჟურნალის მეორე ნომერში გამოქვეყნდა ვ. გაფრინდაშვილის ლექსი „ძონძებში“, რომელიც ამ თემის ახლებურ გააზრებას წარმოადგენს და რომელსაც პ. იაშვილის ლექსიდან წამძღვარებული აქვს საგულისხმო ციტატა:

მგზავრის ძონძებში, ცივ ღამეში, გათბება ყვავი.

„წერილი დედას“. ერთტომეულში ლექსის შეთხზვის თარიღად მითითებულია 1916 წელი, ხოლო დაბეჭდვასთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი: „გაზეთი „ხალხის მეგობარი“, სურათებიანი დამატება, №1, 1917 წელი“. არც ერთი მონაცემი არ არის ნამდვილი. გაზეთ „ხალხის მეგობარს“ სურათებიანი დამატება საერთოდ არ ჰქონია. იგი არც ბიბლიოგრაფიულ ცნობარებშია აღნიშნული და არც ბიბლიოთეკებში მოიპოვება. ამ სახელწოდების გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 1 ოქტომბერს, მანამდე გაზეთს ეწოდებოდა „ჩვენი მეგობარი“. 1917 წელს სურათებიანი დამატება ორ გაზეთს „სახალხო ფურცელსა“ და „საქართველოს“ ჰქონდა, მაგრამ მათი გამოცემაც მარტის თვიდან შეწყდა. ამრიგად, 1 ოქტომბრისათვის, როდესაც გაზეთი „ხალხის მეგობარი“ გამოვიდა, სურათებიანი დამატება აღარც ერთ გაზეთს აღარ გააჩნდა.

ლექსი „წერილი დედას“ პირველად 1918 წლის 1 დეკემბერს დაიბეჭდა. დაწერის თარიღად პოეტის თხზულებათა ადრეულ გამოცემებში 1917 წელი იყო აღნიშნული. ჩვენთვის უცნობია შესწორების საფუძველი. არც ერთი მითითებული წელი არ არის გასაზიარებელი. ლექსის შინაარსიც ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ თარიღებს.

1916 წლისათვის პ. იაშვილი ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოს მკვიდრი იყო. ნაწარმოებში კი საქართველოს დედაქალაქში გადასახლების შემდეგდროინდელი სულისკვეთებაა გამოხატული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსში თვალნათლივადაა მოცემული ფაქტებიც: „დავტოვე სოფელი", „ქალაქში დაკარგული შვილი", „დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში", „კინტო, საეკვო ტარნები" და სხვ. ცხადია, პოეტი ლექსად დაწერილ „წერილს" თბილისიდან უგზავნის დედას.

ლექსის თარიღის ზუსტად განსაზღვრისათვის უსათუოდ გასათვალისწინებელია ნაწარმოების დრო-სივრცეში უეცრად შემოჭრილი ერთი უცხო მომენტიც:

იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ
დავტოვოთ!

მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ.

ეს ორი სტრიქონი ლექსის ქარგაში რამდენადმე მოულოდნელი ჩანს, ქმნის განწყობილებათა ახალ რკალს და აჩქარებს მოვლენათა განვითარებას. ქალაქის შთაბეჭდილებები, ახალი ატმოსფეროს განცდები, მოზღვავებული ფიქრები დროდადრო რომ აწვალებდა პოეტის შთაგონებას, გარე მიზეზთა ზემოქმედებით ამჟამად მოითხოვს გადაუდებელ გაზიარებას დედასთან დაუყოვნებლივ შეხმიანებას.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? რა ვითარება მოითხოვდა ასე სასწრაფოდ თბილისის დატოვებას? ცხადია, ამ შემთხვევაში დედაქალაქისაგან განრიდება და საწყისისაკენ მიბრუნება პოეტური იმპულსებით არ იყო გამოწვეული. ვფიქრობთ, მიზეზი უეცრად შეცვლილი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ვითარებაა. ასეთ მომენტებს მძაფრი ისტორიული მოვლენები ქმნიდნენ. როგორც ცნობილია, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მოულოდნელად არაერთხელ შემოიჭრნენ გათამამებული უცხო ჯარები, რის გამოც პატრიოტი ახალგაზრდა მგოსნები რამდენიმეჯერ გაემგზავრნენ. ბრძოლის ველისაკენ. შ. აფხაიძე გვაუწყებს ასეთ ფაქტს: „პაოლო და ტიციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ აწყურთან ბრძოლაში". ცხოვრებისეული ფაქტი პ. იაშვილმა ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსშიც აახმიანა.

პ. იაშვილი ასევე მგზნებარე ლექსით გამოეხმაურა 1918 წელს მტრის მიერ ქალაქ ბათუმისა და აჭარის ოლქის მიტაცების ფაქტს.

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მენშევიკური და დაშნაკური მთავრობების უნიათობით გაჩაღებული ძმათა შორისი „სამარცხვინო" ომი. 1918 წლის ნოემბერში დაშნაკთა ჯარები შემოიჭრნენ საქართველოში და თბილისის აღება დაისახეს მიზნად. ამ პერიოდში, დეკემბრის პირველ რიცხვში გამოქვეყნდა პ. იაშვილის ლექსი „„წერილი დედას". მართლაც, თითქოსდა გამართლდა პოეტის მიერ გამოთქმული წინათგრძნობა. ლექსის დაბეჭდვიდან 15 დღის შემდეგ იგი ტოვებს დედაქალაქს და საგანგებო მიზნებით მიემგზავრება ქუთაისში. აქ პოეტი დავით კლდიაშვილთან, მოწაფე ნიკოლოზ შენგელიასა და სხვებთან ერთად სახელდახელო მიტინგებზე სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს ახალგაზრდობას.

საინტერესო ცნობები შემოგვინახა მაშინდელმა პრესამ:

„1918 წლის 16 დეკემბრის საღამო ქუთაისში... საუცხოო ლამაზი სიტყვა თქვა მგოსანმა პაოლო იაშვილმა. ტფილისი საქართველოა და საქართველო კი ტფილისი. დაკარგვა მისი დამხობაი მთელი საქართველოსი. ვიხსნათ თავი უდიდესი სირცხვილისაგან".

17 დეკემბერს ქალაქის ბაღში, ხოლო 18 დეკემბერს თეატრში ახალგაზრდობისა და მოსახლეობის წინაშე კვლავ სიტყვით გამოვიდა პ. იაშვილი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო გარემოებაც. პატრიოტული გრძნობების გასაღვივებლად პოეტმა თავის სიტყვაში უხვად გამოიყენა ძველი ქართული მწიგნობრული ფრაზები. მოდერნიზმის ფუძემდებელი პოეტის სტრიქონები უმალ გამჭვირვალე ხდებოდა, როგორც კი საქმე მამულის სატკივარს შეეხებოდა.

ამრიგად, პ. იაშვილის ლექსის „წერილი დედას" დაწერის თარიღად 1918 წელი უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი შრომა დიდი ხნის დამთავრებული გვქონდა, როდესაც ჟურნალ „შვიდი მნათობის" მეორე ნომრის გაცნობის საშუალება მოგვეცა. აქ წავაწყდით პ. იაშვილის ამ ლექსის კიდევ ერთ ნაბეჭდ ტექსტს, უკვე თარიღის მითითებით — 1918 წელი, სექტემბერი. ამდენად დადგინდა ბეჭდვითი პროცესის ქრონოლოგია: პირველად იგი 1918 წლის დეკემბერში დაიბეჭდა ქუთათურ გაზეთში, შემდგომ კი — 1919 წლის ოქტომბერში, თითქმის ერთი წლის შემდეგ, თბილისურ ჟურნალში.

„წითელი ხარი". ერთტომეულის ბიბლიოგრაფიული ცნობით ლექსი 1917 წელს შეიქმნა და 1918 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „აისში". კომენტარი ამ შემთხვევაშიც არ არის ზუსტი და სრული.

პ. იაშვილის თხზულებათა კრებულებში ეს ლექსი თავიდანვე 1917 წლის დათარიღებით შეიტანეს.

სინამდვილეში კი ლექსი „წითელი ხარი" დაიწერა 1916 წლის პირველ ნახევარში და გამოქვეყნდა იმავე წლის 10 აპრილს ქუთათურ პრესაში. აღსანიშნავია ერთი გარემოება, გაზეთის ის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ლექსი, საღამოობა დღესასწაულისადმია მიძღვნილი. ამ დროისათვის სულ ახალი გამოცემული იყო ჟურნალ „ცისფერი ყანწების" პირველი ნომერი.

ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" ფურცლებმა შემოგვინახა ლექსის შემოქმედებითი ბიოგრაფიის საინტერესო დეტალი. „ლახტის" ფსევდონიმით ხელმოწერილ წერილში „თამარის

აჩრდილი" — სატირულ-იუმორისტულადაა აღწერილი ახალგაზრდა მგოსნების მართლაც არაჩვეულებრივი ლიტერატურული „დემონსტრაცია".

„თქვენ, ბ-ბო უეჭველია გეცოდინებათ, თუ რა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ქ. ქუთაისი — გაზაფხულზე, პატარძალივით მორთული იგი ყველას თავისკენ იზიდავს. ბულვარზე აუარებელ ხალხს თავი მოეყარა და გულის ფანცქალით ელოდა დიდებული ადამიანის მოსვლას. გამოჩნდა აჩრდილიც და ხალხი შუაზე გაირღვა... მას მოჰყვნენ პაოლო იაშვილი და გაფრინდაშვილი, რომელნიც... ცისფერი ყანწებით შამპანიურსა სვამდნენ. ხალხი მოუთმენლად ელოდა მათ „პირველ-თქმას". პაოლო იაშვილმა აიღო ამაყად მაღლა თავი და დაიწყო შემდეგი ლექსი „წითელი ხარი"... ამ მშვენიერმა ლექსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ასე გასინჯეთ თვით სახელგანთქმულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემაც ვერ მოითმინა და ჰაერში კოცნა გაუგზავნა მის ავტორს, ხოლო პატივცემულმა გაზეთმა „ჩვენმა მეგობარმა" მოათავსა იგი თავის ფურცლებზე. რამდენიმე წუთის შემდეგ იქ გაჩნდა რუსეთის დიდებული მგოსანი კოწია ბალმონტი, მოწონებით მოიყარა მან მუხლი თამარის აჩრდილის წინაშე და ექსპრომტად წარმოსთქვა ლექსი". („ეშმაკის მათრახი", 1916 წლის 29 მაისი).

ჟურნალ „აისში" ლექსის განმეორებითი დაბეჭდვის ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს ავტორის პოზიციას.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ჟურნალი „აისი" თავიდანვე „ცისფერი ყანწების" მიერ დანერგილი სიმბოლისტური ხაზის მიმდევრად მიიჩნია.

ჟურნალის არსებობა რამდენადმე მაინც დამოუკიდებელი და „ცისფერ-ყანწელებისაგან" გამიჯნული რომ ყოფილიყო, მეორე ნომრის შინაარსი რედაქციამ დანაწევრებით გამოაცხადა: „ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ გ. ტაბიძე, ლ. მაჭავარიანი... და სხვები, აგრეთვე პოეტები „ცისფერი ყანწებიდან". ამ ჯგუფის წევრთა შორის ქრონიკაში პირველადაა დასახელებული გ. ლეონიძის გვარი. ეს უნდა იყოს ოფიციალური ცნობა გ. ლეონიძის „ცისფერ-ყანწელების" შესახებ (ჟურნალ „აისის" მეორე ნომრის გამოცემის ფაქტი არ არის აღნიშნული ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში. იგი 1920 წლის დეკემბერში დაიბეჭდა).

ამ ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლამდე (1918 წლის 11 თებერვალი) ლექსი „წითელი ხარი" ქართველი მკითხველისათვის ფართოდ გახმაურებული ნაწარმოები იყო. პოეტმა ეს ლექსი, გარდა ქუთაისის ბულვარისა, წარმოთქვა 1917 წლის 2 თებერვალს თბილისში, ხოლო 16 თებერვალს ქუთაისში გამართულ „ცისფერ ყანწების" პოეზიის ღამეებზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოებაც. 1921 წელს თბილისში ტ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის მიერ შედგენილ „რევოლუციური პოეზიის" ანთოლოგიაში პ. იაშვილის შემოქმედებიდან შეიტანეს არა „წითელი ხარი", არამედ „ფარშავანგები ქალაქში". ცხადია, ლექსის შერჩევაში ავტორის შეხედულება და ნებასურვილიც იქნებოდა გათვალისწინებული.

ამრიგად, ლექსის „წითელი ხარის" დაწერისა და პირველი პუბლიკაციის თარიღების დაზუსტებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით ნაწარმოების იდეურ-თემატიკური რკალის განსაზღვრისათვის, ასევე, საერთოდ პ. იაშვილის შემოქმედების ზოგიერთი სადავო საკითხის გარკვევისათვის. თანამედროვე შეხედულებებიდან საინტერესოა გ. მერკვილაძის, ლ. ავალიანის თვალსაზრისი.

ტექსტობრივი სახესხვაობიდან განსაკუთრებით საგულისხმოა ერთი მომენტი, ერთტომეულში დაბეჭდილ ლექსს აღარ ახლავს პირველნაბეჭდში ეპიგრაფად წამძღვარებული ხალხური გამონათქვამი:

„წითელი ხარის ნაძოვზე ბალახი აღარ
ამოდის — ნაცეცხლარი,
ხალხური სიმბოლიკა".

„პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა". 1920 წელს გაზეთ „ბარიკადის" პირველ ნომერში გამოქვეყნდა პ. იაშვილის ეს პოეტური ნაწარმოები. ერთტომეულში იგი დაბეჭდილია უსათაუროდ. წიგნის სარჩევში ფრჩხილებში, აღნიშნულია ლექსის პირველი სტრიქონი „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ" მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში, ისიც შეცვლილი სახით, მითითებულია თავდაპირველი სახელწოდება. უსათაუროდ დაიბეჭდა ლექსი პოეტის პირველ კრებულშიც და მას შემდგომ ასეთი სახით გადადის იგი წიგნიდან წიგნში.

ერთტომეულში, და წინა გამოცემებშიც, ლექსის დაწერის თარიღად აღნიშნულია 1918 წელი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ასევე შეცდომითაა მითითებული ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში გაზეთ „ბარიკადის" პირველი ნომრის გამოცემის თარიღიც, 1918 წელი. ცნობილია ამ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის ყველა მონაცემი: წელი, რიცხვი და დღე — 1920, 18 ოქტომბერი, ორშაბათი.

ლექსის ბიბლიოგრაფიული ცნობების დადგენას ართულებს ის გარემოება, რომ მის პირველბეჭდურ ტექსტს არ ახლავს დაწერის თარიღი. საკითხის გარკვევაში ისევ ნაწარმოების ანალიზი და ტექსტში დამოწმებული დოკუმენტური ფაქტი გვეხმარება.

სრულიად ახალი განწყობილება, მანამდე უცნობი სულისკვეთება, უკიდურესობამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამძაფრებული ირონია გამოიკვეთა ამ ლექსში. თითქოს „წითელი ხარით“ და ფარშავანგებით“ გაკვალული გზა ჰორიზონტში შთაინთქა. პოეტი სასოწარკვეთილი გაირინდა გზაგამყოფთან: „გადამიშენდნენ დღეს წითელი ჩემი ხარები... მზიანს მიპირებს ღამე ჩათრევას... ახ, პოეზია... მეგობრობა... ჩემი სარდლობა... დამეთანხმებით ამეგო წესი: დღემოკლესა ვით გარდავიცვალე“ და სხვა.

გარდასახვის ასეთი გაურკვევლობის ყამს პოეტის იმედი კვლავ ძველი მეგობრებია:

მოაქვს სიკვდილებს ჩემთვის ცელები,
მაგრამ ზვარაკში არა ვარ კენტი,
არ მიმეტებენ მე „ყანწელები“, რემბო,
ბოდლერი და დეზ-ესსენტი.

ეს სტრიქონები მხოლოდ პირველბეჭდურ წყაროშია (გაზეთი „ბარიკადი“. № 1, 1920).

1920 წელი, პ. იაშვილისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა მწერლისათვის, რთული, ეკლექტიკური ატმოსფეროს შემცველი აღმოჩნდა. მოვლენათა სწრაფი ცვალებადობა ბევრ გაუგებრობას ბადებდა. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, პოეტს აინტერესებს როგორც ყოველდღიური ქართული ყოფა, ასევე პოეზიის მსოფლიო მერიდიანები. 1919 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ ერთ მივიწყებულ წერილში პოეტი დედაქალაქის უჩვეულო სურათებით აღშფოთებული წერდა: „ჩვენ მწუხარებას შევეჩვიეთ. განწმენდილ სულისთვის — მწუხარება და ტანჯვა აუცილებელია. მით უმეტეს საქართველოში. მაგრამ ძნელია შეთვისება საკუთარ თავის გამასხრებისა...“

ექსპერიმენტულ ლიტერატურას „ცისფერ-ყანწელები“ ძირითადად ფსევდონიმებს ანდობდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ცდის ნაყოფია 1920 წელს „კრეტ ხიმერსკის“ ფსევდონიმით რუსულ ენაზე თბილისურ ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსი „ახლადშობილი“. ეს ახლად მოვლენილი ლიტერატურული პიროვნება საოცარი ირონიით გვარწმუნებს, რომ მას ცაზე მიკერებული ვარსკვლავებისათვის დაუმზადებია კაუჭები. დიდი ოკეანის მსგავსი მისი მწვანე ცხვირსახოცი ვეღარ იტევს მის მნახველს, რომ მისი მზარეულია მ..ლი მონა-ლიზა, აუქციონზე ამერიკის შეძენის შემდეგ მასზე ნადირობა გაუმართავს რუზველტს, სიმინდის ყანებში პაემანი აქვს მადონასთან, ხოლო სადილზე აცდევინებს ეთიოპელებს, რომლებთანაც პირდაპირ მავთულით შეუძლია სურვილის გადაცემა და სხვა.

ბოლოს კი ავტორი გულწრფელად ეუბნება სიმართლეს თავის მკითხველს:

„ხალხნო, არ დაუჯეროთ ჩემს არც ერთ ნათქვამს“.

ასეთ ძიებათა ცდომილება უმნიშვნელო იყო, არჩეული ძირითადი რწმენის ერთგულებაში მათ ბზარი არ შეუტანიათ:

„წითელი ხარის“ გამძლებია მაგარი ჯიში
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად,
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს
აქამდე შიში,
რომ მოვედებით საქართველოს ლექსის
ნიაღვრად.

სულ მალე, 1921 წლის აგვისტოში, ამჟამად პოეტურ სტრიქონებში, ასე მტკიცედ გაისმა ტ. ტაბიძის ლექსში რწმენის ხმა.

აღნიშნული ფსევდონიმი რომ პ. იაშვილს ეკუთვნის, ამის შესახებ თვით ტ. ტაბიძე წერს: პ. იაშვილი „ხშირად თვითონაც წერდა ლექსებს რუსულ ენაზე მაიაკოვსკისებურად. ერთი ასეთი ლექსი ვილსონის შესახებ დაიბეჭდა თბილისში „კრეტ ხიმერსკის“ ფსევდონიმით“.

ლექსი 1918 წლის ქართული სინამდვილით არ არის შთაგონებული. ლოგიკური დასაბუთების შემდეგ თვალსაზრისის განსამტკიცებლად უნდა მივმართოთ ლექსში დადასტურებულ კონკრეტულ-ფაქტობრივ სახეებსაც.

პოეტური მიცვალების მიუხედავად, მისტიკურ სამყაროში ავტორი მხოლოდ რეალურ სახეებს წარმოგვიდგენს: დიდი ხნის წინათ იმ ქვეყნად დამკვიდრებულ მეფეების გარდა, პირდაპირ დასახელებულია ახლად გარდაცვლილი პოეტი ნოე ჩხიკვაძე.

ქვეყნიერება ადრე დავტოვე, სულ ზედმეტია ერის ნუგეში,
მომეგებება ჩხიკვაძე ნოე საიქიოში და
დიდუბეში.

ეს რეალური ფაქტია და პოეტურ მისტიფიკაციას აქ ადგილი არა აქვს. ცნობილი მწერალი ნოე ჩხიკვაძე გარდაიცვალა 1920 წლის 24 მაისს და მართლაც დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ცხადია, ლექსი ამ თარიღზე ადრე ვერ დაიწერებოდა.

ამრიგად, პ. იაშვილის ლექსის — „პოემა ჩემი რამოდენიმეთ გადარევისა“ დაწერის თარიღად 1920 წელი უნდა მივიჩნიოთ. შესაძლებელია მეტი სიზუსტითაც განისაზღვროს ლექსის შექმნის თარიღი: ეს არის მონაკვეთი 1920 წლის 24 ივნისიდან ამავე წლის 18 ოქტომბრამდე.

გვხვდება ტექსტუალური ცვლილებებიც. ერთტომეულისა და პირველნაბეჭდ ტექსტებს შორის არსებული ზოგიერთი განსხვავება უკვე ავღნიშნეთ. ლექსის რთული ფენომენის, დაძაბული, უცხო და უცნაური გამძაფრებების ნათელხილვისათვის უსათუოდ საჭიროა პირველწყაროს გათვალისწინებაც.

პოეტი ლექსს „პოემას“ უწოდებდა. ამ საკითხის სიცხადისთვისაც ტექსტის თავდაპირველ დაყოფა-დასათაურებას გარკვეული მნი-

შვნელობა აქვს. ერთ-ერთი ტექსტობრივი სხვაობა კი ასეთია:

როდესაც იყო სუსტი, პატარა, მკითხავმა
უთხრა: იყავ გმირია.
ოცდარვა წელი მან გაატარა და ოცდაცხრაზე გადაირია.

განსხვავება საკმაოდ საგრძნობია. შესწორებული ტექსტია: „ოცდაოთხ წლამდე დრო გაატარა და ოცდახუთზე გადაირია". ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ სხვადასხვა ნაშრომში პ. იაშვილის დაბადების თარიღად სხვადასხვა წელია მითითებული. დავასახელებთ მხოლოდ ორ ოფიციალურ წყაროს: 1975 წელს, მოსკოვში გამოცემულ მცირე ლიტერატურული ენციკლოპედიის მერვე ტომში დაბადების თარიღად აღნიშნულია 1895 წელი, ხოლო ამავე წელს, თბილისში დაბეჭდილ პოეტის ერთტომეულში შემდგენელის მიერ მითითებულია 1892 წელი. იგივე თარიღი შ. დემეტრაძეს უფრო ადრე, 1968 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ლექსთა კრებულშიც აქვს აღნიშნული.

გაზეთ „ბარიკადში" დაბეჭდილი ლექსის მითითებული სტრიქონების მიხედვით პოეტს 1920 წელს შესრულებია 29 წელი („ოცდარვა წელი მან გაატარა"). ამ შემთხვევაში შ. დემეტრაძის მონაცემები ჩანს ჭეშმარიტი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ფაქტით შეუძლებელია პოეტის დაბადების თარიღზე მსჯელობა, ამიტომ ამ საკითხის განხილვას აღარ ვაგრძელებთ, ავღნიშნავთ, რომ ტექსტის ფაქტობრივი ცნობებიც ადასტურებს ლექსის შექმნის ჩვენს მიერ წარმოდგენილ დათარიღებას.

და ბოლოს, ასევე შესასწორებელია ლექსის „ახალ საქართველოს" ბიბლიოგრაფიული შენიშვნების ზოგიერთი მონაცემებიც. არ არის ნამდვილი პირველბეჭდური წყაროს მითითება, რომ „ლექსი 1922 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში", კომენტატორმა იცის ის ფაქტი, რომ ეს ლექსი რუსულ გამოცემაში დაიბეჭდა ქართულ ენაზე, მაგრამ წყაროს ვერ უთითებს ზუსტად. ლექსი აღრინდელი სათაურით „წითელ საქართველოს" პირველად დაიბეჭდა 1921 წლის ივლისში, თბილისში გამოცემულ ჟურნალში „კავკასიის ხალხები და ენები", № 1. ძირითადად, ჟურნალი რუსულ ენაზეა შედგენილი, ხოლო ცალკეული ნაწარმოები თარგმანთან ერთად წარმოდგენილია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთანავე, სპეციალური დანიშნულებით გამოყენებულია რეფორმირებული ლათინური შრიფტიც.

სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში აღნიშნული ლექსი მიჩნეულია საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილ პირველ პოეტურ ნაწარმოებად, მაგრამ ლექსის შემოქმედებითი ისტორია პირველბეჭდური წყაროს მიკვლევამ რამდენადმე სხვაგვარად წარმოადგინა. ლენინგრადში, პუშკინის სახლის ხელნაწერთა ფონდებში, დაცულია პ. იაშვილის ერთი ლექსის ავტოგრაფი, მიძღვნილი 1921 წლის 1 მაისის დღესასწაულისადმი. ამ ხელნაწერი ლექსის საფუძველზეა აღმოცენებული ლექსი „წითელ საქართველოს", ხოლო ცნობილი ნაწარმოები „ახალ საქართველოს" შემდეგი დახვეწილი ვარიანტია. არის ტექსტობრივი სხვაობაც, ამასთანავე, ერთი ტაეპი მეტია პირველ ნაბეჭდში.

ამრიგად, ლექსის „ახალ საქართველოს" პირველბეჭდური წყარო არის ჟურნალი „კავკასიის ხალხები და ენები".

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. იაშვილის თხზულებათა კრებულების შემდგენელ მოამაგე ადამიანებს მეტად დიდი შრომა და ჯაფა აქვთ გაწეული და, თუ მათ ნამოღვაწარში ზოგიერთი ლაპსუსი შეიმჩნევა, ისინი უფრო გარე მიზეზთა შედეგებია და ნათლად მიუთითებენ, რომ ჩვენი სულიერი საგანძურის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მიუკვლეველი, აღურიცხავი და მეცნიერულად დაუმუშავებელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა სიხარულიძე

„...სტრიქონი, როგორც სისხლის კივილი...“

ლაკონურად რომ ითქვას, განსაკუთრებით ორი ნიშან-თვისება ახასიათებს ჯარჯი ფხოველის შემოქმედებას:

პირველი — შინაარსის მიხედვით — ცხოვრების საზრისის ძიება; და მეორეც — ფორმის მხრივ — „თავისუფალი“ ლექსი.

მართალია, ეს თავისებურებანი მეტნაკლებად ბევრი თანამედროვე ქართველი პოეტის შემოქმედებისათვისაცაა ნიშანდობლივი, მაგრამ ჯარჯი ფხოველის ლექსებს (მცირე გამონაკლისის გარდა) თავით ბოლომდე მხოლოდ აღნიშნული ტენდენციები მსჭვალავს.

პოეტისეული სახისმეტყველების გულდასმითი კრიტიკული ანალიზის შემდეგ, ისახება, ძირითად შტრიხებში მაინც, პორტრეტი საინტერესო შემოქმედისა.

მკითხველი ყურადღებით გაეცნო პოეტის ნაღვაწს კრებულებით: „ლექსები“ (1971), „კვირა დღე“ (1973), „43 ლექსი და პოემა“ (1974), „დუმილის ტყე“ (1975), „მკურნალი მიწა“ (1977) და „სამი წელიწადი“ (1980); 1982 წელს კი გამოქვეყნდა ჯარჯი ფხოველის „ძველი წიგნებიდან ამოკრებილი ლექსები“, რაც, როგორც ეტყობა, შემოქმედის ნაწარმოებთა ერთგვარი რჩეულია; ხოლო შარშან გამომცემლობა „მერანმა“ შემოგვთავაზა პოეტის ახალი წიგნი „ჩაძირული არქიპელაგი და სხვა ლექსები“.

ჯარჯი ფხოველი იმ არც ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს მიეკუთნება ქართველი პოეტებისა, რომლებიც კრიტიკის მხრივ უყურადღებობას ვერ დაიჩივლებენ. პოეტის შემოქმედების საკითხებს ბოლო ათი წლის მანძილზე სხვადასხვა კუთხით შეეხნენ გურამ ასათიანი, ლერი ალიმონაკი, დავით მჭედლური, სოსო სიგუა, თეიმურაზ დოიაშვილი, ავთანდილ ყურაშვილი... და მაინც კიდევ ბევრია სასაუბრო!

ჯარჯი ფხოველთან დაკავშირებით თავიდანვე უპირველეს სადისკუსიო პრობლემად მისი ლექსების გარეგნული სახე იქცა, რამაც, ვფიქრობთ, დიდად ვერ შეუწყო ხელი (ეს მოსალოდნელიც გახლდათ) პოეტის შემოქმედების თავისებურებათა უფრო მკვეთრად წარმოჩენას. ვინაიდან კრიტიკისათვის მთავარი უნდა იყოს, განიხილოს ამა თუ იმ ნაწარმოებში ფორმა-შინაარსი როგორაა შეხამებული; მით უმეტეს, რომ ქართული ლექსისათვის რითმაც და ურითმობაც ბუნებრივ-ისტორიულია.

საგულისხმოა, შესძლო პოეტმა თუ არა რაიმე ახლის თქმა სახისმეტყველების თვალსაზრისით?

მეორე ძირითადი სადაო საკითხი ჯარჯი ფხოველის შემოქმედების თაობაზე მისი ლექსების განმსაზღვრელი განწყობილების ძიებამ წარმოშვა.

ჯარჯი ფხოველის „დუმილის ტყის“ განხილვისას დავით მჭედლურმა აღნიშნა, რომ ამ კრებულში თავმოყრილი „ლექსების კითხვისას ჩვენ ვგრძნობთ მებრძოლ ოპტიმიზმს, ადამიანის შესაძლებლობათა ღრმა რწმენას“.

ეს აზრი შემდგომ განავითარა გურამ ასათიანმა, რომელმაც საყურადღებო სტატიაში „პოეზია და „სხვა“, ახალგაზრდა პოეტებთან დაკავშირებით, მიუთითა: „სიტყვა ოპტიმიზმი უფრო მეტად ჯარჯი ფხოველს შეეფერება...“ ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა ერთ საგულისხმო გარემოებასაც გაუსვა ხაზი: პოეტისათვის ყველაზე ახლობელი მუსიკალური ინსტრუმენტი — დაფდაფებია.

გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებაც: თეიმურაზ დოიაშვილმა შემოქმედის პოზიცია „სტოიკურად“ შეაფასა — „გვემული, მაგრამ რწმენაშეურყეველი, ბევრისდამომბი იობის სიმბოლური სახე... ჯარჯი ფხოველისათვის ადამიანის არსებობის მარადიული პარადიგმაა...“

პოეტის ლექსებში ხშირად გაისმის „დაფდაფების ხმა“; ვფიქრობთ, სწორედ მათ საგანგაშო ხმაურშია ჯარჯი ფხოველის ნაწარმოებების გასაღები. პოეტის სევდა შენაკადად ერთვის „ამაოება ამაოებათას“ საუკუნო მდინარეს, რომლის თავიწყაროც ამქვეყნიური ბოროტებაა, კაცთაგან ქმნილი. საილუსტრაციოდ ჯარჯი ფხოველის ერთი ლექსის „კაენის შვილების“ თუნდაც ეს ფრაგმენტიც იკმარებდა:

„ორნი რომ დგაწან ...
ერთი მსხვერპლია,

ხოლო მეორე ჯალათია. ცულშემართული...

პოეტის ნაწარმოებთა ლირიკული გმირის „დაფდაფების ხმა" ბოროტების წინააღმდეგ. უკეთურობასთან შეურიგებლობისაკენ მოგვიწოდებს; იმ ბავშვის გადასარჩენად მოგვიხმობს, ვისაც კენჭით სავსე პაწია პეშვი მზისათვის გაუწვდია...

ჯარჯი ფხოველისათვის ერთ-ერთი გამორჩეული სიტყვაა „დუმილი", მაგრამ მისი ლექსებით გამოხატული სიჩუმე უვირილს ჰგავს, რადგან ამ შემთხვევაში

„დუმილი მოთმინების დიდი ცრემლია...", სიჩუმე ხომ ზოგჯერ ყოველგვარ ხმაურზე მრავლისმეტყველია.

ასე, რომ შემოქმედის პოზიცია სისხლხორცეულად ახლობელ-გასაგებია:

კაცთა თავშესაფარი სიყვარული და მომავლის დღეთა იმედიანი მოლოდინია — ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ჯარჯი ფხოველის ნაწარმოებთა ლეიტმოტივი.

ჯარჯი ფხოველი დაუღალავად და დაუინებით ეძიებს პასუხს მარადიულ კითხვებზე, კაცობრიობას რომ აწუხებს შეგნებული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე: ვინ ვართ და რისთვის ვარსებობთ ადამიანები? რა იყო ჩვენს, ასე ვთქვათ, ამქვეყნიურ არსებობამდე? რა გველის ე. წ. გარდაცვალების შემდეგ?

უხსოვარი ხანიდან ადამიანი შესაძლებლად თვლიდა, რომ სული მრავალგზის მოევლინება დედამიწას, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვა სახით, ცოდვათა მეტნაკლებობის მიხედვით: ხან — ცხოველად, ან — მცენარედ, ზოგჯერ — რაიმე საგნად, ხოლო ეამითეამ — ისევ კაცად... თითქოს ეს რწმენა მსჭვალავს ჯარჯი ფხოველის შემდეგ სტრიქონებს: „რამდენი ვინმე ვიყავი დღემდე..." („ჰამლეტი"); „მე მრავალი დასაწყისი გამოვიარე უთვალავი სათავე მქონდა..." („სათავეები") და მისთ.

„დრო" ჯარჯი ფხოველისთვისაც ერთ-ერთი ძირითადი სააზროვნო კატეგორიაა, რასაც მარტო მის ნაწარმოებთა სათაურების გადათვალიერებაც კი მოწმობს: „დრო იდგა, იდგა...", „დადგება ის დრო", „ხომ დადგა ის დრო", „მოლოდინის დრო"... ამ თვალსაზრისით გამორჩევით საგულისხმოა ლექსი „დრო იდგა, იდგა...", რომლის იდეასაც ცხადლივ გამოსახავს პირველი ორი სტრიქონი:

„დრო, დრო გადისო — ჩურჩულებდნენ,
დრო კი იდგა, იდგა და იდგა..."

მართალია, ჯარჯი ფხოველი პირდაპირ პასუხს რაიმე ფორმულის ფორმით არ გვთავაზობს ამ დრო-სივრცეში ჩვენი ცხოვრების არსსა და დანიშნულებაზე, მაგრამ ცხადია, რომ პოეტი იზიარებს ბარათაშვილის პოზიციას („...რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ ... ბა... ბმას მშობლისა..."), თორემ სხვაგვარად რომ იყოს, ლექსებსაც აღარ შეთხზავდა და მით უფრო, წიგნებსაც აღარ დასტამბავდა.

როცა ყოფნა-არყოფნის საკითხზე დადებითი პასუხია გაცემული, იწყება ცხოვრების ჭეშმარიტი და მართალი გზების ძიება. პოეტის ნაწარმოებთა ლირიკული გმირი სევდით ამბობს, რომ ბედისწერამ წუთისოფლის

„ყოველ გზაზე ეს წარწერა დამახვედრა,
ეს წარწერა ამომიკაწრა —
აქეთ თუ წახვალ, ინანებო.. („ძალიან
ბევრი გაიმეტეთ")

და იმედიანი მოთმინებით მიუყვება სიცოცხლის ბილიკს.

ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში ბევრჯერ დამდგარა განსჯის ეამი, როდესაც წარსულის ავკარგს ჩავუკვირდებით, გავაანალიზებთ გამარჯვება-დამარცხებათა მიზეზებს, გულისგულამდე დავუფიქრდებით: ვიარეთ თუ არა კეთილი გზით? ან როგორღა ვიცოცხლოთ? კითხვის თვალით გავხედავთ ბურუსით მოცულ მომავალს:

„ხომ არ აჯობებს,
რომ ამ გზიდან გადავუხვიოთ..."
(„სისხლი და მელანი").

მაგრამ ცხოვრება დიდიხნით ყოყმანს არ გვაცლის და მგზავრიც კვლავ შეუპოვრად მისდევს ნაცნობ ბილიკებს, რომელთა გასწვრივ ათასფრად ელვარებს სიტყვის ვარდმიხაკები, „ტკივილი რომ აღმოაცენებს" („ნეტავ სადა დგას სიტყვის ყვავილი") და „მხოლოდ იმედის ნატამალი" უშუქებს გზას („წელიწადის ბოლო დღის ელეგია").

როგორც სივრცე, გზაც ფრთებს მოითხოვს ჯარჯი ფხოველის ლექსთა გმირისაგან, ვინც ერთგან დანანებით იტყვის:

„ჩემი ხელები... დაძენძილი, დაღლილი
ფრთები,
ვერასოდეს რომ ვერ ასწევენ ჩემს
სხეულს ცისკენ..."(„ხელები").

მაგრამ აი, მოგზაური მშობლიურ გარემოს — მთებს დაუბრუნდა და ახდა ნოცნებარი:

„ცას გრძნობენ ფრთები" („ფშავი");

წუთისოფლის სიმუხთლით გაწამებული კაცი ხშირად დარდით იგონებს, როგორც ოქროს ხანას, თავის ბავშვობა-ყრმობას, რომელიც რაგინდ მწარე იყოს, შემდგომ ყოველთვის ტკბილსახსოვარია.

ეს თემა პოეტის ახალი კრებულის პირველივე ლექსში „მეოცნებე მეცხრეკლასელი" ხმიანდება და სხვადასხვა ვარიაციით მეორდება ამა თუ იმ ნაწარმოებში. „პრეისტორიული ბავშვობა და უხსოვარი სიყმაწვილე" ეზმანება „ჩაძირული არქიპელაგისა და სხვა ლექსების" გმირს („სიმღერისათვის საჭირო სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა"), მიილტვის „ბავშვობის ჭრელი ლრუბლებისაკენ..." („გაზაფხული შენც გეძახის")...

გაფრინდა ბავშვობის დღეები და აი, პოეტმა ქალაქში შემოაბიჯა: მიწის წილ — ასფალტი, ხის წილ— ბეტონი, ანკარა ნაკადულთა წილ — რკინის მდინარე, ოთხივ კუთხით ღია სივრცეთა წილ— ოთხი რუხი კედელი, რაც ადამის ძეთ ერთმანეთთან დაახლოების, სულთა გაზიარების საშუალებას უძნელებს... კონფლიქტისათვის საფუძველი საკმაოზე მეტია...

„გაზაფხული ვერ ამოვა მერვე
სართულზე,
ვერ აამწვანებს ბეტონის კედლებს —
მთებისაკენ მიეჩქარება..." („გაზაფხული
შენც გეძახის");

„მგლის" თვალთაგან დაღვრილ ცრემლებში სათაყვანო მწვერვალები ირეკლება („შენი დუმილი..."); ყოველდღე ლეწავს „კედელს სიუცხოვისას, მაგრამ ყოველდღე ათასი ხელი აშენებს ისევ..." („კედელი"); მაგრამ ვერც ქალაქს ელევა, ქალაქი ხელოვნურ ოკეანეს ჰგავს, ხოლო თავად — ამ ოკეანეში გარიყულ კაცს („ზაფხული. 1982"); ყველგან და ყოველთვის თან სდევს ხმა მიწისა („მიწის ხმა")...

თქმულის შესაჯამებლად გამოდგება ერთი უსათაურო მინიატურა:

„თეთრი კედელი გაიზარდა ჩემი ფანჯრის
წინ,
ჩაკეტა სივრცე შორეული —
ამაფარა თვალებზე ხელი
და თქვენი თავი წამართვა, მთებო!"

როცა ყველაფერ აღნიშნულს აღვიქვამთ, აღარ გვიკვირს, თუ რატომ „ასხივებს ყინვას" პოეტის ზოგი ლექსი („მიტოვებული").

ფილოსოფიურ-განსჯითი ხასიათის ნაწარმოებები ასულდგმულებს პოეტის ახალ კრებულსაც, მაგრამ ჯარჯი ფხოველი უწინარეს ყოვლისა, ქ ა რ თ ვ ე ლ ი პოეტია, თავისი მამულის ერთგული შვილი, ვინც გულისფიცარზე

„ყველაზე უპირველეს,
ყველაზე უწინ
სამშობლოს სახელს იწერს..."
(„... სიყვარული: ძველისძველი
რეციდივისტი...").

და თუ სარეცენზიო წიგნში შედარებით ცოტაა მამულისადმი მიძღვნილი ლექსები, ეს მხოლოდ იმ მიზეზით აიხსნება, რომ პოეტი მისაბაძი მოკრძალებითა და სიფრთხილით ეპყრობა ეროვნულ-მოქალაქეობრივ მოტივის ხორცშესხმას თავის შემოქმედებაში — უსაზღვრო გრძნობას არ შვენის უხვსიტყვაობა.

ერის სიყვარული მშობლიური მიწის ტრფიალით მყარდება. პოეტი მამულის ზარეთაგან გამოარჩევს სამკვიდრო ფშავს, სადაც შემოქმედის სული ოცნების ლაჟვარდებს წვდება („ფშავი") და სამცხეს — „ჭარბუნელ სიტყვის ადგილის დედას" („სამცხე").

მამულიშვილთა თავდადებული სიცოცხლეა ერის უკვდავების საფუძველი; პოეტიც ღირსეულს მიაგებს გმირთა ხსოვნას, კერძოდ, აქებს თუშ ვაჟკაცებს, რომელთაც დედა ამგვარად დასტიროდათ თურმე: „მარტო სიკვდილში ისვენებთო" („თუშური სიმღერები"); შემოქმედი მეცხოვნედ ნატრობს ყოფნას, ვისაც დასაცავად ებარა „ციხე-კოშკები, ძველისძველი მეტაფორებივით ჩახლართულები ისტორიის ყვავილწნულებში" („შემომკარი შენი მახვილი").

მკითხველი ინტერესით გაეცნობა პოეტის ახალ წიგნში დასტამბულ ამ რიგის სხვა ლექსებსაც: „ის საქართველო", „ტრიპტიქი შენზე", „შენთვის აბა, რა მირგია" და მისთ.

ჯარჯი ფხოველის შემოქმედებაში სიყვარულის თემას, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაზე მცირე ადგილი ეთმობა, მაგრამ ამ ფაქტსაც მოეძებნება თავისი ახსნა: პოეტი უძვირფასეს სიტყვათაგან ყველაზე მომჭირნედ ეკიდება „სიყვარულს" ისევე როგორც „მამულს".

„ჩაძირული არქიპელაგის და სხვა ლექსების" ყოველ სტრიქონს ცხადად თუ შეფარვით ატყვია ამ გრძნობის კვალი.

ყოფნა-არყოფნის პრობლემებზე დაფიქრებული პოეტისათვის ეს წუთისოფელი უდაბნოა, სადაც ერთადერთი ოაზისი — სიყვარული გვაძლებინებს მხოლოდ; ეს ოაზისი კაცთათვის დიდი იმედია: ტრფობის ბაღნარი

„კვლავ შეიფარებს თავის ჩრდილში
უდაბნოთა გზებზე დაღლილებს —
იმათ,
ვინც ცხელ ქარს მიუშვირა შუბლი და
მიდის,
დროს მიჰკვალავს და მიეშურება...
ვისაც იმედის სანთელი უდგას
წინ გაშვერილ ხელისგულებზე"
(„ოაზისი")

ჯარჯი ფხოველის სატრფიალო ლექსთა გმირი წარმოგვიდგება პიროვნებად, ვინც, „რომ უყვარდა, იმ ქალის ნაწნავებშია ჩახლართული, იმის გზებზე მტვერგაფენილი" („მეოცნებე მეცხრეკლასელი"); ეზმანება ღამი, როცა იხილავს ხალხს, „სიყვარულის ცეცხლის გარშემო მროკავს და მთლიანს და მოზეიმეს..." („მარტოობის სიზმარ-ცხადი"); სიყვარულის ხეს რგავს ღამის მიწაზე, რომელიც სატრფოს „თვალების უდაბნოს მორწყავს ნათლის შხეფებით და გზას" გაუშუქებს („სიმღერა იმედზე").

ახალი კრებულიდან პოეტის სატრფიალო ლირიკის კარგ ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ ლექსი „წვეთები".

ვფიქრობთ, მკითხველის ყურადღების ღირსია აგრეთვე განსახილველ წიგნში დაბეჭდილი სხვადასხვა თემატიკის ნაწარმოებები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჩაძირული არქიპელაგი", „ტყის ცხოვრება", „უცხო", „მომავალს ვხატავ", „ძალლის წელიწადის მიწურული" და სხვ.

რაც შეეხება პოეტის პროფესიულ ოსტატობას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყოველივე რიგზეა: ჯარჯი ფხოველის საუკეთესო ქმნილებანი ორივე (ურითმო თუ რითმიანი) სახის ლექსს განეკუთვნება. ადრინდელი ნაწარმოებებიდან რითმის თვალსაზრისით სანიმუშოა „მთიბელი". ახალ კრებულშიცაა დასტამბული მშვენიერი რითმოვანი ლექსი „ვეევდრები მწუხარე ხმას, წავიდეს, დამტოვოს..."

ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ჯარჯი ფხოველს, თავისუფალი ლექსის დარად, „ტრადიციულ" კლასიკურ სტილში შექმნილ ნაწარმოებთათვისაც მიეპყრო არანაკლები ყურადღება, რითაც კიდევ მეტ ახალ-ახალ ფერებს მოიძიებდა თავის პოეტურ ლაბორატორიაში.

საკუთარი ნაღვაწის ფასი შემოქმედმა თავად უკეთ უწყის, რასაც შესანიშნავად ადასტურებს პოეტის ადრინდელი ლექსიც — „გვრინი", სადაც ვკითხულობთ:

„არ იმღერება ეს სიმღერა.
ჩემი სტრიქონი
არ იფარფატებს როიალის ნათელ
მინდვრებზე,
არ დაჰკვლევს ბეჩავს ძეხორციელი,
არც გუთნისდედა
შემოსძახებს,
არც ტრიალი ტრამალის მკვიდრი
მენახირე
და არც დაღლილი
მგზავრი იმღერებს ამტვერებულ გზებზე
მარები.
მუნჯია ეს ხმა, მოგუდული და უმოტივო...
მუნჯია იგი — როგორც ბავშვი
გულამომჯდარი,
ცრემლის ტალღებით ევსება ხახა..."

პოეტი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია, როცა კარგად უნდა გაითვალისწინოს წარსულის გაკვეთილები და გონების შუქითა თუ უტყუარი გუმანით უნდა განსაზღვროს სამომავლო ბილიკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ჭინჭარაული

კიდევ ერთი სტროფის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში

ავთანდილმა ფატმანის მეშვეობით ნესტანის ადგილსამყოფელი (ქაჯეთი, ქაჯეთის ციხე) დაადგინა და ქვაბში ტარიელთან მიემგზავრება, ფატმანს გამოემშვიდობა.

ხათუნმან უთხრა: „ჰე ლომო, ცეცხლი აწ
უფრო ცხელდების;
მოეშორვების ნათელსა, გული ამისთვის
ბნელდების;
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა
ხელდების,
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა
გაგიძნელდების“
(1313).[1]

შემდეგ „ყმამან ფრიდონის მონანი უხმნა, მათ თანა ხლებულნი“, მათ მისცა „ლაჟვარი ნაალაფავი“, გაატანა ფრიდონთან წერილი, ზეპირადაც შეუთვალა, რაც საჭირო იყო, და ამის შემდეგ:

მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა,
გამოემართა იგი მზე, პირია სავსე მთვარისა,
მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის
გულ-მწუხარისა;
მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სიხლნისა
ღვარისა (1325).

მაშასადამე, ავთანდილი გამყრელთ სისხლნარევი ცრემლის ღვრით გამოაცილეს, „გამოემართა იგი მზე“ და მომდევნო თავი ასე იწყება: „გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რათმე ნავითა“. აქ ყველაფერი ლოგიკური და თანმიმდევრულია, მაგრამ წინა და მომდევნო თავის შესაყარზე (1325-სა და 1327-ს შორის) არის 1326-ე სტროფი:

ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა
ცხელითა,
იტყვიან: „მზეო, რა გვიყავ? დაგვწვენ
ცეცხლითა მწველითა!
რად დაგვაბნელენ შენისა მოშორვებისა
ბნელითა,
და-ცა-გვმარხენო ხელითა ჩვენისა
დამმარხველითა?“

ამ სტროფის ავთენტიკურობაში ჯერ კიდევ ალ. სარაჯიშვილმა შეიტანა ეჭვი. იგი წერს: „მას აქეთ, რაც ავთანდილის გულანშაროს მისვლისთანავე მებაღემ აცნობა, რომ მისი პატრონი „აწ აქა არ არისო“ და მის მაგიერ ფატმან ხათუნ გიმასპინძლებსო..., უსენ შინ არ მოსულა, ავთანდილს თვალითაც არ უნახავს და მისი ვინაობა და ხასიათი მხოლოდ ფატმანის ნაამბობიდან იცის, — და ახლა, ავთანდილის წასვლის დროს საიდან გამოტყვრა?“[2]

მ. წერეთელმა მისეულ გამოცემაში არ შეიტანა ეს სტროფი და შენიშნა, გვიანდელი ჩანართიაო[3].

თ. ბაგრატიონს ეს სტროფი არ დაუწუნებია, მაგრამ შენიშნა: ფატმან დია მართალი რომელ შეწუხდებოდა ავთანდილის მოშორვებას, მაგრამ უსენს რაღა სჯიდა იმ უბედურსა. ეს დიახ სასაცილოს და სულელურს საქმეს და ხარაკტირს ნიშნავს უსენინასა“[4].

გ. კარტოზიამ 1965 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№120) დაბეჭდა და 1975 წელს გადმობეჭდა წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები“ (გვ. 51) წერილი: „ერთი ფაქტობრივი უზუსტობა პოემის ტექსტში“ გ. კარტოზია ალ. სარაჯიშვილის მსგავსად ფიქრობს, რომ უსენი ავთანდილის წასვლისას გულანშაროში არ არის და უსენის ტირილი ფატმანთან და (ფრიდონის) მონებთან ერთად „ცოტა არ იყოს სასაცილო სიტუაცია“-დ მიაჩნია; მაგრამ გ. კარტოზია ამ სტროფს ჩანართად არ თვლის და ამის თაობაზე ეკამათება ალ. სარაჯიშვილს. გ. კარტოზია ვარაუდობს, რომ ტექსტი შერუ-

---

1. შ. რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, 1966 წ.

2 ალ. სარაჯიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები. ჟურნ. „მოამბე“, 1900, V, გვ. 32-35.

3 ვიმოწმებთ გ. კარტოზიას წიგნის მიხედვით: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, 1975, გვ. 53.

4 თ. ბაგრატიონი, „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, 1960, გვ. 246.

ვნილია და „უსენი“-ს ნაცვლად ავტოგრაფში „უსამი“ უნდა ყოფილიყო. ეს გახლავთ გ. კარტოზიას კონიექტურა.

ბგერობრივად მსგავსი სახელები გადამწერებს რომ ერთმანეთში აერიოს, ერთის მაგიერ რომ მეორე დაწეროს რომელიმე გადამწერმა. ეს არ არის მოულოდნელი. საამისო მაგალითებად გ. კარტოზია იმოწმებს ზოგ სახელს და წერს: „ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა თვით იყო მპყრობელი (306 [311], 2) Д1-ში ასე იკითხება: ექვსი სამეფო ფრიდონსა ჰქონდა. 94 (95)-ე სტროფის მე-4 სტრიქონში ვკითხულობთ: როსტან ამად ივაგლახნა С5-ში გვაქვს: როსტომ ამად ივაგლახნა“ (იქვე, გვ. 55). როგორც ვხედავთ, ეს შეცდომები თითო ხელნაწერში დასტურდება. ხოლო (გ. კარტოზიას ვარაუდით) უსამ-ის მაგიერ უსენ იკითხება აბსოლუტურად ყველა ხელნაწერში, სადაც კი ეს სტროფი დასტურდება. ეს ისეთი ოდენობებია, რომელთა ერთმანეთის გვერდზე განხილვა არ იქნებოდა გამართლებული.

არადა ფაქტია, რომ უსენი ავთანდილის გამცილებელთა შორის ვერ იქნება, რადგან ის იმუამად არ არის გულანშაროში. როგორც ჩანს, საკითხს სხვა კუთხით უნდა შევხედოთ.

ცნობილია, რომ ალ. სარაჯიშვილი მკაცრად ეპყრობოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, ხშირად სუბიექტურ-ტენდენციური იყო მისი დამოკიდებულება აშკარად დედნისეული სტროფების მიმართაც კი — იწუნებდა იმას, რისი დაწუნების საკმაო საფუძველი არ გააჩნდა. და მაინც, ჩვენ გვგონია, რომ უფრო თვალშისაცემი და გამაღიზიანებელია მისი მსჯელობის უხეში და კატეგორიული ტონი (ამისთვის მას სათანადოდ მიეზღო!), თორემ ბევრი მისი შენიშვნა ანგარიშგასაწევია.

ჩვენ გვგონია, რომ 1326-ე სტროფის მიმართ გამოთქმული მისი მოსაზრებაც არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ მკვლევარმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა ამ სტროფის ნაყალბევობა.

რა თქმა უნდა, სტროფის ნაყალბევობის ძირითადი საბუთი ის არის, რომ მასში უსენია ნახსენები, მაგრამ ერთი დამატებით: ეს სახელი ყველა ხელნაწერშია დადასტურებული, რაც მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ „უსენ“ მოდის ძველთაძველი ხელნაწერიდან, რომელშიც ჩაურთავს ინტერპოლატორს ეს სტროფი.

ინტერპოლატორის „ლაბორატორიის“ გასათვალისწინებლად ცოტა უკან უნდა დავიხიოთ: სადაც ავთანდილისგან ფრიდონისთვის მიწერილი უსტარი თავდება, არის საყოველთაოდ აღიარებული ჩანართი სტროფი:

მოქარავნეთა უბრძანა: „საქმე მიც, გითხარ
განაო;
კარგად მომიხდა, მოყვსობა მე თქვენი
მესვიანაო;
რაცა მინდოდა, ყველაი ვქმენ, ღმერთმან
მაგულვანაო.
აწ აღარა მცალს, ბადრაგა სხვა წაიტანეთ.
თანაო“.

გ. კარტოზია წერს: „სტროფი ჩანართადაა მიჩნეული და არ არის შეტანილი პოემის ძირითადი ტექსტების გამოცემებში, გარდა К-სი, სადაც დაბეჭდილია 1888-ე ნომრით. აღნიშნული სტროფი არის „ვეფხისტყაოსნის“ ყველა (დაუზიანებელ) ძირითად ხელნაწერში. არ არის მხოლოდ ვახტანგის გამოცემაში და ამ გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებში.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ვახტანგის გამოცემა წარმოადგენს ხელნაწერებში დაცული ტექსტის შემოკლებულ რედაქციას. ტექსტის შემოკლება გამოიხატა არა მარტო დაბოლოების შეცვლაში, არამედ პოემის შიგნით მთელი რიგი ნამდვილი რუსთველური სტროფების ამოგდება-უგულებელყოფაში.

ამგვარი სტროფების რიცხვს ხომ არ მიეკუთვნება ზემოთ მოყვანილი სტროფიც? იგი ენობრივად გამართულია, არ ტოვებს ინტერპოლაციის შთაბეჭდილებას, ბუნებრივად ეგუება თხრობის თანმიმდევრობას, ავსებს და სრულყოფს მას“ (გ. კარტოზიას დასახ. წიგნი, გვ. 55).

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული და ეს აშკარად ჩანართი სტროფი ერთმანეთს გასცემენ, ერთმანეთის გვერდზე დგომით თავიანთ ჩანართობას ამტკიცებენ.

ინტერპოლატორის ლოგიკა ასეთია: ავთანდილი თავის ყველაზე უახლოესთ — ფრიდონის მონებს დაემშვიდობა, ნაალაფარი უბოძა, ფრიდონთან წერილი გაატანა, ზეპირადაც შეუთვალა ზოგი რამ.

ინტერპოლატორი ფიქრობს: მექარავნეთაც (ვაჭრებს) ხომ უნდა გამოემშვიდობოსო და თხზავს ზემომოყვანილ სტროფს, რომელშიაც თითქმის ბოდიშს ახდევინებს ავთანდილს: გადაუდებელი საქმე მაქვს, აღარა მცალია და „ბადრაგა სხვა წაიტანეთ თანაო“. როგორ? რომ ეცალოს, ავთანდილი ამ ვაჭრებს წაჰყვებოდა ბადრაგად? ამ სტროფის მიხედვით ასე გამოდის და აქ მეღავნდება ინტერპოლატორის უვიცობა. ინტერპოლატორს ამეღავნებს მდაბიური ლექსი, განსაკუთრებით არარუსთველური, მავრცობ ო-დართული „განა“ სიტყვა: მოქარავნეთა უბრძანა: საქმე მიც, გითხარ განაო“.

მხოლოდ რითმისთვისაა მოხმობილი სიტყვა „მაგულვანაო“: „რაცა მინდოდა, ყველაი ვქენ, ღმერთმან მაგულვანაო“; ინტერპოლატორს უნდა თქვას: ღმერთი შემეწია. ღმერთმა ხელი შემიწყოო, მაგრამ ვერ ახერხებს და ამბობს სულ სხვას: ღმერთმა გამამამაცაო, რაც აქ უადგილოა.

ერთი სიტყვით, ეს სტროფი შემთხვევით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა
საკვირველია

არის ინტერპოლაციად მიჩნეული და გ. კარტოზიას ფრთხილი ვარაუდი, დედნისეული ხომ არ არისო, გაუმართლებელია.

გავყვეთ ინტერპოლატორს. ამას მოსდევს ავტოგრაფისეული სტროფი (1324) „ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მან“ და კვლავ ავტოგრაფისეული — „მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა“ (იხ. ზემოთ). ამბავი დამთავრდა, მაგრამ ინტერპოლატორის აზრით, ავთანდილს უნდა დაემშვიდობოს ფატმანისა და უსენის ოჯახი მათი ერთგული მონებით, იმ მონებით, ვინც დიდად დაეხმარნენ ავთანდილს ნესტანის პოვნაში, ავთანდილს უნდა დაემშვიდობოს გულანშაროში ერთადერთი მისი მასპინძელი ოჯახი. და, აიკრძალ თავს ინტერპოლატორი უმატებს ზემომოყვანილ სტროფს: „ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა“. ამით ინტერპოლატორი „ავსებს“ პოემის ტექსტს: ავთანდილი ყველაზე უახლოეს ფრიდონის მონებსაც გამოემშვიდობა, მოქარავნეთაც (თან ბოდიში მოუხადა, მეტს ვეღარ გიბადრაგებთო!) და ფატმანის ოჯახსაც („ფატმან, უსენ და მონანი“). გულნაკლული აღარავინ დატოვა.

მაგრამ ინტერპოლატორს დაავიწყდა, რომ ავთანდილი ფატმანს ადრევე დაემშვიდობა (სტროფი 1313, იხ. ზემოთ) (ამას ალ. ხარაჯიშვილიც შენიშნავდა) და, რაც მთავარია, მას დაავიწყდა, რომ მის მიერ შეთხზულის წინ მდგომი სტროფი ასე ბოლოვდება: მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა“ (1325,4). ინტერპოლატორმა (ცხადია, შეუგნებლად) ეს „სისხლის ღვარის ნაკადი“ ჩვეულებრივი „ცრემლითა ცხელითა“ შეცვალა. ასეთი რამ რუსთველს არ ემართება, ასეთი რამ მხოლოდ ინტერპოლატორს შეიძლება მოუვიდეს, რომელიც ანგარიშს არ უწევს თხრობის ლოგიკურ თანმიმდევრობას, მის ფაქტობრივ ნიუანსებს. ინტერპოლატორს არ აკმაყოფილებს წინა სტროფში ავტორისგან ზოგადად ნათქვამი „გამყრელნი“ და უსენის ოჯახსაც გაატირებს უკვე გამგზავრებულ („გამოემართა იგი მზე“) ავთანდილს.

უკვე ვთქვით, რომ ფატმანი ადრევე გამოემშვიდობა ავთანდილს (იხ. ზემოთ სტროფი № 1313) და ეს არსებითია: ინტერპოლატორი ამ სტროფის ხარითმო სიტყვებს იყენებს რითმებად („ცხელდების“ — „ბნელდების“ — „ცხელითა“ — „ბნელითა“), ხოლო ერთი სტრიქონი თითქმის გაიმეორა ინტერპოლატორმა, შდრ.: „მოეშორვების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების“ (1313,3) — „რად დაგვაბნელენ შენისა მოშორვებისა ბნელითა“ (1326,3).

ინტერპოლატორი ვერც რითმისა და აზრის სიახლით გვაკვირვებს. შდრ., მაგალითად:

ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან
ცრემლითა ცხელითა
ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა
„თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა
თქვენისა ბნელითა“
(285/283)

ანდა: სულთქვამს, იკითხავს უსტარსა, ალტობს
ცრემლითა ცხელითა
(1280,4).

როგორც ვხედავთ, ინტერპოლატორი მზამზარეულ რუსთველისეულ კონსტრუქციებსა და რითმებს იყენებს.

ყალბი სტროფისათვის ადგილიც ისეთია შერჩეული, როგორიც ინტერპოლატორებს უყვართ: პოემის ერთ-ერთი თავის დასასრულს, სადაც ავტორი ამთავრებს თხრობას, ხოლო ინტერპოლატორი, მისი ჭკუით, უმატებს ავტორის ნათქვამს, აზოგადებს ან აკონკრეტებს ფაქტებს.

ასე, მაგალითად, „ამბავი მიჯნურობისა“-ს მიბმული აქვს ხუთი სტროფი: „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ მიბმული აქვს ერთი სტროფი, „აქა ავთანდილი ვარსკვლავთა ეუბნება“ — ემატება ერთი სტროფი, „წიგნი ფატმანის ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი“-ს ემატება ერთი სტროფი, „ავთანდილისაგან გულანშაროთ წასვლა“-ს ერთვის ერთი სტროფი, „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“-ს მიმატებული აქვს ორი სტროფი, „ტარიელისაგან ფრიდონისას მისვლა ნესტან-დარეჯანითურთ“ — ორი სტროფითაა გავრცობილი, „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან“ — გავრცობილია ცხრა სტროფით, თვითონ ინტერპოლაციურ თავს „ტარიელისაგან ჰინდოთა მეფის სიკვდილის ცნობა“ — ემატება ორი ინტერპოლაციური სტროფი.

ამათ რიგში დგას სადავო 132[illegible]-ე სტროფიც. ამ სტროფის ენობრივ ავლადიდებაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. კიდევ გვინდა შევნიშნოთ შემდეგი: ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით „დამმარხველი“ არის „შემნახველი“: „ვიყავ მე დამმარხველ გულმანკიერებასა მოყუხისათჳს“ (მ. სწ. 26,27); „რაჲ სწორებაჲ არს დამმარხველისაჲ წარმწყმედელისა თანა“ (ბალ. 47,28).

„ვეფხისტყაოსანში“ „დამარხვას“ უკვე აქვს დღევანდელი დაკრძალვის მნიშვნელობა (შდრ. რუს. **хранить** და **похоронить**): „მოდ, მოყვარენო, დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით“ (883,4 882,4). „თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს თქვას ვაგლახი და უები“ (853,3 852,3) „... მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე“ (874,4/873,4). „მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა, დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დაწარხულისა“ (1319,4). აქ „ქვესკნელს დამარხული ლომი“ ტარიელია, ხოლო მისი „დამარჩენელი“ არის ნესტანი. საინტერესო ის არის, რომ ტარიელი ნესტანს მიმართავს „დამარჩენელი“-ს სინონიმით — „დამ-

მარხველი“: (ტარიელმა) ავთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა, გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა“ (504,2-501,2). ამის შემდეგ ამავე ეპითეტით მოიხსენიებს ნესტანს ავთანდილიც: (ტარიელმაო) „რა ჭირნი დათმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა, ჰკლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა დამმარხველისა“ (1000,4).

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ „დამმარხველი“ არის საყვარელის, გულისტოლის სინონიმი. შინაარსის მიხედვით ასეც არის გაგებული ამ სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა ნიუანსური სხვაობებით.

ს. ციორდანიშვილი:

Однако расскажу тебе мою историю и историю той, что меня погребает (стр. 106);

Его убивает страсть и невозможность лицезреть его возлюбленную (погребальщицу) (стр. 207).

ნ. ნათაძე: „დამმარხველისა — ახლობლის, საყვარლის, იგულისხმება: ნესტანის“ (გვ. 327); „დამმარხველი აქ საალერსო სიტყვაა: ნიშნავს უახლოესს“ (გვ. 163). ამათ კვალობაზე ნ. ნათაძემ სადავო სტროფის „დამმარხველითა-ც ასე ახსნა: „იგულისხმება: ახლობელივით საყვარელით“ (გვ. 421). ვფიქრობთ, ეს არაა სწორი ახსნა: აქ „დამმარხველ ხელზეა“ („**руками погребающими**“) საუბარი და არა საყვარელ ადამიანზე.

სწორად უთარგმნია სადავო სტროფი ს. ციორდანიშვილს:

Почему повергаешь нас во мрак разлуки,
Хоронишь нас руками погребающими.

504-ე სტროფის სტრიქონი („გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხულისა“ (კომისიის ოქმში ახსნილი არ არის, მე-1000 სტროფისა კი ასეა განმარტებული: „კლავს თავისი დამმარხველის (უძვირფასესი ადამიანის) სიყვარული და უნახაობა“ (მაცნე, 1980, №4, გვ. 225).

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში „დამმარხველი“ არის ის, „ვინც დამარხავს, — დამსაფლავებელი, დამკრძალავი“ (ქეგლ). მაგრამ დიალექტებში, მაგ. ფშაურში, დამმარხავი, შამნახავი, მიწის-დამყრელი საყვარელი ადამიანისათვის მისამართავი საალერსო სინონიმებია. მაგ.: „ეგრეოდ კი ნუ გამიჯავრდები და ნუ გამიწყრები, დამმარხაო!“ (მივლ.).

ბიჭი და გოგო (წაწლები) წაიჩხუბნენ. ბიჭი ვითომ გაწყრა და წასვლას აპირებს; გოგო ეფერება: „ბალღობით გეხუმრებოდი, დაბრუნდი მიწის-დამყრელო!“ (რაზიკ. III, 244, 259, 10). ერთ სახუმარო ლექსში ნათქვამია: „შენამც დამმარხავ ხინკალო, შენამც დამაყრი მიწასა!“

ავთანდილი უსენის ოჯახისათვის არ არის ისეთი მახლობელი, რომ მისთვის ასეთი ალერსით მიემართთათ. ესეც ინტერპოლატორის დაუდევარი სიტყვა-ხმარების ერთ-ერთი ნიმუშია. თუ აქ „დაგვმარხენ“ და „დამმარხველი“ დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება, გაუგებარია, რა შინაარსი დევს „დაგვმარხენ“ ზმნაში — წართქმით ბრძანებითია იგი, თუ ჩვეულებრივი აორისტი, ისეთი, მის წინ რომ არის ნახმარი: „დაგვწვენ“, „დაგვაბნელენ“. ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის გამოცემაში პუნქტუაციის მიხედვით სწორედ ასეთი გაგება ჩანს: მესამე სტრიქონის ბოლოს მძიმე ზის, მეოთხე სიტყვის ბოლოს — კითხვის ნიშანი, ე. ი. მესამე სტრიქონის „რად“ მეოთხე სტრიქონსაც ეკუთვნის. გ. კარტოზია მესამე სტრიქონის ბოლოსაც ძახილის ნიშანს სვამს და მეოთხე სტრიქონის ბოლოსაც, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეოთხე სტრიქონის „და-ცა-გვმარხენო“ წართქმითი ბრძანებითია ამ რიგისა: „მოდ, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!“ (883,4/882,4). უკვე გამგზავრებული ავთანდილისათვის ასეთი გატირება, ასეთი „დაკვეთა“ ძალიან ყალბი იქნებოდა.

არის ანგარიშგასაწევი ვარიანტული წაკითხვებიც, მაგრამ მათი გათვალისწინება არაფერს შეცვლიდა. სტროფის ჩანართობის მთავარ საბუთად რჩება: ა) უსენის გამოყვანა, რომელიც იმჟამად გულანშაროში არ იმყოფება; ბ) წინა სტროფებში ნათქვამის გამეორება; გ) უშუალოდ ამის წინ მდგომი სტროფის მეოთხე სტრიქონის „ხიხლის ღვარის ნაკადის“ შეცვლა სადავო სტროფის პირველ სტრიქონში „ცრემლითა ცხელითა“; დ) წინა სტროფებიდან სტრიქონისა და რითმების გამეორება; ე) სიტუაციის მიხედვით სტროფის უადგილობა; ვ) ის, რომ ორი სტროფის წინ დასტურდება ჩანართი სტროფი, რომლის მიზანდასახულობა სადავო სტროფის ანალოგიურია: ავთანდილმა გულანშაროში გამოუმშვიდობებლად არავინ არ უნდა დატოვოს; ზ) ის, რომ ეს სტროფები ერთმანეთის ბედს იზიარებენ: თითოეული მათგანი ყველა ძირითად ხელნაწერში დასტურდება, რაც გვაფიქრებს, რომ ინტერპოლაცია ძალიან ადრინდელია და ერთდროული, ერთი ავტორის ხელიდან გამოსული.

ერთ-ერთი მათგანი („მოქარავნეთა უბრძანა...“) ადრევე განიდევნა ტექსტიდან, მას უნდა მიჰყვეს მეორეც („ფატმან, უსენ და მონანი...“).

კოსმოსის სიმაღლიდან

I. მილიარდი მაკავშირებელი ჯაჭვი

ადამიანია ცხოვრება უთვალავი ძაფით უკავშირდება სხვა ადამიანთა ცხოვრებას. ასევე მჭიდროდაა იგი გადახლართული ცხოველთა სამყაროსთან თუ მცენარეთა აურაცხელი სახეობების საოცარ ერთობლიობასთან, აგრეთვე არაცოცხალ მატერიასთანაც — მდინარეებთან, ტყეებთან, მთებთან, მინდვრებთან და ა. შ. არც ცის სხეულები ასრულებენ მცირე როლს ჩვენს ცხოვრებაში.

ადამიანის ცხოვრება ფესვთა ღრმა სისტემით უკავშირდება წარსულს — უკვე მომხდარ მოვლენათა ერთობლიობას, და ასევე ღრმად — მომავალს — ჯერ კიდევ მოსახდენ მოვლენათა სისტემას. მომავალ მოვლენებსაც შეუძლიათ აწმყოს შეცვლა, რადგანაც ისინი, ჯერ მოუმხდარობის მიუხედავად, შეგვიძლია წინასწარ გავიაზროთ და წარმოვიდგინოთ. მაგალითად, სხვა, არამიწიერ ცივილიზაციასთან მომავალი შეხვედრა, თუმცა არც კი ვიცით, ნამდვილად მოხდება თუ არა, მაინც განცდილი, რეალური ფაქტის სახით „არსებობს" ჩვენი წარმოდგენის სიღრმეებში, ამიტომ გარკვეულად ცვლის ჩვენი ცხოვრების წესს, ერთგვარი შეჯამების თუ გადაფასების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს, თითქოს სხვა თვალით შეგვახედებს ჩვენს თავზე — როგორ ვცხოვრობთ, ისეთნი ვართ, თუ არა, განვითარებულ ცივილიზაციას რომ ეკადრება. უფრო მარტივი მაგალითი — განა რამდენადმე მაინც არ ცვლის დამნაშავის მოქმედების ხასიათს მოსალოდნელი დასჯის წინასწარ წარმოდგენა?

გავიმეოროთ — ადამიანი უთვალავი უხილავი ძაფითაა დაკავშირებული ოდესმე თუ ახლა არსებულ ყველა ცოცხალ არსებასთან, წინათ მომხდარ თუ ახლა მიმდინარე მოვლენებთან, სამყაროს მთელ სივრცესთან და დროის მთელ მდინარესთან. ეს კავშირი ობიექტური ანუ ნამდვილია. აქედან, ამ კავშირის გააზრებისა და შეგრძნების მცდელობა ყოველი ადამიანის აუცილებელი მოვალეობაც უნდა იყოს — ამის გარეშე მისთვის „მოაზროვნე არსების" იარლიყის ტარება მეტისმეტი მკრეხელობა იქნებოდა.

ადამიანის არსებობის მიზანი არ შეიძლება კომფორტის შექმნა იყოს. იგი უფრო სულიერი და გონებრივი სრულყოფის სფეროშია საძიებელი. ჩვენი ძირითადი კითხვები უნდა იყოს: „რას წარმოვადგენთ? რა არის და როგორაა აგებული მთელი სამყარო? რა თანაფარდობაში ვართ ჩვენ მასთან?» ცნობილია, რომ ყველა დროის ნამდვილად დიდი მოაზროვნენი სწორედ ამას ჭადაგებდნენ. ამ კითხვებს უთვალავი წახნაგი აქვთ და სწორი პასუხის მოძებნა ყველა წახნაგის გამოკვლევას მოითხოვს. ამიტომ დღეისათვის ცოდნის მთელი ახპარეზი სამფლობელოებადაა დაყოფილი. ამასთან, საკმაოდ არათანაბრად თუ, მაგალითად, დედამიწისა და მასზე არსებული მატერიისა თუ ცივილიზაციის შესწავლას ასეულობით მეცნიერება ემსახურება, ყოველივე დანარჩენის გამოკვლევა ასტრონომიისათვის მიუნდვია. ხოლო ეს „ყოველივე დანარჩენი" ლამის უსასრულოდ აღემატება თავისი სივრცითი მასშტაბებით თუ საგან-მოვლენათა ნაირგვარობით დედამიწას. თვითონ განსაჯეთ: რადიოგრამას, რომელიც სინათლის სიჩქარით ვრცელდება, წამის მეათედი ნაწილიც კი არ ჭირდება, რათა, ვთქვათ, ვაშინგტონიდან თბილისამდე მოაღწიოს. ხოლო იგივე რადიოგრამა მზიდან 8 წუთში მოვიდოდა. მზის სისტემის უშორეს პლანეტა პლუტონიდან — 6 საათში, ცის უბრწყინვალეს მნათობ სირიუსიდან — 11 წელიწადში, ვარსკვლავ ბეთელჰეიზედან — 650 წელიწადში, ჩვენი გალაქტიკის ცენტრში მყოფი ცივილიზაცია რომ გვიგზავნიდეს ამ რადიოგრამას, მის მოღწევას 30 000 წელი დაჭირდებოდა, ხოლო თუ მან უკვე მოაღწია, იგი იმ შორეულ წარსულში უნდა იყოს გამოგზავნილი, როცა ხეოფსის პირამიდის აგებამდე ჯერ კიდევ 25 000 წელი იყო დარჩენილი და ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილი არცერთი უძველესი სახელმწიფოს ჯერ ჩანასახიც არ არსებობდა. ხოლო გალაქტიკის ცენტრში დღეს არსებული რომელიმე ცივილიზაცია რომ „გამოგვესაუბროს", ამ საუბარს ჩვენგან მხოლოდ მეათასე თაობა მოისმენს. მაგელანის ისტორიული ექსპედიციის წევრთა მიერ სამხრეთის ცაზე შემჩნეული ორი არაწესიერი ფორმის „ღრუბელი" შორეული გალაქტიკები აღმოჩნდა, რომელთა შუქი აღწევს 200 000 წლის წინანდელი პერიოდიდან (ამდროინდელ მდგომარეობაში ვხედავთ ჩვენ ახლა ამ ღრუბლებს).

ანდრომედის გალაქტიკა, რომელიც თბილისიდანაც შეიძლება დავინახოთ, 2 მილიონი წლის [illegible] ეგზ-თებს. ეს მოვლენა [illegible] ნაფელია: სინათლეც ხომ გარკვეული [illegible] ფრცელდება, როგორც წყალი [illegible] ბგერა ჰაერში, თუმცაღა გაკიდებით [illegible]. ბოლო [illegible] შეგვიმჩნეია, ძირეულ [illegible] ძლიერი ქვიშები [illegible], ბაზში [illegible] ადიდებიან ხოლმე. ან კიდევ — შორს, ხადეე კაშკაშად [illegible] ბნის [illegible] ჩვენს [illegible] ქუხილი [illegible] ხოლმე. [illegible] [illegible] [illegible] ელვის [illegible] ქუხილის [illegible] ერთდროულად [illegible] ჩვენსკენ, მაგრამ ელვამ [illegible] [illegible] [illegible]

ი. შკლოვსკის მიაჩნდა, რომ აისახება, და ამ გარშემოვლის გამოვლენაა დედამიწის დიდი გამყინვარებანი, რომელნიც გარკვეული დროის შემდეგ მეორდება. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, კლიმატის ძლიერი ცვლილებები უკავშირდება გალაქტიკური ორბიტის გარკვეულ უბანთა გავლას, სადაც მკვრივი ვარსკვლავთშორისი აირის ღრუბლები ხანგრძლივი დროით აეკრანირებენ მზის სხივებს...

რა კავშირი შეიძლება იყოს დედამიწის რელიეფსა და, ვთქვათ, ასტეროიდებს შორის, რომელნიც მზიდან სკმაოდ შორს, მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის გარემოიქცევიან? საკმაოდ პირდაპირი. ამ მცირე პლანეტათა შორის ზოგიერთმა, დიდი პლანეტების შეშფოთებათა შედეგად, შეიძლება იმდენად შეიცვალონ ორბიტები, რომ დედამიწას მოაღწიონ და ჩამოვარდნენ კიდეც მიწაზე. დედამიწაზე ვარდნილ მცირე ზომის მეტეორიტთა წყაროც შეიძლება იგივე ასტეროიდები ან კომეტათა გულები იყოს. ამ სხეულთა ცვენას უზარმაზარ კრატერთა წარმოქმნა მოსდევს. ნიმუშში? მაგალითად, არიზონას მეტეორიტული კრატერი, სიგანით 1 კმ-ზე მეტი და სიღრმით 60-სართულიანი სახლის ოდენა. იგი 5 000-მდე წლის წინათაა წარმოშობილი; არსებობს სხვა კრატერებიც, რომელთა დიამეტრი რამდენიმე მეტრი, ასეული მეტრი, ზოგიერ კი ათეული და ასეული კილომეტრიც კია. ბევრი მათგანი უხსოვარ დროშია წარმოქმნილი, ფორმადაკარგული ან წყლით ავსებულია და ტბებად ქცეული, ზოგის გამოვლენა კოსმოსური დაკვირვებებით ხერხდება. სხვა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ტუნგუსკის მოვლენა 1908 წელს, როცა მეტეორიტის ჩამოვარდნამ ტუე ამოგლიჯა 30 კმ რადიუსით, წარმოქმნა დარტყმითი ტალღა, რომელმაც დედამიწას რამდენჯერმე შემოუარა, და დიდი რაოდენობით მტვერი დატოვა ჰაერში... ეს მეტეორიტი კი, ეტყობა, ერთ-ერთი კომეტის ნამსხვრევი იყო, თუმცა სხვა, უფრო ეგზოტიკური ჰიპოთეზებიც არსებობს.

3. ეკოლოგიური კატასტროფები და მათი შესაძლო კოსმოსური წყაროები

60-მდე მილიონი წლის წინათ დედამიწაზე ბიოლოგიური კატასტროფა მოხდა — მოკლე დროში გადაშენდა მთელი რიგი ბიოლოგიური სახეობანი, მათ შორის დინოზავრები და სხვა დიდმასიანი ცხოველები. ეს დღემდე აუხსნელი მოვლენა შესაძლოა კოსმოსურ სხეულებს უკავშირდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, წამოყენებულია ორი ასტრონომიული ჰიპოთეზა. პირველის მიხედვით, კატასტროფა შეიძლებოდა გამოეწვია მზის მიდამოებში, ე. ი. რამდენიმე ათეული ან ასეული სინათლის წლის მანძილზე ზეახალი ვარსკვლავის ანთებას, მეორის მიხედვით კი — დედამიწაზე 10 იანი ზომის ასტეროიდის ჩამოვარდნას.

ზეახალი ვარსკვლავის ანთება — ესაა გრანდიოზული ფენომენი სამყაროში. მოვლენის შინაარსი აბსოლუტურად საპირისპიროა იმისა, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ აშკარად შეუსაბამო, მაგრამ უკვე დამკვიდრებული სახელწოდებით. ესაა არა ვარსკვლავის დაბადება, არამედ მისი „სიკვდილი". იგი ხდება ვარსკვლავის ევოლუციის დასასრულს, როცა მისი თერმობირთვული საწვავი გამოილევა და იწყება ჩაქრობა. შორეული დამკვირვებელი დაინახავს ვარსკვლავის თვალისმომჭრელ ხანმოკლე აკაშკაშებას, რასაც რამდენიმე დღის შემდეგ ნელი ჩაქრობა მოსდევს. ანთების უდიდეს ფაზაში ვარსკვლავი ასხივებს ასეულ მილიარდჯერ მეტ სინათლეს, ვიდრე მზე. ამიტომ მოვლენა ანთებიდან ძალიან შორს შეიმჩნევა. დედამიწელ ასტრონომებს შეუმჩნევიათ და შეუსწავლიათ ზეახალი ვარსკვლავის ანთებები შორეულ გალაქტიკებშიც, რომელთა სინათლე ჩვენამდე ასეულობით მილიონ წელიწადში აღწევს (თვით ეს ანთებებიც, ამრიგად, ასეულობით მილიონი წლის წინანდელი მოვლენები იქნებოდა). ბოლოს და ბოლოს, ყველა ვარსკვლავმა სიცოცხლე ამნაირად უნდა დაასრულოს, მაგრამ რადგანაც ვარსკვლავთა ევოლუცია ნელი პროცესია, ზეახალთა ანთებაც იშვიათია. სულ ჩვენს გალაქტიკაში ისტორიულად ხუთიოდე ზეახალი ვარსკვლავის ანთებაა დადასტურებული და ყველა — ბოლო 1000 წლის მანძილზე. ერთ-ერთის ანთებამ საკმაოდ დიდი პანიკაც გამოიწვია 1054 წელს, რადგან იმდენად მძლავრი იყო, რომ ანთებული ვარსკვლავი დღისითაც კი ჩანდა. ამ ვარსკვლავმა ანთებისას გამოტყორცნა ნივთიერება, რომელიც მახით 33 ათასჯერ აღემატებოდა დედამიწას. გამოტყორცნის სიჩქარე იმდენად დიდი იყო, რომ ამუამადაც კი, ათასწლიანი დამუხრუჭების შემდეგ, ეს ნივთიერება კვლავ მიექანება ვარსკვლავიდან ყოველ მხარეს საათში 5 მილიონი კილომეტრის სისწრაფით — უჩქარეს თანამედროვე თვითმფრინავზე 1 000-ჯერ უფრო ჩქარა. ყოველ 15 წამში ამ ნისლეულის ზომა იზრდება მანძილით, რომელიც დედამიწის გარშემოწერილობას უდრის! ხოლო ნისლეულში იმყოფება ვარსკვლავის ნაშთი, სულ 10 კმ რადიუსიანი სფერო, რომელიც „სიმძიმით" და ნივთიერების რაოდენობით 300 ათასჯერ აღემატება დედამიწას! ესაა წარმოუდგენლად შეკუმშული ყოფილი „მზე", საკუთარივე გრავიტაციით დაწნეხილი. მას მაინც ვარსკვლავის თვისებები აქვს და ნეიტრონულ კვარსკვლავს უწოდებენ, სხვაგვარად — პულსარს. ამ სფეროს პატარა, კამათლისოდენა ნაწილი დედამიწის ხუთივე მილიარდი ადამიანის საერთო წონას გადააჭარბებდა. ეს „ვარ-

ვარსკვლავი" თავბრუდამხვევი სიჩქარით ბრუნავს — წამში 33 შემობრუნებას ასწრებს, მაშინ როდესაც შეკუმშვამდე, როცა იგი ალბათ მზისნაირი ვარსკვლავი იყო, ერთ შემობრუნებას რამდენიმე ათეულ დღეს მაინც ანდომებდა.

კიბორჩხალას ნისლეული, რომელზეც ეს ესაა ვისაუბრეთ, ჩვენგან 5000 სინათლის წლის მანძილზეა. სხვანაირად, იქ ზეახალი ვარსკვლავი სინამდვილეში აენთო დაახლოებით 6 000 წლის წინათ, შუმერების სახელმწიფოს წარმოქმნამდე. ამ კოსმოსური კატასტროფის მაცნე სხივებმა კი ჩვენთან სულ „ახლახანს", მე-11 საუკუნეში მოაღწიეს. ამ ფანტასტიკურად დიდი მანძილის მიუხედავად, ანთებამ დედამიწის მოსახლეობა მაინც შეაშფოთა, როგორც ზემოთ ვთქვით. როგორი იქნებოდა ზემოქმედება, მზის სისტემა რომ ამ ვარსკვლავთან 1 000-ჯერ უფრო ახლოს იყოს, ე. ი. 5 სინათლის წლის მანძილზე? ეს იქნებოდა კოსმოსური წარღვნის მსგავსი რამ. ჯერ ერთი, ანთებული ვარსკვლავის გამოსხივება ჩვენთან მზის სიმძლავრეს გაუტოლდებოდა. მეორეც, მისი ულტრაიისფერი გამოსხივება დამღუპველად იმოქმედებდა დედამიწის ბიოლოგიურ სამყაროზე. და, რაც მთავარია, ჩვენ პირდაპირი სამიზნე ვიქნებოდით! მართლაც, როგორც გაზომვა უჩვენებს, ამ ვარსკვლავის „ნამსხვრევებმა" დღემდე უკვე 3 სინათლის წელი გაიარეს და ჯერაც შეინარჩუნეს ყუმბარაზე ათასჯერ დიდი სიჩქარე! მაშასადამე, ზეახლის სახით რომ ჩვენი უახლოესი კენტავრის ალფა ვარსკვლავი ანთებულიყო (ჩვენს შორის 4 სინათლის წელია), ვარსკვლავის „ნამსხვრევები" უკვე დედამიწის სიახლოვეს იქნებოდა მოღწეული და კარგს არას მოგვიტანდა. როცა ეს გაფართოებადი ნისლეული მზეს გადაჰფარავდა, დედამიწაზე ათასეული წლობით დამყარდებოდა სიცივე, საგრძნობლად დაზარალდებოდა მცენარეული საფარი, სხვა სიტყვებით — მოხდებოდა ეკოლოგიური კატასტროფა. სწორედ ასეთ კატასტროფაზე მიუთითებს ჰიპოთეზა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ და რომელიც გულისხმობს ზეახალი ვარსკვლავის ანთებას მზის სიახლოვეს წარსულში.

ხოლო თვით მზე რომ აენთოს ზეახლის სახით? მზიდან გამოტყორცნილი უზარმაზარი ღრუბლები დედამიწაზე სულ 4 საათში მოაღწევდნენ და უმალ ააორთქლებდნენ მის ზედაპირს. მაგრამ ამაზე უფრო ადრე, აფეთქებიდან სულ 8 წუთში, დედამიწას მოიცავდა მილიარდჯერ გაზრდილი მზის გამოსხივება... ამ მოვლენის აღწერა ყოველგვარ აზრს კარგავს — აღსაწერი უბრალოდ არაფერი დარჩება. ჯობია სასწრაფოდ გავიხსენოთ, რომ მზეში მთავარი ბირთვული საწვავის — წყალბადის 70%-მდე ჯერ ხელუხლებელია, ამიტომ მზის შესაძლო აფეთქებას ასეულ მილიარდამდე წელი გვაშორებს.

მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კი 60 მილიონი წლის წინათ დედამიწას დაეცა 10 კმ-მდე ზომის სხეული, ეტყობა ასტეროიდი. დაცემისას ავარდა მტვრის ვეება სვეტი, რომელმაც წლობით დაფარა დედამიწის მომცველი სივრცე, ჩამოაბნელა მზე და კატასტროფული აცივება გამოიწვია. ამის გამო გადაშენდა მცენარეულობა და ის ბიოლოგიური სახეობანი, რომლებიც უხვ მცენარეულ საზრდოს მოითხოვდნენ. იყო ცნობა ამ ჰიპოთეზის დადასტურების შესახებ. სათანადო პერიოდის შრეების ანალიზით დედამიწის რამდენიმე ერთიერთდაშორებულ პუნქტში, რომელმაც კოსმოსური წარმოშობის ნივთიერების მინარევთა არსებობა აჩვენა, მაგრამ, ცხადია, საკითხს ფაქიზი შესწავლა სჭირდება.

თუმცა ზემოთქმული მხოლოდ ვარაუდებია, იგი მაინც გვიჩვენებს კოსმოსის დიდ როლს და მისი შესწავლის თუნდაც პრაქტიკულ აუცილებლობას.

აი ამისი ერთი მაგალითიც. 1982 წ. 27 თებერვალს აღმოაჩინეს ასტეროიდი, რომელსაც 1982 DB უწოდეს. გამოირკვა, რომ 1982 წ. იანვარში მან დედამიწას სულ 4 მლნ კმ-ზე ჩაუარა. 1976 წელს კი №2340 ასტეროიდმა სულ 1,1 მლნ კმ-ზე ჩაგვიარა. აღმოჩენილია ასტეროიდები, რომელთა ორბიტა ჰკვეთს დედამიწის ორბიტას, ე. ი. არც დაჯახებაა გამორიცხული. მათ გულდასმით სწავლობენ. მაგალითად, ვიცით, რომ 1982 წელს აღმოჩენილი ასტეროიდი 2020 წლის 19 იანვარს 4,5 მლნ კმ-ზე ჩაგვივლის...

4. კოსმოსური ექოები ფარსულიდან

ცხრა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, უფრო ზუსტად 1066 წელს, მთელი ევროპა შეაშფოთა ცაზე კუდიანი ვარსკვლავის მოულოდნელმა გამოჩენამ. ამ მოვლენის ექო იმდენად დიდი იყო, რომ იგი მრავალი ქვეყნის მატიანეებს შემორჩა.

მოვუსმინოთ კიევის სამთავროს უამთაღმწერელს: „მოვლინება დასავლეთიდან, ვარსკვლავი საკმაოდ დიდი, აქვს სისხლიანი სხივები. ამოდის ცაზე საღამოთი, მზის ჩასვლისას. შეიმჩნეოდა 7 დღეს. ეს მოვლენება სიკეთის არაა — იგი მოასწავებს შემოსევებს რუსეთის მიწაზე. სისხლიანი სხივები სისხლისღვრას ნიშნავს..."

როგორც ვორონცოვ-ველიამინოვი წერს, აფხაზეთში ერთ-ერთ ტაძარზე (ლიხნში) „უცნაურად ამოქსოვილი ქართული ასოებით" შესრულებული წარწერა გვამცნობს:

„ეს მოხდა 6669 წელს, გიორგის შვილის, ბაგრატის მეფობისას, 38-ე ინდიქტიონს, აპრილის თვეში; გამოჩნდა ვარსკვლავი, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშოდან გამოდიოდა მასთან დაკავშირებული დიდი სხივი. ეს გაგრძელდა ბზობის კვირიდან სავსემთვარეობამდე".

იმავე დროს ნორმანდიაში დედოფალ მატილდა ფლანდრიელს ამოუქარგავს საშინელი ვარსკვლავის გამოსახულება იმ ხალიჩის ერთ კუთხეში, რომელზეც გადმოსცა მისი მეუღლის, ნორმანდიის ჰერცოგის ვილჰელმ დამპყრობლის ლაშქრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ხომ არ მოასწავებდა კომეტა (იგივე სიხსნლიანი ვარსკვლავი) იმ გამარჯვებას, ნორმანდიის ჰერცოგმა რომ მოიპოვა ინგლისში? კომეტა გამოსახული ყოფილა სასახლის ზემოთ, რომელშიც ტახტზე მჯდომი ინგლისის მეფე თავის ვარსკვლავთმრიცხველთან საუბრობს ამ საშიში ციური მოვლენის შესახებ.

კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც ყველას ყურადღება მიუპყრია საქართველოშიც, რუსეთშიც და ნორმანდიაშიც, იყო იგივე სხეული, რომელსაც შემდეგში ჰალეის კომეტა უწოდეს და რომელიც ამჟამადაც მოექანება ჩვენსკენ, რათა 1985-86 წლებში კიდევ ერთხელ გაიაროს მზისა და დედამიწის მიდამოებში.

მარტო 1066 წელს როდი ესტუმრა ეს კომეტა დედამიწის შემოგარენს. მანამდეც და მის შემდეგაც არაერთხელ და ყოველთვის იგი პანიკას თესავდა ხალხში. 1527 წელს, როგორც ვინმე სიმონ გულიარი წერდა საფრანგეთში, მან „ისეთი საშინელება დაატრიალა, რომ ზოგიერთმა შიშით სული განუტევა, ზოგიც ავად გახდა. ასეულობით ადამიანი ხედავდა მას და ყველას სისხლისფერი და გრძელი ეჩვენებოდა. მის წვეროზე ხედავდნენ მოღუნულ მკლავს, რომლითაც მძიმე მახვილს იქნევდა. მახვილის პირზე სამი ვარსკვლავი ბრწყინავდა, ამასთან ის, რომელიც მახვილს ეხებოდა, დანარჩენებს ჩრდილავდა ბრწყინვალებით. კომეტიდან გამოსული სხივების ორივე მხარეს ჩანდა მრავალი ხანჯალი და გასისხლიანებული ხმლები, რომელთა შორის მრავალი მოჭრილი თავი აწეწილი თმითა და წვერებით საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა".

აი, რამდენ რამეს ხედავდნენ ამ კომეტაში ახლახანს, სულ ოთხიოდე საუკუნის წინათ, ცივილიზებულ ევროპაში. ადვილი წარმოსადგენია, რა შიშის ზარს დასცემდა იგი ადამიანებს უძველეს წარსულში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ხოლო იგი რომ მაშინაც არაერთხელ სტუმრებია დედამიწის ცას, ეს მეცნიერებმა კარგახანია დაადგინეს. არავითარი ლოგიკური განსჯა, არავითარი გამოანგარიშება ან შეფასება (ადამიანის თავი რომ გავარჩიოთ ათეულ მლნ კმ მანძილზე, იგი დედამიწისოდენა მაინც უნდა იყოს!) — მხოლოდ შეშფოთებული ფანტაზიის წარმოსახვები. თუმცა ისიც ნათელია, რომ კომეტის ნამდვილი დაშორება და რაობაც იმ დროისათვის არ იცოდნენ. უბედურებები კი თავზესაყრელად იყო. ამიტომ იგივე სიმონ გულიარი ასკვნიდა: „და მართლაც, რა ნახა მთელმა ევროპამ განვლილი 63 წლის მანძილზე, თუ არა ამ საშინელი წინასწარმეტყველების დამღუპველი შედეგები!" 1773 წელს მთელი საფრანგეთი მოუცავს პანიკას იმის გამო, რომ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე დანიშნული იყო ლალანდის მოხსენება დედამიწასთან კომეტის მოსალოდნელი შეჯახების შესახებ. მოხსენება არ შემდგარა, მაგრამ მღელვარება კი გავრცელდა. თურმე ლალანდი მხოლოდ ვარაუდობდა, რომ თეორიულად შესაძლებელია რომელიმე კომეტის შეჯახება დედამიწასთან, ამასთან მრავალი წლის შემდეგ პერიოდში, მაგრამ პანიკა მაინც გავრცელდა. ხალხის დაბალი ინფორმირებულობა არც ჩვენს დროშია გამორიცხული — გავიხსენოთ, თუნდაც, რამდენიმე წლის წინანდელი „პლანეტების პარადის" ამბავი, რომელიც კარგახანია აღარავის ახსოვს, თუმცა „პარადი" ჯერაც გრძელდება.

5. რას წარმოადგენს კომეტები?

კომეტები მზის სისტემაში მოხეტიალე გაიშვიათებული ღრუბლებია, რომლებიც მზეს უვლიან გარს გაწელილ ორბიტებზე. ორბიტის უახლოესი წერტილი, ე. წ. პერიჰელიუმი, მზიდან დაახლოებით 1 ასტრონომიული ერთეულის ტოლ მანძილზეა (ასე ეწოდება დედამიწიდან მზემდე საშუალო მანძილს; იგი 150 მლნ-კმ-ია), უშორესი წერტილი კი, ე. წ. აფელიუმი, შეიძლება იყოს რამდენიმე ასტრონომიული ერთეული და შეიძლება გაცილებით მეტიც — ათეულობით ათასი ასტრონომიული ერთეული. მზის სისტემის ძირითადი სხეულები, მზის გარდა, როგორც ვიცით, დიდი პლანეტებია, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით შემოწერენ მზის ირგვლივ ელიფსურ ორბიტებს. მზესთან ყველაზე ახლოს მერკურია, შემდეგ ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. ეს ბოლო პლანეტა 40-ჯერ შორსაა მზიდან, ვიდრე დედამიწა. კომეტებს შორის ზოგიერთის ორბიტა პატარაა, ზოგისაც პლუტონის ორბიტაზე გაცილებით შორს ვრცელდება, ზოგისა კი სხვა ვარსკვლავთა მიდამოებამდე აღწევს. ახლობელი კომეტების გარემოქცევის პერიოდი რამდენიმე წელია, დაშორებულებისა — მეტი. მაგალითად, თუ კომეტის ორბიტა პლუტონისას უახლოვდება, იგი ჩვენთან 250 წელიწადში ერთხელ გაივლის. ე. წ. დელავანის კომეტა კი, რომელმაც 1914 წელს ჩაიარა მზის ახლოს, პლუტონთან შედარებით 4 000-ჯერ შორს წავა (ეს ის არეებია, სადაც სინათლის ან რადიოგრამის მისვლას ორ წელიწადზე მეტი დაჭირდება!) და მხოლოდ 24 მილიონ წელიწადში დაგვიბრუნდება. რახან ამ დაბრუნებას მზის მი-

ზიდულობა იწვევს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენად დიდი ყოფილა ეს მიზიდულობა...

როგორები არიან კომეტები ფიზიკურად?

ჩვეულებრივ, კომეტას გააჩნია ბირთვი ანუ გული, თავი და კუდი. გული მყარია, ან ყოველ შემთხვევაში მყარი ნაწილაკების ერთობლიობაა, ოღონდ მცირე ზომის — რამდენიმე კმ-მდე. 1910 წელს, მზესთან ბოლო გავლისას, ჰალეის კომეტის გულმა მზის ფონზე გაიარა, მაგრამ მზეზე იგი უმცირესი ლაქის სახითაც კი არ გამოჩენილა, რაც მის სიმცირეზე მეტყველებს. სამაგიეროდ, თავი და კუდი გაცილებით დიდებია. მაგ., 1811 წლის კომეტის თავი მზეზე გაცილებით დიდი იყო და მოცულობით მილიონჯერ მაინც აღემატებოდა დედამიწას. 1882 წელს შენიშნული ერთ-ერთი კომეტის კუდი კი რამდენიმე ასეული მილიონი კილომეტრი იყო, ე. ი. გაცილებით გრძელი, ვიდრე მზე-დედამიწის შემაერთებელი მონაკვეთია. ამრიგად, ზოგიერთი კომეტა მზის სისტემის ყველა დანარჩენ სხეულზე დიდია! მაგრამ მასით, ანუ ნივთიერების რაოდენობით კომეტები უმნიშვნელო სხეულებია — ამ მხრივ ისინი დედამიწას მილიონჯერ ჩამოუვარდებიან. ეს ნიშნავს, რომ კომეტათა სიმკვრივე ძალიან მცირეა — თითქმის ასეულ მილიონჯერ ნაკლები ჰაერთან შედარებით.

და აი, მიუხედავად ასეთი გაიშვიათებულობისა, კომეტა შორიდან მაინც აღიქმება რეალურ ციურ სხეულად. ოღონდ მასთან „შეჯახება" ძალზე ძნელი აღმოსაჩენი იქნება!

ესეც კია — კომეტის ბირთვი მყარია და მკვრივი, როგორც ყინული. მისი მასა მილიარდამდე ტონა შეიძლება იყოს და მასთან დაჯახებაც — არასასურველი. ოღონდ გული მცირე ზომისაა და ამიტომ წარმოუდგენლად მცირეა მასთან პირდაპირი შეხვედრის ალბათობაც.

კომეტებს, როგორც ითქვა, უხსოვარი დროიდან ხედავდნენ. კაცობრიობას ახსოვს კომეტები, რომლებიც გამოჩენილან 4 ათასწლეულის წინათ და უფრო ადრეც. კომეტების ერთ-ერთი კატალოგი მოიცავს ძვ. წ. 2315 წლიდან ჩვ. წ. 1963 წ-მდე აღრიცხულ კომეტებს, რომელთა რაოდენობა 1606-ია. მაგრამ მზის სისტემაში არსებულ კომეტათა რაოდენობა გაცილებით მეტია და, ზოგი შეფასებით, მილიარდს აღწევს. მათ შორისაა სხვა ვარსკვლავთა სისტემებიდან შემოჭრილი კომეტებიც, რომლებიც ისევ გავლენ მზის სისტემიდან...

6. ჰალეის კომეტის დაბრუნება

ისევ დავუბრუნდეთ კომეტას, რომლის მოახლოებასაც ველით. უნდა ითქვას, რომ მან დიდი როლი შესრულა საერთოდ კომეტების ბუნებისა და მათი მოძრაობის ტრაექტორიების სახის დადგენაში.

ამ საკითხის ისტორია ასეთია. ნიუტონმა ივარაუდა, რომ მზის მიზიდულობა შეიძლება აწესრიგებდეს კომეტების მოძრაობასაც. თუ ასეა, კომეტათა ნაწილი ჩაკეტილ ორბიტებზე უნდა გარემოიქცეოდეს და ამიტომ პერიოდულად ჩნდებოდეს დედამიწის სიახლოვეს. ნიუტონმა დაასკვნა, რომ თუ აღვადგენდით სხვადასხვა წლებში გამოჩენილ კომეტათა ორბიტებს, შეგვეძლო აღმოგვეჩინა, რომ რამდენიმე კომეტის ორბიტა ერთნაირია, რაც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ იგი სინამდვილეში ერთსადაიმავე კომეტას ეკუთვნის. ამ იდეის შემოწმება ნიუტონმა თავის მეგობარს, ედმუნდ ჰალეის მიანდო. ჰალეიმ დიდი შრომა დახარჯა, ძველ წიგნებში მოყვანილი დაკვირვებების საფუძველზე გამოთვალა 1337 წლიდან 1698 წლამდე შემჩნეულ კომეტათა ორბიტები და მათი შესწავლისა და ერთმანეთთან შედარების გზით დაასკვნა, რომ 1531 წელს აპიანის მიერ და 1607 წელს კეპლერისა და ლონგომონტანის მიერ დაკვირვებული კომეტების ტრაექტორიები ისეთივე იყო, როგორც 1682 წელს თვით ჰალეის მიერ შემჩნეული კომეტისა. ჰალეიმ ბუნებრივად ჩათვალა, რომ ეს ერთი და იგივე კომეტის სამი გამოჩენა იყო. კომეტის გამოჩენათა შორის დროის შუალედი პირველად 76 წელი და 2 თვე იყო, მეორედ კი 74 წელი და 10,5 თვე. მაგრამ ეს განსხვავებები ჰალეიმ სხვა პლანეტების შემაშფოთებელ ზემოქმედებას მიაწერა (კომეტა ზუსტ ელიფსზე იმოძრავებდა და მისი გამოჩენის პერიოდი მუდმივი იქნებოდა, მასზე რომ მარტო მზე მოქმედებდეს). ჰალეიმ იწინასწარმეტყველა, რომ ეს კომეტა კვლავ დაბრუნდებოდა 1758 წელს. შემდეგში ფრანგმა მათემატიკოსმა კლერომ მეცნიერი ქალის ლეპოტის დახმარებით დაწვრილებით გამოიკვლია აღნიშნული კომეტის მოძრაობა და დააზუსტა, რომ იგი პერიჰელიუმში გაივლიდა 1759 წელს, აპრილში. კომეტა მართლაც დაბრუნდა (მან პერიჰელიუმი გაიარა გამოთვლილთან შედარებით 31 დღით ადრე), თუმცა თვით ჰალეი ვერ მოესწრო თავისი წინასწარმეტყველების ახდენას. ეს იყო მეცნიერული აზრის კიდევ ერთი ტრიუმფი და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც კომეტათა შესწავლის გზაზე.

ამის შემდეგ კომეტამ, რომელსაც ჰალეის კომეტა უწოდეს, კიდევ ორჯერ მოასწრო ორბიტის შემოვლა და მზესთან გავლა (რაც იგივე დედამიწასთან გავლაა). 1835 წელს მან პერიჰელიუმი გაიარა სულ 9 დღე-ღამის დაგვიანებით, 1910 წელს კი მხოლოდ 3 დღე-ღამის დაგვიანებით გამოთვლილთან შედარებით. როგორც ვხედავთ, ასტრონომიის პროგრესი ამ მხრივ აშკარაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, გამოირკვა, რომ ჰალეის კომეტა პერიოდული კომეტაა, მისი ორბიტა ძალზე გაწელილია და ჰკვეთს დედამიწის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, ურანისა და ნეპტუნის ორბიტებს, ე. ი. თითქმის მთელ პლანეტურ სისტემას მოიცავს. ორბიტის შემოვლას კომეტა 76 წელი უნდება. მემატიანეთა ცნობით, იგი შეუნიშნავთ ჩვ. წ-მდე 467 წელსაც. ბოლო გავლისას, 1910 წელს, იგი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩანდა ცაზე გადაჭიმული დიდი მნათი რკალის სახით. ამ დროს კომეტის კუდი დედამიწისაკენ იყო მომართული და დედამიწამ მასში გაიარა ორბიტული მოძრაობის გამო 19 მაისს. ამის შემდეგ მან თანდათან მზიდან დაშორება დაიწყო და 1950 წელს ორბიტის უშორეს წერტილს მიაღწია, რის შემდეგ კვლავ გამოემართა მზისკენ.

7. როდის გვესტუმრება კომეტა?

დასასრულს, მოკლედ შევეხოთ, როდის და რა პირობებში მოხდება ამ კომეტის მორიგი ჩავლა. უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის მკითხველს შეუძლია წაიკითხოს წერილები ჟურნალ „Земля и Вселенная"-ში (1983 წ., № 1, 1984 წ. № 1, 2). ეს ჟურნალი სისტემურად ბეჭდავს ასტრონომიულ სიახლეებს და იგი ასტრონომიის მოყვარულთა ყურადღების ღირსია.

რადგანაც ჰალეის კომეტისადმი ინტერესი ძალზე დიდია, მისი ძებნა ჯერ კიდევ 1977 წელს დაიწყეს, როცა იგი ურანის ორბიტის მიღმა იყო, და ჩვენამდე ნახევარ გზაზე მეტი ჰქონდა გასავლელი. მაშინ იგი 26-ე სიდიდის ობიექტი იქნებოდა, ე. ი. ას მილიონჯერ მკრთალი, ვიდრე ის ვარსკვლავებია, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით ძლივს შეიმჩნევიან. აშშ-ის უდიდესი ტელესკოპებით 5 წელს ამაოდ ლამობდნენ მის შემჩნევას. ბოლოს მაინც იპოვეს — 1982 წლის 16 ოქტომბერს. ამ დროისათვის კომეტას ურანის ორბიტა გადმოლახული ჰქონდა და უკვე სატურნის ორბიტას უახლოვდებოდა. მზესთან მიახლოების კვალობაზე კომეტის სიკაშკაშე იზრდება. 1983 წლის ბოლოს კომეტამ სატურნის ორბიტაც გადმოლახა, 1984 წლის სექტემბერში სატურნისა და იუპიტერის ორბიტების შუა არეში მოვიდა, 1985 წლის დასაწყისში კი იუპიტერის ორბიტასაც გამოსცილდა. 1985 წლის განმავლობაში კომეტა გაივლის იუპიტერისა და მარსის ორბიტებს შორის სივრცეს, შემდეგ გადაკვეთს დედამიწისა და ვენერას ორბიტებს და 1986 წლის 9 თებერვალს მზესთან უახლოეს წერტილში — პერიჰელიუმში გაივლის. შემდეგ შემოუვლის მზეს და კვლავ, ისე როგორც 1910 წელს, გაემართება ორბიტის მეორე ბოლოსაკენ.

როგორიღა იქნება ჰალეის კომეტის მოძრაობა დედამიწის მიმართ? როგორც ასტრონომიული გამოთვლები მიუთითებს, კომეტა ორჯერ დაუახლოვდება დედამიწას: პირველად მზესთან მიახლოებამდე, მეორედ კი მას შემდეგ, რაც უკვე მზეს შემოუვლის. პირველი მიახლოებისას კომეტასა და დედამიწას შორის მანძილი 0,62 ასტრონომიული ერთეული (ა. ე.) იქნება, ანუ 93 მლნ კმ, (ეს მოხდება 1985 წლის 27 ნოემბერს), მეორე მიახლოებისას კი — გაცილებით ნაკლები — 0, 42 ა. ე. ე. ი. 63 მლნ კმ. (ეს მოხდება 1986 წლის 11 აპრილს.). ცხადია, კომეტა სხვა პლანეტებსაც დაუახლოვდება. სახელდობრ, 1986 წლის 3 თებერვალს უმცირეს მანძილზე ჩაუვლის შერკურსაც (0,29 ა. ე. ანუ 43 მლნ კმ) და ვენერასაც (0,27 ა. ე. ანუ 40 მლნ კმ). იმავე წლის 9 თებერვალს კი, როგორც ვთქვით, მზეს ჩაუვლის უმცირეს მანძილზე (0,59 ა. ე. ანუ 84 მლნ კმ.) ეს მონაცემები მიღებულია 8 დიდი პლანეტის შემაშფოთებელი ზემოქმედების გათვალისწინებით. ლენინგრადის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ, და ისინი ოდნავ შეიძლება შეიცვალოს გაუთვალისწინებელ ფაქტორთა არსებობის გამო.

რას ვარაუდობენ კომეტის ხილვადობის ხასიათის შესახებ?

1910 წელს კომეტამ მზესა და დედამიწას შორის გაიარა, ამიტომ მისი კუდი ჩვენსკენ იყო მომართული (კომეტათა კუდები ძირითადად მზის გამოსხივების წნევით იქმნება, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ისინი კომეტიდან მზის საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული, თუმცა გვხვდება სხვა მიზეზით წარმოშობილი და ამიტომ სხვანაირად ორიენტირებული კუდებიც, ოღონდ უფრო იშვიათად). ამჯერად კი, ორივე დაახლოების დროს, პირიქით, დედამიწა იქნება მზესა და კომეტას შორის. ამიტომ, კომეტის კუდიც ჩვენგან საწინააღმდეგო მხარეს იქნება და დედამიწა მასში ვერ გაივლის. იმავე მიზეზით, კომეტა მთელ ღამეს უნდა ჩანდეს ცაზე, თანაც 1987 წლის ნოემბერში იგი დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროდან გამოჩნდება, 1986 წლის აპრილში კი — სამხრეთ ნახევარსფეროდან.

დაკვირვების თვალსაზრისით ყველაზე უკეთესი პირობები იქნება, როგორც ფიქრობენ, 1985 წლის ნოემბრიდან 1986 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე, ამასთან კომეტა ყველაზე კაშკაშა იანვარში იქნება. ამის შემდეგ კომეტა პერიჰელიუმის გავლის მერე, 1986 წლის მარტიდან ივლისამდე იქნება ხილვადი, ყველაზე კაშკაშა კი აპრილში იქნება და მისი კუდიც ამ დროს მიაღწევს უდიდეს სიგრძეს 20-80°-ს. ეს ოდნავადაც არ შეედრება წინა გავლას — 1910 წელს კომეტის კუდი მაქსიმუმში ირმის ნახტომზე უფრო კაშკაშა იყო და 100° ზე მეტი სიგრძე ჰქონდა, ე. ი. თითქმის მთელ ცაზე იყო გადაჭიმული, რაც ძალზე ეფექტურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახაობას ქმნიდა. ამ დროს კომეტას ჩვენგან სამჯერ უფრო ახლოს გაუვლია (20 მლნ კმ), ვიდრე 1986 წლის 11 აპრილს გაივლის. 1835 წელსაც კომეტას ახლანდელზე ახლოს, 40 მლნ კმ-ზე გაუვლია.

ცის რომელ უბანში გამოჩნდება კომეტა? 1985 წლის მარტში იგი ორიონის თანავარსკვლავედში იყო, შემდეგ კუროში გადავიდა და სექტემბერში ისევ ორიონში დაბრუნდა, ოქტომბერში ისევ კუროშია. ნოემბერში გვერდით გაუვლის ვარსკვლავთა გროვა პლეადებს (იგივე ხომლი ანუ მრავალი, როგორც ქართველები ვამბობთ), და გადავა ჯერ ვერძის, შემდეგ თევზის, დეკემბერში მერწყულის, მომავალი წლის დასაწყისში კი თხის რქისა და მშვილდოსნის თანავარსკვლავედებში, მარტში სამხრეთის გვირგვინს გაივლის, მაისამდე კი სწრაფად ინაცვლებს მგლის, კენტავრის, ჰიდრასა და სასწორის თანავარსკვლავედებისაკენ. ამ დროს იგი ჩვენგან უხილავი იქნება და მხოლოდ სამხრეთელები დაინახავენ.

რაც შეეხება სიკაშკაშეს, წლევანდელი წლის ოქტომბერში იგი დაახლოებით 12 ვარსკვლავიერი სიდიდე იყო, ე. ი. კომეტა მისაწვდომით იყო მცირე ზომის ტელესკოპებისათვის. 27 ნოემბერს, დედამიწასთან პირველი მოახლოებისას, შესაძლოა მე-6 სიდიდეს მიაღწიოს, ე. ი. შეუიარაღებელი თვალით ხილვადობის საზღვარზე იქნება. დეკემბერსა და მომავალი წლის იანვარში შეიძლება მე-3 სიდიდემდე გაკაშკაშდეს, მზესთან მიახლოების გამო, და თვალითაც დავინახოთ საღამოობით, მარტში კი დილით გამოჩნდება, ოღონდ ეკვატორული და სამხრეთული ქვეყნებიდან. მაგრამ ეს მხოლოდ პროგნოზებია — ზუსტად არ ვიცით, რამდენად გათბება მზის სხივებით კომეტის ბირთვი, რაც განაპირობებს სიკაშკაშეს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1973 წელს ელოდნენ ე. წ. კოჰოუტეკის კომეტას, რომელიც ამ საუკუნეში ყველაზე კაშკაშა უნდა ყოფილიყო, ის კი ძლივს შეამჩნიეს დამკვირვებლებმა.

ბოლოს ის, რაც თანამედროვე მკითხველს კვლავაც აინტერესებს — რამდენად საშიშია კომეტა? მოხდება რაიმე უჩვეულო?

1. ჰალეის კომეტის ამჟამინდელ ჩავლას ძნელად თუ შევამჩნევთ შეუიარაღებელი თვალით, ე. ი. ეფექტური სანახაობა არ გველის (თუ, რა თქმა უნდა, პროგნოზები ასრულდება. თუ არ ასრულდება და კომეტა კაშკაშა გამოვა, ეს მხოლოდ სასიხარულო იქნება — ამ საკითხს მხოლოდ ემოციური სფერო აქვს).

2. კომეტის ბირთვთან დედამიწის შეჯახება გამორიცხულია. უმცირესი მანძილი 62 მლნ კმ იქნება. აქვე აღვნიშნოთ, რომ სხვა კომეტებს ბევრად უფრო ახლოს გაუვლიათ ჩვენგან. მაგალითად, 1983 წელს აღმოჩენილმა ირასარაკი-ოლკოკის კომეტამ გასული წლის 11 მაისს დედამიწიდან სულ 4,5 მლნ კმ-ზე გაიარა (ამ კომეტის ბირთვის ზომა 1 კმ იყო, აირისა და მტვრისაგან შედგენილი ატმოსფეროსი კი 250 000 კმ). ასეთი ახლო გავლები იშვიათია. ასტრონომებს ახსოვთ მხოლოდ 1770 წ. ლექსელის კომეტის ამგვარივე მოახლოება დედამიწასთან.

3. ხომ არ შეიძლება მოვიწამლოთ შხამიანი აირით — ციანით ან ნახშირორჟანგით, რომელიც კომეტაში ნამდვილად არის?

პასუხი აქაც უარყოფითია. ჯერ ერთი, ამჯერად დედამიწა კომეტის კუდს არ შეეხება. მეორეც, კომეტის სიმკვრივე, ზემოთაც ითქვა, უმნიშვნელოა. 1910 წ. 19 მაისს ჩვენ ჰალეის კომეტის კუდში გავიარეთ (კუდის სიგრძე 30 მლნ კმ-ს ჭარბობდა და ჩვენსკენ იყო მომართული, კომეტა კი 24 მლნ კმ მანძილზე იყო!). 1861 წელსაც გადაკვეთა დედამიწამ ერთ-ერთი კომეტის კუდი. არც 1961, არც 1910 წელს ზუსტმა ქიმიურმა ანალიზმა დედამიწის ატმოსფეროში ვერ აღმოაჩინა უცხო აირთა რაიმე მინარევი.

4. იყო ცდა, გამოეკვლიათ კომეტათა გამოჩენასა და ზოგიერთი ეპიდემიის გავრცელებას შორის სტატისტიკური კავშირი, მაგრამ ჯერ სანდო დასკვნები არ უნდა იყოს მიღებული.

შეიძლება მზის სისტემის ერთი ხანდაზმული წევრი საკუთარი თვალითაც ვიხილოთ. გათვალისწინებულია ამ კომეტის ადგილზე შესწავლაც — კოსმოსური ხომალდების საშუალებით, რაც პირველი შემთხვევა იქნება კაცობრიობის ისტორიაში — ამ მხარეს ჩვენ არ შევხებივართ.

ამის შესახებ, კომეტის მოსვლის, დაკვირვების, ამ დაკვირვებათა შედეგების შესახებ, ეჰვგარეშეა ბევრი დაიწერება ასტრონომიულ პრესაშიც და უფრო ფართო გამოცემებშიც. ჩვენი მიზანი მარტო კომეტაზე ინფორმირება არ ყოფილა — უფრო ის გვინდოდა, რომ მოგვეწოდებინა: მეტი ადგილი დავუთმოთ ჩვენს ფიქრებსა და აზროვნებაში კოსმოსურ მოვლენებს, საერთო სამყაროულ ფენომენებს. ისინი შორნიც არიან და იმავდროულად ძალიან ახლონიც. ზოგჯერ თუ მეტისმეტად მძაფრად გამოვლინდებიან და თავს შეგვახსენებენ, სხვა დროს ამაზე ნაკლები ძალით როდი არსებობენ! გავიმეოროთ დასაწყისში ნათქვამი — კოსმოსი დედამიწისთვის იგივეა, რაც ოკეანე გემისათვის. დამეთანხმებით, ოკეანე საცქერლადაც საინტერესოა და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანიც. ასევეა კოსმოსიც — იგივე სამყარო. იგი მოგვიწოდებს: ყველაფერს, რასაც დედამიწაზე ვაკეთებთ, ხანდახან მაინც, კოსმოსის სიმაღლიდან შევხედოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგა ქარაია

გამოფენა ისტორიიდან

ისტორიული წარსულისაკენ მიბრუნება და მხატვრული გააზრება საკმაოდ რთული, სერიოზული საკითხია. იგი ხელოვანისაგან მოითხოვს დიდ ერუდიციას, სიფაქიზეს, შემეცნების უნარსა და სათქმელის ლაკონურ, მეტყველ გადმოცემას. ისტორიული თემის მხატვრულ გააზრებაზე ლაპარაკისას იგულისხმება ის თავისებურებანი, რომლებისთვისაც უცხოა წარსულისა და აწმყოს ურთიერთდაპირისპირება და რომლებიც თავისი შინაარსით, იდეით, სოციალურ-ფსიქოლოგიური წყაროებით ისტორიული განვითარების კანონზომიერების არსში წვდომას ისახავენ მიზნად.

გიორგი ბუღაძემ და ლევან ჭოღოშვილმა ისტორიული თემის ახლებური, თავისებური ინტერპრეტაცია შესთავაზეს მხატვრის სახლის საექსპოზიციო დარბაზში მოსულ დამთვალიერებლებს. მხატვრები 80-იანი წლების თაობის წარმომადგენლები არიან, იმ თაობისა, რომელმაც თან მოიტანა თავისი პრობლემები, გამოავლინა საკუთარი პოზიცია, მისწრაფება თვითშემეცნებისაკენ და რომელიც უფროს თაობასთან ერთად განსაზღვრავს ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელ დონეს. განსხვავებული ხელწერისა და ხედვის შემოქმედთ აერთიანებთ სწრაფვა წარსულის ზედმიწევნითი გაცნობიერებისაკენ, დამოკიდებულება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა სულიერი ცხოვრებისადმი და ერთგვარი რეტროსპექტულობა, რაც რომანტიკულ იერს აძლევს მათს ფერწერულ ნამუშევრებს და წარსულის ღირებულებათა შეგრძნება-გაცოცხლების მცდელობად აღიქმება. მხატვრებს უფრო მეტად აღელვებთ ისტორიული დროის, სიტუაციის გადმოცემა, ვიდრე კონკრეტული მოვლენისა; ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ესთეტიკურად მეტყველი ფორმით, ავლენენ საქართველოს ისტორიის ღრმა გააზრებისა და წვდომის სურვილს; ცდილობენ გადალახონ დრო, მისცენ მას დღევანდელი ემოციური ყღერადობა, დატვირთონ დღევანდელობის ემოციური განცდებით, სახეობრივად წარმოსახონ დროთა კავშირის რეალურობა.

ჩანაფიქრთა მხატვრული ხორცშესხმისათვის ახალგაზრდა ფერმწერები განსხვავებულ უნარსა და სახვით საშუალებებს იყენებენ. გიორგი ბუღაძის ყურადღება ფერწერის შინაგან ამოცანათა ღრმად შეცნობისკენაა მიმართული. მისი მხატვრობა ძველისძველი ძირებიდან — ქართული ლეგენდა-თქმულებებიდან მომდინარეობს, მაგრამ ისტორიული პირველწყაროს უბრალო ილუსტრირება კი არ ხდება, არამედ პეიზაჟური მოტივების საშუალებით არის მიღწეული ეპოქის სულის, ტკივილის ხატოვანი გადმოცემა. შინაარსის მიხედვით, ფერთან ერთად, იცვლება წერის მანერა, იძენება გამომსახველობის მეტაფორული ხერხები, რაც ავტორის უშრეტ ფანტაზიასა და ფერწერულ შესაძლებლობებზე მეტყველებს. იგი მხატვრულ ფორმას მაქსიმალურად ტვირთავს, ცდილობს ინდივიდუალური, შინაგანად რთული სამყაროს დამკვიდრებას. ეძებს ზოგადი არსის გადმოცემის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს.

გიორგი ბუღაძის ნამუშევრებში ფერს სიმბოლური დატვირთვა აქვს და სიუჟეტის გახსნის რთული ამოცანა აკისრია. მხატვრის პალიტრა მდიდარია მოვარდისფრო. ოქროსფერი, მწვანე, მოყავისფრო, მოწითალო, ლურჯი იისფერი, ცისფერი და მუქი ტონების ნაირგვარი გრადაციებით, რაც მას მომენტის, სიტუაციის, განწყობილების შთამბეჭდავი ძალით გადმოცემაში ეხმარება. დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მნახველზე „მირიანის დაბრუნება". თხოთის მთაზე, ნადირობისას, „ყოველი სასწაული ქრისტეს-მიერის" ხილვის შემდგომ მირიან მეფე, რომელმაც ნახა გზა, გამოსავალი და გადაწყვეტილებაც მიიღო, დაჰყურებს სივრცეში გაშლილ ქალაქს, რომელსაც სულ სხვა თვალით აღიქვამს — ხედავს განათებულს, განწმენდილს, რომლის სიმბოლოდაც თეთრი ფერი გვევლინება. ხელშესახებად იგრძნობა სიმსუბუქე, სივრცობრიობა. ექსპრესიულობით ხასიათდება „ფარნავაზის მცხეთა". ურთიერთგადამკვეთი ორი ცისარტყელა ორი ძალის, ორი პიროვნების — ქართლოსისა და მცხეთოსის პრინციპთა შეერთებაზე მიგვანიშნებს, რამაც თავისთავად უნდა გამოიწვიოს საგრძნობი ცვლილებები ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქტიური წითლისა და ყავისფერი ტონების ჰარმონიული შეხამებით მიღწეულია გამომსახველობა და სახეობრიობა.

ფერთა კონტრასტული დაპირისპირებითაა გადმოცემული სიტუაციის დრამატულობა კომპოზიციაში „უფლოსისაგან განდგომა". გარდასულზე, წარმავალზე მეტყველებს სურათის მუქ მწვანე ფერში გადაწყვეტილი ნაწილი, ხოლო ნათელი მოვარდისფრო-მოჩალისფრო ტონები ახლის შექმნის, ახლის დაფუძნების მიმანიშნებელია. ჩამოქუფრული ცა, ქარიშხლისაგან გადახრილი ხეები, ჭექა-ქუხილი, ჰაერში აფრიალებული ფოთლები ძველი კერპების დამხობას მოასწავებს („არმაზის მსხვრევა"). მიუვალ მთაზე „შუენიერი ფრიად და სულნელი", სასწაულმოქმედი, მაცოცხლებელი ხის ზიდვა ამაღლებულ, ტრაგიკულ განწყობილებას ქმნის („მარტოხე"), რასაც ხელს უწყობს მუღერ წითელ-ვარდისფერ გამაში მუქი და რძისფერი ტონებით შეტანილი დისონანსის ეფექტურობა.

გიორგი ბუღაძის თითქმის ყველა სურათში, კომპოზიციაში არსებობს ალეგორიული ნიშანი, რაიმე სიმბოლო თემის გახსნისათვის. სენაკის სარკმლიდან გამომავალი შუქი („ძელიცხოვლობის ღამე") მოლოდინის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესასვლელთან მდგარი ადამიანთა ფიგურებიც ახლის შეცნობის საიდუმლოს იტევენ თითქოს. მსხმოიარე ხე ახალი აზრის, იდეის აღმოცენების სიმბოლოა („სიდონიას საფლავი"), მთაზე შეფენილი ცხვრის ფარა და მწყემსი („თხოთის მთა") მოძღვრისა და სამწყოს ალეგორიულ ასახვად გვევლინება.

ფიგურიანი კომპოზიციები: „მირიანი და აბეშურა", „მირიანი და ნანა" განსხვავდებიან სხვა ნამუშევრებისაგან ფერითი არქიტექტონიკის შერჩევით და წერის მანერითაც. პირველ სურათში აბეშურას მუქ მოლურჯო-მონაცრისფრო გამაში შესრულებული ფიგურა მომენტის დრამატულობას გამოჰკვეთს, ხოლო მეორეში — კომპოზიციის ცენტრში მოქცეული მირიანისა და ნანა დედოფლის ფიგურები, დედოფლის მხევალი ვარდების თაიგულით, თვით ნახატის ფერადოვნება ინტიმურობის, ზეიმურობის განცდას ბადებს.

„ქართლის ცხოვრება" ძუნწ ცნობებს გვაწვდის რევ-მართალზე — III საუკუნის მეფეზე ლეგენდარულ პიროვნებაზე, რომელმაც აღკვეთა ურმათა მსხვერპლშეწირვა, იცნობდა ქრისტიანულ მოძღვრებას. გიორგი ბუღაძის რევ-მართალი მეცნიერია, გნოსტიკოსი, რომელსაც ჭეშმარიტების კვლევა დაუსახავს მიზნად. მზის შუქით განათებული დარბაზი, ოინოხოიები ბუხრის თავზე და მეფე, ხელში ფირფიტით — ყველაფერი ჭეშმარიტების არსში წვდომის წადილითაა განმსჭვალული.

გიორგი ბუღაძის ტილოებში ადამიანთა ფიგურების „სილუეტურობა" სიუჟეტის ლეგენდურობას, მითიურ ხასიათს უსვამს ხაზს („მირიანის სასახლე", „ნათლის დღე", „ჩრდილთა თეატრი"); ბურუსში გახვეული, თითქოს შარმაშის ფარდა ჩამოფარებულ დარბაზებში მკრთალად მოხაზული ფიგურების მიღმა რაღაც იდუმალი იკითხება. მხატვარი არ ავლებს ზღვარს მითოლოგიურსა და ისტორიულს შორის, მისი ყურადღება მიპყრობილია მოვლენის დამახასიათებელი თვისების გამოკვეთისაკენ. შორეული დროის საგნობრივი სამყაროს ერთგვარი „რეკონსტრუირებისაკენ".

ჭეშმარიტი შთაგონებით არის შექმნილი სურათების სერია ფარნავაზზე, რომელმაც „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა" ფარნავაზისა და ქუჯის შეხვედრის სცენა ყურადღებას იქცევს ორი პიროვნების ურთიერთგანწყობისა და დამოკიდებულების შთამბეჭდავი გადმოცემით. თავისუფალი, განსხვავებული სტილისტიკითაა შექმნილი „ნადირობა", „ფარნავაზის სიზმარი". ხშირ შემთხვევაში გიორგი ბუღაძის წერის მანერა უახლოვდება ქართული ფრესკებისათვის დამახასიათებელ სიფაქიზეს, გამჭვირვალეს („ფრესკა", „ციხე-დიდი"), ზოგან კი ლაქის სისადავე ცალკეულ დეტალთა გულდასმით შესრულებულ ნახატს ერწყმის („ანდრია პირველწოდებული," „არმაზი").

პეიზაჟის საშუალებით აღბეჭდავს გიორგი ბუღაძე ისტორიულ დროს, აძლევს მას მარადიულობის ინტონაციას. „სარკინე", „ძუძუსწყარო," „თხოთის მთა" — წმინდა ნინოსთან, ქრისტიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებული ადგილ-მიდამოებია ამ ტილოებზე ხორცშესხმული. ოსტატურად არის გახსნილი ეპოქის ხასიათი და განწყობა კომპოზიციაში „ქართლოსის წილი". მთების კონტურები, ზღვის აგორებული ტალღების ასოციაციას რომ იწვევს, მომენტის მშფოთვარე განწყობილებას ზედმიწევნით ასახავს.

„არიან ქართლი" კარსან-არმაზს დაუკავშირა მხატვარმა, იგი ამაღლავნებს ადგილის, პეიზაჟის მძაფრ შეგრძნებას და ფუნჯის მსუბუქი შეხებით ქმნის ემოციური ეღვერადობით სავსე ტილოებს, არსებულისა და არარსებულის შენაერთს. რომ წარმოადგენენ. ეზის შუქით განათებული ილუზორული გარემო, ტონალური ლაქების ექსპრესია, „წარსულის კვალის" ანაბეჭდებში ჩაღრმავება, ფერწერულ-ხატოვანი მეტაფორები განსაზღვრავენ ავტორის მხატვრული აზროვნების სისტემას, განაპირობებენ თავისთავადი კოლორიტის მქონე ნამუშევრების შექმნას, რომლის მიღმა საქართველოს შორეულ წარსულში, მის ისტორიულ-მითოლოგიურ საწყისებში კარგად გათვითცნობიერებული ხელოვანი დგას, ვისთვისაც სამშობლოს სიხარული თუ ტკივილი სიხლხლორცეული გამხდარა.

ლევან ჯოღოშვილი პიროვნებათა დაკონკრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების საშუალებით ხსნის ეპოქის, დროის ხასიათს. პერსონაჟის ინდივიდუალობის გამოხატვით ცდილობს გარდასული პერიოდის გადმოცემას, რაც მიიღწევა სახის პლასტიკის ღრმა წვდომით და არა რომელიმე კონკრეტული ფსიქოლოგიური მომენტის დაჭერით. მიუხედავად კომპოზიციების სტატიურობისა, ნამუშევრები ღრმა აზრობრივი დატვირთვითა და მძაფრი შინაგანი დრამატიზმით გამოირჩევა. ახალგაზრდა მხატვრისათვის მთავარია პერსონაჟის სულიერი მხარის ჩვენება, განწყობილებისა და ემოციის გადმოცემა, რისთვისაც მრავალფეროვან სახვით საშუალებებს იყენებს. ზოგიერთი კონკრეტული დეტალი შეთავსებულია განზოგადებულ ხედვასთან, რაც დასრულებულობასა და მთლიანობას ანიჭებს პორტრეტულ კომპოზიციებს, გარეგნული თავშეკავების მიღმა იგრძნობა ისტორიული სინამდვილის ტრანსფორმაცია, იკვეთება ხელოვანის შემოქმედებითი კონცეფცია.

XX საუკუნის დასაწყისის სუნთქვა იგრძნობა ჯგუფურ პორტრეტებში „საჩხერე", „ექიმის ოჯახი", თითოეული სახე, თითოეული პერსონაჟი იშვიათი სიზუსტითაა გამოკვეთილი. მხატვარი ცდილობს ჯგუფური პორტრეტების საშუალებით გამოავლინოს ამ კუთხის ხასიათი, თავისებურება, ტიპიური სახეობრიობა მსუბუქად დადებული მონასმების ემოციური შეფარდებით არის ნაძერწი. ფერწერული და კომპოზიციური გადაწყვეტით საინტერესოა „დაძმა შერვაშიძეები". ჩიხტიკოპიანი მანდილოსნების, ჩოხიანი მამაკაცების სახეები სისადავითა და ზომიერებით გამოირჩევა, მუქ ყავისფერ კოლორიტში გემოვნებით შეტანილი წითელმწვანე აქცენტები რიტმულობას ანიჭებს სურათს, ხელს უწყობს ინტიმურობის, რეტროსპექციის განწყობილების შექმნას.

სიყრმის მოგონებანი, წარსულისადმი ერთგვარი ნოსტალგიაა საფუძველი იმ შინაგანი სითბოსი და ლირიზმისა, რომლითაც განმსჭვალულია „ეკატერინე გაბაშვილის ოჯახი". სწორედ ახლობელ ადამიანთა პორტრეტებში ვლინდება მკვეთრად მხატვრის არსებითი თვისებები—მკაფიო ხედვა, შინაგანი დრამატიზმი, გაწონასწორებული განწყობილება, „მოგონება" ხაზობრივ პრინციპზეა გააზრებული. ხაზის მოქნილობა, ჩაცმულობის ქართულ-ევროპული დეტალები, სხვადასხვა აქსესუარი — ვენური სკამები, ბოარჯღალა ორნამენტები უკანა პლანზე სურათს მიმზიდველს ხდის.

პერსონაჟთა ხასიათის გახსნისათვის, მხატვრული გამომსახველობის გასაძლიერებლად, ლევან ჭოღოშვილი ხშირად მიმართავს „დეფორმირების" ხერხს. მისთვის დამახასიათებელი ზომიერების გრძნობით აღწევს მხატვრულ პლასტიკურობას და უაღრესად ესთეტურ ეფექტს ქმნის, თავისუფალი ფერწერით, თემის თავისებური გააზრებით ხასიათდება „ყვავილიანი სები". პირველი ხუთი პატრიარქის სახეთა დეფორმირებით სურათში ასახულია ეპოქის ხასიათი, სიტუაცია, რომელშიც სასულიერო პირებს უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. კომპოზიციაში „ცეკვა" მხატვრის ამოცანაა ადამიანთა ინდივიდუალობის გახსნა მოქმედებაში. ძირითადი აქცენტი გადატანილია თეთრებში ჩაცმული მოცეკვავის ფიგურაზე, რომელიც თითქოს აგვირგვინებს მოწითალო-მოყავისფრო ტონალობაში გადაწყვეტილ სურათს.

შინაგან ტრაგიზმს, ექსპრესიას იტევს დიდი ზომის ტილო „არაგვის ერისთავის მკვლელობა". ფერმწერი ისტორიულ ფაქტს მძაფრად განიცდის, მუქი ფერისა და წითელი სიბრტყოვანი ლაქის და პირისპირებით იქმნება სიტუაციის შთამბეჭდავი სურათი. თვით თეიმურაზ მეფის ფიგურა, ირგვლივ მყოფთა ოდნავ დეფორმირებული სახეები ფსიქოლოგიური მომენტის თვალსაზრისით საინტერესოა და დინამიურად დამუხტული. ლევან ჭოღოშვილი ისტორიული სურათის ახლებურ გააზრებას მიმართავს, თანამედროვე ადამიანის თვალით დანახული სამყარო მოაქვს ჩვენამდე.

თანამედროვე ფორმით მოტანილი 16-ე, 17-ე საუკუნეების სამყარო წარმოჩნდა კახეთის მეფეთა სერიაში. გარდამავალი ხანის, ეპოქის დრამატული ეპიზოდების ასახვისათვის მხატვარი იყენებს მრავალფეროვან სახვით საშუალებებს, პირობითი და რეალისტური ნახატის ერთგვარ სინთეზს, ქართულ ფრესკულ ტრადიციებს, სპარსული მინიატურების კოლორიტულობას, ზოგ შემთხვევაში ქართული ფრესკული სტილის ელემენტებთან შერწყმულია მოდერნისტულ, ძიებათა თავისებურებებიც, რაც ისტორიულ პერსონაჟთა მონუმენტური, ღრმად ფსიქოლოგიური გალერეის შექმნას ემსახურება. გიორგი მერვის ჩაცმულობის ფერადოვნებაში მხატვარს შეაქვს სპარსული მინიატურების სტილისტური ელემენტი, მაგრამ ეს პორტრეტის ორგანულ თავისებურებად კი არ იქცევა, არამედ თემის გახსნისათვის არის გამიზნული. მეფე ალექსანდრე წარმოსახულია როგორც სასულიერო პირი, სამეფო კაბაზე ბერის სამოსშემოცმული. გარეგნული იერის სიმშვიდეში ერთგვარი შინაგანი დრამატიზმი იკითხება. კოლორიტი ჩამუქებული დაბალი ყღერადობის ტონალობაზეა აგებული.

საინტერესო მხატვრული გადაწყვეტა მოუძებნა ფერმწერმა ქეთევანის სახეს. იგი წარმოგვიდგება არა როგორც წმინდანი, არამედ როგორც დედოფალი. მხატვრისათვის ამ შემთხვევაში მთავარია პიროვნების სულიერი მხარის გადმოცემა. სახის მეტყველ თვალს თეთრი ბაეროვანი თავსაბურავი ანათებს და გამოჰკვეთავს.

საქართველოს მომავლით, მისი ბედ-იღბლით

შეშფოთება გამოსჭვივის თეიმურაზ პირველის გარეგნობიდან. კასტელის ნახატიდან ნაცნობი პორტრეტი ლევან ჭოლოშვილის ინტერპრეტაციით ახალ ყღერადობას და ელფერს იძენს. მეფე-მწიგნობარი ხელში პერგამენტის გრაგნილითაა გამოსახული. აქ ჩანს არა იმდენად კონკრეტული სულიერი მდგომარეობა, რამდენადაც საერთო ხასიათი პიროვნებისა. მუქი ყავისფერი კოლორიტი უპირისპირდება სახის ნათელ ლაქებს, რაც სტატიკურ კომპოზიციას დინამიურ რიტმულობას ანიჭებს. — სადა, ძუნწი სახვითი ხერხების გამოყენებით არის მიღწეული გამომსახველობა თეიმურაზ მეორის პორტრეტში, ხოლო ერეკლე მეორე წარმოსახულია ყრმა უფლისწულად. ჩაცმულობის მკაცრი ტონი, მოყავისფრო უკანა პლანი ცისფერის აქცენტებით არის გამდიდრებული. სურათი დასრულებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. პორტრეტში მკაფიოდ იკითხება მომავალი მეფის მტკიცე ხასიათი, სიბრძნე და შინაგანი სიძლიერე.

მხატვრული დამაჯერებლობითა და თვითმყოფადობით ხასიათდება გრაფიკული ნამუშევრების სერია, რომელშიც ასევე 20-ე საუკუნის ისტორიულ პირთა ჯგუფური პორტრეტებია წარმოდგენილი. ყურადღებას იპყრობს ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი, რომელშიც კალმის და ფერის ოსტატური გამოყენებით წარმოჩენილია ამ უაღრესად საინტერესო მწერლის გამოკვეთილი ინდივიდუალობა.

ექსპოზიციის დათვალიერებისას იგრძნობოდა, რომ ეს გამოფენა არ იყო ორი მხატვრის შეხვედრა, შემთხვევითი თანადგომა. გიორგი ბუღაძე და ლევან ჭოლოშვილი საერთო საწყისიდან გამოდიან, ურთიერთს ავსებენ, საერთო მიზანს ესწრაფვიან. მათი ფერწერული ტილოების ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებად უნდა ჩაითვალოს თავისებური და ძლიერად გამომჟღავნებული „ისტორიის გრძნობა". ახალგაზრდა მხატვრები აღწევენ ისტორიული სურათის მეტად საინტერესო, ახლებურ გააზრებას, დამაჯერებელი, თავისთავადი ენით გვესაუბრებიან ქართველი კაცის განცდებსა და ტკივილებზე, ქმნიან საქართველოს წარსული ცხოვრების საკუთარი პოზიციიდან დანახულ მხატვრულ მატიანეს და ხელშესახებად გვაგრძნობინებენ ისტორიისადმი დღევანდელი შემოქმედისა და საერთოდ, თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულებას.

ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე

ინგა ქარაია დაიბადა 1956 წელს, წალენჯიხაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და საზ. პროფესიათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების გრაფიკის განყოფილება. მისი წერილები მხატვრობაზე ბოლო წლებში იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. „ცისკარში" იბეჭდება პირველად.

ზაზა სიხარულიძე დაიბადა 1960 წელს ქ. ბათუმში. დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. იბეჭდება 1974 წლიდან. „ცისკარში" ქვეყნდება პირველად.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 6.09.85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.11.85 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85 შეკვ. 1982 უე 15327 ტირაჟი 57.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

682/169

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ